

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ხათუნა
მაისაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების
ქართულ ბეჭდურ მედიაში

თბილისი 2010

სარჩევი

თავი 1. შესავალი 4

თავი 2. „იდენტობისა“ და „რეპრეზენტაციის“ ცნებების შესახებ 8

2.1. იდენტობასა და რეპრეზენტაციასთან დაკავშირებული 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედიის გამოწვევები 13

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული ბაზისი 16

3.1. მედია როგორც ეროვნული იდენტობის შემქმნელი და განმავითარებელი 16

3.2. ერის კონცეპტისა და მასში ტერიტორიის მნიშვნელობის შესახებ. ერი და სახელმწიფო 22

თავი 4. კვლევის მიზანი, ძირითადი თეზისი, დაშვება და მიღება 32

თავი 5. საკვლევი თემის ვალიდურობისა და კვლევის მეთოდის შესახებ
34

თავი 6. ნაციონალური პროექტი 1990-1991 წლების საქართველოში 39

6.1. როგორ ”ჩაირთო“ ეროვნული იდენტობა 39

6.2. ”ჩვენ ვართ ერი“ – ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური პრინციპი 41

6.3. სამშობლო - ზეციდან მიწაზე 43

6.4. „საქართველო - ქართველებისთვის“? 45

6.5. ერები, ეროვნებები და ეთნოსები - მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქების გასაყარზე 48

6.6. როგორ იწყებოდა კონფლიქტები მედიაში? 54

6.7. ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისი და საქართველო 58

თავი 7. სამშობლო, ერი-სახელმწიფო და ქართული ელიტები 68

7.1. თეორიული არგუმენტები საკვლევი საკითხის ჩამოსაყალიბებლად 68

7.2. მეთოდი 70

7.3. შედეგები. წყაროების ტიპები და შინაარსობრივი კატეგორიები.

რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი 72

7.4. დასკვნა 87

თავი 8. მიწა, სახელი, იდენტობა 90

8.1. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, სახელი და იდენტობის საკითხი. თეორიული არგუმენტები საკვლევი საკითხისათვის	90
8.2. მეთოდი	93
8.3. შედეგები	95
8.4. განხილვა	98
ა. სახელწოდების მატარებელი ტერმინები: ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკა, იდენტობა	98
ბ. ვალენტობის მატარებელი ტერმინები: პოლიტიკა, სამართლიანობა, უფლებები, იდენტობა	99
8.5. დასკვნა	104
თავი 9. საქართველო და გარესამყარო. სპეციფიკური მედიური სახეები და ხატები	107
9.1. თეორიული არგუმენტები პიპოთეზისთვის. კვლევის მეთოდი	108
9.2. შედეგები	119
9.3 დასკვნა	125
თავი 10. ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დინამიკა განხილული მასშედიუმებისთვის	127
თავი 11. იდეოლოგიური დომინაციის საკითხი და ქართული ბეჭდური მედია. 1990-1991 წლები	129
11.1. თეორიული არგუმენტები პიპოთეზებისთვის	129
11.2. კვლევის მეთოდი	130
11.3. აღწერითი ანალიზი	132
11.4. კომენტარები და დამატებები აღწერითი სატატისტიკის შედეგებისთვის	152
11.5. განხილვა – პიპოთეზისთვის	156
11.6. 1990-იანი წლების ქართული მედიის ახალი როლები და ფუნქციები. მედიაცენტრიზმი და სოციოცენტრიზმი. ფაქტორული ანალიზი. პიპოთეზისთვის	159
11.7. გლასნოსტის იდეოლოგიის გავლენა 1990-იანი წლების ქართულ მედიაზე.	169
თავი 12. განზოგადებები, ძირითადი დასკვნები	172
თავი 13. გამოყენებული ლიტერატურა	174

თავი 1
შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერთ უმცირეს ნაწილს იმ ძირითადი კვლევითი ნაკადის, ე.წ. “მეინსტრიმის”, რომელმაც მთელს მსოფლიოში მედიური კვლევების სფერო მოიცვა.

ლიუვენის (ბელგია) უნივერსიტეტის (Katholieke Universiteit Leuven) კვლევის (2001) მონაცემების თანახმად, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ევროპული სამეცნიერო წრეების მედიაკვლევების უმრავლესობა მიეძღვნა მედიის ადგილსა და როლს კოლექტიური იდენტობების (განსაკუთრებით – ეროვნული და კულტურული იდენტობების) შექმნაში, შენარჩუნებასა და ადაპტაციაში. ამ კვლევითი ინტერესისა და ყურადღების მიზეზი, კვლევის ავტორთა აზრით, ძირითადად, სამი, დროით განპირობებული გარემოებაა:

- საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული მნიშვნელოვანი ფორმაციული ცელილებები და იდენტობის გადააზრება “ექსკოლონიურ” (კვლევის ავტორები ამგვარად მოიხსენიებენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს) ქვეყნებში;
- გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესით გამოწვეული იდენტობის შექმნა-დაშლის ტენდენციები;
- ევროპული ქვეყნების უმრავლესობისთვის დამახასიათებელი, რუტინულ მედიადისკურსში ფესვგადგმული “ბანალური ნაციონალიზმი”.

ამ პერსპექტივიდან ინტერესი ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციის კვლევისადმი 1990-იანი წლების დასაწყისის ქართულ მედიაში მიზეზთა პირველ კატეგორიაში თავსდება. თავისი სტრუქტურით ეს კატეგორია ყველაზე კომპლექსურია, რადგან იგი მოიცავს ყოფილი ტოტალიტარული სახელმწიფოების “ნაციონალური პროექტის” თითქმის ყველა შრეს; პროექტისა, რომელიც გადაჯაჭვულია ამავე ქვეყნებში დემოკრატიზაციის პირველ პროექტებთან. ერთდროულად მიმდინარე ”ნაციონალური” და ”დემოკრატიული” პროექტები როგორც ფარავენ ერთმანეთს, ისე ბევრი მიმართებით ურთიერთწინააღმდეგობაში მოდიან. იდენტობასთან დაკავშირებული ინტერესის წინ წამოწევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის ცელილებები – ცელილება, როგორც უკვე დამდგარი შედეგი, და ცელილება – როგორც კონფლიქტის წინაპირობა, რომელიც, განვითრების

შემთხვევაში, შეიცავს საფრთხეს ერთობისთვის, კოლექტიური იდენტობის სტაბილურობისთვის.

1990-იანი წლების დასაწყისის ქართულ მედიაში ისეთივე ძირეული ფორმაციული ცვლილებები მიმდინარეობდა, როგორც საქართველოს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებაში. შეიცვალა მედიური განზომილებები. უპირველესად - შეიცვალა სივრცე. იგი დავიწროვდა - საბჭოთა სამშობლოს მასშტაბებიდან - ახალ ერ-სახელმწიფომდე, საქართველომდე, იმ პარადოქსული გარემოების გათვალისწინებითაც კი, რომ იმ პერიოდის ქართული მედია არსებობდა პოსტ-გლასინოსტური საბჭოთა მედიის პარალელურად, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთლიანად პოსტ-საბჭოთა სივრცეში და რომელიც უზრუნველყოფდა ანტი-საბჭოთა (ანტი-სტალინისტურ) დისკურსს. სივრცე „საბჭოთა სამშობლო“ სხვადასხვა კომპონენტად დაიშალა ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში და იდენტობით ბინარულობაში აისახა: „აქ“ და „იქ“, „ჩვენი“ და „მათი“... ჯერ კიდევ გუშინ ახლობელი, მისაღები სივრციდან დაშორების, დეზინტეგრაციის პროცესი ახალ სივრცეში ზუსტ ორიენტაციას მოითხოვდა მედიისგან. მედია უნდა ქცეულიყო იდეოლოგიური შრომის იმ ნაირსახეობად, რომელსაც თავისი მკითხველებისათვის უნდა შეექმნა ერისა და ეროვნულობის, ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიისა და როგორც იდენტობითი ფენომენის, განსაზღვრება, მედიას უნდა უზრუნველყო ნაციონალისტური დისკურსის რიტორიკული სივრცე და ეროვნულობის დამკვიდრება ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაში. მედია ხდებოდა ის ადგილი, რომელშიც მიმდინარეობდა ახალი დროებისთვის მნიშვნელოვანი ფენომენების სახელდებისა და მათი ინტერპრეტაციის პროცესი.

განსხვავებული სამშობლოების სამყაროს რეპრეზენტაცია მოითხოვდა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ურთიერთობიმართვების ახლებულ ინტერპრეტაციას. 1990-იანი წლების ქართული მედიისათვის დამახასიათებელია „ნაციონალიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ პოლარული დაპირისპირება, როგორც მეტოქეობრივი იდეოლოგიებისა, რაც „საბჭოთა ინტერნაციონალიზმისადმი“ უარყოფითი დამოკიდებულებით აიხსნება და რამაც ბევრი პოლიტიკური პროცესის მცდარი მედიური ინტერპრეტაცია გამოიწვია.

შეიცვალა მედიისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის მოდელი - უარყოფილ იქნა პრესის მარქსისტულ-კომუნისტური მოდელი, დაიწყო ნელი

გადასვლა პრესის სინთეზურ მოდელზე. ამ პროცესისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ტიპის მედიის არსებობა, გამოცემების ნაირფეროვნება, ოფიციალური ორგანოების, პარტიული გაზეთების გვერდით ისეთი გამოცემების გამოჩენა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ხელმძღვანელობდნენ თავისუფალი პრესის პრინციპებით; გაზეთების მაღალი ტირაჟი ადასტურებდა ბეჭდური პრესის აღმავლობას. ბეჭდური პრესა გავლენის ხარისხით, თავისუფლების ხარისხით, მკითხველის მხრიდან ნდობის ხარისხით, შემოქმედებითი ნოვაციებით, საბჭოთა ინერციის დაძლევის სურვილითა და ძალისხმევით უპირობო ლიდერი იყო მედიასივრცეში. სწორედ, ბეჭდურ მედიაში დაიწყო ახალი მედიაელიტის ჩამოყალიბების პროცესი. სახელმწიფო ტელევიზია კონკურენციას ვერ უწევდა ბეჭდურ პრესას სიდრმისეულ ანალიზის, თავისუფლების ხარისხისა და მრავალფეროვნების მხრივ.

შეიცვალა წარმოდგენა მიმღებზე და განწყობა მის მიმართ - 1990-იანი წლების მედია მკითხველს მიმართავდა, როგორც ერის წევრს. ეს დასტურდება საგაზეთო თემების შერჩევისა და ინტერპრეტაციის კრიტერიუმებით. სოციალურ-პოლიტიკურმა კონტექსტმა რადიკალურად შეცვალა მედიაში ის პრედიკატი, რომლის მიმართაც იდენტობის გაზიარებული განცდის შექმნა სოციალურად მოთხოვნადი იქნებოდა. მედიაში ასახულ კოლექტიურ იდენტობაში აქცენტმა კლასობრივი (მშრომელთა) სოლიდარობიდან ეროვნულ სოლიდარობაზე გადაინაცვლა. მედიის ყურადღების ცენტრში დადგა ნაციონალიზმის აღმსარებელი ინდივიდუუმი. მედიური დისკურსის მიმართულობა მკითხველისაგან მოითხოვდა, რომ იგი მთელი თავისი ენერგეტიკული რესურსით ყოფილიყო ერის წევრი.

ვ. წ. ექსპოლონიური ქვეყნებისთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიის ურთიერთხანაცვლების პროცესის ასახვა მედიაში. ისტორიის საბჭოთა ვერსიები ადგილს უთმობენ ალტერნატიულ ისტორიას, წარსული მოვლენებისა და პროცესების საბჭოთა ვერსიისაგან რადიკალურად განსხვავებული რაკურსით ასახვას. შედეგად: დღესასწაული გლოვის დღით იცვლება, ხალხის ნებით გასაბჭოება – ანექსიითა და ოკუპაციით, კომუნისტური რეჟიმის მიერ აკრძალული სახელები ეროვნული გმირები ხდებიან. ტიპობრივად, იმ პერიოდის ქართული ბეჭდური მედია არის ნაციონალისტურ-პატრიოტული ტიპის მედია, რადგან მისთვის

ცენტრალური საკითხი ერია, ამ ფენომენის ყველაზე მნიშვნელოვანი
მახასიათებლებით - ენით, ტერიტორიით, წარსულით, რელიგიით, კულტურით,
მემკვიდრეობით, ეთნიკური/მოქალაქეობრიობის დილემით, მომავლის პერსპექტივით,
წარსული გამოცდილების შიშის პროეცირებით მომავალზე.

ცვლილება კომუნიკატორის სტრუქტურაში ეროვნულ-იდენტობითი ნარატივის
შემცველი შეტყობინებები უმეტესწილად გვხვდება იმ წყაროების გზავნილებში,
რომლებიც “ერის სულიერ ლიდერობაზე” აცხადებენ პრეტენზიას: სახელისუფლო
ელიტა და ინტელიგენცია. ამ წყაროების დიკურსი, მიუხედავად მათ შორის
ბრძოლისა, ერთგვაროვანია: იგი მიმართულია ქართული დირებულებებისა და
იდეალების, პოზიტიური ეთნოცენტრული მითების გამყარებისკენ, აფირმაციისკენ,
მტრის დემონიზაციისკენ, რომელიც კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში გამოიხატება.

კვლევაში წყაროს ტიპები დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი ცვლადია. უფრო
კონკრეტულად კი, კვლევის ინტერესს წარმოადგენს, ქართული იდენტობის რომელი
ასპექტები განიხილება მედიურ შინაარსში, ვინ არის შეტყობინების გამგზავნი და
როგორ გამოხატავს იგი საქართველოს.

თავი 2

„იდენტობისა“ და „რეპრეზენტაციის“ ცნებების შესახებ

ამ ტერმინებს: „იდენტობა“ და „რეპრეზენტაცია“ მათი კომუნიკატივისტიკის თეორიაში დამკვიდრებული მნიშვნელობის შესაბამისად ვხმარობ. მკვლევარი დენის მაკეუეილი განმარტავს „იდენტობას“, როგორც კომუნიკატივისტიკის, მასმედიის თეორიის ერთ-ერთ ძირითად თემას და ფენომენს: „იგი (იდენტობა - ხ. მ.) აღნიშნავს გაზიარებულ მიკუთვნებულობას კულტურისადმი, საზოგადოებისადმი, ადგილისადმი ან სოციალური ჯგუფისადმი და მოიცავს ბევრ ფაქტორს, - ეროვნების, ენის, სამუშაოს, ეთნიკურობის, რელიგიის, აღმსარებლობის, რწმენის, ცხოვრების წესის ჩათვლით. მასმედია ასოცირდება იდენტობის ფორმირების, ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და დაშლის სხვადასხვა, განსხვავებულ ასპექტებთან.“¹ ან: „პერსონის, ადგილის და ა. შ. სპეციფიკური მახასიათებელი, განსაზღვრული სხვების მიერ ან თვითგანსაზღვრული, ბიოგრაფიული, სოციალური, კულტურული თუ სხვა ნიშან-თვისებათა მიხედვით. კომუნიკაცია აუცილებელი პირობაა იდენტობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის. იმავე ნიშნით იგი, შეიძლება, ასუსტებდეს ან შლიდეს მას. მასობრივი კომუნიკაცია მხოლოდ ერთ-ერთია რამდენიმე განმაპირობებებულ ფაქტორს შორის.“²

ენთონი გიდენსმა თვითიდენტობა გვიანი მოდერნულობის პირობებში განსაზღვრა როგორც „პიროვნების მიერ თავისი ბიოგრაფიის მახასიათებლებში რეფლექსურად აღქმული და გაგებული თვითობა“³. „თვითიდენტობა“, რომელიც, გიდენსის აზრით, „მოითხოვს თვითშეგნებულ აზროვნებასა და მოქმედებას“, „თვითობის“ კონცეპტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გიდენსი გამოყოფს ოთხ ცხად გავლენას პოსტმდიციული საზოგადოებების სტრუქტურაში, რომლებიც ქმნიან არჩევანის მრავლობითობას, რაც ართულებს ბრძოლას გააზრებული თვითიდენტობის შენარჩუნებისთვის. „მედირებული გამოცდილება“, რომელიც, გიდენსის აზრით, სოციალური ცხოვრების გულისგულ შია, არჩევანის სტრუქტურასა და იდენტობის კონსტრუირებაზე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაკადად მიიჩნევა.

მედიური რეპრეზენტაციის ჩემს მიერ გამოყენებული არსი, ძირითადად, ეფუძნება ჯეიმზ უოთსონსა და ენ პილის განმარტებას, რომლის მიხედვითაც: „მედიის

¹ McQuail, D. (2005) *McQuail's Mass Communication Theory*. Thousand Oaks, London: SAGE Publications: 8

² იქვე: 557

³ Giddens, A. (1991) 'Modernity and Self-Identity', UK: Polity Press

ძირითადი ფუნქცია არის აუდიტორიისათვის „მის მიღმა არსებული“, „მისგან დაშორებული“ რეალობის რეპრეზენტაცია. სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის უდიდესი ნაწილი მიიღება მედიის მეშვეობით; ჩვენს მიერ რეალობის პერცეფცია გაშუალებულია, მედირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მედია აუდიტორიისათვის ქმნის სამყაროს სახესა და ხატს. მედია ამას აკეთებს შერჩევის, ინტერპრეტაციის გზით; ეს პროცესი ეფუძნება ე.წ. „კარიბჭის დაცვის“, ანუ შერჩევისა და ინტერპრეტაციის ფაქტორების სისტემას, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ მოვლენის მედიამოვლენად ქცევას და მის მედიურ რეპრეზენტაციას. თავის მხრივ, „კარიბჭის დაცვა“ (“გეითკიპინგი”) განპირობებულია იდეოლოგიით. მედიური რეპრეზენტაციის შესწავლა ერთ-ერთი ცენტრალური თემაა კულტურული, მედიური და კომუნიკაციური კვლევებისათვის. ვინაიდან შეუძლებელია სამყაროს რეპრეზენტაცია მოელი მისი სრულყოფილებითა და მასობრივი კომპლექსურობით, მედიური რეპრეზენტაცია განხილულ უნდა იქნას, როგორც რეალობის „სპეციფიკური ვერსია“ „, რომელიც დაჩარჩოებულია სპეციფიკური კრიტერიუმების სისტემით, როგორებიც არის: ახალი ამბების დირებულებრივი სისტემა, პროპაგანდისტული და ინტეგრაციულ-დგზინტეგრაციული ფაქტორები, იდენტობითი ბინარულობა („ჩვენი“ გამიჯვნა „მათგან“) და ასე შემდეგ. რეპრეზენტაცია უშუალოდ უკავშირდება დეფინიციასა და დისკურსს. რეპრეზენტაცია არსებითად შეეხება დეფინიციას, მნიშვნელობას, რომელიც გავლენის მქონეა საზოგადოებრივ პრეფერენციებზე.“⁴

ვინაიდან 1990-1991 წლების ქართული საზოგადოება არ შეიძლება, განვიხილოთ როგორც მოდერნული, თუმცა შესაძლებელია დავუშვათ მის შიგნით ცალკეული, მეტ-ნაკლებად მოდერნული შეხედულებების მქონე პიროვნებების არსებობა, თვითიდენტობის კონცეპტის გიდენსისეულ დეფინიციაზე მეტად ჩვენთვის მისაღებია დენის მაკეუჟეილის უფრო ფართო და დროში უფრო განზოგადებული განმარტება. რაც შეეხება რეპრეზენტაციის ცონცეპტს, მის საფუძვლად ვიღებთ უოთსონ-ჰილის განმარტებას, თუმცა გაფართოებული საზღვრებით. წინამდებარე ნაშრომში ეს ცნება მოიცავს:

- ა) კომუნიკაციური პროცესის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს;
- ბ) მედიაციის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს;

⁴ Watson, J., Hill, A. (2003) *Dictionary of Media and Communication Studies*. 6th ed., London: Arnold: 250

გ) დისკურსულ სპეციფიკას;

დ) რეპრეზენტაციის სემიოლოგიურ ნიშან-თვის ებებსა და დატვირთვას.

როგორც ზევით აღვნიშნე, ტრადიციულად, იდენტობის შექმნა-შენარჩუნება-განვითარება მედიის ერთ-ერთ ძირითად თემად და ფუნქციად განიხილება თანამედროვე კომუნიკატივისტიკაში. საწყობი, რუკა, კომპასი - ამ მეტაფორუებს მედიის მისამართით ხშირად შეხვდებით აკადემიურ ტექსტებშიც. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაციისთვის დამახასიათებელი ნიშანი - ერთი თვისების მეორე სიბრტყეში გადატანა - არ ემსახურება მხოლოდ გამომხატველობითი თვისების გამძაფრებას. ეს უფრო არის მედიის ფუნქციის კმარი გამოხატულება ინფორმაციის ეპოქაში. ყველა თეორია, რომელიც შეისწავლის ურთიერთობას მედიას, კულტურას, საზოგადოებას შორის, მიუხედავად კონცეპტუალური განსხვავებულობისა, განსხვავებული საკვლევი პირობებისა და ანალიზის განსხვავებული დონეებისა, თანხმდება იმაში, რომ მედიას შეუძლია, მოემსახუროს საზოგადოების როგორც გათავისუფლებას, გაერთიანებას, ისე მის ფრაგმენტაციას, დანაწევრებას, როგორც განვითარებას, წინ წაწევას, ისე უკან დახევას. მიუხედავად ერთგვარი განუსაზღვრელობისა, თითქმის უეჭველია, რომ სწორედ მედია, რომელიც აყალიბებს და ასახავს, აირეკლავს საზოგადოებას, არის ძირითადი გზავნილი საზოგადოების შესახებ, რომ, სწორედ, მედია ხდება ცოდნის გამაგრცელებელი, ან ცნების ყველაზე ფართო გაგებით⁵. მართლაც, არ არსებობს უფრო მძლავრი, უფრო წვდომადი, უფრო მასშტაბური, უფრო ოპერატიული ინსტიტუტი, ინსტრუმენტი, გამტარი, ვიდრე მასმედიაა, რომელიც საზოგადოების, სოციალური რეალობის, სოციალური ურთიერთობებისა და გამოცდილების შემცველი უნდა იყოს და შეუძლოს ამ გამოცდილებისა და ცოდნის როგორც სინქრონულად, ისე დიაქრონულად გავრცელება. ამ კონტექსტში დენის მაკეუეილი „ცოდნას“ ამ ცნების უფართოები გაგებით ხმარობს. ეს ცოდნა გვაძლევს საშუალებას, წარმოდგენა ვიქონიოთ საკუთარი გამოცდილების შესახებ სოციალურ სამყაროში, მაშინაც კი, თუ ეს „წარმოდგენის შექმნა“ მიმდინარეობს შედარებით ავტონომიური და ძალიან მრავალფეროვანი საშუალებებითა და გზებით. „ინფორმაცია, ხატები და იდეები, რომლებიც მედიის მეშვეობით ხდებიან ხელმისაწვდომი, ადამიანთა უმრავლესობისათვის წარმოადგენს მთავარ წყაროს,

⁵ McQuail, D. 2005: 81

შეიმუცნოს გაზიარებული წარსული (ისტორია) და აწმყო სოციალური მდებარეობა. მედია არის მეხსიერების, მოგონებების საწყობი და რუკა, სად ვართ და ვინ ვართ (იდენტობა) და, აგრეთვე, გვთავაზობს მასალას მომავალში საორიენტაციოდ.⁶ ეს ნიშნავს, რომ მედია ემსახურება ჩვენი პერცეფციებისა და სოციალური რეალობის დეფინიციების ჩამოყალიბებას, რათა მიღწეულ იქნას მიზანი: შეიქმნას საზოგადოებრივი, საჯარო გაზიარებული სოციალური ცხოვრება. მედია იქცევა სოციალური სტანდარტების, მოდელებისა და ნორმების გასაღებად.⁷

მედიის განვითარების ისტორია - ეს არის განვითარების გზა კომერციული განცხადებების შემცველი ფურცლებიდან - სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებზე დაფუძნებულ მედიუმებამდე, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ კოლექტიური იდენტობის შექმნასა და შენარჩუნებაში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პრესისა და ფილმარმოებითი მედიის მობილიზაცია ევროპის ქვეყნების უმეტესობასა და შეერთებულ შტატებში მიზნად ისახავდა ეროვნული ომების „გადატანას“ მედიის სივრცეში. შედეგებმა იოტისოდენა საფუძველიც კი არ დატოვა ეჭვისათვის „მასებზე“ მედიის გავლენის პოტენციის შესახებ. სწორად და უვაქტურად მართული მედია თავის თავში ძალაუფლების დიდ პოტენციალს მაღავდა. მედიის ძალაუფლება და გავლენა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა საბჭოთა კავშირსა და - მოგვიანებით - ნაცისტურ გერმანიაში განვითარებულმა პროცესებმა, სადაც მასმედია პროპაგანდის სამსახურში იქნა ჩაყენებული მმართველი პარტიული ელიტების მიერ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. ახალი ამბებისა და გასართობი მედიის გამოყენებამ მოკავშირეების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს საბოლოოდ გააცამტვერა ეჭვი მედიის პროპაგანდისტული ღირებულების შესახებ. წინა საუკუნის 50-იანი წლებისათვის უკვე არსებობდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაუდერებული შეხედულება, რომ მასობრივი საჯაროობა ეფექტური ინსტრუმენტი იყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ადამიანების ქცევის მართვაში. იგი იყო, აგრეთვე, გარკვეული ეფექტის მქონე საერთაშორისო ურთიერთობებში. მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა: კომუნიზმის დაცემამ, ბალკანურმა ომებმა და ორივე საომარმა კამპანიამ

⁶ McQuail, D. (2005): 81

⁷ იქვე: 81

ერაყში დაადასტურა, რომ მედია არის არსებითი და ამავე დროს ცვალებადი კომპონენტი ნებისმიერ საერთაშორისო ბრძოლაში ძალაუფლებისათვის, რომელშიც საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს ფაქტორს.

კვლევაში ეროვნული იდენტობა განხილულია როგორც ტერიტორიასთან, ეროვნულ ადგილთან მიბმული, მისგან და მისით განპირობებული ფენომენი, ხოლო რეპრეზენტაცია განიხილება, როგორც მედიური ფენომენი, დაკავშირებული და განპირობებული იდეოლოგიით, დეფინიციითა და დისკურსით.

2.1. იდენტობსა და რეპრეზენტაციასთან დაკავშირებული 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედიის გამოწვევები

1990-იანი წლების დასაწყისში (უფრო ზუსტად – 1989 წლიდან) ტრადიციული საბჭოთა გაზეთების გვერდით ლეგალურად გამოჩნდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების ბეჭდური ორგანოები. მათი უმრავლესობის სახელწოდება თავის თავში ატარებდა ეროვნული იდენტობის ნიშნებსა და ელემენტებს, ანუ სახელწოდებაშივე იყო განსაზღვრული მაიდენტიფიცირებელი სივრცე. ასე, მაგალითად: საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთი „საქართველო“, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთი „მამული“, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამოცემა „ივერია“, ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ბეჭდური ორგანო „თავისუფალი საქართველო“ და სხვა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგადაც ქვეყნის სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები მოვიდნენ, სახელს იცვლიან გაზეთები „კომუნისტი“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო) და „ახალგაზრდა კომუნისტი“ (საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ორგანო) - ისინი მკითხველის წინაშე გამოდიან სახელებით: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ახალგაზრდა ივერიელი“. გაზეთების სახელწოდებების ცვლილება ასახავს აქცენტის გადანაცვლებას არა მხოლოდ იდენტობით კატეგორიებში, არამედ დომინანტურ იდეოლოგიაშიც.

გამოცემის ტიპი განაპირობებდა მედიაციისა და კომუნიკაციის განსაკუთრებულ ასპექტებს თითოეული გამოცემისთვის, მაგრამ არსებობდა რამდენიმე ზოგადი გამოწვევა, რომელიც ყველა გამოცემის წინაშე თანაბარი სიმწვავით იდგა, მიუხედავად მათი იდეოლოგიური პლატფორმისა. ეს იყო პოლიტიკური მომენტითა და სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ინტერესთა ჯგუფების ინტერესები. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვის სიხშირე და ინტენსივობა, და აქედან გამომდინარე - მისი კომუნიკაციური ეფექტი. ასეთ შემთხვევებში - მნიშვნელოვანი სოციალური მოძრაობისა და მედიის ურთიერთობებში - მედია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ამ მოძრაობის საქმიანობისა და მისი ძირითადი იდეების, შეტყობინებების აუდიტორიისთვის ოდენ გადამცემი, არამედ აქ მთავარია მედიის მიერ ამ მოძრაობის იდეებისა და საქმიანობის სელექცია, მისი სოციალური კონსტრუქციის შექმნა მიმღებისთვის. 1990-იანი წლების დასაწყისში ლ. ვან ზოონენმა ნიდერლანდებში ქალთა მოძრაობის მედიური ასახვისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნა, რომ „მედიური სახეები და ხატები წარმოადგენენ მოძრაობასა და მედიას შორის გართულებული ინტერაქციის შედეგს⁸, რომელსაც განსაზღვრულ საჯარო, კოლექტიურ იდენტობასა და დეფინიციისკენ მივყავართ.

ქართულ ბეჭდურ მედიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვა არ იყო მხოლოდ ყველაზე პოპულარული და სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვანი მოძრაობის იდეებისა და საქმიანობის მექანიკური გადმოტანა მედიის სივრცეში, არამედ ეს იყო რეპრეზენტაცია, გათვლილი მაქსიმალურად გავლენიან მედიურ უფექტზე⁹: კერძოდ, კომუნიკაციური პროცესის ეფექტის მიმართვა ხდებოდა კ.წ. „გაუცნობიერებელთა“ მიმართ, მედია ცდილობდა ეროვნული მოძრაობისადმი საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების არა მხოლოდ გაძლევებას, არამედ შეცვლასაც; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთსა და იმავე დროს

⁸ Van Zoonen, L. (1992) 'The Women's Movement and the Media: Construing a Public Identity', in European Journal of Communication, #7 (4): 453-76

⁹ Watson, J., Hill, A. (2003):93. მასმედიის ეფექტის განმარტება: "შასმედიის ეფექტი ფართო განმარტებით, შეიძლება, განიმარტოს, როგორც ნებისმიერი ცვლილება, ინდუცირებული – პირდაპირ ან ირიბად – მოვლენის გადმოცემით ან ჩაწერით. ეფექტისა და გავლენის ანალიზი დაკავშირებულია და შეეხება ინდივიდუუმებისა და ჯგუფების ქცევებისა და დამოკიდებულებების მოდიფიცირებას".

ამბობდნენ ერთსა და იმავეს; მედია კონცენტრირებული იყო საკითხთა ვიწრო წრეზე (და ეს საკითხი იყო ეროვნული ძალების მიერ ხელისუფლების აღების საკითხი და პერსპექტივები); მედია კვლავ და კვლავ იმეორებდა ერთსა და იმავეს - ერთი და იმავე შინაარსის მქონე შეტყობინებების, ერთი და იმავე სახეების, ხატებისა და მოსაზრებების გამეორებით. ეს იყო მოვლენათა ჯაჭვი, რომელთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნული ხელისუფლების ინტერესი. სწორედ, ამ ორი ტიპის გარემო ფაქტორს მიიჩნევს მაკურეილი მედიური ეფექტის, გავლენის გამაძლიერებელ წინაპირობად¹⁰.

იმ პერიოდის ბეჭდური გამოცემებისთვის, მიუხედავად სხვადასხვა ტიპოლოგიური განსხვავებებისა (სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსი, უწყებრივი დაქვემდებარება, ხელისუფლებაზე დამოკიდებულობის თუ მისგან დამოუკიდებლობის ხარისხი და სხვ.), დამახასიათებელია ერთი საერთო ნიშან-თვისება: სარედაქციო პოლიტიკის პრინციპების აგება პრესის კომუნისტური მოდელის პრინციპების ანტაგონისტურად. როგორც აღნიშნავენ მაია გოგოლაძე და ლია ტოკლიკიშვილი (2008), „ქართული თავისუფალი მედიის ისტორია არის, სწორედ, პოლიტიკური სისტემის კანონებისა და დირექტულებითი კოდებისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორია“.¹¹ ავტორები იქვე აზუსტებენ, რომ თავისუფალი მედიის პირველი ნაბიჯები იდგმებოდა კონკრეტული პოლიტიკური (კომუნისტური - ხ.გ.) სისტემისგან გათავისუფლების მიზნით.¹²

იმ პერიოდის მედიის წინაშე აგრეთვე იდგა ძალიან სერიოზული გამოწვევა - ეს იყო რეალობის პარალელური კონსტრუირება ორ მასობრივ კომუნიკაციურ სივრცეში - მედიასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებზე. მედია ვერ გადაურჩა მიტინგების რიტორიკის დისკურსის გადმოტანას მედიურ სივრცეში. საარჩევნო კამპანიაში ჩართული გამსახურდია ... თუ პირადი შეხვედრების, მიტინგების დროს არღვევს ერთიანი პოლიტიკური სივრცის კომუნიკაციის პრინციპსა და ეთიკას და ოპონენტებს დაუსაბუთებელ დანაშაულებში სდებს ბრალს, თუ ამას მის ხელში გადასული „კომუნისტის“ (მოგვიანებით -

¹⁰ McQuail, D. (2005): 457

¹¹ გოგოლაძე, მ., ტოკლიკიშვილი, ლ. (2008) თავისუფალი მედია – მშობლები და მესაფლავები. ‘სიტყვა’ №1:53

¹² იქვე

„საქართველოს რესპუბლიკის“) საშუალებით აკეთებს, ოპონენტები ამას თავიანთი პარტიული გაზეთით უფრო ადრე აკეთებენ. ამისთვის გამოიყენება ... სარკაზმი, ირონია, არაეთიკური ეპითეტები. იმას, რასაც იტანს ურთიერთდაპირისპირებულთა მიტინგები, ვერ იტანს მედიურად დაფიქსირებული სიტყვა. მედია ხდება შეუძლევადი, ქუჩაში მიმდინარე დაპირისპირების ნორმების მიმღები და დამამკვიდრებელი¹³; არსებითად, ამ ორი კომუნიკაციური დისკურსის აღრევა ხდებოდა სისტემატურად; აუდიტორიას, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულს, მიეწოდებოდა გარკვეული მნიშვნელობის მქონე შეტყობინებები, რომლებიც მედიურ კონსტრუქციებში ასახავდა ეროვნული მოძრაობის ქუჩური რიტორიკის პრიმიტიულ ნარატივს. ეს იყო ორი განსხვავებული, იდეოლოგიურად დატვირთული კომუნიკაციური სტრუქტურის შექრა პერსონალურ მნიშვნელობით სტრუქტურაში, რომლებიც, საბოლოოდ, იდენტობისა და მიკუთვნებულობის გააზრებაზე ახდენდა გავლენას, - როგორც ინდივიდუუმის, ისე კოლექტივის, ჯგუფის, პუბლიკის, საზოგადოების.

¹³ ქვე: 57

თავი 3

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული ბაზისი

3.1. მედია როგორც ეროვნული იდენტობის შემქმნელი და განმავითარებელი
ნაშრომი ეყრდნობა 1990-იანი წლების დასაწყისში წარმოშობილ, ერნესტ
რენანის, ბენედიქტ ანდერსონის, მაიკლ ბილიგის, ფილიპ შლეზინგერისა და სხვათა
მიერ გამოთქმულ კონცეპტუალურ მოსაზრებებს მედიის როლის შესახებ ეროვნული
იდენტობის რეპროდუცირებასა და ევოლუციონირებაში.

ერნესტ რენანმა „ერის არსებობას“ „ყოველდღიური პლებისციტი“¹⁴ უწოდა.
რენანისეულ „პლებისციტის“ მეტაფორაში მოცემულია კავშირი ერად ყოფნის
ფსიქოლოგიურ განზომილებასა (ერად ყოფნის ნება და სურვილი) და მის
ყოველდღიურ მედიურ მანიფესტაციას შორის, ნაციონალიზმსა და დემოკრატიას
შორის. მედია, რენანის აზრით, ამ „პლებისციტის“ მთავარი ინსტრუმენტია. რენანის
გაცნობიერებული ნების ფსიქოლოგია წარმოსახვის ფსიქოლოგიის ძალით ბენედიქტ
ანდერსონმა (1991) გაამყარა. ანდერსონი თავის ყველაზე გავლენიან ნაშრომში
„წარმოსახვითი ერთობა“ განსაკუთრებულად წარმოაჩენდა მედიის დომინანტურ
როლს ერის, როგორც წარმოსახვითი ერთობის, შექმნაში: „ჩვენი პირველადი ცოდნა
ჩვენი სამშობლოსა და თანამემამულების შესახებ არ წარმოსდგება პერსონალური,
პირისპირი კომუნიკაციიდან, არამედ - იმპერსონალურიდან და სოციალიზაციის ისეთი
გავრცელებული აგენტების მეშვეობით, როგორებიც არიან: საგანმანათლებლო
სისტემა, მუზეუმები და მედია, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანთა დიდი
ჯგუფისთვის, მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ ცხოვრებაში“¹⁵. ანდერსონი ერს არ
მიიჩნევდა მხოლოდ ადამიანების წარმოსახვით ერთობად, არამედ წარმოსახვის
ფსიქოლოგია, მისი აზრით, ვრცელდებოდა "ეროვნულ სივრცეზე, ეროვნულ
ადგილზე". გაზეთების ფართო გავრცელებით შექმნილი მყარი და სიმულტანური
გამოცდილება, მკაფიოდ შემოფარგლული ეროვნული სივრცე იყო, ანდერსონის
აზრით, გადამწყვეტი ფაქტორი ეროვნული თვითშეგნების თანამედროვე ფორმით
ჩამოყალიბებაში. გაზეთები აკავშირებდნენ დაქსაქსულ, ანონიმურ მოქალაქეებს ერის
სიმბოლური დისკურსით, - გაზეთების კითხვისა და ეროვნული სატელევიზიო ახალი

¹⁴ Renan, E. (1990) 'What is a nation?' in H.K. Bhabha (ed.), Nation and Narration. London: Routledge

¹⁵ Anderson, B. (1991, 2006 (revised ed)) *Imagined Communities, Reflections on the origin and Spread of Nationalism*.London: Verso: 31

ამბების ცქერის რიტუალი დღემდე აგრძელებს, იყოს ერთ-ერთი არსებითი ელემენტი ეროვნული ერთობის იდეის რეპროდუცირებაში.

ანდერსონის ნაშრომის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ მისი პოსტულატი, ფაქტობრივად, გაიმურა მარტინ-ბარბერომ: „ისტორიულად, სწორედ, მედიური რეპრეზენტაციისა და მედიური დისკურსის წყალობით იქცა ეროვნული იდენტობა აღიარებულ იდენტობად.“¹⁶ მედია პერიოდულობის, მასობრიობის გამო ეროვნული იდენტობის ყველაზე გავლენიან შემხსენებლად იქცა.

მედიის ფუნქცია, როგორც ეროვნული იდენტობის ყველაზე გავლენიანი „შემხსენებლისა“, „შეხსენებისა“ და „დავიწყება-არდავიწყების“ დიალექტიკა 1995 წელს მაიკლ ბილიგმა შემოიტანა ნაშრომში “Banal Nationalism”¹⁷. ბილიგმა შეკითხვას: რატომ არ ივიწყებენ ადამიანები თანამედროვე მსოფლიოში თავიანთ ეროვნულ იდენტობას, ასე უპასუხა: იმიტომ, რომ მათ ჰყავთ შემხსენებელი, მედია, თავისი რუტინული სიმბოლოებითა და ენობრივი ჩვევებით. „ყველა გაზეთი, ტაბლოიდი იქნება იგი თუ ხარისხიანი, მემარჯვენე თუ მემარცხენე, მკითხველს მიმართავს, როგორც ერის წევრს. ისინი იმგვარ კონტექსტში წარმოადგენენ ახალ ამბებს, რომლებშიც თავისთავად იგულისხმება ერების სამყაროს არსებობა. ისინი გამუდმებით მიუთითებენ სამშობლოზე, როგორც მკითხველის მშობლიურ კერაზე. პატარა სიტყვები - ხანდახან შეუმჩნეველნიც კი, - ძალიან მნიშვნელოვანნი არიან არიან სამშობლოს ამ რუტინულ წარმოჩენაში.”¹⁸

ბელგიელი მედიამკვლევარი ჰილდე გან დენ ბულგი „თანამედროვე მსოფლიოში მიკუთვნებულობის, იდენტიფიკაციის, ნაციონალიზმისა და ერთობის მზარდი მნიშვნელობის“ ფონზე აღნიშნავს: „იდენტობა ჩვენი დროის ქვეყნის უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მედიის სფეროში განხორციელებულმა მრავალმა კვლევამ ყურადღება მიაპყრო მედიის ადგილს კოლექტიური იდენტობის შექმნაში, შენარჩუნებასა და ადაპტაციაში.”¹⁹

¹⁶ Martin-Barber, J. (1993) *Communication, Culture and Hegemon: From the Media to Mediations*. Newbury Park, CA: SAGE Publications

¹⁷ Billig, M. (1995) *Banal Nationalism*. Thousand Oaks, London: SAGE Publications

¹⁸ იქვე: 94

¹⁹ Van den Bulk, H. (2001) ‘Public Service Television and National Identity as a Project of Modernity’, in *Media, Culture and Society*, 23(1), SAGE Publications: 53-69

ნაციონალისტური აზროვნება, სერჟ მოსკოვიჩისა²⁰ და მაიკლ ბილიგის²¹, ფილიპ შლეზინგერისა და სტიუარტ პოლის მიხედვით, მოიცავს „ჩვენ, ერის“ გაგების გზებს, ერისა, რომელსაც უნდა პქონდეს უნიკალური ბედი, ხვედრი და დანიშნულება; ასევე მოიცავს „მათი, უცხოელების“ გაგებისა და აღქმის გზებს, რომელთაგანაც „ჩვენ ჩვენივე თავს“ განსხვავებულებად აღვიქვამთ. ნაციონალისტური აზროვნება მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ოდენ ვალდებულებას ჯგუფის მიმართ და ამ ჯგუფის სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებულობის განცდას. იგი იდებს ერისა და ეროვნების, ადამიანისა და სამშობლოს კავშირის იდეას, როგორც თავისთავადს; ერების სამყაროს არსებობის ბუნებას, რომელიც სხვადასხვა, ერთმანეთისაგან გამოცალკევებულ სამშობლოებად არის დაყოფილი²².

სლოვენიელი მკვლევარი ზალა ვოლჩიჩი (2005) გამოთქვამს მოსაზრებას გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე მედიის განმსაზღვრელი როლის შესახებ ნაციონალიზმთან მიმართებაში, ოდონდ ეს როლი, მიაჩნია მკვლევარს, არ არის მედიის ინიციატივა, არამედ „განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში სპეციფიკური პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები უშვებენ, რომ მედიამ გადამწყვეტი როლი შეასრულოს პოპულიზმისა და ნაციონალიზმისადმი აპელირებაში. ამ სპეციფიკურმა მიზეზებმა განაპირობა, მკვლევრის აზრით, სლოვენიურ მედიაში გამოხატვის ორი უმნიშვნელოვანებისი მოდელის არსებობა, რომელსაც მედიის განვითარების მთელი პროცესი დაეფუძნა: commonsense populism (ფოკუსი სლოვენიურ ეროვნულ, ხალხურ კულტურაზე) და nationalism (ფოკუსი ეთნიკურ, ეროვნულ მიკუთვნებულობაზე)“.²³

როგორი ნაციონალიზმისადმი აპელირებდა 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედია? ჯერ კიდევ სახელმწიფო დამოუკიდებლობის

²⁰ Moscovici, S. (1983) 'The Phenomenon of Social Representations', in R. Farr and S. Moscovici (eds), Social Representations, Cambridge: Cambridge University Press

²¹ Billig, M. (1985) 'Prejudice, Categorization and Particularization: From a Perceptual to Rhetoric Approach', in European Journal of Social Psychology: 49-55

²² Billig, M. (1995) Banal Nationalism: 60-61

²³ Volcic, Z. (2005) 'The Machine That Creates Slovenians: The Role of Slovenian National Public Broadcasting in Re-affirming and Re-inventing the Slovenian National Identity', in National Identities, Vol. 7, No 3, September, Routledge: 287-308

გამოცხადებამდე, იმ პერიოდში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დისიდენტური მოძრაობა ერქვა, ამ მოძრაობის ლიდერების მიერ გაცხადდა, რომ 1980-იანი წლების ეროვნული მოღვაწეების იდეალები ილია ჭავჭავაძის იდეალები იყო. სწორედ, ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება ქართული ნაციონალიზმის დღემდე შეუცვლელი ფორმულა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ (როგორც ტერიტორიის, განათლებისა და ტრადიციების ერთიანობა) და კოლექტიური იდენტობის დღემდე აქტუალური დევიზი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. სწორედ, ეს ფრაზა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ იქცა 1980-იანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად სლოგანად, დამაკავშირებელ რგოლად იმ ეროვნულ ელიტასთან, რომლისგანაც 1980-იანი წლების ქართული ელიტები კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანმა ბატონობამ გათიშა.

ილია ჭავჭავაძესავე უკავშირდება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ჟურნალისტიკის (იმ პერიოდის ტერმინებით - „პოპულარული ლიტერატურის“, „ჟურნალ-გაზეთობის“...) თეორიული პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც, გარკვეული ხარისხით, ჟურნალისტიკის თანამედროვე პრინციპებს უახლოვდება.

ილია ჭავჭავაძემ მიანიჭა ჟურნალ-გაზეთობას ("პოპულარულ მწერლობას") გადამწყვეტი მნიშვნელობა კოლექტიური იდენტობის შექმნასა და შენარჩუნებაში, და ილია ჭავჭავაძემ მიიჩნია პირველმა ჟურნალისტიკის საფუძვლები არა ლიტერატურის საფუძვლების, არამედ მეცნიერების საფუძვლების იდენტურად.

1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული ხასიათის წერილი, ესეს „ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც ავტორმა ჩამოყალიბა აზრი წინაპართაგან მიღებული „დვთაებრივი საუნჯის“ შესახებ, რომლის პატრონობაცა და დაცვაც მისი და შემდგომი თაობების ღირსების საქმედ და წმიდა ვალად მიიჩნია: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: „მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედია, რასაკვირველია, თვისობრივად სხვა ტიპის მედია იყო ილია ჭავჭავაძისდროინდელ მედიასთან შედარებით. ეს იყო მარქსისტულ-საბჭოთა/კომუნისტურ მოდელზე მოქმედი მედია (გლასნოსტის შედარებით ლიბერალური ფენომენის ჩათვლით), მაგრამ ილიას შეხედულებების გავლენა, ილიას ფენომენის პროექცია 1990-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ

ცნობიერებაზე უდიდესი აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ელიტის ლიდერების მიერ საკუთარი პერსონებისათვის „ახალი ილიას“ სტატუსის ძიებას. ქართველი ინტელიგენცია საკუთარ თავს ინტელიგენციის ილიასულ განმარტებაში ხედავდა: „ინტელიგენცია - დედაბორი ყოველი ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“²⁴

მკვლევარი ტ. კ. ოომენი თანამედროვე ნაციონალისტურ იდეოლოგიაში გამოჰყოფს ნაციონალიზმის 62 ნაირსახეობას.²⁵ ნაციონალიზმის კატეგორიზაციის საფუძვლად მკვლევარი განსაზღვრული ჯგუფის ინტერესს იღებს. უნდა ვიგარაუდოთ, რომ 1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოში, როგორც ახლახანს დამოუკიდებლობამოპოვებულ, მულტიეთნიკურ და ხანგრძლივი, მდიდარი ისტორიის მქონე სახელმწიფოში, მედია აპელირებდა, ოომენის კლასიფიკაციის მიხედვით, „ძველი, ტრადიციული და ეთნიკური ნაციონალიზმისადმი“. რამდენად მწვავედ უპირისპირდებოდა „ეთნიკური ნაციონალიზმი“ „სამოქალაქო ნაციონალიზმს“ მედიაში, რამდენად შეეძლო 1990-იანი წლების დასაწყისის ქართულ მედიას, შეექმნა საერთო ტერიტორიის გაზიარებული განცდა მულტიეთნიკურ სახელმწიფოში და ამით „ცხელი“ ეთნიკური ნაციონალიზმი „გრილ“, სამოქალაქო ნაციონალიზმად ექცია? „ეთნიკური“ (ასე ვუწოდოთ ეთნიკური უმრავლესობის, ქართველების, სახელითა და მხრიდან დაძრულ ნაციონალიზმს) „ნაციონალიზმისა“ და „სეპარატისტული ნაციონალიზმის“ (სამხრეთ ოსებისა და აფხაზების მხრიდან) დაპირისპირებამ არა მარტო წარმოსახვითი ერთობა დაურღვია ქართველებს, ოსებს, აფხაზებს, - როგორც ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს, არამედ - ამ ერთობის რდგევის კაბლდაბვალ - იმ ისტორიულ პერიოდში გამომავალ გამოცემებს შეუზღუდა ნაციონალური მასშტაბი, მიმდები აუდიტორიის წვდომადობა და მისი დაინტერესება, მისი მართვა-მანიპულირება როგორც ერთიანი წარმოსახვითი ერთობისა. გაზეთები არა ერად ყოფნის, არამედ ეთნოსად ყოფნის შემსენებლებად იქცნენ. როგორ უყურებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მსოფლიო და როგორია გარემოს რეფრაქცია იმ პერიოდის ქართულ მედიაში? როგორი ნაციონალიზმი მართავდა საქართველოს: პერიფერიული, სახიფათოდ ირაციონალური თუ ნაციონალიზმი, რომელიც საქართველოს უნივერსალურ „ჩვენში“ გააერთიანებდა? ბილიგი წერს: „როგორც

²⁴ ჭავჭავაძე, ი. (1961) ოხულებათა ათტომეული (პ. ინგოროვას რედაქციით), ტ.5: 47

²⁵ Oomen, T.K. (1997) *Citizenship, Nationality and Ethnicity*. Polity Press, Cambridge: 4

პოპულარულ, ასევე სამეცნიერო ნაშრომებში ნაციონალიზმი ასოცირდება ან ახალი სახელმწიფოს შექმნისათვის მებრძოლებთან ან უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკოსებთან. [ამ ტერმინის] ჩვეულებრივი მოხმარებით, ჯორჯ ბუში არ არის ნაციონალისტი, მაგრამ ნაციონალისტები არიან სეპარატისტები კვებეკში ან ბრიტანიში; ასევე ნაციონალისტები არიან უკიდურესად მემარჯვენე პარტიები, როგორიც არის Front National საფრანგეთში; ასევე ნაციონალისტები არიან სერბი „ბოევიკები“, რომლებიც მკვლელობებს სამშობლოს საზღვრების გაფართოების სახელით სჩადიან... პარიზის, ლონდონის, ვაშინგტონის პერსპექტივიდან ისეთი ადგილები, როგორებიც არიან: მოლდოვა, ბოსნია ან უკრაინა, ევროპის მიჯნაზე, ზღვარზე მყოფი პერიფერიები არიან. ყველა ამ ფაქტორის კომბინაციით, ნაციონალიზმი არის არა მხოლოდ ეგზოტიკური ძალა, არამედ პერიფერიულიც. შესაბამისად, ეს ყველაფერი ჩამოყალიბებულ ერებში - ანუ მოვლენათა ცენტრში - მიმართულია, რათა ნაციონალიზმი განხილულ იქნას არა როგორც „ჩვენი“, არამედ „სხვათა“ კუთვნილებად.²⁶

3.2. ერის კონცეპტისა და მასში ტერიტორიის მნიშვნელობის შესახებ. ერი და სახელმწიფო

ტერმინს “natio” საინტერესო ისტორია აქვს. ძერნატო²⁷, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ ეს ტერმინი ძველი რომაელების მიერ გამოიყენებოდა უცხოელების აღსანიშნავად, ანუ დღევანდელი მნიშვნელობის საპირისპიროდ. მოგვიანებით, აღნიშნავს ძერნატო, იგი გამოიყენებოდა კეთილშობილთა და უმაღლეს სასულიერო პირთა მდაბიოთაგან გამოსარჩევად. სხვათა შორის, ელიტის ერთან გათანაბრების იდეა ან დაშვება იმისა, რომ მხოლოდ რჩეულ ერებს აქვთ ელიტის ყოლის პრივილეგია, ერის შესახებ თანამედროვე შეხედულებებშიც გვხვდება.

ნაციონალიზმის შესახებ არსებული ყველა თეორია თუ ქვე-თეორია აღიარებს, რომ ისედაც რთული შემადგენლობის მქონე “ერის” ცნება კიდევ უფრო რთულდება, როდესაც მსჯელობა ერისა და სახელმწიფოს კავშირს შეეხება. ლათინური

²⁶ Billig, M. (1995): 5

²⁷ Zernatto, G. (1944) ‘Nation: the History of a Word’, in Review of Politics, 6: 351-66

წარმოშობის სიტყვა “nasci” თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავს ტრაიბალურ-ეთნიკურ (ტომობრივ-ეთნიკურ) ჯგუფს, ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე ტერიტორიაზე; ამ თავდაპირველ მნიშვნელობაში პოლიტიკური განზომილება არ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს. ერის, როგორც მოქალაქეთა ერთობის, ანუ პოლიტიკური ერთობის, განვითარება უშუალოდ უკავშირდება საფრანგეთის რევოლუციას. სწორედ, ამ პერიოდიდან ყალიბდება მაქსიმა: ერთი ერი – ერთი სახელმწიფო (ოომენი, 1997: 29). ერი ერთსა და იმავდრულად ხდება კულტურული და პოლიტიკური ერთობის გამომხატველი ცნება. ქვემოთ მოხმობილი ცნება „ერის“ თითოეული განსაზღვრება მნიშვნელოვანია, სწორედ, ერთობის ამ ორი ტიპის ურთიერთმიმართების პროპორციით, დიაპაზონით, ერთის პრიორიტეტულობით ან მეორეზე ბატონობით. პეტერსენის მოსაზრებით (1975), „ერი არის ხალხი, რომლებიც ერთმანეთთან მიბმულნი არიან რამდენიმე ან ყველა ისეთი, მეტ-ნაკლებად უცვლელი მახასიათებლით, როგორებიც არის: საერთო წარმოშობა, ტერიტორია, ისტორია, ენა, რელიგია, ცხოვრების წესი, ან სხვა ატრიბუტები, რომლებიც ჯგუფის წევრებს დაბადებიდან მოსდგამთ.“²⁸

ერი, მაქს ვებერის აზრით, არის „გრძნობითი ერთობა, რომელიც ადეკვატურად გამოხატავს თავის თავს საკუთარ სახელმწიფოში; აქედან გამომდინარე, ერი არის ერთობა, რომელიც, როგორც წესი, იჩენს სწრაფვას საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ.“²⁹ ერი, ენტონი სმითის (1971) მიხედვით, არის „დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული და ტერიტორიულად მობილური ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს საერთო მოქალაქეობრივი უფლებები და კოლექტიური გრძნობები ერთ ან მეტ საერთო მახასიათებელთან ერთად, რომელიც განასხვავებს მის წევრებს იმ მსგავსი ჯგუფებისაგან, რომლებთანაც მათ აქვთ მოკავშირული ურთიერთობა ან კონფლიქტი.“³⁰ სმითი გამოარჩევს ერის შვიდ მახასიათებელს: ეს არის ზომა, ეკონომიკური ინტეგრაცია, ტერიტორიული მობილობა, დამახასიათებელი კულტურა,

²⁸ Petersen, W. (1975) *Ethnicity*. Cambridge: Harvard University Press: 181

²⁹ Weber Max in Gerth and Mills, 1948: 176

³⁰ Smith, A. (1971) *Theories of Nationalism*. 1st ed. London: Durkworth: 175

გარე ურთიერთობანი, თანასწორი უფლებები წევრებისათვის და ჯგუფური ლოიალობა.

ნაციონალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მქონევარი კარლ დეიბი მიიჩნევდა, რომ ტერიტორია, ენა, ისტორია და სოციალური მემკვიდრეობა პრობლემებს ქმნის ერის განსაზღვრებაში.³¹ “Nationalism and Social Communication”-ის გვიანდელ რედაქციაში³² იგი წერდა: სახელმწიფოსა და ხალხის ერთად სვლა აყალიბებს თანამედროვე ერს. ერი არის ხალხი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო ან რომელმაც განავითარა კვაზიმმართველობითი უნარ-შესაძლებლობები საერთო ნების ფორმირების, მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის. ერი-სახელმწიფო არის სახელმწიფო, რომელიც დიდწილად იგივდება ერთ ხალხთან.“

ენთონი გიდენსი ამგვარ დეფინიციას უკეთებს ერ-სახელმწიფოს: „ერი-სახელმწიფო არის მმართველობის ინსტიტუციური ფორმების ერთობლიობა, რომელიც ინარჩუნებს ადმინისტრაციულ მონოპოლიას საზღვრებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, მისი მმართველობა სანქცირებულია კანონით და რომელიც ახორციელებს კონტროლს შიდა და გარე იძულების საშუალებებზე.”³³

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ბენედიქტ ანდერსონის კონცეპტუალური შეხედულება ერზე, როგორც წარმოსახვით ერთობაზე: „ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობა... იგი წარმოსახვითია, რადგან მისი წევრები - უმცირესი ერისაც კი - ვერასდროს გაიცნობენ სხვა წევრების უმრავლესობას, ვერასდროს შეხვდებიან მათ, ვერასდროს მოუსმენენ, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანის გონიერადი ცოცხლობს მათი თანაკავშირის ხატი. გელნერმა მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით თქვა, რომ ნაციონალიზმი არ არის ერების გამოღვიძება თვითშეგნების გზაზე. იგი ქმნის ერებს იქ, სადაც ისინი არ არსებობენ... ერი არის წარმოსახვითი, როგორც ზღვარდადებული ერთეული, ვინაიდან უდიდეს მათგანსაც კი, რომელიც დაახლოებით მიღიარდ ადამიანს მოიცავს, აქვს საბოლოო, თუმცა ელასტიური საზღვრები, რომლის მიღმა სხვა ერები არსებობენ და მდებარეობენ. არც ერთი ერი არ აიგივებს საკუთარ თავს კაცობრიობასთან. ყველაზე

³¹ Deutch, K.W. (1953) *Nationalism and Social Communication: An Enquiry into the Foundation of Nationality*. New York: John Willey and Sons

³² Deutch, K.W. (1966) *Nationalism and Social Communication*. Cambridge MA: MIT Press:119

³³ Giddens, A. (1981) *A Contemporary Critique of Historical Materialism*. London: MacMillan:190

მესიანისტურად განწყობილნიც კი არ ოცნებობენ იმ დღეზე, როდესაც ადამიანთა მოდგმის ყველა წევრი შეუერთდება მათ ერს იმ გზით, რომლითაც ეს შესაძლებელი იყო განსაზღვრულ ეპოქებში, ვთქათ, როცა ქრისტიანები ერთიან ქრისტიანულ პლანეტაზე ოცნებობდნენ. .. ერი ყოველთვის აღიქმება როგორც ღრმა პორიზონტული ამხანაგობა. სწორედ ეს არის ის მმობა, რომელიც, უკვე ორი საუკუნეა, შესაძლებელს ხდის მრავალი მილიონი ადამიანისათვის, არა იმდენად მოკლას, არამედ ნებაყოფლობით მოკვდეს ამ ზღვარდაღებული წარმოსახვითობისათვის.“³⁴

ერის, ეროვნების, ეროვნულობის, ნაციონალიზმის - როგორც იდეოლოგიისა და როგორც იდენტობის - განსაზღვრება დამოკიდებულია მკვლევარის მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე, ანუ იმაზე, ერების წარმოშობა და განვითარება მათ მიერ განიხილება პრიმორდიალისტური თუ მოდერნისტული პერსპექტივიდან. ზოგადად რომ ვთქათ, პრიმორდიალისტები ერს განსაზღვრავენ როგორც ერთობას, რომელიც ღრმად ფესვგადგმულია ისტორიაში, კულტურაში, მითებსა და ადამიანის ბუნებაში. ამ თვალსაზრისით, ერების ფორმაცია გარდაუვალი იყო მოსახლეობის თვითრეალიზაციის მზარდი პროცესის კვალდაკვალ.³⁵ მის საპირისპიროდ, მოდერნისტები მიიჩნევენ, რომ ერი „თანამედროვე გამოგონებაა“, რომელიც უფრო პოლიტიკური ძალებისა და პოლიტიკური ძალისხმევის შედეგია, ვიდრე კულტურული გამოღიძებისა. ეს ძალები თავის თავში მოიცავენ: ინდუსტრიალიზაციას, ურბანიზაციას, სეკულარიზაციას³⁶, განვითარებად კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემებს³⁷, მშობლიური ენების აღმაგლობას ე. წ. „ბეჭდური კაპიტალიზმის“ სისტემაში, რომელიც აწარმოებდა წიგნებისა და გაზეთების დიდ რაოდენობას³⁸. მოდერნისტული თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ეროვნული და ეთნიკური იდენტობები განუხრელად და გარდაუვლად გაქრებიან ინდუსტრიული ურბანიზაციის, სეკულარიზაციისა და განათლების გავრცელების კვალდაკვალ, პრიმორდიალისტები

³⁴ Anderson, B. (2006): 6-7

³⁵ Smith, A. (1971) *Theories of Nationalism*. 1st ed. London: Durkworth, აგრეთვე: Smith, A. (1986) *The Ethnic Origin of Nations*. Oxford: Basil Blackwell

³⁶ Deutch, K. W. (1953) *Nationalism and Social Communication*. New York: John Wiley and Sons. აგრეთვე: Gellner, E. (1983) *Nations and Nationalism*. Oxford: Basil Blackwell

³⁷ Hobsbawm, E. J. (1992) *Nations and Nationalism since 1780*. Cambridge: Cambridge University Press

³⁸ Anderson, B. (2006) *Imagined Communities*. London: Verso

კი ამტკიცებენ, რომ ეს იდენტობები არათუ არ გაქრებიან, არამედ... მოდერნიზაცია გამოიწვევს მათ გაძლიერებას, კრისტალიზაციას და არტიკულაციას.³⁹

ნაციონალიზმის მოდერნისტი თეორეტიკოსისთვის, ერნესტ გელნერისთვის, „ნაციონალიზმი“ ერი-სახელმწიფოების ეპოქის საკუთრებაა. „ერებისა და ნაციონალიზმის“ პირველივე გვერდზე გელნერი ამტკიცებდა, რომ „ნაციონალიზმი არის, უპირველესად, პოლიტიკური პრინციპი, რომელიც ადასტურებს, რომ პოლიტიკური და ეროვნული ერთეულები კონგრუენტულები უნდა იყვნენ“.⁴⁰ გელნერის თანახმად, ნაციონალიზმი ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს არსებობა, „უკვე დიდი ხანია, თავისთავად იგულისხმება... ნაციონალიზმის გულისგული არის რწმენა იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფო, იდენტიფიცირებული ეროვნული კულტურით, არის ბუნებრივი პოლიტიკური ერთეული“.⁴¹ გელნერისეული დეფინიცია არ არის მხოლოდ ნაციონალიზმისა და ერი-სახელმწიფოს კავშირის მატარებელი; გელნერი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერი-სახელმწიფოს პირობებში წარმოჩნდება ბუნებრივად და თავისთავადად ნაციონალიზმის პრინციპები.

ნაციონალიზმის შესახებ პრიმორდიალისტურ და მოდერნისტულ შეხედულებებს მაიკლ იგნატიუსი განსაზღვრავს, როგორც „ეთნიკურ“ და „სამოქალაქო“ ნაციონალიზმს⁴². მისი აზრით, ეთნიკური ნაციონალიზმი ცხელია, ეფუძნება „სისხლისმიერი ლოიალობის“ სენტიმენტს⁴³, ეს შეურიგებელთა ნაციონალიზმია. სამოქალაქო ნაციონალიზმი კი, იგნატიუსის აზრით, არის პოლიტიკური კრედო, რომელიც განსაზღვრავს საერთო მოქალაქეობას, და ეს არის ჩამოყალიბებული საუკეთესო ევროპული დემოკრატიების ნაციონალიზმი. თუმცა მაიკლ ბილიგი აკრიტიკებს იგნატიუსის იმის გამო, რომ იგი ამ საუკეთესო ევროპული ნაციონალიზმის ახსნისას არ აღწერს, როგორ აყალიბებენ „სამოქალაქო

³⁹ Connor, W. (1993) ‘*Beyond Reason: The Nature of the Ethno-national Bond*’, in *Ethnic and Racial Studies*, 16; Connor, W. (1994) *Ethnonationalism: The Quest of Understanding*. Princeton: Princeton University Press; Horowitz, D. H. (1985) *Ethnic Groups in Conflict*. Berkeley: University of California Press

⁴⁰ Gellner, E. (1983) *Nations and Nationalism*. Oxford : Basil Blackwell : 1

⁴¹ Gellner, E. (1993) ‘*Nationalism*’, in W. Outhwaite and T. Bottomore (eds). *Blackwell Dictionary of Twentieth-Century Thought*. Oxford: Basil Blackwell: 409

⁴² Ignatieff, M. (1993) *Blood and Belonging: Journeys into the New Nationalism*. London: Chatto&Windus: 2

⁴³ იქვე: 6

ნაციონალისტები“ ერ-სახელმწიფოს თავიანთი მითებით; როგორ ახდენენ სამოქალაქო ერები თავიანთი მოქალაქების გაწვევას ომიანობის დროს; როგორ იცავენ ისინი თავიანთ საზღვრებს; როგორ გამოარჩევენ ისინი „სხვებს“ თავიანთი საზღვრების მიღმა; როგორ უწევენ ისინი წინააღმდეგობას - საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებითაც კი, - იმ მოძრაობებს, რომლებიც ამ საზღვრების გადასინჯვას ესწრაფვიან; და ასე შემდეგ.

ეყრდნობა რა ერნესტ გელნერს, ბენედიქტ ანდერსონსა და ენთონი გიდენსს, მოდერნისტული თეორია გვთავაზობს, რომ ერი-სახელმწიფოები არ ეფუძნებიან ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორიც არის, მაგალითად, კონკრეტული ენის ფლობა. ნაცვლად ამისა, ერები წარმოჩენილნი არიან, როგორც წარმოსახვითი ერთობები. მაიკლ ბილიგს მიაჩნია, რომ, სწორედ წარმოსახვითობის გამო, ნაციონალიზმი მყარ სოციალურ ფსიქოლოგიურ განზომილებებს შეიცავს. „ეროვნულობა დღესაც რეპროდუცირებულია: იგი დღესაც უხმობს მსხვერპლთშეწირვისათვის, და დღესაც მისი სიმბოლოები დროშებივით ფრიალებან... ერი-სახელმწიფოების რეპროდუცია დამოკიდებულია კოლექტიური მეხსიერებისა და დავიწყების დიალექტიკაზე, წარმოსახვასა და არაწარმოსახვით გამეორებებზე. არსებობს მზარდი მოსაზრებებისა იმის შესახებ, რომ ერი-სახელმწიფოები გაქრობის ზღვარზე დგანან; რომ ნაციონალიზმი ადარ არის მთავარი ძალა; დღის წესრიგში დგას გლობალიზაცია. მაგრამ შემხსენებელი აუცილებელია“.⁴⁴

პრიმორდიალისტური და მოდერნისტული პოზიციების დაპირისპირებისას ტ. პ. ოომენი აქცენტს ანალიზის ერთეულისა და ანალიზის ფოკუსის განსხვავებაზე სვამს: „ვერავინ უარყოფს, რომ რომ მოდერნიზაციის პროცესი იწვევს ზოგიერთი ტრადიციული მიჯაჭვულობისა და მათდამი ერთგულების ნაწილობრივ ეროზიას, ეროვნული და ეთნიკური მიჯაჭვულობის (მიბმულობის) ჩათვლით. მაგრამ ეს არ ეხება ყველა ერთობას თანაბრად. მოდერნიზაცია, როგორც პროცესი, ცვალებადი ინტენსივობით ურტყამს სხვადასხვა ჯგუფებსა და კატეგორიებს ერებისა და ეთნოსების შიგნით; აქ „ეთნოსი“ იხმარება როგორც არსებითი სახელი იმ ჯგუფებისათვის, რომლებსაც აქვთ ერის ყველა მახასიათებელი, გარდა ტერიტორიისა. სპეციფიკურ ერთობებში, კოლექტივებში - მუშებში, გლეხებში, სტუდენტებში,

⁴⁴ Billig, M. (1995): 94-95

ელიტებში, პროფესიონალებში, ინტელექტუალებში - არსებობენ განსაკუთრებული ინდივიდუუმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოდერნულები არიან. მეორე მხრივ, ასევე მართალია, რომ მოდერნიზაცია ხელს უწყობა, აიძულებს განსაკუთრებულ ერთობებს, კოლექტივებს ერებისა და ეთნიკური ჯგუფების შიგნით (ლინგვისტები, პოეტები, მწერლები, პროფესიონალები, ან ზოგადად ინტელექტუალები) უფრო ძლიერად და ენერგიულად მისდიონ თავიანთ იდენტობას.⁴⁵

რაში მდგომარეობს ფოკუსის განსხვავებულობა? ტ. პ. ოომენის აზრით, თუკი მოდერნისტები ფოკუსირებულნი არიან პიროვნებებზე, ინდივიდუუმებზე და კოლექტიურობას განიხილავენ, როგორც ინდივიდუუმების აგრეგაციას, ერთობლიობას, პრიმორდიალისტები კონცენტრირებულნი არიან კოლექტივზე და საზოგადოების ორგანული ხედვით გამოირჩევიან.

მოდერნიზაციის თეორიისა და თეორეტიკოსების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კრიტიკოსი უოლქერ კონორი⁴⁶ ამტკიცებს, რომ მზარდი ტრანსპორტაცია და კომუნიკაცია ხელს უწყობს ერებსა და ინდივიდუუმებს თავიანთი კულტურული ცნობიერების აღქმაში და, აქედან გამომდინარე, აძლიერებს მათ კულტურულ იდენტობას. ეროვნული იდენტობა, რიგი მკვლევარების აზრით, არის კონსტრუირებადი საჯარო ეროვნული თვითხატი, რომელიც ემყარება პოლიტიკურ ერთობას, საერთო ისტორიას, მითებს, სიმბოლოებს, ენას, კულტურულ ნორმებს, რომლებსაც მისდევენ ჯგუფის წევრები.

1991 წელს შლეზინგერმა აღწერა ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ერთსა და იმავდროულად უზრუნველყოფს საზღვრებს „ჩვენ“-ის ირგვლივ და განასხვავებს „ჩვენ“-ს „მათ“-გან.⁴⁷

ბლუმმა⁴⁸ წამოაყენა მოსაზრება, რომ მხოლოდ პრიმორდიალისტურ პრინციპებზე შექმნილი მითები არ არის საკმარისი ერის მდგრადობისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ ერი-სახელმწიფო, ერთხელ შექმნილი, სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მასობრივი მოქალაქეობრიობა ქმნის ფსიქოლოგიურ იდენტიფიკაციას ერთან, რომელიც უბიძგებს მათ ეროვნული

⁴⁵ Oomen, T. K. (1997): 9

⁴⁶ Connor, W. (1994) *Ethnonationalism: The Quest of Understanding*. Princeton: Princeton University Press

⁴⁷ Schlesinger, P. (1991) *Media, the Political Order and National Identity*. Media, Culture and Society, 13: 297-308

⁴⁸ Bloom, W. (1990) *Personal Identity, National Identity and International Relations*. Cambridge University Press

სიმბოლოების გათავისებისაკენ. თუ ადამიანებს აქვთ ერთან მყარი ფსიქოლოგიური იდენტიფიკაციის განცდა და გათავისებული აქვთ ეროვნული სიმბოლოები, პოლიტიკურ ლიდერებს უკეთ შეუძლიათ საზოგადოებრივი ემოციის მობილიზება კრიზისის პერიოდში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იმგვარი კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ეროვნული იდენტობის თემებსა და საკითხებს.

ტ. კ. ომენი, ახასიათებს რა ერს, როგორც ტერიტორიულ ერთობას, რომლის მიმართაც ამ ერის წევრებს აქვთ ემოციური მიბმულობა და რომელშიც ისინი დებენ მორალურ მნიშვნელობას, იქვე გვთავაზობს ამ ტერიტორიული ერთობის კვალიფიკაციას: „ეს არის სამშობლო - მემკვიდრეობით-მოდგმობრივი ან შეძენილი. ეროვნულობა - ეს არის კოლექტიური იდენტობა, რომელსაც ერის წევრები, ადამიანები იძენენ ერთან გაიგივების გზით. ერის მდგრადობის მისაღწევად ადამიანები უნდა იმყოფებოდნენ ურთიერთკომუნიკაციურ პროცესში, ასე რომ, მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ენა“⁴⁹

ერის განვითარებისათვის პირველ არსებით პრერეკვიზიტად ეროვნული ტერიტორიის მიჩნევა - ამ საკითხზე კონსენსუსი უკვე მიღწეულია მკვლევართა შორის. მაგრამ ერის კონცეპტის განვითარების ისტორია მოითხოვს, გამოვყოთ ავტორთა ორი ფრთა, რომლებიც არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას - აგსტრიელი მარქსისტები კარლ რენერი (Renner, Karl) და ოტო ბაუერი (Bauer, Otto) და პოლონელი სოციოლოგი, ფლორაინ ზნანიეცკი (Znaniecki, Florain)⁵⁰. ისინი, აგსტრია-უნგრეთის იმპერიასა და პოლონეთში არსებული, მათ მიერ გაანალიზებული ემპირიული სიტუაციებიდან გამომდინარე, ექმაგებიან, იცავენ ეროვნულობის იმ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ეროვნულობა სრულიად დამოუკიდებელია ტერიტორიისაგან, და ერები განიხილებიან როგორც პიროვნებების, ადამიანების ერთობლიობა (ასოციაციები) მულტიეროვნულ სახელმწიფოებში. ეს იდეა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში, ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ვიდრე სახელმწიფო ადმინისტრაცია ცენტრალიზებულია, კულტურას ანაყოფიერებს ეროვნულობის ყოველი კომპონენტი. რენერი და ბაუერი

⁴⁹ Cottam&Cottam (2001) *Nationalism and Politics: The Political Behavior of Nation States*. Boulder: CO: Lynne Reiner

⁵⁰ Oommen, T. K. (1997): 186

განსაზღვრავდნენ ერს, როგორც ადამიანების ასოციაციას, რომლებიც ერთსა და იმავე კულტურას იზიარებენ⁵¹... პოლონელი სოციოლოგი ფ. ზნანეცკი⁵² ამტკიცებდა, რომ ეროვნულობა (და აქედან გამომდინარე - ერი) შეიძლება არსებობდეს ტერიტორიის გარეშე: კულტურა და, განსაკუთრებით, ენა ხდებიან გადამწყვეტი განმაპირობებლი ფაქტორები.

ერი-სახელმწიფოების განვითარების შედეგად მკვლევართა ხელთ არსებული ემპირიული სიტუაციები მიუთითებდნენ, რომ საერთო ტერიტორია იყო პირველი აუცილებელი პირობა ერის ჩამოყალიბებისათვის.

ოთხებ სტალინი თავის ცნობილ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ტერიტორიის ერთობას განიხილავდა როგორც ერის ცნების ერთ-ერთ საფუძველს: „ამ [რუსი მარქსისტების - ხ.მ.] თეორიის მიხედვით, ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ოთხი ძირითადი ნიშნის ერთობის ბაზაზე, სახელდობრ: ენის ერთობის, ტერიტორიის ერთობის, ეკონომიკური ცხოვრების ერთობისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა ნაციონალური კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა ერთობა.⁵³

ბარკერი⁵⁴ აღნიშნავს, რომ ყველა „ჭეშმარიტ ერს აქვს სახლი“, შემდეგ უმატებს: „ტერიტორია უპირველესია ერისათვის“. სტურცო⁵⁵ მიიჩნევდა, რომ ერს არ შეუძლია „საკუთარი თვითმყოფადობისა განვითარება, ევოლუციონირება სტაბილური გეოგრაფიული საზღვრების გარეშე“. ქარრის⁵⁶ აზრით, ერს ახასიათებს ისეთი უნივერსალური და ბუნებრივი ელემენტები, როგორიც არის ... მიბმულობა-მიჯაჭვულობა საკუთარი მიწისა და ენისადმი“. ენთონი სმითი⁵⁷ აღნიშნავს, რომ ერის

⁵¹ რენერი და ბაუერი (Renner, Bauer), ციტირებული სეთონ-უოთსონის მიერ: Seton-Watson, H. (1977) *Nations and States*. Boulder, CO : Westview press

⁵² Znaniecki, F. (1952) *Modern Nationalities*. Urbana: The University of Illinois Press

⁵³ სტალინი, ი. ბ. (1951). *ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი*. სახელგამი: 3

⁵⁴ Barker, E. (1948) *National Character and the Factors in its Formation*. London: Methuen and Co. Ltd (4th and revised ed): 14-15

⁵⁵ Sturzo, Don Luigi (1946) *Nationalism and Internationalism*. New York: Roy Publishers: 13

⁵⁶ Carr, E. H. (1945) *Nationalism and After*. New York: MacMillan: 40

⁵⁷ Smith, A. (1979) *Nationalism in Twentieth Century*. Oxford: Martin Robertson: 3, 48

სოლიდარობა ეფუძნება მის მიერ სამშობლოს ქონას და „ეროვნულ მისიას, ზედ ააშენონ ერი“. სამშობლოსთან ემოციური მიბმულობის საჩვენებლად სმითი წერს: „ერი სამშობლოს გარეშე თითქმის წარმოუდგენელია“.⁵⁸

ის, რომ ტერიტორიის ნებისმიერი ნაჭერი არ შეიძლება ტრანსფორმირებულ იქნას სამშობლოდ, კარგად ჩანს ებრაელთა მაგალითზე - იმ დაჟინებაში, რა დაჟინებითაც მათ აღთქმულ მიწაზე დაბრუნება სურდათ. ებრაელთა ოლქი 1934 წელს შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფოში ჩინეთის საზღვართან ახლოს, მაგრამ ებრაელთა მიზიდვა „ახალ სამშობლოში“ წარუმატებელი აღმოჩნდა.⁵⁹ ბრიტანელებმა სიონისტებს უგანდის ნაწილი შესთავაზეს, როგორც მათი სამშობლოს შესაძლო ადგილსამყოფელი. ეს შეთავაზება განიხილა და უარპყო ებრაელ სიონისტთა მერვე კონგრესმა 1904 წელს⁶⁰. სამშობლოსადმი მიბმულობა არ არის მხოლოდ პოეტური წარმოსახვა ან სქოლასტიკური კონსტრუქცია, არამედ ეს არის ის, რასაც ნამდვილად გრძნობენ ადამიანები⁶¹.

⁵⁸ Smith, A. (1981) *The Ethnic Revival*. Cambridge: Cambridge University Press: 35, 63

⁵⁹ Connor, W. (1984): 221, 248

⁶⁰ Seton-Watson, H. (1977): 396

⁶¹ Oommen, T.K. (1997): 186

თავი 4

პელევის მიზანი, ძირითადი თეზისი, დაშვება და მიღობა

რელევანტური დიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ კვლევის თემა, მიზანი და მირითადი თეზისი.

თქმა: ნაშრომი შეეხება მედიური რეპრეზენტაციის კონსტრუქტს და მის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის კონსტრუირებაში, - ერის წევრებს შორის საერთო ტერიტორიის გაზიარებული განცდის შექმნის საფუძველზე.

მიზანი: პირველი, მედიის როლის ჩვენება ეროვნული იდენტობის შექმნა-შენარჩუნებაში და მეორე - რელევანტური „ეროვნული“ კონტექსტის ემპირიულად წარმოჩენა 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში. ამ მიზანს ემსახურება სპეციფიკური მედიური შინაარსისა და 1990-იანი წლების მედიის ნიშან-თვისებების, დანიშნულებისა და როლების ანალიზი კვლევის სინთეზური - რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდებით.

თეზისი: ეროვნული იდენტობის (მიბმულის “ეროვნულ ადგილთან”) გამამყარებელი მედიური დისკურსის კონსტრუირება სხვადასხვა წყაროების (აქტანტების) შეტყობინებებში. ძირითადი დაშვება: ეროვნულ-იდენტობითი დისკურსი წარმოადგენს “სტრატეგიულ პოლიტიკურ კომუნიკაციას” (მანქეიმი, ჯ.ბ., 1994):

“ლიდერები (პოლიტიკური ელიტა და ინტელიგენცია) იყენებენ თავიანთ საჯარო ენასა და კომუნიკაციას, რათა შექმნან, გააკონტროლონ, გაავრცელონ და გამოიყენონ მედიური შეტყობინებები, როგორც პოლიტიკური რესურსი”. თუ ადამიანებს ექმნებათ ერთან მყარი ფსიქოლოგიური იდენტიფიკაციის განცდა და გაითავისებენ ეროვნულ სიმბოლოებს, პოლიტიკურ ლიდერებს უკეთ შეუძლიათ საზოგადოებრივი ემოციის მობილიზება კრიზისის პერიოდში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იმგვარი კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ეროვნული იდენტობის თემებსა და საკითხებს. ეს დაშვება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული იდეოლოგიური დომინაციის საკითხთან პოსტგლასნოსტურ ქართულ მედიაში, მედიის ახალი ფუნქციებთან და როლებთან, სოციოკუნტრულ და მედიაკუნტრულ ხედვებთან საზოგადოებისა და მედიის ურთიერთქმედების მოდელში.

მიდგომა: ფენომენოლოგიური. კვლევა განიხილავს სოციალურ ფენომენებს, მედიის მიერ სახელდებულებს, „მედირებული გამოცდილების“ პრიზმაში.

თავი 5

საკვლევი თემის ვალიდურობისა და კვლევის მეთოდის შესახებ

ეროვნული იდენტობიდან, როგორც მრავალშრიანი კონსტრუქტიდან, ეროვნული ტერიტორიის მედიური რეპრეზენტაციის მნიშვნელობისა და ვალიდურობის დასადგენად მივმართეთ წინასწარ საპილოტე კვლევას, რომელსაც უნდა გამოეკვეთა ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციის სხვადასხვა კატეგორიების მოცულობა. მოცულობის კვლევაში მონაწილეობდა ორი პიროვნება. საპილოტე კვლევისთვის წყაროებიდან: "კომუნისტი", "საქართველოს რესპუბლიკა", "მამული", "7 დღე", "დრონი", მათი პერიოდულობიდან გამომდინარე პროპორციის დაცვით შეირჩა 83 გამოშვება (თვენახევრის პერიოდში: 25 გამოშვება - "კომუნისტი", 45 გამოშვება - "საქართველოს რესპუბლიკა", 3 გამოშვება - "მამული", 5 გამოშვება - "7 დღე", 5 გამოშვება - "დრონი"). ეროვნული იდენტობის თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებიდან გამოიყო სამი თემატური კატეგორია: "1" - ტერიტორია, "2" - ენა, "3" - კულტურული მემკვიდრეობა. 83 გამოშვებიდან შერჩეულ იქნა 412 ნიმუში. კოდირების პროცესში მონაწილეობი შეთანხმდნენ, რომ 412 ნიმუშიდან 331 შეესაბამებოდა ჩვენთვის საინტერესო კატეგორიას "1". სანდოობის კოუფიციენტმა, პოლსტის ფორმულის მიხედვით, შეადგინა 0.8.

საპილოტე კვლევის შემდეგ, როდესაც მიღებულმა რაოდენობრივმა მაჩვენებელმა დაადასტურა ტერიტორიის რეპრეზენტაციის დომინანტური მოცულობა ეროვნული იდენტობის სხვა კატეგორიებთან შედარებით, შესწავლილ იქნა იმავე გაზეთების სრული პაკეტები 1990 წლის 14 ოქტომბრიდან (ორი კვირით ადრე 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებამდე) 1992 წლის 6 იანვრამდე (ორი კვირით გვიან ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაწყებული ამბოხების შემდეგ). მთლიანად გაანალიზდა 4086 მედიური ნიმუში.

საზრისისეულ ერთეულად (სიტყვა-გასაღებად) არჩეულია დასრულებული აზრის მქონე სემანტიკურ-პრაგმატიკული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სიტყვათშეთანხმებებს, წინადადებებს ან წინადადებების ჯგუფს და რომელშიც, თითოეული საკვლევი თემის საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, წარმოდგენილია იდენტობასთან მიბმული ტერიტორიის სახე - სხვადასხვა ინდიკატორების, შინაარსობრივი კატეგორიების მიხედვით.

საკვლევი დროითი ჩარჩოების შერჩევა: 1990 წლის ოქტომბერი - 1992 წლის იანვარი განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:

ა) პერიოდის უნიკალურობით, როცა ერთ ფიზიკურ დროში არსებობდნენ
დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და საბჭოთა კავშირი, ამ გარემოებიდან
გამომდინარე ყველა პოლიტიკური, სოციალური და დისკურსული წინააღმდეგობებით;
ბ) ეროვნული იდენტობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების ინტენსიურობით.
დროის ეს მონაკვეთი მოიცავს ისეთ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებმაც ძლიერი
და უშუალო გავლენა იქონიეს ეროვნული იდენტობის გადააზრებასა და მის
ეკოლუციონირებაზე; ეროვნული და სახელმწიფო ტერიტორიის ფსიქოლოგიური და
ლეგალური განზომილებების დამთხვევის განმტკიცებაზე საზოგადოებრივ
ცნობიერებაში:

1990 წლის 28 ოქტომბერი - პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული
არჩევნები საქართველოში, ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში;

1990 წლის ნოემბერ-დეკემბერი - შეიარაღებული ეთნოპოლიტიკური
კონფლიქტის დასაწყისი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში;

1991 წლის 7 იანვარი - საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება
საკავშირო რეფერენდუმის შესახებ, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის
შენარჩუნებისკენ;

1991 წლის 17 მარტი - საკავშირო რეფერენდუმი;

1991 წლის 31 მარტი - რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის შესახებ;

1991 წლის 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის გამოცხადება;

1991 წლის 19 აგვისტო - ე.წ. „მოსკოვის პუტინ“;

1991 წლის დეკემბერი - საბჭოთა კავშირის დაშლის ოფიციალური
გამოცხადება;

1991 წლის 22 დეკემბერი - 1991 წლის 6 იანვარი - შეირაღებული ამბოხი
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ; გამსახურდიას იძულებითი განდევნა
საქართველოდან;

აფხაზეთში მომავალი შეიარაღებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის
წინაპირობებისა და წანამდლორების ჩამოყალიბება.

გ) იმ პერიოდში მომხდარი მოვლენებისა და პროცესების პროექციის
ხანგრძლივობით საქართველოს სახელმწიფოს მომავალზე. ამ მოვლენებისა და

პროცესების ჯაჭვმა ხანგრძლივ პერსპექტივაში განსაზღვრა საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს, შიდა და გარე მიმართებები, განსაზღვრა პოლიტიკური სურათის დიზაინი. ბევრი მათგანის პროექცია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში დღემდე შენარჩუნებულია.

გაზეთების: „კომუნისტი“/„საქართველოს რესპუბლიკა“, „მამული“, „7 დღე“/„დრონი“ არჩევა განპირობებულია:

- ა) ამ გამოცემების მაღალი ტირაჟითა და აუდიტორიის წვდომადობის მაღალი ხარისხით მთელ საქართველოში;
- ბ) კომუნიკაციის განსხვავებული ფუნქციითა და მიზნით;
- გ) სარედაქციო დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით;
- დ) სოციალურ დამოკიდებულებათა განსხვავებული სტრუქტურით.
- ე) კომუნიკატორის განსხვავებული სტრუქტურით.

„კომუნისტი“/„საქართველოს რესპუბლიკა“ ოფიციალური ორგანოა. მისი კომუნიკაციური დისკურსი ხელისუფლების დისკურსს ემთხვევა. „მამული“ იმ ორგანიზაციის (რუსთაველის საზოგადოების) გამოცემაა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული სტრუქტურაა, ეროვნული პროექტების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იდეატორი და განმახორციელებელია; „მამულის“ აგტორები – სამეცნიერო და კულტურული ელიტაა; „7 დღე“/„დრონი“ - მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა (მათ საქართველოს ურნალისტთა დამოუკიდებული კავშირი გამოსცემს), გაზეთის მისიის განცხადებაში მითითებულია, რომ „7 დღე“ არ არის ვიწრო უწყებრივი გამოცემა, რომ იგი თავისუფალი პრესის პრინციპებით ხელმძღვანელობს“ (ურნალისტთა კავშირის გამოცემას 1991 წლის ივნისამდე ეწოდებოდა „7 დღე“, შემდეგ იგი გამოდის „დრონის“ სახელით; 1991 წლის ოქტომბერში რეგისტრირდება და 26 ნოემბერს გამოდის ყოველკვირეული „7 დღე“, დაფუძნებული და გამოცემული კერძო პირების მიერ. 1992 წლის იანვრამდე განახლებული „7 დღის“ მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, რომელიც ჩემს მიერ შეტანილ იქნა განსახილველ ბაზაში). ეს გაზეთები წარმოდგენილია როგორც სიმრავლე, 1990-იანი წლების ქართული ბეჭდური მედიის კრებითი სურათი და არა ურთიერთშედარებით დისკურსში.

მედიური ნიმუშები გაანალიზდა კონტენტანალიზის მეთოდით. ემპირიული მასალის კვლევის მეთოდად კონტენტანალიზის არჩევა განპირობებულია ამ მეთოდის

სისტემურობით, ობიექტურობითა და რაოდენობრიობით, რაც გამორიცხავს მკვლევარის პერსონალურ დამოკიდებულებას საკითხისადმი და უზრუნველყოფს მედიაშეტყობინებების შინაარსის ზუსტ რეპრეზენტაციას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თითოეული ნაწილი წარმოადგენს შინაარსობრივად დამოუკიდებელ სტრუქტურას სპეციფიკური საზრისისეული ერთეულებით, მათ აერთიანებთ ერთი საერთო საზრისისეული ერთეული: შეტყობინების წყაროს ტიპი და შინაარსობრივი კატეგორიების განმაზოგადებელი ვალენტობითი ინდიკატორი: სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია.

ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა ამგვარია:

1. ნაციონალური პროექტი 1990-1991 წლების საქართველოში; მეთოდი – მიმოხილვითი; სპეციფიკური, კვლევასთან დაკავშირებული საკითხები მიმოხილულია აკადემიურ სახელმძღვანელოებზე და მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებზე დაყრდნობით;
2. სამშობლო, ერი-სახელმწიფო და ქართული ელიტები; მეთოდი – კონტენტანალიზი, სტანდარტიზებული კითხვარი, ფაქტორული ანალიზი;
3. მიწა, სახელი, იდენტობა; მეთოდი – კონტენტანალიზი, სტანდარტიზებული კითხვარი;
4. საქართველო და გარესამყარო. სპეციფიკური მედიური სახეები და ხატები. ონტენტანალიზი, სტანდარტიზებული კითხვარი;

სტატისტიკა წარმოდგენილია პროცენტებში, კროსტაბით და ფაქტორული ანალიზის ცხრილებითა და გრაფიკებით.

ნაშრომის თავი “იდეოლოგიური დომინაციის საკითხი და 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედია”, რელევანტური დასკვნების გამოსატანად, - მოითხოვდა გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულებების, მოტივაციების შემოტანას გასაანალიზებელ ბაზაში, რაც, ჩემი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ნახევრად სტანდარტიზებული კითხვარით: დია და დახურული შეკითხვების მონაცვლეობით. ამ ეტაპზე კვლევის მეთოდი იყო შერეული, რაოდენობრივი მეთოდის დომინანტური სტატუსით, რომელიც ეყრდნობოდა სამი ტიპის ტექნიკას: აღწერით სტატისტიკას, ხოკვადრატს და ფაქტორულ ანალიზს. პირველ ეტაპზე მონაცემები დაკლასიფიცირდა აღწერითი სტატისტიკით. აღწერითი სტატისტიკის დასრულების შემდეგ ჰქიმოთების დასადასტურებლად აუცილებელი მონაცემების ვალიდურობის, მკვლევარის მიერ

დაშვებული შესაძლო ცოომილების კოეფიციენტის დასადგენად გამოყენებულ იქნა ხი-კვადრატი. შემდეგ, აღწერითი სტატისტიკის შედეგების ქვეგდარაციის მიზნით, გამოიყო თემატური ბლოკი, რომლის მონაცემებიც გაანალიზდა ფაქტორული ანალიზის მეთოდით. ნაშრომის ამ ნაწილში 1990-იანი წლების დასაწყისის მედია წარმოდგენილია როგორც იდეოლოგიური დომინაციის შემცველი თუ მისგან თავისუფალი, მედიაცენტრული თუ სოციოცენტრული სოციალურ-კულტურული ინსტიტუცია, როგორც სოციალური აქტივობის, გამოცდილების, პრაქტიკის, შემოქმედების, ეთიკის სტანდარტების ნაერთი პროდუქტი.

წინამდებარე ნაშრომი აქტუალურად მიმაჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გამო:

მასში შესწავლილია მედიისა და ნაციონალისტური აზროვნების კავშირი, რასაც აქამდე ქართულ მედიაკვლევებში აღგილი არ ჰქონია;

მასში შესწავლილია 1990-1991 წლების საზოგადოებისა და მედიის ურთიერთკავშირი და მოცემულია ამ კავშირის დეფინიცია;

მასში შესწავლილია და დადასტურებული 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედიის იდეოლოგიური ხასიათი;

მის საკვლევ წყაროს, მასალას წარმოადგენს უახლესი პერიოდის ქართული მედია, რომელიც აქამდე არ გამხდარა აკადემიური შესწავლის საგანი;

ნაშრომი ინტერდისციპილინარული ხასიათისაა: იგი კომუნიკატივისტიკისა, სოციოლოგიისა და ფილოსოფიის გადამკვეთ თემებს წარმოგვიდგენს;

ნაშრომის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას: კომუნიკაციათმცოდნების, უურნალისტების, საზოგადოებათმცოდნების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, კონფლიქტოლოგების, კულტუროლოგების, ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მიერ.

თავი 6

ნაციონალური პროექტი 1990-1991 წლების საქართველოში

კვლევის წინამდებარე თავი შეეხება იმ გარემოს – როგორც პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელშიც ფუნქციონირებდა პრესა, რომლებიც ზემოქმედებდნენ მასზე და რომლებზეც, შეძლებისდაგვარად, ზემოქმედებდა მედია.

6.1. როგორ „ჩაირთო“ ეროვნული იდენტობა

„ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება“, - ამ ლოზუნგით მოვიდა ხელისუფლებაში პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ 1990 წლის 28 ოქტომბერს - პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად. ამ ლოზუნგში საქართველო, ქართველი ერის საარსებო სივრცე, მთელი მისი ფიზიკური და მორალური განზომილებებით, - ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინით არის გამოხატული: „მამული“. ვალენტობა - აღმავალი: სიცოცხლისაკენ - მამული გაცოცხლდება, ლეგალურ განზომილებას შეიძენს, - მასზე ერი-სახელმწიფო აშენდება.

ქართველებში, საქართველოს მოქალაქეებში ეროვნული იდენტობა ამ მოწოდებით არ „ჩართულა“. იგი გაცილებით ადრე „ჩაირთო“. ზოგადად, იდენტობა აქტუალური ცვლილებების ფონზე ხდება, მით უმეტეს – კრიზისული სიტუაციების, ან კოლაფსისშემდგომი ტრანსფორმაციული პროცესის დასაწყისის. ეროვნული იდენტობის ჩართვის უნარის მქონე მექანიზმთან შედარება (თუმცა – ირონიის გარკვეული დოზით) მაიკლ ბილიგს⁶² (Billig: 1995) ექუთვნის. ბილიგი ამბობს:

„მობილური ტელეფონის მსგავსად [ეროვნულ იდენტობად“ წოდებული ფსიქოლოგიური მექანიზმის] ნაწილი უმეტესად წყნარად ძევს. შემდეგ კრიზისი იწყება; პრეზიდენტი გიხმობს; ზარები რეაქნ; მოქალაქეები პასუხობენ, და პატრიოტული იდენტობაც ირთვება.“

საქართველოში კრიზისი შესაგრძნობი 1988 წლის ნოემბერში გახდა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტის გამოქვეყნებამ დაადასტურა კრემლის პოლიტიკური ვექტორი - პერესტროიკას, ანუ კვაზიდემოკრატიული გარდაქმნების პროცესს, იმპერიის განმტკიცება უნდა შეენიშბა. ცვლილებათა პროექტში ჩაიდო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მოგავშირე რესპუბლიკების

⁶² Billig, M. (1995): 7

გასვლის შეუძლებლობის არაპირდაპირი მექანიზმი. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კრემლის ამ ნაბიჯს მასობრივი, კარგად ორგანიზებული დონისძიებები დაუპირისპირა.

საბჭოთა სისტემის რდვევის ყოველდღიურობის პროცესი მწვერვალებისა და ღრმულების ტოპოგრაფიად რომ წარმოვიდგინოთ, 1988-1990 წლების პერიოდში “ცენტრსა” და “ადგილებს” შორის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიცემუ- მოპოვების გამო წარმოქმნილი კონფლიქტები (რომლებიც ტერიტორიულ დავებსაც მოიცავდა) იყო ის მწვერვალები, რომლებიც ამ მოვლენების მონაწილეებში (აქტიურობის სხვადასხვა ხარისხის მიუხედავად) ახელებდა და აღვივებდა ეროვნული მიკუთვნებულობის იმპულსებს. ნოდარ ნათაძის (2002) აზრით, „საქართველოს გათავისუფლების პროცესი 1988-1991 წლებისა ქართველი ხალხის არათუ უმრავლესობისათვის, არამედ თითქმის მთელი ხალხისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თაობანი ადგვნებდნენ თვალს ”ბოროტების იმპერიის“ თანდათანობითი დაქვეითებისა და დაცემის ძალიან ნელ პროცესს და იმედოვნებდნენ, რომ ეს პროცესი სიჩქარეს აიკრევდა. პროცესს რომ გარკვეულ ეტაპზე უნდა მოეტანა დაპირისპირება რუსეთთან, დაპირისპირებას - შეტაკება, ხოლო შეტაკებას - მსხვერპლი, ესეც, რა თქმა უნდა, ყველას კარგად ესმოდა გონებით. მაგრამ, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო „აქ“ და „აქ“, ანუ აი ამ კონკრეტულ მოცემულ მომენტში, და რომ ეს უნდა მომხდარიყო ცხოვრების მთელი ჩვეული გარემოს დარღვევის სახით, ამის მკაფიო განცდა არც მასას, არც ელიტას არ ჰქონია. უფრო მეტიც. ის, რომ დანგრევადია მთელი ეს ჩვეული გარემო და რომ ახალ ვითარებასთან ადაპტაციის ამოცანა არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ერის წინაშე დადგება გარდუგალად, არამედ ყოველი ცალკეული ადამიანის წინაშეც, მე მგონი, არ გაიაზრებოდა, როგორც პრობლემა, რომელიც მოქმედებას მოითხოვს. ზოგადი პერსპექტივა, - რომ ქვეითდებოდა და დანგრევისაკენ მიდიოდა საბჭოთა კავშირი, ეს თითქოსდა ხელშეუხებელი გიგანტი, რომლის უდმობელი პრესის ქვეშ თაობები იყო გაზრდილი, ნაცხოვრები და ჩამკვდარი, - თავისი სიდიადით ყველა სხვა კონკრეტულობას ჩრდილავდა, და მოქალაქე ისე მონუსტული შეჟყურებდა ამ პროცესს, რომ აზრადაც არ მოსდიოდა მის მიმდინარეობაში ჩარევა“.⁶³

⁶³ ნათაძე, ნ. (2002) რაც კიცი. თბილისი: პირველი სტამბა: 10

1990-იანი წლების დასაწყისში მთელი ჩვეული გარემო საქართველოს მედიასაც დაერღვა. მედია, როგორც ყველაზე დინამიკური, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისადმი ყველაზე მგრძნობიარე სისტემა, ჯერ კიდევ არსებული ოფიციალური ცენზურის მიუხედავად, იმპლიციტურად გამოეხმაურა ახალ დაკვეთას. ქართველი ურნალისტები, შესაძლოა – ამ ქვეყნის სხვა მოქალაქეების მსგავსად, „მონუსხულები“ შესცემოდნენ ბოროტების იმპერიის დაქვეითებისა და დაცემის დიად პროცესს, მაგრამ იმ პერიოდის ქართულ მედიაში მომხდარი ცვლილებები მიანიშნებს, რომ მედიამ მოახდინა საზოგადოებიდან (უფრო ზუსტად - გარკვეული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურებიდან) წამოსული შეტყობინების დეკოდირება, და 1988 წლიდან ნაციონალიზმსა და პოპულიზმზე აპელირება, აქცენტის დასმა ეროვნულ კულტურაზე, ფოლკლორზე, ისტორიაზე მედიის ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა.

6.2. “ჩვენ ვართ ერი” – ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური პრინციპი

ეროვნული ტერიტორიის, სამშობლოს ფენომენი მთელი თავისი მრავალშრიანობით, კომპლექსურობით ყოველთვის აქტუალური იყო ქართული ცნობიერებისთვის. როგორც ზეგით აღვნიშნეთ, ამ ცნობიერებაში სტერეოტიპად ჩანერგილი ერის ყველაზე პოპულარული განმარტება ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მასში ეროვნული ტერიტორია, ენასა და სარწმუნოებასთან თანაბრად, ერის კონცეპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია: „მამული, ენა, სარწმუნოება“⁶⁴. თუმცა ისტორიიდან ცნობილია, რომ იმ დროისათვის, როდესაც ილიამ დაწერა ესეე „ორიოდე სიტყვა "შეშლილის" თარგმანზედა“, მკვლევრების აზრით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული ენა – „იმპერიის მიერ ეკლესიიდან, სკოლებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნილი ქართული ენა . . . მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ მდაბიო სალხის სამეტყველო ენადდა

⁶⁴ საქართველოს პრემიერმინისტრი 2004-2005 წლებში ზურაბ ჟვანია ილია ჭავჭავაძის ამ ციტატას „ქართული ნაციონალიზმის ფორმულას“ უწოდებს: ჟვანია, ზ. (2005) ჩვენი თაობის პრივილეგია. თბილისი: საარი: 85

რჩებოდა, რომლის დიდმა ნაწილმა ამ ენაზე წერა-კითხვაც არ იცოდა.⁶⁵ მოგვიანებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში - რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური ძვრების კვალდაკვალ - ქართველი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ნააზრევში წინა პლანზე გამოდის და ნელ-ნელა იკვეთება ტერიტორიის გადამწყვეტი მნიშვნელობა ერის ცნებაში.

ტერიტორიის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე ერის ჩამოყალიბებისთვის წერდნენ თავიანთ ნაწარმოებებში ცნობილი ქართველი მოაზროვნები - მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე... 1990-იანი წლების დასაწყისში, რასაკვირველია, ხდებოდა მიბრუნება უკვე დაწერილთან და თქმულთან, მაგრამ ამ ყველაფრის გააზრება უნდა მომხდარიყო ეროვნული სივრცის ახლებური ცნობიერი რეფრაქციით: „მამული,“ „სამშობლო“ - ეს იყო ეროვნული ტერიტორია თუ სახელმწიფო ტერიტორია? „ტერიტორია, - ტ.კ. ომენის აზრით, - საერთოა ერისა და სახელმწიფოსთვის. მაგრამ არსებობს ერთი არსებითი განსხვავება ეროვნულ ტერიტორიასა და სახელმწიფო ტერიტორიას შორის; პირველი მორალური ერთობაა, უკანასკნელი კი - ლეგალური“⁶⁶

1990-იანი წლების საქართველოში გარკვეული მოცემულობა - სრულფასოვანი სახელმწიფოს უქონლობა 200 წლის განმავლობაში, ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო ცნობიერება, - ერის შესახებ უპირატესად პრიმორდიალისტურ (ადათ-ჩვეულებებზე, ფსიქოლოგიურ მიბრუნებისა დაყრდნობილ) და არა მოდერნისტულ შეხედულებას აღვივებდა. მაგრამ ეს შეხედულებები ეწინააღმდეგებოდა განვითარებული მოვლენების ფონზე ერისადმი მიუკონებულობის პოლიტიკურ კონტექსტს. ანუ, როდესაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აცხადებდა, რომ „ჩვენ ვართ ერი“, იგი მოითხოვდა პოლიტიკურ უფლებამოსილებებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყო ქართველი ერის არსებობა ამ ცნების მოდერნული გაგებით.

ეს უფლებამოსილებები „მრგვალმა მაგიდამ - თავისუფალმა საქართველომ“ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე მიიღო, თუმცა ერის, როგორც პოლიტიკური პრინციპის რეალიზაცია, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა უჩვენა, მან ვერ შესძლო.

⁶⁵ მამული, ენა, სარწმუნოება. არსი წმიდა იღია მართლის პუბლიცისტური წერილებისა. გვ. კოპლატაძე, გრ. რუსაძე (რედ). თბილისი: 130

⁶⁶ Oommen, T. K. (1997): 185

6.3. სამშობლო - ზეციდან მიწაზე

„ეროვნული ერთობა, როგორც მოდერნული ეპოქის პროდუქტი, ზეციდან მიწაზე დაეშვა“ – Billig, Michael, 1995, Banal Nationalism: 77.

1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოშიც იგივე მოხდა - ზეციური სამშობლო მიწაზე დაეშვა. ზეციური სამშობლო ქართველების ცნობიერებაში არსებობდა კულტურულად გაზიარებულ სახეებსა და ხატებში. საქართველოს, სამშობლოს ხატი ემყარებოდა თაობიდან თაობას გადაცემულ შეხედულებებს, ე.წ. სოციალურ და კულტურულ მითებს, რომლებიც თავიანთ თავში ატარებდნენ: მემკვიდრეობას, ისტორიას, რელიგიას, ენას... რამდენად თავსებადი იყო ეს მითები მომავალი ერი-სახელმწიფოს შენების პერსპექტივასთან? რა უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდებოდა მედიაში: სამშობლო ზეცაში თუ სამშობლო მიწაზე? საგულისხმოა, რომ ცალკეულ მედიურ რეპრეზენტაციებში საქართველო წარმოჩნდია, როგორც ძალიან განსაკუთრებული, შეზღუდული, ატიპური სივრცე, ხოლო ქართველის სახე - როგორც არქაული, ფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელი ხატი. „ის, რაც სხვაგან ტიპურია, ქართულ სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, - პათოლოგიურად გამოიყერება. იქნებ იმიტომ, რომ ქართული სივრცე თავისთავად ლოკალურია, შეზღუდული. ეს სივრცე, როგორც სურათი, ვთქვათ, ალაზნის ველისა ანდა ჯავახეთის ზეგანისა, ისე ჰქიდია საქართველოს ტერიტორიის კედლებზე“⁶⁷ და მეორე - „უფუნქციობა ჩემი, როგორც ქართველისა, უფრო ღრმა პრობლემა. კიდევაც რომ მოვაშოროთ საბჭოიზმის შრე, ერთ საინტერესო რამეს დავინახავთ. ვიცი, მავანი არ დამეთანხმება, მაგრამ რამდენადაც მე ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი თავს, ამდენად საკუთარ თავს არქაულად და თანამედროვე სამყაროში უადგილოდ ვგრძნობდი. ქართველობა მშვენიერი, ლეგენდარული ხატია, რომელიც ჩემთვის უფრო ჭეშმარიტი და რეალურია, ვიდრე ყოველდღიური რეალობა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასეთი ფენომენისათვის, რომელსაც

⁶⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 31 მარტი

ქართველობა პქვია, ადგილი არ არის თანამედროვე სამყაროში. ეს არის ფეოდალური, ლეგენდარული ხატი“⁶⁸.

ლეგენდარული ხატების „ჭეშმარიტება“ და რეალურობა, სტერეოტიპების გამყარება ან ნგრევა, იერარქიების განმტკიცება ან დაშლა - ამ მიზნით გამოიყენება ეროვნული სივრცის ყოველი მედიური მეტაფორა და კონტაცია. ეს არის კოდები, რომელთა გახსნა შეიცავს პასუხს შეკითხვაზე - რა მიზნით ხორციელდება ამგვარი შეტყობინების გადაცემა: ეს არის კომუნიკაცია-ტრანსმისია თუ კომუნიკაცია-რიტუალი.

კომუნიკაციის პროცესის ტიპის განსაზღვრება ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც წესი, მედიამკვლევარები ზოგადად ახალი ამბებისა და რეკლამის რეპრეზენტაციის ყველაზე გამოყენებად კომუნიკაციურ მოდელად (ე. წ. „ნორმად“ - ქარი (1975), ელიოტი (1982), მაკეუეილი (1997)) ტრანსმისიურ მოდელს მიიჩნევენ. მაგრამ განსაკუთრებულ, გამონაკლისურ შემთხვევებში (ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ გარდამავალი ისტორიული პერიოდის მედია, 1990-იანი წლების ქართული მედიაც მათ შორის), როდესაც ტრანსმისიური მოდელი არასაკმარისი და არასრულყოფილი ხდება რელეგანტური მედიაპლატფორმის წარმოსახენად, მას რიტუალური, ექსპრესიული მოდელი ენაცვლება. ტრანსმისიური მოდელის სისუსტის ერთ-ერთი მიზეზი არის კომუნიკაციური პროცესის ეფექტის არაკმარობა. კომუნიკაციური პროცესის ეს ვერსია, ჯეიმზ ქარის მიხედვით, არის „ყველაზე უზოგადესი ჩვენს კულტურაში და განისაზღვრება გაგზავნის, გადაცემის, ინფორმაციის მიწოდების ნიშან-თვისებებში. იგი წარმოდგება გეოგრაფიული ან ტრანსპორტაციული მეტაფორებისგან... კომუნიკაციის ამ იდეის გულისგული არის სიგნალებისა და შეტყობინებების ტრანსმისია სივრცეში“⁶⁹. ტრანსმისიური მოდელისათვის დამახასიათებელია კომუნიკაციის ერთმიმართულებიანი ნაკადი. ჯეიმზ ქარი მიუთითებს კომუნიკაციის პროცესის ალტერნატიულ ხედვაზე, - „რიტუალურზე“, რომლის მიხედვითაც „კომუნიკაცია უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორებიც არის: გაზიარება, მონაწილეობა, ასოციაცია, საერთო დირექტულებების, საერთო რწმენის

⁶⁸ 7 დღე, 1990, 6 დეკემბერი

⁶⁹ Carey, J (1975), ციტირებული დენის მაკეუეილის მიერ: McQuail, D. (2005) : 70

ქონა. რიტუალური კომუნიკაცია...⁷⁰ არ არის მიმართული შეტყობინების განვრცობისა და გავრცელებისაკენ სივრცეში, არამედ საზოგადოების, მისი დირექტულებების შენარჩუნებისაკენ დროში. ეს არ არის მხოლოდ მნიშვნელობის მქონე შეტყობინების გადაცემის აქტი, არამედ ეს არის გაზიარებული რწმენების რეპრეზენტაცია. როგორც აღნიშნავს მედიამკვლევართა დიდი ნაწილი, რიტუალური კომუნიკაციის შინაარსი ნაკლებად უტილიტარულია. იგი საგსეა კონკრეტული კულტურისათვის დამახასიათებელი სიმბოლოებით, მინიშნებებით, მეტაფორებით, მითებით, ერთად ყოფნის გამოხატულებებით. რიტუალური კომუნიკაციისას უდიდესი მნიშვნელობა შეტყობინების შინაარსში ენიჭება გამგზავნის შინაგან ექსპრესიას, კმაყოფილება-უქმაყოფილებას, ემოციას, რომელიც მიმართულია მამობილიზებელი და გამაერთიანებელი სენტიმენტებისა და ქმედებებისაკენ.

ზემოთ მოყვანილ შეტყობინებებში გამოკვეთილია ე.წ. რიტუალური კომუნიკიისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: სიმბოლოების ფოკუსირებული წყობა, რომელთა მნიშვნელობაში ჩატვირთულია ინდივიდუუმისა თუ ჯგუფის იდენტობისა და უსაფრთხოების კოდები, რომლებიც სოციალურ-კულტურულ დირექტულებებსა და მოლოდინებს შეიცავენ.

ამგვარი კომუნიკაციური მოდელის არჩევა მიუთითებს მედიის გაცნობიერებულ მონაწილეობაზე „სამშობლოს გაცოცხლების რიტუალში“⁷¹; ეს დირექტულებები და მოლოდინები, მათი ურთიერთმიმართებითი განხილვა უშუალოდ უკავშირდება ეროვნული იდენტობის გამამყარებელ, აფირმატიულ დისკურსსა და ენას 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში.

6.4. „საქართველო - ქართველებისთვის“?

ეს სიტყვები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიეწერება. დოკუმენტურად არსად დასტურდება პრეზიდენტის მიერ ამ მოწოდების წარმოთქმა. არსად ჩანს წყარო, რომელიც დარწმუნებით მიუთითებს, სად, როდის, რომელი აუდიტორიისათვის

⁷⁰ იქნა

⁷¹ ფირალიშვილი, ზ. (2007) ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა. კავკასიის საზოგადოებრივ სტრატეგიათა ინსტიტუტი : 102

ითქვა „საქართველო - ქართველებისათვის“. მიზეზი, რომლის გამოც მონროს დოქტრინის ეს პერიფრაზი არ კარგავს „ნამდვილობას“, იმ დროისათვის დომინანტურ პოლიტიკურ კონტექსტში უნდა ვეძებოთ. ეს კონტექსტი სხვადასხვა თვალთახედიდან სხვადასხვაგვარად იკითხება: პირველი - „იგი [„საქართველო - ქართველებისათვის“ - ხ. მ.] მისი [ზეიად გამსახურდიას - ხ. მ.] ჭეშმარიტი პოზიციის აღეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს“⁷²; და მეორე: „საქართველო ქართველებისათვის“ არის გამოთქმა, ტერმინი, სლოგანი, რომელსაც ანტიეროვნული ძალები ცილისმწამებლურად მიაწერენ ზეიად გამსახურდიას - მისი „უკიდურესი ნაციონალიზმის“ გასამართლებლად და დასამტკიცებლად“⁷³.

არსებობს თვითონ ზეიად გამსახურდიას სტატია, რომელშიც იგი წერს:

„დასავლეთის მედიამ სრულად გაიმეორა საბჭოური პროპაგანდის კარგად შემუშავებული ტყუილი, მათ შორის, გაავრცელა ჩემი ხატი, როგორც საქართველოს საშინელი დიქტატორისა, სადამ ჰუსეინის მსგავსისა, რომელიც დაინტერესებული იყო პირადი თავისუფლების სრული დათრგუნვით, პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებით, ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევით, ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრით და „ფაშისტური ომის“ გაჩაღებით მათ წინააღმდეგ მოწოდების „საქართველო - ქართველებისათვის“ საშუალებით“⁷⁴.

ნოდარ ნათაძე - ყველა სხვა წყაროსთან შედარებით - კონკრეტულად უთითებს ამ სლოგანის წარმოშობის შესაძლო ისტორიას: „1988 წლის დამლევს ყვარლის ოთხი ლებური სოფლის მოსახლეობას... რელიგიური მოტივით კაცი მოეკლათ და ცეცხლში დაეწვათ... მიუხედავად ... მშვიდობიანი და სავსებით კანონიერი მოქმედებისა ქართველების მხრიდან, მაშინ საქართველოში ქართულად და რუსულად დიდალი ლანდღვა-გინება გამოქვეყნდა ეროვნული მოძრაობის იმ ადგილობრივი წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც ამ ინციდენტზე ირეაგირეს. რუსულად დაიბეჭდა ზეიად გამსახურდიას მიერ ყვარელში წარმოთქმული სიტყვის თითქოსდა მოსმენით ჩანაწერი ტექსტი ისეთი ფორმულირებებით, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა

⁷² Нодия, Г. (1998) *Конфликт В Абхазии: национальные проекты и политические обстоятельства*. Centrum voor Politicologie Vrije Universiteit. Brussel.

⁷³ გუგუშვილი, ბ. (2007) პირადი ინტერვიუ. „ახალი 7 დღე“, 6-12 აპრილი

⁷⁴ Gamsakhurdia, Z. (1993) ‘The Nomenclature Revenge in Georgia’, in *Soviet Analyst*, Christopher Story (ed), Vol. 21, N 9-10

(და საერთოდ არ ახასიათებდა)... ამ პუბლიკაციამ... დიდად შეუწყო ხელი არა მარტო ზ. გამსახურდიას, არამედ, საერთოდ, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „შოვინისტური“ მიმართულობის მითს.... იმ რუსულ პუბლიკაციაში არ იყო გამოთქმა „საქართველო ქართველებისათვის“, რომელიც მას შემდეგში სხვადასხვა სიტუაციაში მიაწერეს. სხვა თუ არაფერი, მან იცოდა, ... ეს რომ ცნობილი მონროს დოქტრინის სიტყვები იყო („ამერიკა ამერიკელებისათვის“) და არა მისი⁷⁵.

მკლევრები ზაალ ანდრონიკაშვილი და გიორგი მაისურაძე (2007) ზვიად გამსახურდიას მიიჩნევენ “ფილოლოგიური დისკურსის პროდუქტად” და “ალტერნატიული” პოლიტიკური მითოლოგიის შემოქმედად. “ეს მითოლოგია იქმნებოდა არა პოლიტიკური თეორიის, არამედ ფილოლოგიის საფუძველზე, ტექსტების საკმაოდ ჭრელი კონგლომერატის ბაზაზე. ტექსტებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეათე საუკუნის ავტორის, იოანე ზოსიმეს “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი” . . . [გამსახურდიასათვის] ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი არა მარტო პირდაპირ უკავშირდება მათ სულიერ მისიას, არამედ მთელი ეს კავშირი “ეზოთერული ცოდნის”, ინიციაციის, პრეინდოვროპული ტრადიციების, ტამპლიერებისა და ქართველი რაინდების ნათესაობისა და ა.შ. იდეების კომპლექსზეა აგებული. გამსახურდია ასევე ერთმანეთს უკავშირებს ენასა და ერს და, ილია ჭავჭავაძის სეკულარული კონცეფციისაგან განსხვავებით, უბრუნდება “რჩეულობის” მისტიკურ დოქტრინას, თუმცა უკვე არა ბაგრატიონების დინასტიისა (როგორც შუასაუკუნეების ქართულ პოლიტიკურ თეოლოგიაში) და სამშობლოსი (როგორც ეს ილია ჭავჭავაძესთანაა), არამედ ქართველი ერისას. აბსოლუტურად ბუნებრივად ამ ლოგიკამ გამსახურდია ქართული ეთნოსის საქართველოს ეროვნულ უმცირესობებზე უდავო უპირატესობის იდეამდე მიიყვანა და ჩამოაყალიბა მისი ეთნიკური პოლიტიკა, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია კონფლიქტის გამძაფრებაზე ჯერ ოსებთან, შემდეგ კი აფხაზებთან 1990 წელს”⁷⁶.

⁷⁵ ნათაძე, ნ. (2002) რაც გიცი. თბილისი: პირველი სტამბა: 77

⁷⁶ ანდრონიკაშვილი, ზ., მაისურაძე, გ. (2007) საქართველო 1990: დამოუკიდებლობის ფილოლოგებმა, ანუ გაუაზრებელი გამოცდილება. НЛО – Новое литературное обозрение. ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებული უკრნალ “შთაბეჭდილების” მიერ, 2008, 1, ივლისი-აგვისტო

1990-იან წლებში ქართველი ერი არ იყო გაფორმებული, როგორც პოლიტიკური ერთობა - არ არსებობდა კონსტიტუცია, რომელიც დეკლარირებულ პოლიტიკურ ერთეულად წარმოაჩენდა ქართველ ერს. მაგრამ არსებობდა ფაქტობრივი ეროვნული ერთობა, რომელიც სხვადასხვა ეთნოსსა და ეროვნებებს მიკუთვნებული, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ინდივიდუულებისაგან შედგებოდა.

1990-იანი წლების დასაწყისისათვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა - საზოგადოებაში, ქუჩის რიტორიკაში, მედიაში ნაციონალიზმსა და პოპულიზმზე აპელირებამ, - როგორც ეთნიკურ ქართველებში, ისე ეთნიკურ არაქართველებში ერთმანეთის აღქმის ნებატიური სტერეოტიპები გააღვივა და გააძლიერა. ეს დაძაბულობა ურთიერთობაში თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს თანაბრად შეეხო. „ქართველები მოღალატე ერია, ამას მოწმობს მთელი მათი ისტორია. საქართველოს დედაქალაქი ააშენეს სომხებმა, კვებავენ აზერბაიჯანელები, მის ქუჩებს ჰგვიან ქურთები, სასაფლაოებს უვლიან ბერძნები, ქარხნებში, ძირითადად, მუშაობენ რუსები, ქართველები მხოლოდ ხელმძღვანელობენ ან უსაქმურობენ (რაც ერთი და იგივეა), ქართველები მიტინგებს აწყობენ, მოითხოვენ, ფულს ითვლიან ჩვენს ჯიბეში, იმუქრებიან, ძარცვავენ და კლავენ“⁷⁷. ამგვარ სტერეოტიპს უპირისპირდებოდა სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა მიმართ ნებატიური სტერეოტიპების რეპრეზენტაცია: რუსი (დამპურობელი, რუსეთის მონობის ქვეშ ყოფნაში მოიტანა საქართველოში პროსტიტუცია, კორუფცია, უსაქმურობა, დასცა ზნეობა...); ოსი (სხვისი მიწის მიმტაცებელი, მოღალატე, სახელმწიფოს ქონის უღირსი და სახელმწიფოს მოვლის ვერშემძლე, „ჯაყო“ და ა.შ.).

პოლიტიკური პროცესების ასოციაციებით შექმნილი სტერეოტიპები მთელ ეროვნებაზე გავრცელების მცდელობაში გადადიოდა... მაგრამ, მიუხედავად ამ სტერეოტიპების ომისა, არსებობდა მოცემულობა - აქ, ახლა, ამ ვითარებაში, ამ ხალხით, ამ ხელისუფლებით უნდა შემდგარიყო ერი-სახელმწიფო. ანუ ეროვნული ერთობა უნდა შემდგარიყო, როგორ პოლიტიკური პრინციპი.

6.5. ერები, ეროვნებები და ეთნოსები - მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქების გასაყარზე

⁷⁷ 7 დღე, 1991, აპრილი. ციტატა პროკლამაციიდან.

”ერი ሠრის „დედასამშობლოში“ მცხოვრები „ოჯახი“, - Johnson,G. R., 1987

1990-იან წლებში „დედასამშობლოში“, საქართველოში, მცხოვრები ”ოჯახი“ არ პგავდა ბედნიერ ოჯახს. სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის (სამი ავტონომიური წარმონაქმნის), სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების (უკანასკნელი საბჭოთა აღწერის (1988) მონაცემებით, 35 ეროვნების), საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების ”ბედნიერი ცხოვრება“ დასრულდა. შიში, ეჭვი, უნდობლობა სოციალური და პოლიტიკური დეზინტეგრაციისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა.

დამოუკიდებელმა საქართველომ საბჭოთა საქართველოსგან მემკვიდრეობით სამი ავტონომიური წარმონაქმნი მიიღო - ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი. თითოეულ მათგანს ჩამოყალიბების სპეციფიკური ისტორია პქონდა, თითოეულის შექმნა სპეციფიკური ისტორიული, პოლიტიკური და ეთნონაციონალური მიზანშეწონილობებით იყო განპირობებული. 1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა პროცესებმა: საბჭოთა კავშირის დაშლის დასაწყისში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქმედებებმა და რიტორიკამ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მმართველობის ნარჩენების (შემდეგ - რუსეთის) პოლიტიკამ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ავტონომიური წარმონაქმნებისა და ეროვნული უმცირესობების მიმართ გაამძაფრა ყველა პრობლემა, ურთიერთობის ყველა ნებატიური შრე, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში 70-წლიანი ერთობლივი თანაცხოვრების შედეგად დაგროვებულიყო. საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი სრულად, თანაზომიერად და თანაბრად ვეღარ ვრცელდებოდა ლეგალურად დემარკირებულ ტერიტორიაზე, რადგან: ქართველებს, აფხაზებს, ოსებს ნაციონალიზმის, ეროვნული იდენტობის, როგორც „არგუმენტაციის ტრადიციის“⁷⁸ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია აღმოაჩნდათ - არა მხოლოდ არგუმენტაციის ტრადიცია, არამედ გარკვეული პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური ფენომენების არგუმენტაციის მიღმა დაყენების სურვილი: ერის, სახელმწიფოსი, ეროვნული ადგილის, ენის, ტერიტორიის... მაგალითისთვის: ერთსა და იმავე დროს, 1991 წლის

⁷⁸ Shotter, J. (1993a) *The Cultural Politics of Everyday Life*. Milton Keynes: Open University Press: 200

მარტში, ცხინვალსა და სოხუმში ორი სხვადასხვა მიმართულების, რადიკალურად განსხვავებული მიზნების მქონე რეფერენდუმი იმართებოდა: 17 მარტს - საკავშირო რეფერენდუმი, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისაკენ, და მეორე - 31 მარტს - რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ერთ ფიზიკურ დროში არსებობდა ორი ლეგიტიმური რეჟიმი და მოქმედებდა ორი ურთიერთგამომრიცხავი სუვერენიტეტი.

მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი პოლიტიკური წესრიგი მყარდებოდა. ”წინა პლანზე წამოვიდა მანამდე დაკონსერვებული ბევრი რეგიონული დისპუტი, რასაც ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა კონფლიქტები და ომები... უსაფრთხოებისა და კონფლიქტების მოწესრიგების მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული და გარკვეულწილად აპრობირებული სისტემა თითქმის მთლიანად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი რეალობების წინაშე. სისტემა, რომელიც შეიქმნა “ცივი ომის” პირობებში, ადეკვატურად პასუხობდა მხოლოდ გლობალური დაპირისპირების სიტუაციებს და, ამდენად, არაეფექტური აღმოჩნდა მწვავე რეგიონული, ლოკალური პრობლემატიკის გადასაწყვეტად.”⁷⁹ “ცივი ომის” ეპოქის დასასრული მარქსისტული და მოდერნისტული ეპოქების დასასრულადაც იქცა. მაიკლ ბილიგი ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ტერიტორიის ფრაგმენტაციას ეროვნული ნიშნით განიხილავს ნაციონალიზმისა და პოსტმოდერნიზმის მიმართების დისკურსში: “თუკი ახალი, პატარა ერები წარმატებას მიაღწევენ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, ისინი ვერ დატკბებიან ნაციონალიზმის აღზევების ეპოქისათვის დამახასიათებელი სუვერენიტეტით. ეს ახალი სახელმწიფოები საჭიროებენ სუპრანაციონალურ ორგანიზაციებში შეღწევას. გარდა ამისა, მათ ემუქრება საფრთხე, სწორედ, იმ ქვენაციონალური პროცესების მხრიდან, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მათი დაბადება. შობილნი ეროვნული ფრაგმენტაციის პროცესების შედეგად, ისინი მოწყვლადნი არიან მსგავსი პროცესების მიმართ, - რომ მათ შიგნით უფრო მომცრო წარმოსახვითმა იდენტობებმა მომცრო სამშობლო სივრცე გამოაცხადონ,”⁸⁰ – პოსტმოდერნულობისა და ნაციონალიზმის შესახებ მსჯელობისას მაიკლ ბილიგს მაგალითად პოსტ-საბჭოთა და პოსტ-კომუნისტური სივრცე მოჰყავს: საბჭოთა კავშირი

⁷⁹ ჩიქვაიძე, ა. (2004): 276

⁸⁰ Billig, M. (1995): 133-134

განასახიერებდა რუსეთის პეტერებიას 14 ლეგალურად არსებულ მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთა შიგნით არსებობდა ლეგალურად აღიარებული ასობით “ეროვნება”.⁸¹ ზუსტად ისევე, როგორც რესპუბლიკები დაიძრნენ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, ზოგიერთი “ეროვნება” ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ დაიძრა”.⁸² ბილიგი ხედავს სქემას, რომელიც მოდერნიზმ-პოსტმოდერნიზმის გასაყარზე ეროვნებასთან დაკავშირებულ ყველა თავსატეს თითქოს ხსნის: ყოველ ჯერზე გარკვეული ჯგუფი გამოეყოფა სახელმწიფოს, გამოაცხადებს ახალ სახელმწიფოს თავისი სახელით, შემდეგ ამ ახალ სახელმწიფოში მაცხოვრებელი უმცირესობა (ჯგუფი) სახელმწიფო სტატუსს აცხადებს ან ამ სტატუსის მაძიებელი ხდება. “ეს ერთეულები, თავის მხრივ, შეუძლებელია, იყვნენ კულტურულად იზოლირებული ერთეულები. ისინი ჩართული არიან ინფორმაციის უფართოეს ქსელში, რომელსაც არც ბუნებრივი, არც პოლიტიკური და არც ლინგვისტური საზღვრები არ გააჩნია. ამგვარად, პოსტმოდერნიზმი მომავალი მსოფლიოს ხედვას გვთავაზობს. ამ სამყაროში ეროვნული ტერიტორია აღარ წარმოადგენს ადგილს, საიდანაც იდენტობები, მიბმულობები, ცხოვრების წესები და ყალიბები წარმოდგენიან. დაკვეთა ეროვნულ სამყაროზე ახალ შუასაუკუნეებს გვთავაზობს. საზღვრებით შემოფარგლული ეროვნული სახელმწიფოების ადგილას განვითარდებიან მრავლობითი *terrae*...”⁸³

1990-იანი წლების დასაწყისში არათუ ესოდენ საკამათო “ახალი შუასაუკუნეების იდეა”, არამედ უფრო მოკრძალებული პრაგმატული თეორიული მოდელებიც კი არ მოიპოვებოდა მსგავსი კონფლიქტების არა მარტო მოწესრიგების, არამედ გააზრების თვალსაზრისითაც კი. ალექსანდრე ჩიკვაიძე წერს: “... არსებითად შეიცვალა კონფლიქტისა თუ დაპირისპირების თავად სისტემა. ... ადრე, საკაცობრიო ისტორიის მანძილზე, სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ძირითადად ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე ხდებოდა. დღევანდელი მსოფლიო კი სრულიად სხვა რეალობის

⁸¹ Breuilly, J. (1992) *Nationalism and the State*. Manchester University Press

⁸² Billig, M. (1995): 133

⁸³ იქვე

წინაშეა – სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ტოტალურად შეიცვალა ცალკეულ სახელმწიფოში კონფლიქტით ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე...”⁸⁴

1990-იანი წლების საქართველოს ხელისუფლებისათვის ავტონომიურობის საზომი და არგუმენტი 1918-1921 წლების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა იყო და არა საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ლოგიკა თუ ულოგიკობა. ამიტომ იყო, რომ ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ვერ თავსდებოდა „ოსური სახელმწიფო“ საბჭოთა დისკურსის მიღმა, ვინაიდან, ისტორიული დოქუმენტების თანახმად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ტერიტორია, როგორც სახელმწიფო ტერიტორია, სწორედ, ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკის ნაყოფი იყო.

1990 წლის ოქტომბერში, როდესაც ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ, სამხრეთ ოსეთში, როგორც კონფლიქტის კერაში, გამოკვეთილი იყო კონფლიქტი რამდენიმე დონეზე: საკანონმდებლო დონეზე - „კანონთა ომი“ თბილისა და ცხინვალს შორის (იგი 1989 წელს დაიწყო) ავტონომიური ოლქის სტატუსის ცვლილებისა და სახელმწიფო ენის სტატუსის გამო; დისკურსის დაპირისპირებაში ერთ-ერთი წამყვანი მედიური დისკურსი იყო; ეთნონაციონალური დაპირისპირება, კრიმინალური შემადგენლის საქმაოდ მაღალი ხარისხით, და ბოლოს - შეიარაღებული დაპირისპირება. აფხაზეთში, მიუხედავად პროცესების მსგავსებისა, ამ პერიოდისთვის გამოკვეთილი იყო მხოლოდ ეთნონაციონალური და პოლიტიკური/მედიური დისკურსის დაპირისპირება.

დაპირისპირების პროცესში ერთ-ერთ პირველ მოვლენად იქცა ქართველ საზოგადოებაში მიმდინარე დებატები საქართველოს კონსტიტუციაში შესაძლო ცვლილებების შეტანისა და ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ; აღნიშნული დისკუსიის პარალელური ტენდენციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკმაოდ მტკიცნეული აღმოჩნდა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობისათვის. ზემოთ ხსენებული კონფლიქტის სტადიები აღასტურებენ, რომ დაპირისპირება შეეხებოდა იმ მახასიათებელს, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ერად ყოფნას განსაზღვრავენ. აქედან გამომდინარე, დაპირისპირება ქმნიდა, ახალისებდა და აღვივებდა ერად ყოფნის მითებსაც, რომლებსაც დაპირისპირების მხოლოდ

⁸⁴ ჩიკვაიძე, ა. (2004): 277

გადრმავება თუ შეეძლოთ. ოსი და აფხაზი სამეცნიერო და კულტურული ელიტა ოსურ-რუსული და აფხაზურ-რუსული ბილინგვიზმის აღმსარებელი იყო. მისთვის არ არსებობდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ცოდნისა და გამოყენების საჭიროება. იგი უფრო მეტად ასიმილირებული იყო საბჭოთა კავშირის დომინანტურ ერთან - რუსებთან, ვიდრე იმ რესპუბლიკის ეროვნულ უმრავლესობასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, - ქართველებთან. „ორად გახლებილი ოსეთის“ გაერთიანება; „ზრუნვა“ ოსი ხალხის გადასარჩენად... „ოსთა ბელადები“ ლაპარაკობენ ოსი ხალხის დისკრიმინაციაზე... ათეული წლების განმავლობაში ოსი ისტორიკოსები ქმნიდნენ ოსეთის „ისტორიას“, ხოლო საქართველოს ინტერნაციონალისტი ხელმძღვანელები ამაზე თვალებს ხუჭავდნენ. ოსი ისტორიკოსები თავის ხალხს ატყუებდნენ, ქართველი კომუნისტები - თავის ხალხს, ხალხთა ძმობა ასე უნდაო; სოციალიზმის ერთგულება; ოსთა „ინდოევროპული ორიენტაცია“; იმპერიის ზრუნვა „ჩაგრული ერის“ უფლებებისათვის“ - გაზეთი „მამული“ ამ რუსულ-ქართულ-ოსურ პროექციებს „სიცრუის კრიალოსანის მძივებს“ უწოდებს;⁸⁵

ტერიტორია, ენა, კულტურული იდენტიფიკაციის, უფლებრივი თანასწორობისა და ჯგუფური ლოიალობის პრობლემები - ეს საკითხები წამყვანი ხდება ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ასახვისას მედიურ დისკურსში.

საბჭოთა პერიოდში როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოიცემოდა ავტონომიური დაქვემდებარების გაზეთები: მმართველობის სხვადასხვა დონის ოფიციალური ორგანოები - ქართულ, რუსულ და აფხაზურ/ოსურ ენებზე. ეს გამოცემები აბსოლუტურად თავსდებოდნენ საბჭოთა კომუნისტური პრესის კონცეფციაში, ამავე კონცეფციის შესაბამისი მიზნით: „ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების საბოლოო მიზანი ადამიანების შეგნებასა და მოქმედებებზე კონტროლის დამყარებაა“⁸⁶. ისინი იყვნენ არა მხელოდ კოლექტიური პროპაგანდისტები და კოლექტიური აგიტატორები, არამედ კოლექტიური

⁸⁵ მამული, 1991, აპრილი

⁸⁶ რეპკოვა, ტ. (2005) პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში. თბილისი: დიოგენი: 4

ორგანიზატორებიც. სივრცე, რომელსაც ისინი ასახავდნენ, მრავალ შრიანი იყო: საბჭოთა სამშობლო (საბჭოთა კავშირი), საბჭოთა საქართველო და საბჭოთა ოსეთი/საბჭოთა აფხაზეთი. ეს გამოცემები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ თითქმის არაფრით, გარდა გამოცემის ენისა, მაგრამ ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალი უდიდეს სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა, - იგი ფაქტორი ხდებოდა. როგორც განაცხადა პირად ინტერვიუში ერთ-ერთმა აფხაზეთიდან დევნილმა ჟურნალისტმა, „საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის ნომენკლატურული, სამეცნიერო, კულტურული ელიტა, ძირითადად, მოიხმარდა რუსულ ენაზე გამოცემულ ადგილობრივ გაზეთებს. თვით აფხაზურ ენაზე გამომავალი გაზეთების კითხვა ნაკლებად პრესტიჟულად ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ რუსულენოვანი გაზეთები ყოველთვის უფრო მაღალი პროფესიული სტანდარტით გამოირჩეოდნენ... პოსტსაბჭოთა პერიოდშიც კი, როდესაც წამყვანი მოტივი აფხაზური ნაციონალიზმი გახდა, რუსულ ენას, რუსულ ენაზე შექმნილ ნაბეჭდ პროდუქციას არ დაუკარგავს მამობილიზებელი და გამაერთიანებელი ეფექტი.”⁸⁷

6.6. როგორ იწყებოდა კონფლიქტები მედიაში?

„ერ-სახელმწიფოებს სძულო ტერიტორიის დაკარგვა. ეროვნული მთავრობები აკეთებენ ყველაფერს, რაც შეუძლიათ, თავიანთ საზღვრებს შიგნით სეპარატისტული მოძრაობების თავიდან ასაცილებლად (უოთერმანი, Waterman, 1989, ციტირებული ბილიგის მიერ. 1995, Banal Nationalism)

ოსებისა და აფხაზების სეპარატისტული განწყობების მედიაცია ქართულმა მედიამ 1989 წლის ზამთარ-გაზაფხულზე დაიწყო - უშუალო თუ გაშუალებული დისკურსით. თავდაპირველად შენარჩუნებული იყო საბჭოთა პრესის მოდელისთვის დამახასიათებელი მედიაციური ტაქტიკა, როდესაც ხელისუფლება (და მასთან ერთად - პარტიული პრესაც) მოვლენების გაშუქების სელექციურ მოდელს მიმართავს: მოვლენა, რომელიც არ თავსდება პარტიის, სახელმწიფოს პოლიტიკისა და მისი

⁸⁷ აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტი, პირადი ინტერვიუ (2006)

პროპაგანდის ჩარჩოებში, ან საერთოდ უგულებელყოფილია, ან მედიაში გაშექებულია არასრულად, არაზუსტად და დამოკიდებულებადობის (ამ შემთხვევაში - ხელისუფლებაზე დამოკიდებულების) მაღალი ხარისხით. ამ მოდელის გარდვევის პირველი მცდელობები მუნიციპალურ გაზეთ "თბილისსა" და საქართველოს მწერალთა კავშირის ბეჭდვით ორგანოში, "ლიტერატურულ საქართველოში", აღინიშნა. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია თითქმის ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს "ლიტერატურული საქართველოს" სარედაქციო პოლიტიკას. სწორედ, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით გადმობეჭდა "ლიტერატურულმა საქართველომ" გუდაუთის მცირებირაჟიან გაზეთ "ბზიფიდან" სამხრეთ ოსური ნაციონალურ-სეპარატისტული მოძრაობის - "ადამონ ნიხასის" - ერთ-ერთი ლიდერის, ალან ჩოჩიევისა და აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ა. ვოზბას, წერილები.

თუმცა დებატები ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ ქართულ მედიაში მანამდეც მიმდინარეობდა.

1989 წლის 27 იანვარს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამაზ შავგულიძის, სტატია ქართული ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ: "ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქმის წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. ამავე დროს ოლქში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული რუსული და ქართული ენები". ეს პროექტი, მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ოსი ხალხის ენობრივი ინტერესების დაცვის შეთავაზებული გარანტიებისა, მიუღებელი აღმოჩნდა ოსებისა და აფხაზებისათვის, რადგან ეს იყო, ფაქტობრივად, დამკვიდრებული (ოსებისა და აფხაზებისთვის სრულიად მისაღები) საბჭოთა პრაქტიკის რევიზია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან, საორიენტაციო ვექტორის რადიკალური შემობრუნება. ოსური და აფხაზური ბიუროკრატიული, სამეცნიერო და კულტურული ელიტა თავს კომფორტულად გრძნობდა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის დისკურსში. „ოლქში სახელმწიფო მმართველობას ახორციელებდა ბიუროკრატიული აპარატი, რომლის ეროვნული შემადგენლობა, 1988 წლის მონაცემებით, ასეთი იყო: ყველგან ოსები უმრავლესობაში. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქართველთაგან ხშირად ნიშნავდნენ

პიროვნებებს, რომლებსაც არ გააჩნდათ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ეროვნული სიამაყე და სხვისი ნება-სურვილის აღმსრულებლები იყვნენ, რათა ოსი ხელმძღვანელებისათვის ეამებინათ⁸⁸; ან: „ოსი მოსახლეობის ინტელექტუალურ ბირთვს წარმოადგენდნენ პიროვნებები, რომელთაც ცნობიერება ჩამოუყალიბდათ რუსულ-ოსური „ბილინგვიზმის“ საფუძველზე, რამაც განაპირობა ოლქის ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ორიენტაცია ჩრდილოეთ ოსეთზე, როგორც „რუსული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილზე“⁸⁹

ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ოსისა და აფხაზისათვის დაენახვებინათ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ერთობლივი ცხოვრების მიმზიდველობა იმ სახელმწიფო წესრიგის პირობებში, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველო შექმნიდა: „აფხაზეთი“ წარმოადგენს სინონიმს სიტყვისა „საქართველო“... უთხრა ქართველს, რომ აფხაზეთს შეუძლია გავიდეს საქართველოდან (მე განვმარტავ: ერების სტრუქტურას და არა რეალობას) - ეს დაახლოებით იგივეა, რომ უთხრა: საქართველოს შეუძლია გავიდეს თავისი თავიდანო“⁹⁰; ან: „მე ვიტყოდი - არსებობდა ქრისტიანული აფხაზური ეთნოსი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ სახელმწიფოებრიობაში, იგი მისი შექმნის აქტიური მონაწილე იყო. ასევე აქტიური მონაწილე იყო ქართული პოლიტიკისა, მაგრამ, აბა, წადი და გააგებინე ეს დღეგანდელ საბჭოთა აფხაზს, ცხოვრების საბჭოთა კანონით გამოტვინებულს. ის ისეთივე გამოტვინებულია, როგორიც საბჭოთა ქართველი. ასეთი სიტუაციებიდან ხალხები გამოდიან მხოლოდ ერთად, ერთად!“⁹¹ მაგრამ საბჭოთა დისკურსთან დაპირისპირება ოსებსა და აფხაზებს შორის აღიქმებოდა, როგორც დაპირისპირება მათ ეროვნულ/სახელმწიფო უფლებებთან.

დაპირისპირების პირველ ტალღაზე იკვეთება ენობრივი დისკურსი. ამ ეტაპზე ოსეთსა და აფხაზეთში თითქმის პარალელური პროცესები მიმდინარეობს.

სახელმწიფო ენის სტატუსი, რასაკვირველია, შეიძლება იყოს წამყვანი მოტივი

⁸⁸ 7 დღე, 1991, აპრილი

⁸⁹ 7 დღე, 1991, აპრილი

⁹⁰ დროინი, 1991, აგვისტო

⁹¹ გამული, 1990, დეკემბერი

დაპირისპირებაში, მაგრამ კონფლიქტის განვითარების მომდევნო ეტაპები ცხადყოფს, რომ დაპირისპირება სახელმწიფო ენის გამო მხოლოდ ერთ-ერთია ეთნონაციონალურ და, უფრო მეტად კი, პოლიტიკურ დაპირისპირებაში. ”კანონთა ომი” ცხინვალსა და თბილის შორის ოლქის პოლიტიკურ სტატუსს შეეხება. ავტონომიური ოლქის სტატუსს ოსური ადმინისტრაცია დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსით ცვლის, რასაც თბილისი შემხვედრი ზომებითა და ღონისძიებებით პასუხობს. დაპირისპირება აფხაზეთში ჯერჯერობით არ გადადის საკანონმდებლო დონეზე. აფხაზეთში განვითარებული მოვლენები: ”ქართველი რადიკალ-ექსტრემისტების წინააღმდეგ” ”ხსნის კომიტეტის” შექმნა სრულიად ეწერება საბჭოთა კავშირის ახალი ეროვნებათაშორისი პოლიტიკის კონტექსტში. აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად მიმდინარე პროცესები, რამდენადაც მათი მედიალური რეფრაქცია, კონფლიქტში მონაწილე მხარეების მედიალური რეპრეზენტაციის ხარისხი.

1990 წლის გაზაფხულზე ქართულ მედიაში თითქმის აღარსად ჩანს ოსური პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოების განწყობები. მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსურ ენაზე გამომავალ გაზეთ ”არიაგ მუნდში”, ფაქტობრივად, დეკლარირებულია ოსი ხალხის პრეტენზიები საქართველოს მიმართ: ”სტუმარი აღმოჩნდა ასი ათასობით ოსი, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფსკერზე და საგსებით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაიკეთონ პოლიტიკური კარიერა რესპუბლიკაში და, ძირითადად, ასრულებენ მძიმე, დაბალანაზდაურებად სამუშაოს. დღეს სხვა ნაციონალურ უმცირესობებთან ერთად ისინი ოპოზიციაში უდგანან იდეას - ”საქართველო ქართველებისთვის!” და განიცდიან დაუფარავ უფლებრივ დისკრიმინაციასა და ნაციონალურ ზეწოლას. საქართველოს არაქართველი მოსახლეობა უხმოდ ადევნებს თვალ-ყურს, როგორ იქმნება ქართული ტექნოლოგიის მიხედვით თავისუფლების ყავისფერი იმიჯი...”⁹². ქართული მედია (ძირითადად, ყოველკვირეული ”7 დღე“) მეტ ყურადღებას უთმობს აფხაზური სეპარატისტული განწყობების წარმოჩენას: „ბოლო წლებში აშკარა ხასიათი მიიღო აფხაზეთის „პოლონიზაციის“ პოლიტიკამ, კომუნისტურმა პარტიამ კი, მისი აზრით, ზომები არ მიიღო „აფხაზური საკითხის“

⁹² არიაგ მუნდი, 1990, მარტი

გადასაწყვეტად“ ; [„აიდგილარა“] მომხრეა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისა მის ეთნიკურ საზღვრებში”⁹³.

ზოგად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ დიად წარმოაჩენდა დისკურსის დაპირისპირების შრეებს: ”შემდეგი საკითხი, რომელზეც მრავალ შეკითხვას გვისვამენ, არის ჩვენი დამოკიდებულება არაქართველ მოსახლეობასთან. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ არ მოვითხოვთ არაქართველთა გასახლებას საქართველოდან, როგორც ამას ზოგიერთი მოგვაწერს. არ მოვითხოვთ მათ დისკრიმინაციას, დევნას. ჩვენ მოვითხოვთ თანასწორუფლებიანობას. ამჟამად არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართველი მოსახლეობა ბევრ რაიონში დისკრიმინირებულია, იჩაგრება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ უფლებათა გათანაბრებას, ქართველთა დისკრიმინაციის შეწყვეტას, ამავე დროს, რასაკვირველია, არაქართველი, ეროვნული უმცირესობების დაკანონებას”⁹⁴. ზოგად დისკურსში ჩანს ძირითადი მიმართებების ბიპოლარიზაცია: ”ჩვენი პატრიოტიზმი – მათი ნაციონალიზმი”; ”ჩვენი ტოლერანტობა - მათი შეურიგებლობა”; ”ჩვენი ჩაგვრა - მათი მჩაგვრელობა”. მაიკლ ბილიგის მეტაფორით რომ ვთქვათ, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის იდეოლოგია - მესამე პირის მრავლობითი რიცხვის იდეოლოგიის წინააღმდეგ.

6.7. ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისი და საქართველო

1990-იანი წლების დასაწყისის დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 9 აპრილს სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო განაცხადი, საქართველო შეერთებოდა მსოფლიოს ერი-სახელმწიფოების სისტემას (რომელიც ენთონი გიდენსმა ადწერა, როგორც „პრეცედენტის უქონელი ისტორიაში“⁹⁵), ეცხოვრა თავისი სახელმწიფო ინტერესით, სახელმწიფოდ ყოფნის მიზანშეწონილობით, ანუ თავისი ეროვნული (სახელმწიფო) ინტერესებით და დამოუკიდებელი ურთიერთობა პქონოდა

⁹³ 7 დღე, 1990, დეკემბერი

⁹⁴ 1990, ოქტომბერი

⁹⁵ Giddens, A. (1987) : 171

გარესამყაროსთან. რას ნიშნავს ერად ყოფნა ერების სამყაროში, - ამის შესახებ მრავალი პოსტულატი არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ენთონი გიდენს ეკუთვნის: „ერი-სახელმწიფოები არ არსებობენ იზოლაციაში, ისინი სხვა ერი-სახელმწიფოების სისტემაში, კომპლექსში არსებობენ“. ეს სამყარო - „ჩვენი“ სამყარო არის ადგილი, სადაც ერებს თავიანთი ოფიციალური ჯარები, პოლიციური ძალები პყავთ, სადაც საზღვრებს გულმოდგინედ იცავენ; სადაც მოქალაქეებს, განსაკუთრებით - მამრობითი სქესის მოქალაქეებს - იწვევენ სასიკვდილოდ ან მოსაკლავად ეროვნული საზღვრების დაცვის სახელით“.⁹⁶

1990-იანი წლების დასაწყისი, კერძოდ, 1990 წელი მიჩნეულია „ახალი მსოფლიო წესრიგის“ გამოცხადების წლად. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა. ამავე წელს დაიმსხვრა ძველი მტრის ხატი (საბჭოთა კავშირი) და შეიქმნა ახლისა (ერაყი და ექსტრემალისტურად განწყობილი ისლამური ფუნდამენტალიზმი); განისაზღვრა ახალი მსოფლიო, უნივერსალური საფრთხის ბუნება და ნიშან-თვისებები. ეს იყო საწყისი წერტილი ერთცენტრიანი, პეგემონისტური მსოფლიოსი, როდესაც პარტიკულარული „ჩვენ“ (ერის, ამერიკელების) გაუთანაბრდა უნივერსალურ „ჩვენ“-ს. თუკი „ცივი ომის“ ეპოქაში არსებობდა პარადიგმა ორი ელემენტით - საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები, ანუ „ჩვენ“ და „ისინი“, - ერთელემენტიანი პარადიგმა, - არსებობის შესანარჩუნებლად, - საპირწონე ელემენტს ეძებდა. საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები მრავალი წლის მანძილზე განუსაზღვრავდნენ ერთმანეთს ფუნქციას, გავლენის სფეროს, იდეოლოგიურ დატვირთვას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სიცარიელე (მტრის ადგილი) შევსებას ითხოვდა. მალევე შეიქმნა ახალი მტრის ხატი - ერაყისა, სპარსეთის ყურის პირველი საომარი კამპანიისას, და ამერიკული პოლიტიკური ელიტის რიტორიკაში სულ უფრო და უფრო ჭირდა გარჩევა იმისა, როდის ნიშნავდა მათი „ჩვენ“ ამერიკელ ერს, ხოლო როდის - უნივერსალურ მორალურობას. განაცხადი „მსოფლიო წესრიგზე“ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან წარმოჩენილი იყო, სწორედ რომ, როგორც მორალური განაცხადი, რომელიც ტოლობის ნიშანს სვამს „ჩვენსა“ და უნივერსალურ „მორალურობას“ შორის. როგორც აღნიშნავს მაიკლ ბილიგი, „ახალი წესრიგის უნივერსალური ასპექტი ერთობ

⁹⁶ იქვე: 166

განსაკუთრებული იყო⁹⁷. დერ დერიენი (Der Derian, 1993) მიუთითებს, რომ ტერმინი „ახალი მსოფლიო წესრიგი“ პირველად შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლებში 1990 წლის აგვისტოში გამოჩნდა და გამოიყენებოდა „ამერიკის მიერ მართული, შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის აღსანიშნავად“⁹⁸; პრეზიდენტმა ბუშმა აშშ კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე 1990 წლის 11 სექტემბერს გამოაცხადა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი იქნებოდა ის „ერა, რომელშიც მსოფლიო ერები, აღმოსავლეთი და დასავლეთი, შეძლებენ განვითარდნენ და ჰარმონიულად იცხოვრონ.“ თავისთავად, ახალი მსოფლიო წესრიგის ვერბალური რეპრეზენტაცია წარმოშობდა თავის დისკურსს, ენას, ფრაზეოლოგიას, რუტინულად, ყოველდღიურად განმეორებადს მედიასა და ლოგომანი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში. სამართლიანობის, წესრიგისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პრინციპებზე საუბრისას ახალი დისკურსი ამბობდა: „ჩვენ“ უნდა ვაღიაროთ სხვათა უფლებები, როდესაც ვესაუბრებით ამ „სხვებს“ და როდესაც შევასენებთ „ჩვენს საკუთარ თავს“, რომ „ჩვენ“, უდიდესი ერი ისტორიაში, ვიცავთ „ჩვენს ინტერესებს“⁹⁹. „იდებს რა ერად ყოფნას როგორც მოცემულობას, ფილოსოფია ვერ ეპყრობა, ვერ განსჯის ყველა ერს თანაბრად. თუკი ფილოსოფია ექოსავით ეპასუხება მიმდინარე დროების გამოძახილს, მაშინ ერთი ეროვნული ხმა სხვებზე უფრო ხმამაღლა უნდა ისმოდეს. შეერთებული შტატები ფილოსოფიურადაც საგანგებო სივრცედ უნდა განვიხილოთ, ისევე, როგორც განიხილავს იგი თავის თავს, საგანგებო პოზიციის მქონედ ახალ მსოფლიო წესრიგში. თუმცა ამბივალენტურობა თანამდევი იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საგანგებო აღგილის მიზებისას. ჰეგემონიის პოლიტიკაში პატრიულარული და უნივერსალური შერწყმულია: მაგალითად, შეერთებული შტატების ლიდერები, ეროვნული ინტერესის წარმოჩენისას აცხადებენ, რომ ისინი წარმოაჩენენ უნივერსალურ ინტერესებს და პირიქით“¹⁰⁰.

⁹⁷ Billig, M. (1995) : 90

⁹⁸ Der Derian, J. (1993) S/N : International Theory, Balkanization and the New World Order in M. Ringrose and A. J. Lerner (eds), Reimagining the Nation. Buckingham: Open University Press

⁹⁹ იქვე: 91

¹⁰⁰ Billig, M. (1995): 156

რიგი მკვლევარებისა (მაგ., ჰაჩისონი, Hutchison (1994)) აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ლიდერების მიერ ეროვნული პათოსითა და სიმბოლოებით მანიპულირებას მასობრივ საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, სპეციფიკური პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მაგალითად, იმავე სპარსეთის ყურის ომის დროს (The Gulf War) ბუშის ადმინისტრაცია პარალელურად ეწეოდა ამერიკის როლის განვითარებას „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებაში და სადამ ჰუსეინისა რევიმის დემონიზაციას¹⁰¹.

ბეშლოსისა და ტელბოტის „წიგნზე „At the highest levels“ (1993) დაყრდნობით, რომელშიც მოთხოვილია 1988-1991 წლების ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთობების კულურული ისტორია, ნოდარ ნათამე წერს: „გორბაჩევი და მისი გუნდი, შევარდნაძის ჩათვლით, სიტყვაშეუბრუნებლად თმობენ აღმოსავლეთ გერმანიას, თანხმდებიან გაერთიანებული გერმანიის ნატო-ში შესვლაზე, თმობენ აღმოსავლეთ ევროპას, თანხმდებიან სსრკ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რადიკალურ დაქვეითებას „პერესტროიკის“ ფორმით, მაგრამ კბილებით იბრძიან საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისთვის. ბუში უფრთხის საბჭოთა კავშირის დაშლას: იგი შიშობს, რომ ბირთვული იარაღი უკონტროლო იქნება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელში და, შესაძლოა, რუსი ავანტურისტი გენერლების ხელში... თქმულიდან გამომდინარე, ბუში 1991 წლის ზაფხულში ურჩევს უკრაინის პარლამენტს, ხელი აიღოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე, რაც აღშფოთების ქარიშხალს იწვევს უკრაინაშიც და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრშიც. მიტომაც . . უკრაინის დამოუკიდებლობის საკითხზე 1991 წლის 1 დეკემბრის რეფერენდუმის წინ ბუში იწვევს ამერიკის უკრაინულ დიასპორას და მისი საშუალებით „გააჟონინებს“ ინფორმაციას, რომ თუ უკრაინელებმა 1 დეკემბრის რეფერენდუმში უკრაინის დამოუკიდებლობას „ჰო“ უთხრეს, აშშ ისე ცნობს უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომ არ დაელოდება მის აღიარებას გორბაჩევის მიერ. ეს უკრაინელთა წახალისებაცაა და ამავე დროს გორბაჩევისთვის სსრკ-ს დაშლის შეტყობინებაცაა ფორმალურად დაუფიქსირებელი სახით. მართლაც, უკრაინა ხმას

¹⁰¹ Kellner, D. (1992) *The Persian Gulf TV War*. Boulder CO: Westview press

აძლევს დამოუკიდებლობას, ხოლო 1991 წლის 21 დეკემბერს ხდება „ბელოვეჟიეს“ შეხვედრა (რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია) და სსრკ-ს დაშლა ცხადდება“¹⁰².

ამავე დროს, ან ცოტა ხნით ადრე, როდესაც პრეზიდენტი ბუში უკრაინას „უჩვენებდა“ გზას, როგორ უნდა მოხვედრილიყო იყო პეგემონისტური „ჩვენის“ წიაღში, საქართველოს მიმართაც დაფიქსირდა გარკვეული შეტყობინება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან - ეს იყო აშშ ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი თბილისში. იმ დროინდელ ქართულ მედიაში ნიქსონის ვიზიტი გადმოცემულია, ძირითადად, ახალი ამბების დისკურსში, ე.წ. „ნიუსის ნარატივში“, თუმცა ქვეტექსტში კარგად ჩანს ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის მოლოდინი ამ ვიზიტის გამო, ჩანს ამ მოლოდინის მოსალოდნელი გაცრუების ტრაგიკულობა საქართველოსთვის და გარკვეული წინასწარი საყვედური დასავლეთის მიმართ. როგორც აღნიშნავს ნოდარ ნათაძე (ნიქსონის ვიზიტის თვითმხილველი, ნიქსონის მიერ გამართული ოპოზიციასთან შეხვედრის მონაწილე): „როგორც ახლა. . . ვხედავ მისი (ნიქსონის – ხ.მ.) პირით საქართველოს პრეზიდენტს გადმოეცა რეგიონის, ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს ჩვენთან დაკავშირებული ნაწილის მოწყობის რაღაც გარკვეული კონცეფცია, რომელიც საქართველოსთვის - და, მაშასადამე, საქართველოს პრეზიდენტისთვისაც - მიუღებელი აღმოჩნდა. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დასავლეთიდან დასახმარებლად გამოწვდილი ხელიდან სწორედ ასეთი ან ამის მსგავსი გეგმა მიიღო წინადაღების სახით, მაგრამ იგი არ შეიწყნარა (და, როგორც დასავლეთის მრავალსაუკუნოვანი იმედითა და ქართული გენის სიამაყით გაზრდილი ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ვერც შეიწყნარებდა), და ასევე, არ გამოვრიცხავ, თუმცა ვერც ვამტკიცებ, რომ ბუშის სიტყვები, რომლებიც მას, გადმოცემით, ზ. გამსახურდიას პოლიტიკის მიმართ უხმარია - საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს - სწორედ ამ არჩევანს ეხება.“¹⁰³

საქართველომ დასავლეთისაგან და დასავლეთმა საქართველოს შესახებ მიიღო ასეთი შეტყობინება: დინებას „ჩვენ“ ვქმნით, „ის“ დინების (ანუ „ჩვენ“-ის) საწინააღმდეგოდ მიცურავს“. საქართველო უნივერსალური მორალურობის აღმნიშვნელი „ჩვენ“-იდან ამერიკულმა პოლიტიკამ დროებით გამორიცხა.

¹⁰² ნათაძე, გ. (2002): 5-6

¹⁰³ ნათაძე, გ. (2002): 176

ეს უკვე იყო იზოლაციონისტური (ჯერ კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში შობილი განწყობა, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლამდე; ორგორ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს - ორგორც საქართველოდან გარესამყაროსკენ, ისე გარესამყაროდან საქართველოსკენ მომართული) პოლიტიკური ტენდენციის ყველაზე მკვეთრი და გადამწყვეტი ხვეული უკვე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. სარკინიგზო ბლოკადა რუსეთსადმი და მოწოდება „ძირს ჯ. ბუში!“ ამ პოლიტიკის გამოხატულებაა, არა იმდენად ორგორც იძულებითი პოლიტიკური ნაბიჯი, რამდენადაც ხელისუფლების თავისუფალი არჩევანი.

1990 წელს ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა, რომელსაც პრეზიდენტ გამსახურდიასგან განსხავავებული შეხედულებები ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალსა და საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევის შესახებ, მოსკოვში საჯარო ლექციაზე ასე გაიხსენა თავისი ცხოვრება თბილისში 1980-იანი წლების ბოლოს: „მე ვიღვიძებდი შავი გვირაბის, სადაც ყველანი ვიმყოფებოდით, ერთ-ერთ ყველაზე პროვინციულ ადგილას, რომელშიც სინათლე არსაიდან აღწევდა. ვგულისხმობ ჩემს ცხოვრებას თბილისში“¹⁰⁴. ზაალ ანდრონიკაშვილისა და გიორგი მაისურაძის მოსაზრებით, „შავი გვირაბი, ორგორც უმეცრებისა და სიბნელის მეტაფორა, თავისთავად უკვე იზოლირებული ჩაკეტილი სიგრცის სიმბოლოს წარმოადგენს, სადაც ყველა კრიტერიუმი და ლირებულება პომოგენურია. ტოპოლოგიურ კატეგორიებში აღწერილი ასეთი მდგომარეობა მამარდაშვილისთვის პროვინციული - მსოფლიო კულტურაში ჩაურთველობის მდგომარეობაა (ამასთან, ცენტრი მდებარეობს არა ორმელიმე ადგილას ტოპოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ იქ, სადაც ხდება განსაკუთრებული „ჩავარდნა“ ყოფიერების მდგომარეობაში და არჩევანი კეთდება „მეტაფიზიკური“ თავისუფლების სასარგებლოდ“¹⁰⁵.

ახალი მსოფლიო წესრიგის პერცეფცია ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, შესაძლებელია, წარმოვიდგენოთ მოლოდინებისა და ლოგიკური კონსტრუქციების სახით: თუკი საბჭოთა კავშირი „ცივ ომში“ დამარცხდა, თუკი მსოფლიო პეგემონობა მისმა მეტოქემ - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა - მოიპოვა,

¹⁰⁴ Мамардашвили, М. (1992) *Вена на заре 20-го века. Как я понимаю философию*. Москва: 388

¹⁰⁵ ანდრონიკაშვილი, ზ. მაისურაძე, გ. (2008): 14

მაშინ საბჭოთა კავშირიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად გამოყოფილი, სახელმწიფო დამოუკიდებლობაგამოცხდებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები ავტომატურად უნდა მოქცეულიყვნენ „ამერიკული კალთის ქვეშ“. თუმცა არც იმდროინდელ მედიაში და არც პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში მკაფიოდ არ ჩანს, რას ნიშნავს „ამერიკული მხარდაჭერა“ საქართველოსთვის, რას მოითხოვს საქართველო დასავლეთისაგან: პოლიტიკურ ალტრუიზმს, რომლის პრეცედენტიც საერთაშორისო პოლიტიკაში და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში არ არსებობს? საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებას მაშინ, როცა ამერიკისათვის ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი მისი ინტერესი რუსეთისადმი? საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის, „მისი განსაკუთრებული ღვაწლის“ საერთაშორისო „ჯეროვნად დაფასებას“? მრავალი ობიექტური ფაქტორის გამო 1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ვერ ექნებოდა თანმიმდევრული, გააზრებული პოლიტიკური რეფერენციები დასავლეთის მიმართ. და ამის გამო ისინი ვერც მედიაში იქნებოდნენ რეპრეზენტირებულნი. მაგრამ სრულიად მკაფიოდ იყო წარმოჩენილი დამოუკიდებლობის გააზრება - საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება ნიშნავდა, რომ გარემომცველი სამყაროსათვის იგი დამოუკიდებელი პარტნიორი, თვითკმარი სუბიექტი უნდა ყოფილიყო - თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, გეოგრაფიით, კულტურული მემკვიდრეობით და არ განხილულიყო, ვთქვათ, ამერიკისა და ევროპის მიერ რუსეთ-ამერიკის ან რუსეთ-ევროპის ურთიერთობის პრიზმაში.

გია ნოდია თავის სტატიაში „დასავლეთის ხატი ქართულ ცნობიერებაში“ წერს, რომ ქართველ დისიდენტთა შორის არსებობდა „ერის“, „დასავლეთის“ გაიდეალურებული ხატები და „რუსეთის“, „იმპერიის“ დემონიზებული კლიშეები: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდმა თავისი კრახით დასრულებული გამსახურდიას მმართველობის კულმინაციით გააშიშვლა დრმა ნაპრალი ერის იდეალურ თვითწარმოდგენასა (წარმოშობილი პერიოდში, როდესაც საქართველო მოკლებული იყო დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას) და პოლიტიკური ქმედების იმ სახეობებს შორის, რომლისთვისაც რეალური ქართველები მთლად მზად არა, ან საერთოდ მოუმზადებლები აღმოჩნდნენ“.

ზეინდ გამსახურდიას, როგორც დისიდენტის, ცნობიერებაში არსებული დასავლეთის სახე წინააღმდეგობაში მოვიდა რეალურ პოლიტიკურ სივრცესთან, ანუ

დისიდენტისა და პრეზიდენტის სააზროვნო და სამოქმედო სივრცეები შეეწინააღმდეგა ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, გამსახურდია და მისი გარემოცვა - „რეალური ქართველები“ - მართლაც არ აღმოჩნდნენ რეალობის აღეკვატური აღქმისათვის.

საქართველოს საზღვრებს მიღმა უკვე „უცხოეთი“ იყო, რასაკვირველია, არა ერთსახოვანი და ერთგვაროვანი. „უცხოელი“, ერი-სახელმწიფოს ეპოქაში, წარმოადგენს სპეციფიკურ კატეგორიას და არა ზოგადად „სხვას“. ეს თვალსაზრისი კარგად გამოხატა იულია კრისტევამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების კვალდაკვალ „ჩვენ მივდივართ უცხოელობის ერთადერთ თანამედროვე, მისაღებ და მკაფიო განსაზღვრებამდე: უცხოელი არის ის, ვინც არ ეკუთვნის იმ სახელმწიფოს, რომელშიც ჩვენ ვართ, და ვინც არ არის იმავე ეროვნების“¹⁰⁶. მთელი გარესამყაროს გაერთიანება მხოლოდ „უცხოელობის“ ნიშნით გარემოს მხოლოდ ერთი მიმართულებით კატეგორიზაციაა. „უცხოელებს“ შორის ჰიპოთეტურად არსებობდნენ: მეზობლები, მეგობრულები და მტრულები განწყობილი ერები, მოკავშირეები, ურთიერთობების სანგრძლივი ისტორიით და ამ ისტორიის საერთოდ უქონლობით... ქრისტიანები და მუსლიმანები, პატარები და დიდები, გავლენიანები - გავლენის მზარდი ან კლებითი ტენდენციით... „უცხოეთის“ მედიურ რეპრეზენტაციას უნდა მოეხდინა ამ ფენომენის ნიშან-თვისობრივი რეპრეზენტაცია: როგორ გარემოში იწყებდა არსებობას ერი-სახელმწიფოს ამბიციით საქართველო. ამ გარემოს მედიური კონსტრუირება არანაკლები სირთულის ამოცანა იყო, ვიდრე შიდა ეროვნული სივრცის მედიური წარმოსახვა. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო არა მარტო იმ გარემოებების, ფაქტორების წარმოჩენა, რომლებზე დაყრდნობითაც, - როგორც მეტ-ნაკლებად ობიექტურ ნიშნებზე, მახასიათებლებზე, - შეიქმნებოდა ზოგადი წარმოდგენა გარემოზე, „უცხოეთზე“, არამედ ამ გარემოს შემადგენელი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ერთეულების დიფერენციაცია და კატეგორიზაცია პოტენციური დამოკიდებულებების, ურთიერთკავშირების განსასაზღვრად.

ცხადია, რომ ერი-სახელმწიფოს *raison d'etat* დისკურსიდან გარემოს წარმოსახვა, მისი მედიური კონსტრუირება მხოლოდ ეთნოცენტრისტულ პლატფორმაზე დაყრდნობით ვერ მოხდებოდა. ეთნოცენტრიზმისთვის დამახასიათებელი „ჯგუფური

¹⁰⁶ Kristeva, J. (1991) *Strangers To Ourselves*. Hemel Hempstead: Harvester/Wheatsheaf. 96

სიამაყე და ქედმაღლობა, საკუთარი აღმატებულობით ტრაბახი, საკუთარი დგომაებიობის განდიდება და „უცხოელების მიმართ ზიზღი“¹⁰⁷ ვერ იქნებოდა გარემოში ორიენტაციისათვის გამოსადეგი და პრაგმატულად საჭირო ინსტრუმენტი ერი-სახელმწიფოსთვის. 1990-იანი წლების დასაწყისი ახლად შექმნილი ერო-სახელმწიფოებისთვის იყო ერთგავრი მიბრუნება პობსისეულ „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ პოსტულატთან, რომლის პირობებშიც მხოლოდ უსაფრთხოების ინტერესი ხდება ურთიერთობის განმსაზღვრელი და განმაპირობებელი.

ადამიანთაშორის ურთიერთობის დასახასიათებლად შექმნილი ეს პრინციპი უნდა გავრცელებულიყო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე - საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების ცნობიერებაში დანერგილი „ხალხთა მეგობრობისა“ და „კლასობრივი ბრძოლის“ პრინციპების საპირისპიროდ.

საბჭოთა საქართველოსთვის გარემოში ყველაფერი ნათელი იყო - მტერიცა და მოყვარეც, მეზობელიცა და მოკავშირეც, საბჭოთა იდეოლოგიის ლოგიკით. მეზობელი თურქეთი მტერი იყო, ხოლო შორეული მონდოლეთი - მეგობარი. 1990-იანი წლების დასაწყისისთვის თვითონ საფრთხის, შესაძლო, პოტენციური საფრთხის ბუნებაც გამოსაკვლევი და საჯაროდ კონსტრუირებული უნდა ყოფილიყო. საიდან შეიძლებოდა წამოსულიყო საფრთხე, როგორი ბუნების, რა მასშტაბის, რა შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, ვინ და რატომ იქნებოდა მტერი, ვინ მოყვარე - ეს საკითხები იმ პერიოდის ქართული მედიის ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი“ თემები იყო.

„ხალხთა მეგობრობა“, როგორც სოციალური ფსიქოლოგიის სინდრომი, განეკუთვნება „ენობრივი შიზოფრენიის“ რიგს... „ხალხთა მეგობრობა“ ბუნებაში არ არსებობს და არ არსებობს ინ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეგობრობა ფსიქოლოგიურად ... არის ინდივიდუალური გრძნობის კატეგორია.¹⁰⁸ (ციტატის ავტორი - სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი); „ჩვენ ხომ კარგად გვესმის, რომ ხალხი, რუსი იქნება ის, ოსი, აფხაზი თუ თათარი, თავისთავად, არც კეთილია და არც ბოროტი, არც მტერი და არც მოყვარე. „მტერი“ ყველასთვის საერთოა. ეს არის მახინჯი დოქტრინა, რომელიც სამტრო ურთიერთობისკენ უბიძგებს ხალხებს“¹⁰⁹.

¹⁰⁷ Sumner, W. G. (1906) *Folkways*. Boston, MA: Ginn: 13

¹⁰⁸ გამული, 1991, გაისი

¹⁰⁹ იქვე

ამგვარი რიტორიკა ერთობ დამახასიათებელია იმ პერიოდის საჯარო გამოსვლებისათვის. ეს არის: საბჭოთა ეროვნებათაშორისი პრაქტიკისაგან გამიჯვნის მაგალითი; ახალი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბების აუცილებლობის გააზრების მაგალითი; მტრის, მოყვრის, საფრთხის დიალექტიკის ხელახალი გააზრების მაგალითი. აქ ნათლად არის გამოკვეთილი იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი კატეგორიული მსჯელობა - ყველაფერი საბჭოთასაგან, კომუნისტურისგან გამიჯვნის დაუოკებელი სურვილი შეტყობინების ავტორს შეგნებულად წარმოაჩენინებს „ხალხთა მეგობრობას“ როგორც „ენობრივ შიზოფრენიას“ და არა ამ სიტყვათშეთანხმების უფრო რაციონალურ და არამეტაფორულ ეკვივალენტად, „იდეოლოგიურ სოლიდარობად“. ყველას წინააღმდეგ ჰქილოთებური ომის, გულგრილ, ეგოისტურ გარემოში ცხოვრების გამო ვაებას: „დღეს საქართველო გამოუცხადებელ საომარ მდგომარეობაშია, ამდენი აშკარა და ფარული მტრის არსებობა ძნელად მოსანახია თვით ჩვენს ავბედით მატიანეშიც კი“¹¹⁰; „ვინ ნადვლობს ჩვენზე დღეგანდელ ეგოისტურ მსოფლიოში? - არავინ“¹¹¹, ენაცვლება გაცილებით უფრო პრაგმატული დისკურსი: „სანამ არ მოვაგვარებთ ურთიერთობებს ჩვენს მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან, სანამ მათთან არ მოვაწესრიგებთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ საკითხებს, ვერ გვიშველიან ამერიკელები, ფრანგები, გერმანელები...“¹¹²; „უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძველი უმთავრესია ასეთ შემთხვევაში, რათა მოხდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დე იურე ცნობა, მისი შესვლა გაერთიანებაში და სხვა ორგანიზაციებში“¹¹³.

¹¹⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 14 მარტი

¹¹¹ მამული, 1991, ნოემბერი

¹¹² მამული, 1991, მარტი

¹¹³ 7 დღე, 1991, აპრილი

თავი 7

სამშობლო, ერი-სახელმწიფო და ქართული ელიტები

7.1. თეორიული არგუმენტები საკვლევი საკითხის ჩამოსაყალიბებლად

შექმენი სამშობლო, ყოველი სიტყვით, მათ შორის, ყველაზე უმნიშვნელოთოთაც კი, მუდმივად მიანიშნე ერების სამყაროს არსებობაზე. ყოველი ადამიანი, რომელიც მიიღებს და წაიკითხავს გაზეოს, მიიღებს წარმოსახულ სამშობლოს და გახდება ერის, ეროვნული ერთობის წევრი... ასეთი იყო ერთ-ერთი გამოწვევათაგანი, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედიის წინაშე იდგა.

წინამდებარე თავის მიზანი არის მთავლიტის ცენზურისაგან გათავისუფლებული ქართული ბეჭდური მედიის როლის ჩვენება ეროვნული იდენტობის შექმნაში, მის ინტერპრეტაციასა და შენარჩუნებაში სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში; კვლევა შეეხება: ა) მედიური რეპრეზენტაციის მნიშვნელობას გაზიარებული კოლექტიური იდენტობისა შექმნასა და შენარჩუნებაში საერთო ტერიტორიის გაზიარებული განცდის საფუძველზე, და ბ) წყაროს ტიპის მნიშვნელობასა და გავლენას მედიაში ეროვნული იდენტობის დამამკიდრებელი ენის, დისკურსის შექმნაში. ხუთი ქართული გაზეთიდან აღებული 1736 ერთგულის კონტენტ-ანალიზი საშუალებას იძლევა, წარმოვაჩინოთ რელეგანტური ეროვნული კონტექსტი 1990-იანი წლების დასაწყისის ქართულ ბეჭდურ მედიაში.

წინამდებარე კვლევით ვამტკიცებ, რომ ეროვნულ-იდენტობითი დისკურსი, გამოხატული “ეროვნული ადგილისადმი” მიჯაჭვულობაში, იყო ის ცენტრალური თემა, საკითხი, რომლის ირგვლივაც რაზმაგდნენ იმ პერიოდის ახალი პოლიტიკური და კულტურულ-სამეცნიერო ელიტები ქართულ საზოგადოებას სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის ირგვლივ. ეს იყო ის სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რომლის ძალითაც გუშინდელი “არაფორმალები” და გუშინდელი “დისიდენტური” ან “კაბინეტური” ინტელიგენცია, ცდილობდა, წარმოეჩინა, რომ სწორედ იგი იყო ის ძალა, რომელსაც პქონდა “ახალი ქართველის სულიერი ლიდერის” თვისებები.

კვლევის მიგნებებს წარმოადგენს: ა) სახელმწიფო მოხელეები და ინტელიგენცია იყო ის ძირითადი აქტანტები, რომლებიც ქმნიდნენ ეროვნული იდენტობის გამამყარებელ ენას მედიაში; ბ) რომ უურნალისტები მხოლოდ უკან მისდევდნენ ან პარალელურად მიჰყვებოდნენ სახელისუფლებო ელიტასა და ინტელიგენციას ამ ენისა და დისკურსის შექმნაში.

როგორც აღნიშნავს რიგი მკვლევარებისა (მაგ., ანდრონიკაშვილი და მაისურაძე (2007)), “ეროვნული თემა გახდა ის ახალი, აუცილებელი კონიუნქტურა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებდა და საკუთარ თავს მოიაზრებდა მთელი ქართული ინტელიგენცია. შედეგად, იმავე ფსევდოკულტურის ფარგლებში მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას ჩაენაცვლა რადიკალურად ნაციონალისტური იდეოლოგია”. სხვა ქართველი მკვლევარები (მაგ., სურგულაძე, რ. (2003), მაისაშვილი (2008)) მიიჩნევენ, რომ ერთი იდეოლოგიის მეორე იდეოლოგიით ჩანაცვლება მედიისთვის ნიშნავს მხოლოდ ფასადურ ცვლილებებს და არა თვისობრივად მედიის გათავისუფლებას ნებისმიერი ტიპის იდეოლოგიური დომინაციისაგან. თუნდაც, ჟურნალისტების მიერ სამთავრობო თუ არასამთავრობო ელიტისთვის “დათმობილი” უპირატესი კომუნიკატორის პრივილეგია ადასტურებს, რომ 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედია არ იყო სრულად გათავისუფლებული იდეოლოგიური დომინაციისგან.

2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩემს მიერ ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვის დროს, 1990-1991 წლებში ქართულ ბეჭდურ მედიაში მოღვაწე სხვადასხვა თანამდებობრივი ცენზის მქონე პიროვნებებს მივმართეთ შეკითხვით: წყაროს რომელი ტიპი მიგაჩნდათ უპირატესად ეროვნულ-იდენტობითი ენის შექმნაში 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში? გამოკითხვაში მონაწილეობდა 18 რესპონდენტი. პასუხები ამგვარად განაწილდა:

ცხრილი 1. ძირითადი წაყროები ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის შექმნაში მედიაში

	პროცენტებში
საქართველოს პრეზიდენტი	22,2%
ინტელიგენცია	33,3%
სახელისუფლებო ოფიციალური პირები	5,6%
ჟურნალისტები	16,7%
საზოგადოებრივი აზრი	16,7%
საზოგადოებრივ/პოლიტიკური გაერთიანებები	5,6%

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მართებულია საკვლევი საკითხის შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში წარმოდგენილი რომელი ტიპის წყარო იყო დომინანტური კომუნიკატორი ეროვნული იდენტობის გამამყარებელი დისკურსის შექმნაში?

72. მეთოდი

კონსტრუქტის “ეროვნული იდენტობის დისკურსის” სიფართოვის გამო მე ვირჩევ მის სპეციფიკურ ვერსიას – “დისკურსი, რომელიც რეპრეზენტირებს მედიაში სამშობლოსა და ერ-სახელმწიფოს”. 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედია, როგორც ცნება, ამგვარად შეიძლება იყოს ოპერაციულად განსაზღვრებული: 1990-1991 წლებში გამომავალი ბეჭდური გამოცემების სიმრავლე, რომელიც აერთიანებს: ა) სხვადასხვა კომუნიკაციური ფუნქციებისა და მიზნების გამოცემებს; ბ) რომლებსაც ახასიათებთ დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხი (სახელმწიფოსგან, გამომცემელი ორგანოსგან, სარედაქციო პოლიტიკის წარმმართველისგან და ა.შ.); გ) გააჩნიათ სხვადასხვა სოციალური დამოკიდებულებების სტრუქტურა. თითოეული მათგანის სრული კომპლექტის მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომობამ განაპირობა ემპირიული მასალის შესწავლის უწყვეტობა. მთლიანად გაანალიზდა 1736 საზრისისეული ერთეული: 142 – “კომუნისტიდან”, 998 – “საქართველოს რესპუბლიკიდან”, 231 – “7 დღიდან”, 194 – “დრონიდან”, 171 – “მამულიდან”.

საზრისისეულ ერთეულად აღებულ იქნა შეტყობინების წყაროს ტიპი, ვინაიდან ჩემს საკვლევ ინტერესს წარმოადგენდა პრიორიტეტულობისა და განსხვავებულობის იდენტიფიცირება წყაროს ტიპებს შორის, რათა გამომეცადა მათი შეტყობინებების ეროვნულ-იდენტობითი ენა და ვალენტობები. გამოიყო ყველაზე ტიპური და ვალიდური წყაროების 5 კატეგორია: A – საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე/საქართველოს პრეზიდენტი; B – სახელისუფლებო ელიტა, რომელიც მოიცავს: პრემიერმინისტრს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს, სამინისტროების უმაღლესი რანგის მოხელეებს (მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები), უზენაესი საბჭოს წევრებს, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობების მოხელეებს; C – არასახელისუფლებო ელიტა, რომელიც მოიცავს: ინტელიგნციის წარმომადგენლებს; ეროვნული კონგრესის წევრებს; D – უურნალისტები, თითოეული რელევანტური მედიური ამბის ავტორები, მიკუთვნებულ

იქნენ ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის მატარებლებს; E - მოქალაქეები: წყაროების კატეგორია, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას და მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ჩნდებიან ან კოლექტიურ წერილებში, ან ახალი ამბების გაშუქებისას.

წყაროების განცხადებები და კომენტარები კოდირებულ იქნა მათში ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის შემცველობის ნიშნით საქართველოს ტერიტორიის მედიური რეპრეზენტაციისას.

ატრიბუცია “სამშობლოს მიწა-წყალი და სახელმწიფოს ტერიტორია”: ამ ცვლადისთვის კოდი “1” მიენიჭა წყაროებს, რომელთა შეტყობინებებში საქართველოს ტერიტორია წარმოჩენილი იყო როგორც ეთნიკურ ქართველთა სამშობლო; კოდი “2” მიენიჭა წყაროებს, რომელთა განცხადებებითაც საქართველო წარმოჩენილი იყო როგორც საქართველოს ყველა მოქალაქის სახლი. ამ ჯგუფისთვის კოდირებულ იქნა 565 საზრისისეული ერთეული.

ატრიბუცია “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა”: ამ ცვლადისთვის კოდი “1” მიენიჭა წყაროებს, რომელთა განცხადებებსა და კომენტარებში საქართველოს ტერიტორია წარმოჩენილია როგორც ერთიანი და განუყოფელი; კოდი “2” მიენიჭა წყაროებს, რომელთა განცხადებებში საქართველოს მიწა წარმოჩენილ იყო როგორც დანაწევრებული ან მოსალოდნელად დანაწევრებული არსებული, ან მოსალოდნელი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად. ამ ჯგუფში მთლიანად კოდირებულ იქნა 621 საზრისისეული ერთეული.

ატრიბუცია “რას ამბობს მსოფლიო ჩვენს შესახებ”: ამ ცვლადის მიხედვით, კოდი “1” მიენიჭა წყაროებს, რომლებიც თავიანთ განცხადებებსა და კომენტარებში საქართველოს წარმოაჩენენ როგორც შექების დირსს თავისი ისტორიული დანიშნულების შესრულების გამო. კოდი “2” მიენიჭა წყაროებს, რომელთა განცხადებებსა და კომენტარებში საქართველო წარმოჩენილია, როგორც უგულებელყოფისა და გაკიცხვის დირსი, თავისი მისის შეუსრულებლობის გამო. ამ მიმართების მხრივ კოდირებულ იქნა 550 ერთეული.

კოდირების პროცედურას აწარმოებდა ორი პიროვნება. წყაროს ტიპის მიხედვით, მეკოდირეები შეთანხმდნენ 12 ტიპზე მთლიანად 14 ტიპიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ სანდოობის კოეფიციენტმა შეადგინა 0.85. ეროვნული იდენტობის

ცვლადებისთვის, მეკოდირეები შეთანხმდნენ 1453 ერთეულზე მთლიანი 1736-დან. ამ შემთხვევაში სანდოობის კოეფიციენტი შეადგინა 0.83.

კოდირების პროცედურის დასრულების შემდეგ წყაროების ტიპები გაანალიზდა ფაქტორული ანალიზის მეთოდით, რათა გამოკვეთილიყო თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა და მისი გავლენა სხვა ფაქტორებზე.

73. შედეგები. წყაროების ტიპები და შინაარსობრივი კატეგორიები. რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი

რაოდენობრივი ანალიზი წარმოდგენილია ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კონტენტანალიზის ტექნიკით გამოიცდება ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის ყალიბები შერჩეული წყაროს ტიპების მიხედვით. მეორე ეტაპზე კი მოხდება მათი მნიშვნელობისა და გავლენის განსაზღვრა ფაქტორული ანალიზის ტექნიკით.

საკვლევი საკითხის ტესტირების პირველ მოქმედებად მივმართავთ კროს-ტაბის პროცედურას წყაროს ტიპებსა და მათ შეტყობინებებში დისკურსის ეროვნულ-იდენტობით გალენტობებს შორის.

ცხრილი 2. წყაროები მედიაშინაარსში. ეროვნული იდენტობის დისკურსის ვალენტობა

#	საქართვ ელოს პრეზიდე ნტი (%)	სახელის უფლებო ელიტა (%)	არასახელი სუფლებო ელიტა (%)	ჟურნალის ტები (%)	მოქალაქ ები (%)	X ² , df, p
სამშობლო თუ						
სახელმწიფო?						
1.ეთნიკური	48	41		46	34	X ² =20.3;
ქართველების				54		df=4;
სამშობლო					66	P<.05
					42	

2.საქართველოს ყველა მოქალაქის სახელმწიფო მთლიანად	52 N=98	59 N=64		N=188	N=57	
ატრიბუცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი 1.ერთიანი 2.დანაწევრებული მთლიანად	45 55 N=109	58 42 N=167	37 63 N=199	39 61 N=139	34 66 N=7	X ² =18.97; df=4; P<.05
ატრიბუცია “რას ამბობს მსოფლიო ჩვენებ” 1.გვაფასებს/გვაქებს 2.გვარცხვენს/გულგ რილია მთლიანად	36 64 N=313	48 52 N=24	39 61 N=196	46 54 N=17	0 0 N=0	X ² =1.43; df=4; p<.02

ამ შედეგების მიხედვით, დისკურსის მაღალი ეროვნულ-იდენტობითი ბუნება ყველა ტიპის წყაროსთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია. აღწერითმა სტატისტიკამ შექმნა ჩვენთვის საინტერესო ერთეულებისა და ცვლადების, საზრისისეული ერთეულისა და შინაარსობრივი კატეგორიების აღწერით,

რაოდენობრივი სურათი, ხოლო კროს-ტაბის პროცედურამ მოგვცა ისეთი სტატისტიკური კვადრატული მნიშვნელობა, რომელმაც ასახა ყველა საზრისისეული ერთეულისა და მათი კონტექსტის ყველა ვალენტობის ურთიერთმიმართება, განსაზღვრა თავისუფლების ხარისხი. კროს-ტაბის მნიშვნელობამ და თავისუფლების ხარისხმა მკვლევარის მიერ დაშვებული შეცდომის ალბათობა განსაზღვრა პირველ და მეორე შემთხვევაში როგორც 0.5-ზე მცირე, ხოლო მესამე შემთხვევაში როგორც 0.02-ზე მცირე.

საქართველოს პრეზიდენტი, სახელისუფლებო ელიტა და არასახელისუფლებო ელიტა დაახლოებით მსგავს სხვაობას ავლენენ სამშობლოს ცნების გამამყარებელ (აფირმატიულ) და სახელმწიფოს ცნების გამამყარებელ დისკურსებს შორის (პრეზიდენტი – 48% და 52%; სახელისუფლებო ელიტა – 41% და 59%; არასახელისუფლებო ელიტა – 46% და 54% სახელმწიფოს ცნების გამამყარებელი დისკურსის სასარგებლოდ). ყველაზე დიდი ამპლიტუდა პირველი ატრიბუციის მიხედვით აღინიშნება უურნალისტთა დისკურსში: 32%-იანი სხვაობა სახელმწიფოს ცნების გამყარების სასარგებლოდ. ეს გარემოება ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მიუხედავად იდეოლოგიური დომინაციის არსებობისა ინდროინდელ ქართულ მედიაში, უურნალისტები ცდილობენ, წინ აღუდგნენ ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევებას საზოგადოებაში. სამშობლოს გამამყარებელი ენა და დისკურსი გვხვდება მოქალაქეთა წერილებსა და კომენტარებში, რაც, ჩემი აზრით, განპირობებულია: а) ეროვნულ-განმათავისუფლებებლი მოძრაობის ქუჩის რიტორიკის გავლენითა და ინერციით, და ეს დისკურსი მის დაგვიანებულ ექოს წარმოადგენს; б) გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ დაშვებით, რომ პირველი სიგნალები არსებული ან მოახლოებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შესახებ ყველაზე სტერეოტიპული და პრიმიტიული, ე.წ. “ხალხური” ნარატივით, სწორედ, მოქალაქეთა მიერ გაჟღერდეს.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში ეს დისკურსი არ არის სწორხაზოვანი. იგი ორ ქვემიმართებას შეიცავს:

ა) ქართველის, როგორც დომინანტი ერის წარმომადგენლის, წარმოჩენა და მისი უპირატესობა მისსავე ეროვნულ ტერიტორიაზე; და

ბ) ქართველის დისკრიმინაცია საქართველოში, როგორც საბჭოთა ინტერნაციონალიზმის პრაქტიკა, გამოცდილება და მისი ინერცია, როგორც პრობლემა.

პირველი ქვემიმართების ნიმუშებია: „საქართველო არის სახელმწიფო, ქართველებისაგან შემდგარი“¹¹⁴; „მხოლოდ ქართულმა ჯიშმა... უნდა იხსნას ქართული მიწა იავარქმნისაგან“¹¹⁵. დისკურსი ეთნიფიკაციურია, თუმცა არა აგრესიული, არა შედარებითი - არ ხდება დაპირისპირება სხვა ეთნოსისა თუ ეროვნებების წარმომადგენლებთან; ერთის, დომინანტის, უპირატესობის მტკიცება, მეორესთან, არადომინანტთან, შედარებით. ამ მიმართების ნიმუშები რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდება მეორე ქვემიმართების ნიმუშებს. მეორე ქვემიმართებაში, - სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ან უშუალოდ მათ მიერ (პრეზიდენტი, სახელისუფლებო ელიტა, არასახელისუფლებო ელიტა, ურნალისტები, მოქალაქეები), - იქმნება საქართველოს სახე, რომელშიც ქართველები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან, შევიწროებულები სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიერ. ეროვნული ტერიტორია, სამშობლო, ამ მედიური ხატების მიხედვით, ინტერნაციონალისტური საცდელ-ექსპერიმენტული ლაბორატორიაა. მედია ამ გამოცდილების შემხსენებელიცად და პრევენციული ზომების რეკომენდატორიც: „თუ აქამდე საქართველოში ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია იყო, ამჟამად ქართველი მოსახლეობის ინტერესები უნდა იყოს დაცული უწინარეს ყოვლისა, მაგრამ ჩვენ ამით არ გამოვრიცხავთ ზრუნვას ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზე“¹¹⁶; ან: „გაძლიერდა ინტერნაციონალისტური კურსი: არაქართველთა არნახული ექსპანსია საქართველოში, დრაკონული კანონები ქართველთა წინააღმდეგ“¹¹⁷; ან: „საქართველოში აზერბაიჯანიდან ჩამოსახლებულებიც (და სხვა არაქართველნიც) ძალზე ხშირად ფრიად აგრესიულად იქცვიან მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიმართ... ჩვენი მოსახლეობის 35 პროცენტი ისედაც არაქართველია“¹¹⁸,

¹¹⁴ კომუნისტი, 1990, 8 ნოემბერი

¹¹⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 16 დეკემბერი

¹¹⁶ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი

¹¹⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 22 ოქტომბერი

¹¹⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 16 მარტი

„საკუთარ მიწა-წყალზე ქართველი მოსახლეობის შევიწროება ყველა საერთაშორისო ნორმით შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთაშორისო დანაშაული“¹¹⁹.

შეტყობინებათა არსი ნათელია, მაგრამ როგორია მოსალოდნელი უკუკავშირი მიმღების მხრიდან? როგორ უნდა მოხდეს ამ შეტყობინების დეკოდირება? ვინ იგულისხმება მიმღებად? - მხოლოდ ეთნიკური ქართველები, რომელთა „ინტერესებიც უნდა იყოს დაცული უწინარეს ყოვლისა“? მედიურ შეტყობინებას, პერსონალური კომუნიკაციისაგან განსხვავებით, გავრცელების მასობრივი ხასიათი და წვდომადობის შეუზღუდავი უნარი აქვს - მას ვერ მიმართავ შერჩევითი პრინციპით, მით უმეტეს, როდესაც შეტყობინების გამგზავნი ქვეყნის პრეზიდენტია.

მოქალაქეობრივ-სახელმწიფოებრივი მიმართებების ნიმუშების ანალიზმა საკმაოდ ბევრი ორაზროვანი ნიმუში წარმოაჩინა, - ნიმუშები, რომლებსაც არ შეეძლოთ ეთნიკური დისკურსის დრამატული სიმბაფრის დაბალანსება და რომლებშიც შენარჩუნებული იყო იდენტობითი ბინარულობა - „ჩვენ“ და „ისინი“: „საქართველო მათვის [არაქართული მოსახლეობისთვის - ხ.გ.] მშობლიური სახლი გახდა, თავისი მზით გაათბო, თავისი წყაროთი დაარწყელა, თავისი პურით გამოზარდა“¹²⁰ (ტიპური ურთიერთობა სტუმარსა და მასპინძელს შორის, როცა მასპინძელი სტუმრისთვის მუდმივი დონორი ხდება). „იდეალური ის იქნება, ქართველმაც, აფხაზმაც, ოსმაც, სომებმაც, აზერბაიჯანელმაც, რუსმაც და სხვამაც ერთობლივად და ერთგულად დაიცვას საქართველოს ერთიანობა და წესრიგი“¹²¹. ამ შეტყობინებაში, რომლის ავტორიც ინტელიგენციის წარმომადგენელია, დერძული და ლოგიკური მახვილის მომთხოვნი სიტყვა არის „იდეალური“. შეტყობინების ქვეტექსტში იკითხება, რომ არსებული მდგომარეობა პრობლემურია („იდეალური“ - ეს პრობლემის გადაწყვეტის, მისი გადაჭრის უმაღლესი და, როგორც წესი, მიუღწევადი დონეა - შეადარეთ: არა ოპტიმალური, არა სასურველი, არამედ იდეალური).

ეროვნული ერთობის, როგორც პოლიტიკური პრინციპის, რეალიზაციის პერსპექტივა მედიაში წარმოჩენილია წინაპირობებისა და დათქმების მთელი წევების ფონზე. ეთნიკურად არაქართველების მიმართ ქვეტექსტებში იკითხება ეჭვებისა და

¹¹⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 5 იანვარი

¹²⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 16 დეკემბერი

¹²¹ მაზული, 1991, იანვარი

ვარაუდების ჯაჭვი: არიან თუ არა ისინი საქართველოს ახალი სახელმწიფოს შენების სრულფასოვანი მონაწილეები? თქვეს თუ არა მათ ეთნიკურ ქართველებთან ერთად და თანაბრად: „არ გვინდა რუსეთის იმპერიაში ყოფნა“? რა გაიდეს მათ, ეთნიკური ქართველების თანასწორად, ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის? მიუხედავად ამ შეტყობინებების მიმართებების ორაზროვნებისა, ისინი თავიანთი პრაგმატიკული ასპექტით მივიჩნიე, როგორც სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი დისკურსის ნიმუშები. მკაფიო შინაარსის მატარებელი შეტყობინებების ტიპური მაგალითებია: “გავხდეთ თანამედროვე ერი-სახელმწიფო, რომელიც არის არა ეთნოსი, არამედ ინდივიდების კრებული, უნარი და თვისება რომ აქვთ, იყვნენ მოქალაქეები, ე. ი. განვითარებული სამართლებრივი ცნობიერებისა და უნარის მატარებელნიც”¹²² (შეტყობინების წყარო – ინტელიგენციის წარმომადგენელი); “არავითარი სიტყვიერი ან წერილობითი განკარგულება არაქართველთა (მათ შორის - ოსთა) დისკრიმინაციის შესახებ არ არსებობს! ლოზუნგი – ოსებო, წაეთრიეთ საქართველოდან! – არის იმ ადამიანების მონაჩმახი, ვისაც მხოლოდ ამგვარი კაცომოძულე საქციელით შეუძლია, გამოიჩინოს თავი”¹²³. (შეტყობინების წყარო – ურნალისტი).

ეს შეტყობინებები მიმართულია მკითხველის მიერ არა პასიური დამახსოვრებისკენ, არამედ ცნობიერ აქტივში მათ გადასატანად; ორაზროვანი მიმართებების მქონე შეტყობინებების დასაბალანსებლად და ერის მოდერნული გაგების დასამკვიდრებლად, რაოდენ არაპოპულარულადაც უნდა უღერდნენ ისინი მოცემულ პოლიტიკურ კონტაქსტში. ნიშანდობლივ სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივ დისკურსს ვხვდებით ”მამულის“ მედიურ ნიმუშში: ”დამოუკიდებელ საქართველოს ქმნის არა ქართული ეთნოსი, არამედ მთელი ქართველი ერი, ნაცია, სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ყოველი ეთნოსისა და მოქალაქის სახით. ... აფხაზისა და ოსის სამშობლო იფარგლება არა სტალინის მიერ მოხაზული საზღვრებით, არამედ მოიცავს მთელს რესპუბლიკას ფსოუდან ალაზნამდე, ლიახვის სათავეებიდან - ჭოროხამდე”¹²⁴ (წყარო – ინტელიგენციის წარმომადგენელი). საფრთხე ეროვნული ერთობისათვის, ამ მედიური ნიმუშის მიხედვით, მდგომარეობს იმაში, რომ თავად

¹²² 7 დღე, 1990, 6 დეკემბერი

¹²³ 7 დღე, 1991, იანვარი

¹²⁴ გამული, 1991, აპრილი

ოსმა და აფხაზმა თავიანთ სამშობლოდ ”სტალინის მიერ მოხაზული” ტერიტორიები აირჩიეს, და არა მთელი საქართველოს ტერიტორია. საქართველოს მომავალი ერი-სახელმწიფო მათ ახალი სახელმწიფოებრივი რეინტეგრაციისაკენ მოუწოდებს.

მედიურ ნიმუშებში მოცემული განწყობა სინის წყაროების მიერ გამოჩენილ ტენდენციებს, საქართველოს ტერიტორია უფრო მეტად ფრაგმენტირებულად, დანაწევრებულად წარმოაჩინონ, ვიდრე - ერთიანად და განუყოფლად. შეიძლო ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დასაწყისი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და მომავალი კონფლიქტის დიზაინის ჩამოყალიბება აფხაზეთში, სეპარატისტული განწყობების გაძლიერება უფრო მეტად ამძაფრებს სამშობლოსადმი მიბმულობის გრძნობის რეპრეზენტაციას მედიაში. აქ საუბარი არ არის იმის შესახებ, რომ მსოფლიო მეტისმეტად პატარაა საიმისოდ, რომ აიტანოს, ვთქვათ, ორი ოსეთი, თუნდაც საზღვრები მათ შორის მკაცრად იყოს გამიჯნული და თუნდაც ერთს “ჩრდილოეთი” ერქვას და მეორეს – “სამხრეთი”. აქ მედიაციის ფუნქცია სხვა რამეა – ქართველისათვის სამშობლოს თუნდაც ერთი გოჯის დაკარგვა უკვე ერთს არსებობას აყენებს საფრთხის ქვეშ. “როცა ქართველი დაკარგვა ისედაც მცირე მამაპაპეულ ტერიტორიას, მის დიდ ნაწილს, როცა მას ოდნავაც გამოუცლებოდა ფეხქვეშიდან საქართველოს მიწა-წყალი და ნიადაგი, მისი, როგორც ეროვნების, არსებობა შეუძლებელი იყო”¹²⁵; ან: “ქართველისათვის საქართველოს მიწა-წყალი ერთი საერთო სხეულია და ამ სხეულის ნაწილის მოჭრას ცოცხალი თავით ვერავის დავანებებთ”¹²⁶; ან: “ეს მიწა ქართულია, ხოლო ოსებს სწალიათ, წაგვართვან”¹²⁷.

საქართველოს ტერიტორიაზე დიად თუ ფარულად მიმდინარე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მედიური რეფრაქცია მიუთითებს, რომ განსაკუთრებით მტკიცნეულია არა ზოგადად ტერიტორიის დაკარგვა, არამედ იმ ტერიტორიისა, რომელიც წარმოსახვითი სამშობლოს შიგნით მდებარეობს. ერნესტ გელნერი წერდა, რომ თანამედროვე ადამიანისათვის ისეთივე ბუნებრივია ეროვნული იდენტობის ქონა, როგორც ერთი ცხვირისა და ორი ყურის. წარმოსახვითი სამშობლოს ნაწილის დაკარგვა უფრო უარესია, ვიდრე ყურის დაკარგვა: ტერიტორიის შემთხვევაში

¹²⁵ მოამბექ, ციტირებული მამულის მიერ, 1990, დეკემბერი

¹²⁶ მამული, 1991, იანვარი

¹²⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, მარტი

“დაკარგული ყური” ყოველთვის ვიდაც სხვის სახეზე აღმოჩნდება”.¹²⁸ ქართული მედია წარმოსახვითი სამშობლოს საბჭოთა ისტორიისა და საბჭოთა წესრიგიდან ამოგლეჯვის, გამოცალკევების რეპრეზენტაციას მიმართავს - “დაკარგული ყური” თავის ადგილს ისტორიული სამრთლიანობის აღდგენით უნდა დაუბრუნდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოფიციალური (საბჭოთა) ისტორიისა და არაოფიაცილური (ალტერნატიული, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ უარყოფილი) ურთიერთჩანაცვლების ტენდენცია დამახასიათებელია მთელი პოსტკომუნისტური სივრცისათვის. საქართველოს გასაბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის, აფხაზეთში აპარტეიდული რეჟიმის ჩამოყალიბების, ოსთა და აფხაზთა წარმოშობის შესახებ ისტორიული ვერსიები ქართულ მედიაში ჯერ კიდევ 1988 წლიდან აცხადებდნენ პრეტენზიას ისტორიულ სინამდვილეზე. ისტორია, რომელიც სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებებში ისწავლებოდა, თურმე ფალსიფიცირებული აღმოჩნდა. ახალი აკადემიური სახელმძღვანელოების შექმნა დროში ხანგრძლივად განვენილი პროცესი იქნებოდა. ამიტომ მასმედია გახდა განათლების ის უბანი, რომელსაც ახალი, ”ნამდვილი” ისტორიები უნდა წარმოეჩინა. ისტორიები ბევრ ქვეყანაში, მრავალგვარად ცვალებად სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ხელახლა იწერება. ეს ჩვეულებრივი ნიშანია ფორმაციული ცვლილებისა. მთავარი აქ არის ის, რომ ისტორიის ხელახლა დაწერა ასახავს პეგმონიის ცვლილების მიმდინარე ბალანსს. ახალ პეგმონს შეუძლია, იმპერატიული ტონით განაცხადოს: “სასწრაფოდ უნდა შედგეს და განხორციელდეს საქართველოს ისტორიისა და მიმდინარე პოლიტიკური პრობლემების უცხოეთსა თუ საბჭოთა კავშირში სისტემური და ობიექტური გაშუქების პროგრამა”; ან: “სასწრაფოდ მომზადდეს და რამდენიმე ენაზე გამოიცეს “საქართველოს ისტორია”, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ისტორიკოსთა ავტორობით; სასწრაფოდ მომზადდეს და რამდენიმე ენაზე გამოიცეს საქართველოს კუთხეებისა და იქ მცხოვრებთა ისტორია პოპულარული გადმოცემით; აგრეთვე, იდუსტრიულებული ფერადი ალბომი – “ქართული ცივილიზაცია”¹²⁹. ეს იმპერატიული დისკურსი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ახალი პეგმონის დისკურსია. მედიაციას ეწევა არა ქურნალისტი, არამედ მოწვეული ავტორი – სამეცნიერო, კულტურული

¹²⁸ Gellner, E. (1983) Nations and Nationalism. Oxford : Basil Blackwell

¹²⁹ გამული, 1991, იანვარი

ელიტის წარმომადგენელი, პროფესიონალი, რომელიც, სტატუსიდან გამომდინარე, ჟურნალისტზე მეტად ავტორიტეტულ და პრესტიულ კომუნიკატორად აღიქმება. ”ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი წითელი არმიის აშკარა შეირადებული ინტერვენციის, საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგია... რკპ(ბ)-მ და რუსეთის სფსრ მთავრობამ რომ განახორციელეს და ამით უხეშად დაარღვიეს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება”¹³⁰. მოხმობილი ნიმუშები თრ ნიშანდობლივ მიმართებას შეიცავენ: იმპერატივი - “სასწრაფოდ მომზადდეს და რამდენიმე ენაზე გამოიცეს” - ფაქტობრივად, ინფორმაციული ომის მდგომარეობის აღიარებაა – მსოფლიომ, სხვა ერებმა, უნდა იცოდნენ სიმართლე საქართველოსა და მისი ისტორიის შესახებ, რათა “დაკარგული ყური” სხვის სახეზე არ აღმოჩნდეს; მეორე – ეს არის, აგრეთვე, შეტყობინება სხვა ერებისათვის, რომ რუსული ინტერესი მუდმივად დამპყრობლური და ველიკოდერუსავული იქნება საქართველოს მიმართ; ის, რაც მოხდა 1920 წელს, განმეორებადია – იგი განმეორდება ყოველთვის და ყოველჯერ, რამდენჯერაც მსოფლიო თვალს დახუჭავს ამაზე.

რაც შეეხება მესამე ატრიბუციას “რას ამბობს მსოფლიო ჩვენს შესახებ”, მისი რეპრეზენტაცია ხდება დაფარული მიმართების ფონზე, რომელსაც პირობითად, შეიძლება, ვუწოდოთ “შიში დამონებული მომავლის წინაშე”. მაგალითად: “საქართველოს მკურნალობა სჭირდება... საქართველო მხოლოდ გადაგა ციხიდან ფსიქიატრიულში და ვედარ მოესწრება კარების გახსნას”¹³¹ (წყარო – ინტელიგენციის წარმომადგენელი); “აღსდგა საქართველო და მისი ჩაკვლა შეუძლია მისიგე შვილების სულმოკლეობას”¹³² (წყარო – სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი); ან: “თავისუფლების გზიდან გადახვევა სამშობლოს დალატია და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს”¹³³ (წყარო – სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი). ეს შიგნით მიმართული ვაქტორი უჩვენებს, რომ თავისუფლების გზიდან გადახვევა რეპრეზენტირებულია, როგორც სულიერი მისის შეუსრულებლობა. სიტყვათშეხამება “სულიერი მისია” ხშირად ჩნდება როგორც პოლიტიკოსების, ისე სამეცნიერო ელიტის

¹³⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 13 აპრილი

¹³¹ მამული, 1990, დეკემბერი

¹³² დრონი, 1991, დეკემბერი

¹³³ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 18 დეკემბერი

წარმომადგენელთა ციტატებში, მათ საავტორო სტატიებში. “თუ საქართველოს სულიერი მისია სულიერი განვითარების, ინიციაციის, სულიერი აზროვნების აღორძინებაა, ქართველმა ერმა (ქართველურ მოდგმასთან ერთად) კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიცია უნდა დაიბრუნოს”¹³⁴ (წყარო – არასახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი). საქართველოს მისია, ამ მედიური ტექსტით, - ეს არის მოძღვრის მისია სხვა ერების წინაშე; რომ მას ისტორიულად ჰქონდა ეს მისია და ასრულებდა კიდეც (“უნდა დაიბრუნოს”). ამ მისის განსახორციელებლად მან არ უნდა გადაუხვიოს თავისუფლების გზას, და ეს სხვა ერებმა უნდა დაინახონ და მოიწონო.

თომას შეფი (1995) მიუთითებს სირცხვილისა და ბრალის განცდაზე, რომელსაც ნაციონალიზმის რიტორიკა მაღავს. ყველა შემთხვევა აღვივებს სირცხვილის ანაზღეულ განცდას: “თუ ჩვენ დავმარცხდით, თუ ჩვენ უარი ვთქვით ჩვენს ეროვნულ ღირსებაზე, მაშინ ჩვენ შეგვარცხვენენ; ჩვენ ვედარ შევძლებთ იმის კეთებას, რისთვისაც ოდითგან ვიყავით მოწოდებულები; მაშინ ჩვენ უარყოფთ ჩვენს ათასწლოვან მემკვიდრეობას; ჩვენ ვედარ ვიქნებით შუქურა ერებისათვის”¹³⁵. მედიაში ასახული პატრიოტული რიტორიკა ახელებს სირცხვილს, შემდეგ კი მრისხანებას მათ წინააღმდეგ, ვინც გვადანაშაულებს ჩვენ “ჩვენი” მემკვიდრეობის, “ჩვენი” დანიშნულების უარყოფაში... იქნებიან ისინი მტრები საზღვარგარეთ თუ მტრები ქვეყნის შიგნით... “ჩვენი მტრები საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებენ, თითქოს საქართველოდან მათი [არაქართული მოსახლეობის – ხ. მ.] გასახლება გვინდოდეს”¹³⁶; ან: “ხმები დადის, რომ მანდ [საქართველოში – ხ. მ.] ხალხს ხოცავენო, თანაც რუსებსო, შემზარავი ქაოსი და სამოქალაქო ომიაო. ყველაფერი ეს განზრახ კეთდება. ამ ჭორებს სუკი და საკდესი ავრცელებენ. სრული საინფორმაციო ბლოკადაა პრესაში. პროტესტს ვაცხადებთ, წერილებს ვუგზავნით, მაგრამ არ აქვეყნებენ. აი, მათი სინდისი და მათი სიმართლე”¹³⁷; “... ამ სიტყვებით თავისუფლების ეტალონად ბუში გვიყენებს სომხეთს, საიდანაც ბოლო წლებში მთლიანად განდევნეს

¹³⁴ გამული, 1991, მარტი

¹³⁵ Scheff, T. (1995) *Bloody Revenge: Nationalism, War and Emotion*. Boulder CO: Westview Press

¹³⁶ საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 14 დეკემბერი

¹³⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 მარტი

აზერბაიჯანელები. შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავთ. ბოლნისის აჯანყების შემდგომ გაგვეყარა აზერბაიჯანელები, ახალციხის „აჯანყების“ შემდგომ – სომხები, ცხინვალის აჯანყების შემდგომ – ოსები, გუდაუთისა კი – აფხაზები, და შემდეგ ჩაითვლებოდა საქართველო თავისუფლების ბასტიონად”¹³⁸ (სამივე შეტყობინების წყარო – საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა).

გამსახურდია თავის მრავალრიცხოვან ინტერვიუებში უცხოელ და რუს უურნალისტებთან არაერთხელ აღნიშნავს საქართველოს უდიარებლობას მსოფლიოს მიერ, როგორც პრობლემას, ვინაიდან, მისი აზრით, ობიექტური წანამდღვრები საქართველოს აღიარებისათვის არსებობს: “ნუთუ ორიათასწლოვანი ერი, რომელმაც ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მიიღო და რომელიც იცავდა სამართლიანობასა და სამართალს, უნდა გმინავდეს მონობის ყულფში კისერგაყოფილი და რჩებოდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების უღელქვეშ?!”¹³⁹.

ეს სტრატეგიული კომუნიკაციაა არა მარტო თავის მოქალაქეებთან, არამედ სხვა ერებთან. ამ კომუნიკაციის გულისგულში მუდმივი შეხსენებაა მსოფლიოსათვის, რომ საქართველოს მხოლოდ “სისხლიანი საქართველოსა” და “მცირე იმპერიის” იარღიყი არ დაუმსახურებია. ხელისუფლების პათოსს იზიარებს არასახელისუფლებო ელიტა: “ჩვენ დგთისმშობლის წილხვედრ მიწას ვიცავთ და ამით უზენაას ვალს ვიხდით”¹⁴⁰; “დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და დაცვაში უნდა ვიყოთ ამ ტოტალიტარულ იმპერიაში დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლასა და ძალისხმევას”¹⁴¹; ან: “საწყენია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აყოვნებენ ამ საქმეს [საქართველოს აღიარებას – ხ. მ]... 9 აპრილის ამბები რომ არა, ვერც აღმოსავლეთ ევროპა მიიღებდა დამოუკიდებლობას”¹⁴².

სოფლიოს მხრიდან თითქმის უპირობო აღიარების მოთხოვნა არ იყო მხოლოდ არარეალური წარმოდგენებით ნაკვები სპონსორი და უსისტემო შეხედულებების

¹³⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 26 აგვისტო

¹³⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 31 აგვისტო

¹⁴⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 31 მარტი

¹⁴¹ მამული, 1991, დეკემბერი

¹⁴² საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 2 დეკემბერი

კრებული ან იღუზია. იგი საკმაოდ ძლიერ, “საყვარელი ეროვნული ხატებით” შექმნილ ედეოლოგიურ საძირკველზე იდგა, რომლის ერთ-ერთი ბურჯი სამშობლოს “დვითორჩეულად” წარმოდგენა იყო.

“საქართველო დვითისმშობლის წილხვედრია”¹⁴³, “რით მოკირწყლავს [საქართველო] ახალი ტაძრის გზას?”¹⁴⁴, “სალოცავი მამული”, - სამშობლოს დვითივრჩეულად წარმოსახვა არ არის უნიკალური საქართველოსთვის. “თითოეული სამშობლო, - წერს ბილიგი, - უნდა განიხილებოდეს, როგორც განსაკუთრებული ადგილი, ფიზიკურად და მეტაფორულად გამოცალკევებული სხვა სამშობლოებისაგან”.¹⁴⁵ მეთვრამეტე საუკუნეში ბრიტანელებისათვის, განსაკუთრებით ინგლისელებისათვის, დამახასიათებელი იყო თავიანთი კუნძულების წარმოსახვა, როგორც დვითივრჩეული ქვეყნისა¹⁴⁶. ინგლისი „ანგელოზთა მიწას” ნიშნავს, ამიტომ ახალი იერუსალიმი ინგლისის მწვანე და საამურ მიწაზე უნდა აშენებულიყო. ატლანტიკის გაღმაც ამერიკელები ახალი აღთქმული მიწის წარმოსახვით იყვნენ დაკავებულები. ამბობენ, რომ გერმანელი ემიგრანტები შეერთებულ შტატებში ჩასვლისას მდეროდნენ: “America... is beautiful land that God promised to Abraham”¹⁴⁷ (“ამერიკა... ის მშვენიერი მიწაა, რომელიც დმერთმა აბრაამს აღუთქვა”).

ამ მიმართების ქართული მედიური რეფრაქცია ასეთია: საქართველოს, უძველეს ქრისტიანულ ქვეყნას, დვითისმშობლის წილხვედრს, ახალი ტაძრის გზის მოკირწყლის მისია ეკისრება. ახალი ტაძრის მედიური სახეები და ხატები წარსული საქართველოს სახიდან პროცეირდება მომავალზე: “მოგეცემათ რესთაგელის საქართველო – ეკონომიკურად ძლიერი, ამაღლებული ქვეყნა”¹⁴⁸ (შეტყობინების წყარო – ინტელიგენციის წარმომადგენელი). თუმცა უფრო ხშირია დაღმავალი ვალენტობის მქონე საზრისისეული ერთეულები: “წაქცეული მხედარი”¹⁴⁹ (წყარო – ურნალისტი); “საქართველოს მრავალტანჯულ მიწას მრავალი წყლული აქვს

¹⁴³ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 31 მარტი

¹⁴⁴ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 27 ოქტომბერი

¹⁴⁵ Billig, M. (1995) : 75

¹⁴⁶ Colley, L. (1992) *Britons*. New Haven, CT : Yale University Press

¹⁴⁷ Sollors, W. (1986) *Beyond Ethnicity*. Oxford: Oxford University Press: 44

¹⁴⁸ გამული, 1990, ოქტომბერი

¹⁴⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 31 მარტი

მოურჩენელი”¹⁵⁰, “ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიაში არაერთი მაგალითი იცის იმის, თუ შედღება და მტრობას რა ზიანი დაუტეხავს თავზე ჩვენი ჯვარცმული მამულისათვის”¹⁵¹ (წყარო – არასახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი). თეორიულად ცნობილია, რომ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ თითოეული ერი ავითარებდეს პოზიტიურ მითს სხვა ერებისაგან თავის გამოსარჩევად, საკუთარი არსებობის გასამართლებლად და თავისი ინტერესების დასაცავად. ეს მითები მიმართულია “ერის კოლექტიური რაობისადმი, ისტორიული მოვლენების პოზიტიურ ჭრილში მოქცევით და სხვა ერებზე უპირატესობის გრძნობის ჩამოყალიბებით”¹⁵². “ეს მითები პროპაგანდირებულნი არიან უპირატესად მედიაში”¹⁵³.

თითქოს პარადოქსულია, რომ ქართული მედია, როგორც შემსენებელი, მკითხველის ყურადღებას მიმართავს წარსული გამოცდილების ნეგატივის კონცენტრირებულ ყალიბზე. თუმცა იმავე პერიოდის მედიაში ვხვდებით ამ მატრიცის კრიტიკულ შეფასებას, ოდონდ შეტყობინების წყარო არაქართველია (ამერიკელი ფუტუროლოგი): “რამდენადაც გავეცანი საქართველოს ისტორიას, თქვენი ერის ცხოვრებას, გავაკეთე ერთი დასკვნა – ქართველები ისტორიით, მძიმე წარსულით დათრგუნული ხალხი ხართ. მიმაჩნია, რომ, თუ არა ეს კომპლექსი, მართლაც, ყველა პირობა გაქვთ, იმედიანად შეხედოთ მომავალს”¹⁵⁴. ამგვარი დისკურსი, ფაქტობრივად, გამონაკლისურია. ქართული მედია სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაში უფრო მეტს ხელშემშლელ გარემოებებს ხედავს, ვიდრე ხელშემწყობს, რათა “იმედიანად შეხედოს მომავალს”.

მიუხედავად იმისა, რომ ადწერითი ანალიზითა და კროს-ტაბით გამოიკვეთა წყაროების ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის მოცულობა და ვალენტობა, ეს არ გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ წყაროების ტიპების, როგორც ფაქტორების, მნიშვნელობასა და ურთიერთმიმართებაზე, ურთიერთგავლენაზე, ანუ ზუსტი პასუხი

¹⁵⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 16 დეკემბერი

¹⁵¹ მამული, 1991, მაისი

¹⁵² Niebuhr, R. (1967) ‘The Social Myths of the Cold War’, in J. Farrel and A. Smith (eds), Image and Reality in World Politics. New York: Columbia University Press: 40-67

¹⁵³ Deutch, K. W. (1953)

¹⁵⁴ 7 დღე, 1990, ნოემბერი

გავცეთ საკვლევ შეკითხვას. ასე რომ, ანალიზის მომდევნო ეტაპად ავირჩივ ფაქტორული ანალიზი, რომლის მიზანი იყო სახელისუფლებო წყაროების (A, B) მიმართ დავადგინოთ სხვა წყაროების (C, D, E) მნიშვნელობა და თითოეული ფაქტორის გავლენა. ამისთვის საჭიროა, წარმოვადგინოთ თითოეული ატრიბუციის შიგნით წყაროს ტიპების სტრუქტურა და მათი სიხშირე.

1. ატრიბუცია სამშობლოსა და სახელმწიფოსადმი:

A (საქართველოს პრეზიდენტი/უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე): 98 ერთეული

B (სახელისუფლებო ელიტა): 64 ერთეული

C (არასახელისუფლებო ელიტა): 158 ერთეული

D (ურნალისტი): 188 ერთეული

E (მოქალაქე): 57 ერთეული

ჯამი: 565 ერთეული (წყარო)

2. ატრიბუცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი:

A – 109 ერთეული

B – 167 ერთეული

C – 199 ერთეული

D – 139 ერთეული

E – 7 ერთეული

ჯამი: 621 ერთეული (წყარო)

3. ატრიბუცია « რას ამბობს მსოფლიო ჩვენს შესახებ »

A – 313 ერთეული

B – 24 ერთეული

C – 196 ერთეული

D – 17 ერთეული

E – 0 ერთეული

ჯამი: 550 ერთეული (წყარო)

ჩვენი მიზანია, ფაქტორული ანალიზით წარმოვაჩინოთ ფაქტორების (წყაროების): C – არასახელისუფლებო ელიტა; D - ურნალისტი; E - მოქალაქე, - მნიშვნელობა და გავლენა რაოდენობრივად ყველაზე რეპრეზენტირებული წყაროს (A, B - სახელისუფლებო წყაროები) მიმართ.

ცხრილი 1 გვიჩვენებს ცვლადების აღწერით სტატისტიკას.

Descriptive Statistics

	Mean	Std. Deviation	Analysis N
C	197,5	2,12132	2
D	78,0	86,26703	2
E	28,5	40,30509	2
AB	306,5	43,13351	2


პორელაციის მატრიციდან ჩანს, რომ ცვლადებს შორის გვაქვს 1-ს ტოლი, მაღალი პორელაცია.

Correlation Matrix

		g	d	E	ab
Correlatio n	C	1,000	1,000	1,000	-1,000
	D	1,000	1,000	1,000	-1,000
	E	1,000	1,000	1,000	-1,000
	AB	-1,000	-1,000	-1,000	1,000

ნახაზი გვიჩვენებს ფუნქციის **Factor Analysis: Extraction** გრაფიკის შედეგს. აქ გრაფიკულად არის წარმოდგენილი თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა. ფაქტორების მიერ განპირობებული ვარიაცია მკვეთრად ეცემა ფაქტორების ამოღებასთან, ამოგდებასთან (extraction) ერთად. ჩვენ გვაინტერესებს, რომელ წერტილში ხდება მრუდი სწორი. ამ შემთხვევაში ეს არის სივრცე პირველ და მეორე ფაქტორს შორის. ფუნქციის გრაფიკული კონსტრუქცია უჩვენებს, რომ მეორე ფაქტორს პირველზე ნაკლები მნიშვნელობა, გავლენა გააჩნია. ანუ, გავლენისა და მნიშვნელობის მიხედვით, არასახელისუფლებო ელიტა, როგორც შეტყობინების წყარო, დომინანტური კომუნიკატორია. შემდეგი მნიშვნელობის არის ჟურნალისტი. ეს გარემოება განპირობებულია განხილული ისტორიული მონაკვეთის სპეციფიკური ნიშან-თვისებით: ინტელიგენციის დომინანტური გავლენითა და მნიშვნელობით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და მის გამყარება-დაშლაზე. არასახელისუფლებო ელიტა (იგივე ინტელიგენცია) გვევლინება ე.წ. opinion leader-ად.

Scree Plot



7.4. დასკვნა

ეროვნულ-იდენტობითი დისკურსი, გამოხატული “ეროვნული ადგილისადმი” მიჯაჭვულობაში, იყო ის თემა, საკითხი, რომლის ირგვლივაც რაზმავდნენ იმ პერიოდის ახალი პოლიტიკური და კულტურულ-სამეცნიერო ელიტები ქართულ საზოგადოებას სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის ირგვლივ. ეს იყო ის სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რომლის ძალითაც გუშინდედი “არაფორმალები” და გუშინდედი “დისიდენტური” ან “კაბინეტური” ინტელიგენცია, ცდილობდა, წარმოეჩინა, რომ სწორედ იგი იყო ის ძალა, რომელსაც პქონდა “ახალი ქართველის სულიერი ლიდერის” თვისებები. ფაქტობრივად, ეს კომუნიკაცია ასახავდა ორი ფენომენის: “საბჭოთა ინტელიგენციისა” და ახალი “ელიტების” დაპირისპირებას და ერთიანობას.

კონცეპტუალურად, იმ პერიოდის ქართული ბეჭდური მედია იყო ნაციონალისტური/პატრიოტული ტიპის მედია, რადგან მისთვის ცენტრალური საკითხი ერია, ამ ფენომენის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებით - ენით, ტერიტორიით, წარსულით, რელიგიით, კულტურით, მემკვიდრეობით, ეთნიურიკაცია/მოქალაქეობრიობის დილემით, მომავლის პერსპექტივით, წარსული გამოცდილების შიშის პროეცირებით მომავალზე.

ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია წარმოაჩენს ნაციონალისტური იდეოლოგიის დომინანტურ მდგომარეობას იმ პერიოდის მედიაში,

1990-იანი წლების დასაწყისის ქართული ბეჭდური მედია ასახავს ახალი ელიტების სტრუქტურას, მნიშვნელობასა და გავლენას, აგრეთვე ახალი ჰეგემონიის ბალანსს ეროვნული იდენტობის გამამყარებელი დისკურსის მეშვეობით.

კონტენტანალიზმა და ფაქტორულმა ანალიზმა გამოკვეთა ორი გავლენიანი და მნიშვნელოვანი წყაროს ტიპი: სახელისუფლებო წყაროები (პრეზიდენტი და სახელისუფლებო ოფიციალური პირები, მოხელეები) და არასახელისუფლებო ელიტა (ინტელიგენციის დომინანტური მდგომარეობით). მიმართ, რომ მოცემულ პოლიტიკურ მომენტში ინტელიგენციის, როგორც წყაროს მნიშვნელობა, გადამწყვეტია. ეს მიგნება გარკვეულწილად გვახედებს ქართულ ელიტებს შორის შიდა ურთიერთობაში. 1990-1991 წლების ქართული პოლიტიკური ელიტა, ყოველ შემთხვევაში, მისი ლიდერების უმრავლესობის სახით, საბჭოთა ინტელიგენციის წიაღიძან იყო გამოსული, მისი ქცევის ყალიბიდან. გვიანდელ საბჭოთა პერიოდში ინტელიგენცია ქვეყნის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების უკონკურენტო ლიდერი გახდა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან განსხვავებით, საბჭოთა ლიდერებს ვერტიკალური, სუბორდინაციული დამოკიდებულება ჰქონდა მის მიერ მართულ ინტელიგენციასთან, რომელსაც სწორედ საბჭოთა რეჟიმმა მიანიჭა ფენობრივი (კლასობრივი) ნიშან-თვისება – მონოპოლია კრიტიკულ აზროვნებაზე. გამსახურდიას ხელისუფლებისთვის ინტელიგენცია სწორედ ის ფენა (კლასი) გახლდათ, რომელსაც იგი და მისი გარემოცვა მეტოქედ, კონკურენტად აღიქვამდა. გამსახურდია ებრძოდა ინტელიგენციის იმ სტრატეგიულ ქცევას, რომელიც მიმართული იყო, ერთი მხრივ, ჯგუფის პოზიციების გამყარებისა და, მეორე მხრივ, საკუთარ თავზე იდეალიზებული წარმოდგენების შენარჩუნებისკენ. აქედან გამომდინარე, ქართველი ინტელიგენტების განცხადებები ეროვნული იდენტობის შესახებ ავლენენ ცნობიერ კომუნიკაციურ

მისწრაფებებს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა და საზოგადოებრივი სენტიმენტების მხარდაჭერის მიზნით.

თუკი სახელისუფლებო წყაროები ეროვნულ-იდენტობითი საკითხების წარმოჩენისას უფრო მეტად მიმართავენ მისი დაცვის დისკურსს, არასახელისუფლებო ელიტის წარმომადგენლების განცხადებებში სჭარბობს ანალიზი. უურნალისტები, მიუხედავად რაოდენობრივი რეპრეზენტაციულობისა აღწერით სტატისტიკაში, ფაქტორულმა ანალიზმა მნიშვნელობისა და გავლენის მიხედვით არასახელისუფლებო ელიტის შემდეგ საფეხურზე განათავსა. უურნალისტური განცხადებებისა და კომენტარების უმრავლესობა, მცირე გამონაკლისით, უფრო მეტად უკან მიჰყვება და იმეორებს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ელიტის ენას, ვიდრე ქმნის საკუთარს. ზოგადად, მედია და უურნალისტები საკუთარ გავლენას ავლენენ რესპონდენტებისა და გასაშუქებელი საკითხების შერჩევაში და არ იყენებენ ამ გავლენას საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვით. მაგრამ იმ კონკრეტულ პერიოდში თემები, დაკავშირებული “ქართველობასთან”, ქართველთა და კუთიორჩეულობასთან, აპოკალიფსური შიშებითა და კეთილისა და ბოროტის აპოკალიფსური ბრძოლის ჟინით შეპყრობილობასთან, “სხვების” გაშავებასა და დემონიზებასთან უურნალისტებმა იდეოლოგიის მკეთებლებს დაუთმეს. საბჭოთა იდეოლოგიური წესი: “ადამიანები თავიანთი იდენტობის გააზრებითაც კი მთავრობასა და ინტელიგენციაზე უნდა იყვნენ დამოკიდებული” კვლავ ძალაში რჩებოდა.

თეზისის სახით, შეიძლება, ჩამოვაყალიბოთ დასკვნა, რომ ეროვნული ერთობა 1990-1991 წლების მედიაში წარმოჩენილია, როგორც ინტერპრეტირებული ერთობა, როგორც პოსტ-საბჭოთა მედიური პროექტის შედეგი. ამ პერიოდისთვის არის დამახასიათებელი ძველი, საბჭოთა ელიტების სტრუქტურის რდგევა და ახალი ელიტების ჩამოვალიბების პროცესი, რომელსაც ხშირად დაპირისპირებულთა ბრძოლის ხასიათი ენიჭება.

თავი 8
მიწა, სახელი, იდენტობა

კვლევის ამ ნაწილში ფოკუსირებულია იმ სივრცის, ტერიტორიული ერთეულის მედიური რეპრეზენტაციის სპეციფიკური მახასიათებლები, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო სეპარირებული ადმონია 1990-იანი წლების საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ერთეულისაგან: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სამხრეთ ოსეთის მედიური რეპრეზენტაციის ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკური მოვლენის რეპრეზენტაციის თვალსაზრისით, არამედ, უპირველესად, ამ ტერიტორიის მედიური სახელდებისა და აღნიშვნის, სიგნიფიკაციის გამო. კვლევის ეს თავი ეძღვნება კონკრეტული მედიური აღმნიშვნელების გამოცდილებას და მათ კავშირებს აღნიშნულ ცნებებთან და კონსტრუქტებთან, განსაზღვრული სემიოლოგიური მასალის მნიშვნელობის დეკოდირებას განსაზღვრული იდეოლოგიის ჩარჩოებში.

8.1. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, სახელი და იდენტობის საკითხი. თეორიული არგუმენტები საკვლევი საკითხისათვის

ამ თავში განვიხილავ მედიური სახელდებისა და აღნიშვნის საგანგებო, განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც თავისთავში ატარებს ფართო იდენტობით მნიშვნელობას და დიდად განსაზღვრავს მედიურ, ეროვნულ და პოლიტიკურ კონტექსტს. ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მიწის მედირებული გამოცდილება 1990-იანი წლების დასაწყისში იქცა მასობრივი კომუნიკაციის ისეთი თემებისა და საკითხების კონცეპტუალურ ელემენტად, რომლებიც უკავშირდებოდნენ სახელმწიფოსა და პოლიტიკას, ეროვნულ იდენტობასა და ეროვნულ იდეოლოგიას, ომსა და მშვიდობას, ისტორიულ გამოცდილებასა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას.

საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილის სახელდება მედიაში შეიძლება მივიჩნიოთ როგორც “შეტყობინება შეტყობინებაში”, რომლის სიტყვიერი მანიფესტაციითაც იქმნებოდა ეროვნული და კულტურული მიკუთვნებულობის ფენომენის წარმოჩენა და რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეტყობინების მთლიანი შინაარსის აღსაქმელად.

1990-1992 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღდა ორი ეთნო-ნაციონალური და პოლიტიკური კონფლიქტი: ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ავტონომიურ წარმონაქმნში განვითარებული პროცესების დინამიკა მსგავსების გარკვეულ ხარისხს ავლენდა (მაგალითად, საქართველოსგან გამოყოფის მოტივაციის შექმნა – ახალი სტატუსის ძიება – სეპარაციისთვის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნა – ორივე შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან “წახალისებული სეპარატიზმი” – შეიარაღებული დაპირისპირება მხარეთა შორის, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსგან დე-ფაქტო გამოყოფით დაგვირგვინდა), ამ ორ კონფლიქტს შორის მაინც არსებობდა ორი არსებითი განსხვავება: სახელდება და მასთან დაკავშირებული იდენტობა.

სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე ტერმინი “სამხრეთ ოსეთი” (მისი ნეიტრალური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობით) ნელ-ნელა ქრება ქართული პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ელიტის, უურნალისტების დისკურსიდან და იწყება მისი ჩანაცვლება ალტერნატიული ტერმინებითა და სახელწოდებებით, რომლებიც თავიანთ თავში იდენტობის განსხვავებულ კატეგორიებს ატარებენ: სამაჩაბლო, შიდა ქართლი, ცხინვალი და ა.შ.

აფხაზეთის შემთხვევაში არ ჩანს კონფლიქტი ტერიტორიის სახელდებასთან (და მისგან გამომდინარე – იდენტობასთან) დაკავშირებით. აფხაზეთის მიწა რეპრეზენტირებულია, როგორც ქართულ იდენტობასთან დაკავშირებული მიწა, რომელიც, იმავდროულად, აფხაზური იდენტობის საფუძველია. თუმცა მეღიაში ხშირად ჩნდება თავად აფხაზთა წარმომავლობისა და მათი იდენტობის შესახებ პუბლიკაციები, რომლებშიც აფხაზები (უფრო სწორად, აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი) წარმოჩნილნი არიან როგორც აფხაზები, რომლების აფხაზეთის მიწაზე მე-17 საუკუნეში ჩამოსახლდნენ. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზური და ქართული იდენტობები ისტორიულ დისკურსში წარმოჩნილნი არიან, როგორც იგივეობრივი, ხოლო თანამედროვეში – როგორც დაპირისპირებული. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სახელდების პრობლემა უკავშირდებოდა არა მხოლოდ ტერმინოლოგიურ ასპექტს, არამედ სახელდების უფრო ღრმა და მნიშვნელოვან შრეებს: რა სპეციფიკურ აღნიშნულს მოიცავდა თავის თავში თითოეული ალტერნატიული ტერმინი “სამხრეთ ოსეთისა”, როგორ განისაზღვრებოდა ეს თითოეული აღნიშნული კონცეპტი: ანუ იყო თუ არა “სამაჩაბლო” და “შიდა

ქართლი”, “ცხინვალი” და ე.წ. “სამხრეთ ოსეთი” ერთმანეთის სრულფასოვანი სინონიმები; როგორი იყო თითოეულის ეროვნულ-იდენტობითი საზღვრები; რომელ მათგანს ენიჭებოდა უპირატესობა მედიურ რეპრეზანტაციაში და რატომ; რატომ აღნიშნებოდა ერთი და იგივე ტერიტორია მრავლობითი სახელწოდებით. 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში ქართულ-ოსური კონფლიქტის რეპრეზენტაციისას ძირეული ელემენტი იყო სწორედ ის ტერმინები, რომლებმაც ჩანაცვლეს ტერმინი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი”. ეს ჩანაცვლება, როგორც მინიმუმი, ოთხ მიზანს ემსახურებოდა:

1. ეს ალტერნატიული ტერმინები წარმოადგენდა იმ ნიშან-სიგნალს, იმ ლინგვისტურ სტიმულს, რომელიც შეტყობინების მიმღებისგან შესაბამის პასუხს და რეაქციას მოითხოვდა;
2. იგი ეხმარებოდა სახელისუფლებო ელიტას საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზაციის მიზნით “სეპარატიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში”;
3. იგი წარმოადგენდა მაგალითს ოფიციალური ისტორიის ჩანაცვლებისა არაოფიციალური, “ნამდვილი” ისტორიით;
4. იმ სიტყვებისა და ნიშნების მრავლობითობა, რომლებმაც შეცვალეს ტერმინი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი” წარმოადგენდა ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის გამაყენებელ ფაქტორს.

უფრო მეტად რომ ჩაგუდრმავდეთ საკითხს, კნახავთ, რომ ეს ტერმინები შეიძლება დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად:

- ა) ტოპონიმები, რომლებმაც ჩანაცვლეს ტოპოსი “სამხრეთ ოსეთი” და
- ბ) ტერმინები, გამოხატული სპეციფიკური ენის, სახეების, ხატების, ნიშნების გამოყენებით, რომელთა ვალენტობა, ანუ მიმართულება, წარმოაჩენს “სამხრეთ ოსეთის ავტონომიის” ბუნებას.

კატეგორია “ა” აერთიანებს “სამხრეთ ოსეთის” მიწის აღმნიშვნელ ისტორიულ და გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

კატეგორია “ბ” მოიცავს: 1) მედიურ აქცენტებს ავტონომიის ბუნებასა და ნიშან-თვისებებზე, მის კანონიერებაზე; 2) საქართველოს განუყოფლობის მტკიცებას; 3) ეთნიკური ქართველების ჩაგვრის წარმოჩენას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში; 4) ქართული-ოსური კონფლიქტის გადაბრალებას რუსეთზე.

ამ თეორიულ არგუმენტებზე დაყრდნობით საკვლევი საკითხი ჩამოყალიბდება შემდეგი ფორმულირებით: როგორია წარმომავლობითი დიაპაზონი იმ ტერმინებისა, რომლებმაც ჩაანაცვლეს ტერმინი “სამხრეთ ოსეთი” და როგორია მოცულობა იმ გალენტობებისა, რომლებმაც ჩაანაცვლეს ამ მიწის “ავტონომიური” სტატუსი.

ემპირიული მასალის ანალიზისათვის აუცილებლად მივიჩნევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოების აღნიშვნას: სეპარატისტული პროცესების განვითარების კვალდაკვალ თბილისში გამომავალი გაზეთები კარგავენ ნაციონალურ მასშტაბს. ჯერჯერობით, 1990-1991 წლებში, მათ გაურცელებას ფიზიკური წინააღმდეგობა არ ექმნება სეპარატისტული განწყობებით მოცულ რეგიონებში, მაგრამ ცენტრალური გაზეთები ადგილობრივი მკითხველის დიდი ნაწილისთვის აღარ წარმოადგენენ სოციალურად მოთხოვნად, მათი იდენტობის შექმნისათვის საჭირო, იდენტობის გამამყარებელ პროდუქტს. ოსი და აფხაზი ეროვნების მოქალაქეები იკვრებიან ოსურ და აფხაზურ (ხშირ შემთხვევაში - რუსულ) ენებზე გამომავალი ადგილობრივი გამოცემების - როგორც მათი ინტერესებისა და პოზიციების გამომხატველი მედიუმების - ირგვლივ. მათ ეროვნულ იდენტობას რეგიონულ დონეზე, მათ მშობლიურ ენაზე გამომავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქმნიან და ამყარებენ. ეს ტენდენცია კიდევ ერთი გამოხატულება იყო ქართული ენის საჭიროების უარყოფისა, როგორც ქართული ეროვნული სივრციდან, დისკურსიდან დეზინტეგრაციის უტყუარი ნიშნისა.

82. მეთოდი

კვლევის მეთოდი არის კულტივაციური ანალიზი, რომელიც მოიცავს 1800 მედიური ნიმუშის კონტენტ-ანალიზს ხუთი ქართული გაზეთიდან და სტრუქტურირებულ, სტანდარტიზებულ ინტერვიუს 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედიის ლიდერებთან (18 რესპონდენტთან).

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, საზრისისეულ ერთეულად აღებულია ყველა სიტყვა, ნიშანი, ხატი, მეტაფორა, კონოტაცია, რომლითაც გაანალიზებულ ხუთი დასახელების გაზეთში აღნიშნულია “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი”. დროითი ჩარჩოები: 1990 წლის ოქტომბერი – 1992 წლის იანვარი. საზრისისეული ერთეულის ამგვარად განსაზღვრა განპირობებულია კვლევის მიზნით, ვინაიდან ჩემს ინტერესს წარმოადგენს სპეციფიკური ასპექტების ჩვენება:

- ა) “სამხრეთ ოსეთის” მიწის აღმნიშვნელი ტერმინებისა, რათა გაანალიზდეს მათი ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული მნიშვნელობა; და
- ბ) საქართველოს ამ ნაწილის მედიური რეპრეზენტაციის ვალენტობისა, რათა გაანალიზდეს მათი მიმართულობის მნიშვნელობა. როგორც ზევით აღვნიშვნე, საზრისისეული ერთეულები დაიყო შემდეგ შინაარსობრივ კატეგორიებად:
- ა) საზრისისეული ერთეულები, რომლებმაც ჩაანაცვლეს ტოპოსი “სამხრეთ ოსეთი” და
- ბ) საზრისისეული ერთეულები, გამოხატული სპეციფიკური ენის, სახეების, ხატების, ნიშნების გამოყენებით, რომელთა ვალენტობა, ანუ მიმართულება, წარმოაჩენს “სამხრეთ ოსეთის ავტონომიის” ბუნებას.

კონტენტანალიზის კოდირების პროცედურას აწარმოებდა ორი პირვენება. პირველი კატეგორიისთვის (რომელიც კოდირებულ იქნა როგორც “1”) 1135 საზრისისეული ერთეულიდან მეკოდირები შეთანხმდნენ 1032 ერთეულზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სანდოობის კოეფიციენტმა შეადგინა .91. მეორე კატეგორიისთვის (რომელიც კოდირებულ იქნა როგორც “2”) 665 ერთეულიდან კოდირების პროცედურაში მონაწილეები შეთანხმდნენ 568 ერთეულზე. ამ შემთხვევაში სანდოობის კოეფიციენტმა შეადგინა .85.

გინაიდან მთლიანად კვლევისთვის ერთ-ერთ უცვლელ ცვლადს წარმოადგენს შეტყობინების წყაროს ტიპი, ამ ცვლადსა და საზრისისეულ ერთეულს შორის ურთიერთმიმართების განსასაზღვრავად, კოდირების პროცედურის დასრულების შემდეგ კონსტრუირებული იქნა ერთი დამატებითი ცვლადი: ეს არის საზრისისეული ერთეულის რაოდენობა ერთ შეტყობინებაში, რომელიც წარმოადგენს დასრულებული აზრის მქონე სემანტიკურ-პრაგმატიკულ სტრუქტურას, წინადადებას ან წინადადებათა ჯგუფს. ეს ცვლადი დაიყო ორ კატეგორიად: “1”= ერთი ნიშანი ან ერთი ვალენტობა წყაროს ერთ კომენტარში/განცხადებაში; “2”= ორი ან მეტი ნიშანი და ვალენტობა წარმოდგენილი შეტყობინების წყაროს ერთ კომენტარში/განცხადებაში. მაგალითად, მეორე კატეგორიის ნიმუშია ამგვარი შეტყობინება: „იძულებული ვარ, ვამტკიცო, ჩემო სამშობლოვ, რომ შენი ჩრდილოეთის ფერდობის ერთი მშვენიერი სამკვიდრო, სამაჩაბლო, უძველესი სამაჩაბლო, საქართველოს განუყოფელი ნაწილია“¹⁵⁵; (აქ

¹⁵⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 7 იანვარი

წარმოდგენილია სამი საზრისისეული ერთეული: “სამაჩაბლო”, როგორც სახელწოდების მატარებელი ტერმინი, “უძველესი სამაჩაბლო”, სახელწოდებისა და შეფასების (ნიშან-თვისების) მატარებელი ტერმინი, და “საქართველოს განუყოფელი ნაწილია”, ვალენტობის მატარებელი ტერმინი). ან: „სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა უხეში შეცდომა, როდესაც შიდა ქართლის ოს სეპარატისტთა აშკარად არაკონსტიტუციურ აქტს უპასუხა ე.წ.

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის გაუქმებით, რაც უნდა განხორციელებულიყო სულ სხვა პოლიტიკურ პირობებში“¹⁵⁶ (აქ არის ორი საზრისისეული ერთეული: “შიდა ქართლი” და “ე.წ.”სამხრეთ ოსეთი”).

სტრუქტურირებული ინტერვიუ 18 რესპონდენტთან (გაზეთების გამომცემლები, მთავარი რედაქტორები, რედაქტორები, განყოფილების გამგეები, ჟურნალისტები) მოიცავს კვლევის ძირითად საკითხს, სახელდობრ: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის სახელდება და რეპრეზენტაცია მედიაში და ვალენტობები და კონტექსტი, დაკავშირებული “სამხრეთ ოსეთის” აღმნიშვნელებითან. რესპონდენტები შეირჩა შერეული პრინციპით, გამოცემის ყველა იერარქიული დონისა და კომპეტენციის რეპრეზენტაციის მიზნით: მთავარი რედაქტორი (2), რედაქტორი (1), მთავარი რედაქტორის მოადგილე/რედაქტორის მოადგილე (2), თანარედაქტორი (2), გამომცემელი/გამომცემელი ორგანოს გამგეობის წევრი (2), განყოფილების გამგე (3), ჟურნალისტი (6).

სტატისტიკა წარმოდგენილია პროცენტებში და კროსტაბით.

8.3. შედეგები

ანალიზი წარმოდგენილია სამ ეტაპად. ანალიზის პირველ ეტაპზე თითოეული სიტყვა, ნიშანი, სახე და ხატი, მეტაფორა თუ კონტაცია, რომელიც აღნიშნავდა “სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს”, იმის მიუხედავად, ეს აღნიშნა შეეხებოდა სახელდებას, სტატუსს თუ ვალენტობას, იქნა კოდირებული ცალ-ცალკე. 1800 ნიმუში დაჯგუფდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში 3.

¹⁵⁶ გამული, 1991, მარტი

**ცხრილი 3. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმნიშვნელები
(კონტენტანალიზის მიხედვით)**

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმნიშვნელები	პროცენტი
ისტორიული ქართული მიწა/საქართველოს განუყოფელი ნაწილი	21%
ეგრეტ წოდებული სამხრეთ ოსეთი	5%
უკანონო/სელოვნური ავტონომია	2%
შიდა ქართლი	21%
სამაჩაბლო	35%
ცხინვალი	2%
იარაღი რესეთის ხელში	8%
ადგილი, სადაც ეთნიკური ქართველები უფლებები შელახულია	5%
კანონთა ომის მსხვერპლი	1%

ანალიზის შემდეგ ეტაპზე ორ ცვლადს შორის: შეტყობინების წყაროს ტიპსა და ერთ კომენტარში/ერთ განცხადებაში საზრისისეულ რაოდენობას შორის გამოითვალი კროსტაბი, მისი კვადრატული მნიშვნელობით, ცვლადებს შორის თავისუფლების ხარისხი და ცთომილების ალბათობის კოეფიციენტი. შეტყობინების წყარო ტიპების მიხედვით დაიყო შემდეგ კატეგორიებად (ისევე, როგორც თავში 8): A – საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე/საქართველოს პრეზიდენტი; B – სახელისუფლებო ელიტა, რომელიც მოიცავს: პრემიერმინისტრს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს, სამინისტროების უმაღლესი რანგის მოხელეებს (მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები), უზენაესი საბჭოს წევრებს, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობების მოხელეებს; C – არასახელისუფლებო ელიტა, რომელიც მოიცავს: ინტელიგენციის წარმომადგენლებს; ეროვნული კონგრესის წევრებს; D – ურნალისტები, თითოეული რელევანტური მედიური ამბის ავტორები, მიკუთვნებულ იქნენ ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის მატარებლებს; E - მოქალაქეები: წყაროების კატეგორია, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას და მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ჩნდებიან ან კოლექტიურ წერილებში, ან ახალი ამბების გაშუქებისას.

ცხრილი 4. ეროვნული იდენტობის გამამყარებელი სახელწოდებისა და ვალენტობის მატარებელი ტერმინები წყაროს თითოეული ტიპის მიხედვით.

Nº	ეროვნული იდენტობის ნიშნები და ვალენტობები/წყაროები	A(%)	B(%)	C(%)	D(%)	E(%)
1	ერთი	38	34	49	53	42
2	ორი ან მეტი	62	56	51	47	58
	X ² =11.9, df=4, p<.05	100 (n= 526)	100 (n=140)	100 (n=681)	100 (n=262)	100 (n=191)

ანალიზის შემდეგ ეტაპზე ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აღწერითი სტატისტიკით იდენტიფიცირებული იქნა (რესპონდენტთა მოსაზრებების მიხედვით) ყველაზე უფრო ხშირი და მყარი ტერმინები, რომლებითაც ჩანაცვლდა “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი”.

ცხრილი 5. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმნიშვნელები (ინტერვიუ).

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმნიშვნელები	პროცენტი
დროებით ოპუბირებული	8.7%
ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი	4,3%
ოსეთი	8,7%
შიდა ქართლი	17,4%
სამაჩაბლო	26,1%
საქართველოს განუყოფელი ნაწილი	21.8%

უკანონო წარმონაქმნი	4,3%
ცხინვალი	8,7%

8.4. განხილვა

ა. სახელწოდების მატარებელი ტერმინები: ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკა, იდენტობა

როგორც ჩანს შედეგების ანალიზიდან, ყველაზე უფრო ტიპურ, მყარ, რაოდენობრივად კმარ სახელის მატარებელ ტერმინებს წარმოადგენენ შემდეგი ერთეულები: „სამაჩაბლო”, „შიდა ქართლი” და „ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი”.

1990-1991 წლების ქართულ მედიაში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ტოპონიმის „სამხრეთ ოსეთის“ ტოტალურად ჩანაცვლება ტრადიციული „სამაჩაბლოთი“ ერთობ ნიშანდობლივია. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე მაჩაბლების სამკვიდრო შიდა ქართლში, „სამაჩაბლო“ იყო მაგალითი საბჭოთა ტოპონიმის ტრადიციული ქართული ტოპონიმით ჩანაცვლებისა, რომელიც თავის თავში ატარებდა ეროვნულობის, ერად ყოფნის სიმბოლოებად ქცეულ ელემენტებს: ქართული კეთილშობილური წოდებრიობის ასოციაციას (მაჩაბლები - საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ამ კუთხის თავადები); ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და, სწორედ, ამ გარემოებების გამო ვერ დამკვიდრდა მედიასა და პოლიტიკოსთა გამოსვლებში რამდენჯერმე წარუმატებლად ხმარებული ტერმინი „ჩრდილო ქართლი“. „სამაჩაბლო“ - ეს იყო იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ტერმინი.

მეორე ყველაზე ხშირად ხმარებადი ტერმინი „შიდა ქართლი“ შეიძლებოდა, განგვეხილა, როგორც უფრო მეტად გეოგრაფიული ტერმინი (ვიდრე პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვის მქონე), როგორც სახელწოდება საქართველოს ერთ-ერთი კუთხისა (შეადარეთ: „ქვემო ქართლი”), მაგრამ ამ ტერმინის ფუძე უკვე მიანიშნებს ამ კუთხის ქართულ წარმოშობაზე, ქართულ იდენტობაზე.

კონტენტანალიზის მიხედვით, კომპონენტი „ოსეთი“ შენარჩუნებულია უპირატესად ერთ ტერმინში: „ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი”, რომელშიც სიტყვათშეხამება „ეგრეთ წოდებული” ააშკარავებს კონფლიქტს საგანსა და მის სახელდებას შორის.

რაც შეეხება ტერმინს “ცხინვალი”, იგი მედიურ რეპრეზენტაციაში უფრო მეტად აღნიშვნავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს, სეპარატისტული მთავრობის რეზიდენციას, ადგილს, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება.

ბ. ვალენტობის მატარებელი ტერმინები: პოლიტიკა, სამართლიანობა, უფლებები, იდენტობა

ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ გარკვეული ნიშნები და ფაქტორები შეტყობინების შიგნით ქმნიან მნიშვნელობებს შეტყობინების გარეთ, მის მიღმა, რომელთაც პოტენციურად შეუძლიათ, განზოგადებული იქნან იდენტობითი და ვალენტობის მატარებელი თვალსაზრისით. კვლევის ამ ნაწილში მე განვიხილავ იმ “რაღაცას”, რაც მდებარეობს შეტყობინების შიდა და გარე ფაქტორებს შორის. თითოეული შეტყობინება, რომელიც შეეხება “სამხრეთ ოსეთის” რეპრეზენტაციას, იმავდროულად, წარმოადგენს უფრო აბსტრაქტულ რეფერენციებსა და კონსტრუქტებს, ვიდრე ერთი კონკრეტული მედიური შეტყობინების კერძო ასპექტებია.

მაგალითად, მედიაშეტყობინების კონკრეტული შინაარსი: „სამაჩაბლო ხომ მთელ ქართლთან ერთად ხერხემალია სრულიად საქართველოსი“¹⁵⁷, შეიძლება, განზოგადებულ იქნას მიმართებით “სამხრეთ ოსეთის” მიწა საქართველოს განუყოფელი ნაწილია”. ეს დისკურსი ისტორიულ დისკურსთან აბრუნებს ამგვარი შინაარსის მქონე შეტყობინებების მიმღებებს: „ოსმა ექსტრემისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე მოინდომეს ახალი ოსური სახელმწიფოს შექმნა და შემდგომში ამ „რესპუბლიკის“ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება, კ. ი. საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მიტაცება საბჭოური ხრიკებით“¹⁵⁸.

ცხინვალსა და თბილისს შორის გამართული „კანონთა ომის“ მედიური რეფრაქცია ამ ომის რამდენიმე შრის წარმოჩენას შეიცავს: თბილისის მხრიდან ოლქის გაუქმების მართლზოგებას - „ახალი ხელისუფლება, როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ თლქს აუქმებს, ქართველი ერის ინტერესებს იცავს“¹⁵⁹;

¹⁵⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 12 აპრილი

¹⁵⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი

¹⁵⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი

ოფიციალური თბილისის მოქმედებების აღეკვატურობას - „რაც შეეხება 1990 წლის 20 სექტემბერს გამოცხადებულ დეკლარაციას ოსეთის სსრ სუვერენიტეტის შესახებ, ეს უკანონო აქტი მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. 1990 წლის 9 დეკემბერს მოწყობილი არჩევნებიც უკანონო იყო, ...რითაც შეიძლა ამ რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უფლებები და ინტერესები“¹⁶⁰; საქართველოს ხელისუფლების არათანმიმდევრულ პოლიტიკას ეროვნული უმცირესობებისა და ავტონომიური წარმონაქმნების მიმართ: „ხელისუფლებას სათავეში რომ ჩაუდგა, ბლოკმა “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ უარი თქვა თავის თავდაპირველ მოთხოვნაზე და განაცხადა, რომ ავტონომიები შენარჩუნებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ეს არცოუდიდხეანს გაგრძელდა. 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გამწვავება, დიდი ეროვნებათაშორისი შეტაკებები“¹⁶¹ (შეტყობინების ავტორი რუსი უურნალისტია); და მეორე: ეს მედიური ნიმუშები წარმოაჩენს ავტონომიურ თლქს, მის ტერიტორიას, მის მოსახლეობას, როგორც „პანონთა ომის“ საგალალო შედეგს და მსხვერპლს.

როგორც კვლევის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, ექსკოლონიურ ქვეყნებს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესში და მისი მოპოვების პირველ წლებში ახასიათებს ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ურთიერთჩანაცვლების პროცესი, „ნამდვილი“ ისტორიის ძიება და შექმნა, ზოგჯერ - მითებისა და მისტიფიცირებული ისტორიების ხარჯზე. „ოსური თვითშეგნების გამოდვიძებამაც“ თავი ვერ დააღწია ამ პროცესს: ოფიციალური ისტორიის საპირტონედ იქმნებოდა მითი ალანთა ძლევამოსილი სახელმწიფოს შესახებ: „ათასწლეულის ქარტეხილებში დიადი თავისუფლების პატივისმცემელი ალანთა უძლეველი ტომისა და მოდგმის სახელმწიფო“¹⁶². ამ აღმატებული, მაღალფარდოვანი სტილით შექმნილ შეტყობინებებს უპირისპირდება „მეორე ისტორიული სიმართლე“, რომელშიც სამხრეთ ოსეთი, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნი, თითქმის

¹⁶⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 5 იანვარი

¹⁶¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 6 იანვარი

¹⁶² მამული, 1990, ოქტომბერი

ისტორიული ალოგიკურობისა და აბსურდის დისკურსში განიხილება: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მტერმორეულ ქართულ მიწაზე ქართველი ხალხის ნების უბუღებელყოფით ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-კულტურული წარმონაქმნია, რომელიც დამოკლეს მახვილივით აღიმართა კომუნისტური დიქტატურის არტახებში მოქცეული ქართველი ხალხის თავზე“¹⁶³; „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა ყველა მორალური, ისტორიული და სამართლებრივი კრიტერიუმის დარღვევით, რადგან ეროვნულ უმცირესობას, რომელმაც შეაღწია და დასახლდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შეუძლია იქონიოს პოლიტიკური ავტონომიის შექმნის პრეტენზია მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების ხარჯზე“;¹⁶⁴ „ოსური აჯანყება განხორციელდა კიდეც ივნისში (1920) - გამოცხადდა ონიდან დუშეთამდე ცალკე საბჭოთა ხელისუფლება. ამ გზით მოინდომეს ოსმა ექსტრემისტებმა ტერიტორიის გათავისება - აი, „ოსური იდეოლოგიის“ სიმპტომატური გამოხატულება“.¹⁶⁵

რას წარმოადგენს მედიურ რეფრაქციაში სამხრეთ ოსეთის ავტონომია?

უკანონო ავტონომიას - „ჩვენ გავაუქმეთ უკანონო ავტონომია ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“¹⁶⁶; „ქართული სახელმწიფოებრიობის 25-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე არასდროს არსებობდა ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“¹⁶⁷; „ეს უკანონო ტერიტორიული წარმონაქმნი ბოლშევიკებმა ოდინდელ ქართულ მიწა-წყალზე 1922 წელს შექმნეს“¹⁶⁸; „...დაყოვნებული მოქმედების მყრალი ნაღმი, ლენინის, სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ ჩაღებული“¹⁶⁹; „ეს არ არის არავითარი ჩრდილოეთ ოსეთი, არამედ ნამდვილი, ერთადერთი ოსეთია. გარდა ამისა, განვმარტე ისიც, რომ არასდროს არ არსებობდა და არც ახლა არსებობს სამხრეთ ოსეთი“¹⁷⁰.

¹⁶³ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 10 იანვარი

¹⁶⁴ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 6 იანვარი

¹⁶⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 10 იანვარი

¹⁶⁶ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი

¹⁶⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 6 ოქტომბერი

¹⁶⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 13 მარტი

¹⁶⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 26 მარტი

¹⁷⁰ იქვე

ხელოვნურ ავტონომიას - „ავტორი ასაბუთებს (გრიგოლ გველესიანი - ხ.მ.), რომ ტერიტორიის ამ მცირე ნაწილში, რომელიც საქართველოშია, ოსობას არ გააჩნია ძალები და ნივთიერი საშუალებები, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის არსებობისათვის“¹⁷¹; „ავტონომია, თანამედროვე ოსურ პირობებში აღმოცენებული, დაიშლება და დაჭკნება დაბადებისთანავე“¹⁷²; „ოსები ჩვენს ტერიტორიაზე - ეს არის კლასიკური მაგალითი ეროვნული უმცირესობისა, ამიტომ მათ არ შეიძლება ავტონომიური ოლქის შექმნის პრეტენზია ჰქონდეთ... დღესაც მოვითმენდით [ოლქს], არც დღევანდელ პირობებში გავაუქმებდით, მაგრამ ოლქის მესვეურთა კატეგორიული და ონაც ცინიკური დაპირისპირება საქართველოს როგორც ძველი, ასევე ახალი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებისადმი ვერმოსათმენი გახდა, თანაც ეს ხდებოდა ცენტრის იმედით“¹⁷³.

სახელმწიფოებრივ წარმონაქმნების, სადაც მისი მცხოვრებლების უფლებრივი მდგომარეობა დარღვეულია/დაცულია: „ავტონომიური ოლქის არსებობის მთელი დროის მანძილზე მიმდინარეობდა ოლქში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უბოდიშო დისკრიმინაცია, მაშინ, როცა ოსი მოსახლეობის კულტურულმა განვითარებამ ბევრად გაუსწრო ჩრდილოეთ ოსეთსაც“¹⁷⁴; „ორი ათეული წლის წინათ ცხინვალში სამოცი პროცენტი იყო ქართველობა, იძულებულები გახადეს, რომ აყრილიყვნენ და სხვაგან ეძიათ თაგშესაფარი. ამის გამოა, რომ დღეს ცხინვალში ორი ათასი ქართველი ოჯახიღაა. ქართველ კაცს ქართულ მიწაზე არ დაედგომება“¹⁷⁵; „საწყალი ოსები ქართველების ხელში“, „თვითონ კლავენ ქართველები ერთმანეთს და მერე ოსებს აბრალებენ“, „ოსებთან ტყუიან სამაჩაბლოელი ქართველები“¹⁷⁶; „ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე ოსების ჩამოსახლების პროცესის დაჩქარების შედეგად, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველი მოსახლეობა ამ რეგიონში უმცირესობას წარმოადგენს“¹⁷⁷; „საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აქ

¹⁷¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 იანვარი

¹⁷² იქვე

¹⁷³ 7 დღე, 1990, დეკემბერი

¹⁷⁴ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 6 იანვარი

¹⁷⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 9 იანვარი

¹⁷⁶ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 22 ოქტომბერი

¹⁷⁷ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 15 ოქტომბერი

არაქართული ეთნოკრატია დამკვიდრდა. გამოვიდა, რომ ქართველები საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. .. აპარტეიდსაც კი პგავს“¹⁷⁸; „ჩვენ ვაღიარებთ ოსი ხალხის, ისევე, როგორც სხვადასხვა ხალხის უფლებას თვითგამორკვევისას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნისას, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მათ ისტორიულ სამშობლოში, დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში და არა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ“¹⁷⁹;

სამხრეთ ოსეთი - იარაღი სსრკ-ის/რუსეთის ხელში. „შამამისია ხიზნები მამულსა მაჩაბლისასა“¹⁸⁰; „ოსები საქართველოში მკვიდრი მოსახლეობა არაა“¹⁸¹; „პრეზიდენტ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულების შეფასება, როგორც საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა, როგორც ექსტრემისტული ძალების წაქეზება“¹⁸²; „... სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში - იქ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მიაგნო საყრდენ წერტილს, რომელიც ესოდენ სჭირდება ჩვენთან საბრძოლველად“¹⁸³; „ კონფლიქტები, რომლებიც ... არ დაწყებულა ეთნიკურ ნიადაგზე... ძმათაშორისი ომი სამაჩაბლოში პროვოკირებულია მესამე ძალის მიერ“¹⁸⁴; „რეფერენციუმი ცხინვალში“: ხმის მიცემა ტანკების, ჯავშანტრანსპორტერების და შეიარაღებული მედესანტების თანხლებით სულაც არ არის აზრის გამოხატვის დემოკრატიული ფორმა... „ორგანიზებულად“ მიმდინარეობდა საქმე ჯარის ნაწილებში. მაგრამ რამდენად უფლებამოსილი იქნება, იქ გადაწყდეს საკითხი მკვიდრი მოსახლეობის მაგივრად?“¹⁸⁵; „თავისუფლება-დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ყველა ერს მოუძებნა მეტროპოლისმა ბორკილი. ქართველებისთვის ამ ბორკილად ოსთა საკითხი აღმოჩნდა“¹⁸⁶; „გამოიტანენ არა მარტო ჩრდილოეთ ოსეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანების გადაწყვეტილებას, არამედ მოხდება ერთიანი ოსეთის

¹⁷⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 4 მარტი

¹⁷⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 5 იანვარი

¹⁸⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი

¹⁸¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 5 იანვარი

¹⁸² საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 10 იანვარი

¹⁸³ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 22 ოქტომბერი

¹⁸⁴ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 16 მარტი

¹⁸⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 მარტი

¹⁸⁶ მამული, 1991, იანვარი

დამოუკიდებლობის გამოცხადებაც. აირჩევენ ამ ოსეთის პრეზიდენტს. მერე კი დამოუკიდებელი ოსეთი, ყარაბაღივით, შეიტანს თხოვნას, „სოდრუჟესტვოში“ მიგვიღეთო... ასე მოხდება აფხაზეთშიც. იქაც აირჩევენ პრეზიდენტს. იქაც გამოაცხადებენ დამოუკიდებლობას. აფხაზეთიც ითხოვს „სოდრუჟესტვოში“ მიღებას”¹⁸⁷.

8.5. დასკვნა

1990-1991 წლების ქართულ პრესაში ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სახელის მოხსენიების “ეროვნული ჩარჩოების” მოცულობისა და ბუნების შესწავლა შესაძლებელს ხდის, გამოვიტანოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა.

ანალიზის ორივე მიმართულების შედეგების შეჯამების შემდეგ შეგვიძლია, დავსკვნათ, რომ რომ ქართული პრესის მიერ “სამხრეთ ოსეთის” აღმნიშვნელი მრავალი სახელის გამოყენება თავის თავში ატარებს ქართული ეროვნული იდენტობის გამამყარებელ ნიშნებს, ლიად ადასტურებს ამ მიწის ქართულ წარმოშობას. ამ საფუძველზე დაყრდნობით, 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედიის კომუნიკაციური სტრატეგიები მიმართულია პატრიოტული მოტივაციის, ამ მიწასთან პატრიოტული მიბმულობის გამყარებისკენ ქართველთა მხრიდან, და ნაციონალისტური მისწრაფებების დაშლისაკენ სამხრეთელ ოსთა მხრიდან. ეს კომუნიკაციური სტრატეგიები მოიცავს შემდეგს: თუკი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია არც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით, არც კულტურული მემკვიდრეობით, არც სახელმწიფოდ ყოფნის ისტორიით არ არის მიბმული, დაკავშირებული ოსურ ეთნოსთან, ოს ეროვნებასთან, მაშინ პატრიოტული მოტივაცია ამ მიწის მიმართ შეუძლებელია არსებობდეს ოსთა შორის; მაშინ ვერანაირი ქმედება მათი მხრიდან ვერ იქნება განპირობებული პატრიოტული მოტივაციით, კონკრეტულად მიწის ამ მონაკვეთის სიყვარულით, როგორც განსაკუთრებული მიწისა, - სამშობლოსი.

წყაროთა სისტემა, მათი სტრუქტურა, წყაროებისა და მათ მიერ გავრცელებული შეტყობინებების მიმართებების შინაარსობრივი ვექტორი, მიმართებების

¹⁸⁷ მამული, 1991, დეკემბერი

ურთიერთპოპორცია, ურთიერთთავსებადობა უჩვენებს, რომ სამხრეთ ოსეთის როგორც ქართული ეროვნული იდენტობისთვის, ქართული ეროვნული სივრცისთვის მნიშვნელოვანი ერთეულის, რეპრეზენტაციისას მედია ირჩევს ცოდნის მწარმოებლისა და გამავრცელებლის პოზიციას. მას მკითხველის უშუალო პერსონალურ გარემოში, მის მგრძნობელობით თვალსაწიერში, აღქმაში შემოაქვს განსაკუთრებული სემიოტიკური მასალა, ეროვნულ-იდენტობითი სახელდებები, ღირებულებები და იდეები, ქმნის ფართო “სიმბოლურ გარემოს” და თითოეული მკითხველისთვის აყალიბებს სამხრეთ ოსეთის, მასში მიმდინარე პროცესების ხატს. ამ მედირებულ ცოდნაში პრევალირებს ისტორიული დისკურსი, “ნამდვილი” ისტორიის წარმოჩენის პრეტენზია, “მანკიერი” საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გაკვეთილები, ქართველთა დისკრიმინაცია საქართველოში კომუნისტურ პერიოდში, ისტორიული უსამართლობა და ა.შ. მოსკოვის მოხსენიება “ცენტრად”, “მეტროპოლისად” შეიცავს მიმართებებს საქართველოს კოლონიურ მდგომარეობასთან რუსეთის მიმართ.

ქართული ბეჭდური მედია, ამ შემთხვევაში – კოლექტიური კომუნიკატორი, შეტყობინების გამგზავნი იმგვარ მედიურ შინაარსს ქმნის, რომლის პოტენციური მიმღების რანჟირება მისთვის წინასწარ განუსაზღვრელია (გოქვათ, მიმღებად იგულისხმება თუ არა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობა, ის ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობენ სეპარატისტებს, სამხრეთ ოსური და აფხაზური ნომენკლატურული, სამეცნიერო და კულტურული ელიტა?). სწორედ ეს გარემოება ანიჭებს კომუნიკაციის პროცესს კვაზი-ინტერაქციულ ხასიათს. სახეზეა მედიის ძალაუფლების დომინანტური, კვაზიპლურალისტური მოდელი (თითოეული მედიუმის პოლიტიკურ, სოციალურ და კომუნიკაციურ დამოკიდებულებათა ასპექტებს ამ შემთხვევაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა).

კვაზიპლურალისტური მოდელისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გამოკვეთილია:

- კომუნიკაციური პროცესი მკვეთრად ასიმეტრიულია და კვაზიინტერაქციულობით ხასიათდება;
- შეტყობინების წყარო უპირატესად მმართველი პოლიტიკური ძალა ან დომინანტური ელიტა;
- მედიაციური ტაქტიკა შერჩევითია, კომუნიკაცია ხორციელდება ჩამოყალიბებული წესრიგის განმტკიცების მიზნით; აქედან გამომდინარე - სახელისუფლებო ელიტის,

არასახელისუფლებო ელიტისა და უურნალისტის დისკურსი ერთგვაროვნების მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

- შეტყობინების მიმღებად იგულისხმება კოგნიტურ წინასწარგანწყობაზე ორიენტირებული, მასზე დამოკიდებული, ორგანიზებული, ეთნიკურად პომოგენიზებული ერთობა.
- მედიაშეტყობინებების მეტატექსტი იმპერატიული ან დეკლარაციულია.

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებული ინფორმაციების, ხატების, ისტორიების, შთაბეჭდილებების, თვალსაზრისების მიწოდება აუდიტორიისათვის ამგვარი მედიაციური მოდელით განპირობებულია პროპაგანდისტული მოტივებით, ფსიქოსოციალურად გამყარებული, ე.წ. “საყვარელი” ეროვნული ხატების დაცვის მოტივებით.

გარდამავალ სოციალ-პოლიტიკურ გარემოში ამგვარი მედიაცია უპირისპირდება საბჭოთა უურნალისტიკის მედიაციურ გამოცდილებას – 1990-იანი წლების ქართული ბეჭდური მედია შეახსენებს მკითხველს, რომ ერთი და იგივე სოციალური რეალობა

- სხვადასხვაგვარად კონსტრუირებადია სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსები.

თავი 9

საქართველო და გარესამყარო. სპეციფიკური მედიური სახეები და
სატები

„ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ვხდებით მედიაზე, რათა მივიღოთ ფართო „სიმბოლური გარემო“, მივიღოთ ხატები და სახეები ჩვენს გონიერაში“¹⁸⁸, - კომუნიკაციათმცოდნის, დენის მაკქუეილის ეს ფრაზა, თქმული ზოგადად მედიის შესახებ სოციალურ ურთიერთობათა და გამოცდილების მედიაციის ასპექტში, ზედმიწევნით ზუსტად ასახავს 1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოს სურათს.

მედიურ ხატებსა და სახეებზე დამოკიდებულების ხარისხი კიდევ უფრო იზრდებოდა, როდესაც საქმე საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე სივრცეს და მის რეპრეზენტაციას შეეხებოდა. ის მედიური სახეები და ხატები, დისკურსი, რომლებიც ქმნიდნენ წარმოდგენებს გარე სამყაროს შესახებ, თავის მხრივ, ემყარებოდნენ საკმაოდ მრავალშრიან კულტურულ და კომუნიკაციურ ნაკადებს: სხვადასხვა წარმოშობის, განსხვავებული დროითი და სივრცობრივი გამზომილებების მქონე, ხშირად წინააღმდეგობრივ წარმოდგენებს, სტერეოტიპებს, რწმენებს, ხატებს, სხვადასხვა საინფორმაციო არხებზე დაყრდნობით შექმნილ სახეებს. იმდენად, რამდენადაც იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალებების მიმართ (საბჭოთა და უცხოური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) არსებობდა სანდოობის სხვადასხვა ხარისხი, აქედან გამომდინარე, იქმნებოდა გარედან შემოსული შეტყობინების დეკოდირების სოციალურად „შეთანხმებული“ სისტემა: მაგალითად, არსებობდა საზოგადოებრივი ვარაუდი, რომ საბჭოთა და რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იყენენ არა იმდენად მეტ-ნაკლებად სრული და ზუსტი (სანდო) ინფორმაციის წყარო, რამდენადაც პროპაგანდისტულად ინტერპრეტირებული, ხშირად დეზინფორმაციის შემცველი შეტყობინებების გამავრცელებლები. ანუ იქმნებოდა შეტყობინების გახსნისა და მიღების ისეთი „ფილტრი“, რომელიც აერთიანებდა მედიის დაქსაქსულ და ანონიმურ მიმღებებს. „შეთანხმებულად გაფილტრულ“ შეტყობინებაზე რეაქცია, მისი ეფექტი მედიის მომხმარებელთაგან აყალიბებდა არა მასას, რომელზეც მანიპულირებენ, არამედ პუბლიკას, რომელიც თვითონ არის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტორი, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებების მისაღწევად. სწორედ ამ გარემოებას მივიჩნევ ერთ-ერთ

¹⁸⁸ McQuail, D. (2005) : 81

ყველაზე ნიშანდობლივ გარემოებად გარდამავალი პერიოდის ქართულ
საზოგადოებასა და მედიაში.

9.1. თეორიული არგუმენტები პიპოთეზისთვის. კვლევის მეთოდი

კვლევის მიზანი: 1990-იანი წლების ქართული ბეჭდვითი მედიის მიერ
საქართველოს გარეთ და მიღმა არსებული გარემოს, ერების სამყაროს
რეპრეზენტაცია; მისი ნიშან-თვისობრივი წარმოსახვა მედიაში; მტრის, მოყვრის,
საფრთხის, კეთილმეზობლობისა და პარტნიორობის ბუნების წარმოჩენა მედიის მიერ;
კონტენტანალიზის მეთოდით გაანალიზდა 550 საზრისისეული ერთეული: 112 –
„მამული“, 385 – „კომუნისტი“/„საქართველოს რესპუბლიკა“, 53 – „7 დღე“/„დრონი“.
საზრისისეულ ერთეულად მიიჩნეულია ყველა ის მედიური ერთეული (დასრულებული
აზრის მქონე სემანტიკურ-პრაგმატიკული სტრუქტურა, სიტყვათშეთანხმების,
წინადადების, ან წინადადებათა ჯგუფის სახით), რომელიც თავის თავში ატარებს
შეფასებას, დამოკიდებულებას კონკრეტული გეოპოლიტიკური ერთეულის (სივრცის)
მიმართ. საზრისისეულ ერთეულებს შინაარსობრივი კატეგორიების მიხედვით მიენიჭა
კოდები: "1" - მეგობრული/კეთილგანწყობილი, "2" - ნეიტრალური, "3" - საფრთხის
შემცველი, "4" - მტრული. "1"-ში მოხვდნენ ის საზრისისეული ერთეულები,
რომლებშიც გარემო დახატული და წარმოჩენილი იყო, როგორც პარტნიორი,
სოლიდარობის მქონე ახალი ქართული ერი-სახელმწიფოსთვის. "2"-ში მოხვდნენ ის
საზრისისეული ერთეულები, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ არც ერთი სხვა კოდის
კრიტერიუმებს; "3"-ში მოხვდნენ ის საზრისისეული ერთეულები, რომლებშიც გარემო
ერთეული წარმოჩენილი იყო როგორც გარკვეული საფრთხის მატარებელი ახალი
ქართეული სახელმწიფოს ინტერესებისთვის. "4"-ში მოხვდნენ საზრისისეული
ერთეულები, რომლებშიც გარემო ერთეული არ აკმაყოფილებდა კოდი "3"-ის
მოთხოვნებს, საქართველოს მიმართ აგრესიის უფრო მაღალი ხარისხის
გათვალისწინებით.

კოდირების პროცედურას აწარმოებდა ორი პიროვნება. 550 საზრისისეული
ერთეულისთვის მინიჭებულ კოდებში ისინი შეთანხმდნენ 512-ზე. სანდოობის
კოეფიციენტმა, პოლსტის ფორმულის მიხედვით შეადგინა .93.

გარემოში გამოიყო შემდეგი ერთეულები: 1. საბჭოთა კავშირი; 2. რუსეთი
(იმდროინდელ ქართულ ცნობიერებაში და, შესაბამისად, მედიაში, ეს ორი ერთეული

არ იყო კონგრუენტული (ცნებები და ერთეულები); 3. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები; 4. "ახლო საზღვარგარეთი" (თურქეთი, ირანი); 5. სამხრეთ კავკასიური (ამიერკავკასიური) რესპუბლიკები (სომხეთი, აზერბაიჯანი); 6. ჩრდილოეთ კავკასია; 7. დასავლეთი (ევროპა, შეერთებული შტატები).

1990-იანი წლების დასაწყისისთვის საქართველოს, ჯერ როგორც სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ და შემდეგ - დამოუკიდებელ სახელმწიფოს ფაქტობრივი, „მგრძნობელობითი“ შეხება ჰქონდა საბჭოთა კავშირთან (ცენტრთან). წარმოდგენები საბჭოთა კავშირის შესახებ ეფუძნებოდა რეალურ ურთიერთობებს, თუმცა ისინი უხვად მეტაფორიზებული და კონტინებული იყო. დანარჩენი გარემოს ნიშან-თვისობრივი კონსტრუირება ემყარებოდა:

- ა) ისტორიულ გამოცდილებას (რუსეთი, ირანი, თურქეთი);
- ბ) მსოფლიოში გავრცელებულ სტერეოტიპულ საფრთხეებს, მაგალითად: „მაჰმადიანური სამყარო, ისლამი როგორ გაძლიერდა, როგორ გვაშინებს“¹⁸⁹; „სსრკ-ს ტერიტორიაზე ხომ არ შეიქმნება დიდი ისლამური სახელმწიფო, რაღაც „ოქროს ურდოს“ მსგავსი?“¹⁹⁰;
- გ) ისტორიის „პრეფერენციული წაკითხვის“ სფრგილს - წარსულში შეჩერებული პროცესების მომავალში საქართველოსთვის სასურველი გეზით გაგრძელება (ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული წარსული, გარკვეული ადათობრივი მსგავსება, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად გაღებული საერთო დანაკარგები, ჩრდილოკავკასიელი ინტელიგენციის, მისი ელიტის თბილისში მიღებული განათლება - როგორც საფუძველი კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობისთვის);
- დ) ახალი ერი-სახელმწიფოს ამბიციას, ყოფილიყო „ახალი მსოფლიო წესრიგის სუბიექტი“, დასავლეთის მიერ დეკლარირებული უნივერსალური ღირებულებების მატარებელი, დასავლეთის მიერ აღიარებული პარტნიორი და მისი მზრუნველობის ქვეშ მოქცეული ერი-სახელმწიფო.

საქართველოს გარემომცველ გარემოში პოლიტიკური და გეოგრაფიული ერთეულების შერჩევა ემყარება გარკვეულ არგუმენტაციას. თუკი ზოგიერთი ერთეულის არსებობა ჩვენს სისტემაში „თავისთავად იგულისხმება“, ანუ წარმოადგენს

¹⁸⁹ კომუნისტი, 1990, მოქმედი

¹⁹⁰ მამული, 1991, დეკემბერი

განსაზღვრულ ისტორიულ-პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მოცემულობას (რუსეთი, საბჭოთა კავშირი, ირანი, თურქეთი...), ზოგიერთი ერთეულის არსებობა განპირობებულია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეტენზით, საკუთარი თავი განიხილოს დირებულებათა ამ სისტემის ნაწილად (მაგალითად, ევროპა, ზოგიერთი მედიური ნიმუშით, „ისტორიული ტენდენციაა”; შეერთებული შტატები ახალი მსოფლიო წესრიგის შემოქმედია); ერთეული „საბჭოთა რესპუბლიკები“ ემპირიულ მასალაში ხმარებადობის სიხშირით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ სივრცის რეპრეზენტაცია, წარმოჩენის თუნდაც დაბალი კოეფიციენტით, მნიშვნელოვანია შინაარსობრივი დატვირთვის გამო - იგი უჩვენებს საქართველოს ზოგადი საბჭოთა სივრციდან დაზინტეგრაციის ხარისხს, ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს პირობებშიც კი ურთიერთმიბმულობის ხარისხს.

1. საბჭოთა კავშირი. დამოუკიდებელი საქართველოსთვის ეს გარემო დია საფრთხის შემცველია: მედიური ნიმუშების ვალენტობის ვექტორია მოძრაობა, მიმართულება - გან, დეზინტეგრაციული. „ბოროტების იმპერიის ხელმოუთავებელი ჯოჯოხეთური მექანიზმი კვლავინდებურად ლამობს ჩახშოს ჩვენი მისწრაფება თავისუფლებისადმი“¹⁹¹; „შემოვა შემოსასვლელი... და გადაწითლდება ისევ ჩვენი ფირუზისფერი ცა და ზურმუხტისფერი ხმელეთი... და ვინ იცის, კიდევ რამდენი წლით დამიწდება და დაკაბალდება ჩვენი აუხდენელი ოცნებები“¹⁹²; „მისიკვდილებულმა კაშჩი ბესსმერტნიმ“ ; „მეტროპოლისში მზაკვრული გეგმა აქვთ შედგენილი: ჩრდილოეთ კავკასიის აგტონომიებში შექმნილია რაზმები, რომლებიც საქართველოში შემოიჭრებიან ოსთა დასახმარებლად მაშინ, როცა ამას მიზანშეწონილად დაინახავენ“¹⁹³; „ყველანი ერთი ციხის „ბინადარნი ვართ, იქიდანაც ყველანი ერთად უნდა გავიქცეთ და მერე ვიფიქროთ მომავალ ურთიერთობებზე“¹⁹⁴ (ივან დრაჩი, უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატი);

2. რუსეთი - მისი რეპრეზენტაციისას რამდენიმე პლასტს ვხვდებით - ისტორიულს (გეორგიევსკის ტრაქტატი, უვაროვის რუსიფიკაციული დოქტრინა);

¹⁹¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, აპრილი

¹⁹² საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 2 აპრილი

¹⁹³ მამული, 1991, იანვარი

¹⁹⁴ 7 დღე, 1991, მარტი

თანამედროვეს - რუსეთის ორი სახე; რუსეთის წარმოჩენა ორმაგი სტანდარტით. რუსეთი საბჭოთა იმპერიის კონგრუენტულია - რუსეთი არ არის საბჭოთა კავშირის იდენტური მედიურ ნიმუშებში რუსეთი მტრადაც ჩანს და საფრთხის შემცველადაც; რუსეთისაგან მომდინარე საფრთხე წარმოჩენილია როგორც დიად, ასევე დაფარულადაც: „შამამეყარა ყივჩაღი, გეორგიევსკის გზისასა, წიგნი დახია ფიცისა, ირაკლის ტრაქტატისასა“¹⁹⁵; „რუსეთის მოსკოვი იმპერიული მოსკოვის წინააღმდეგია“¹⁹⁶; ან: „სოლუენიცინს იმპერიაში შემავალი არარუსი ერები ერთხელ და სამუდამოდ გადაგვარებულ ბრძოებად ჰყავდა წარმოდგენილი და მათი გარუსება თითქმის დასრულებულ საქმედ მიაჩნდა“¹⁹⁷; „სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა სარწმუნოების კავკასიელ ხალხებს შორის ეთნიკური სიძულვილი, ე.წ. „ეთნოკონფლიქტები“ ამ ერთა თანაარსებობის მანძილზე უცხო იყო, სანამ კავკასია ცეცხლითა და მახვილით, ვერაგულად არ დაიკურო იმპერიათა შორის უსასტიკესმა და უბოროტესმა - რუსეთის იმპერიამ“¹⁹⁸ დია საფრთხე/მტრობა წარმოჩენილია შემდეგ ნიმუშებში: „რასაკვირველია, არსებობს საფრთხე მოსკოვის მხრივ, არსებობს დიდი ზეგავლენა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით“¹⁹⁹ დაფარულ საფრთხეს ვხვდებით შემდეგ ნიმუშებში: „რუსეთის ბატონობის ქვეშ ყოფნაც რაღაც არარეალურ ფრაზად გადააქციეს“²⁰⁰; „არ მოგვატყუოს მოსკოვში ცრუ დემოკრატიის გამარჯვებამ. ხომ შეიძლება, დემოკრატმა ქართველებმა დაიჯერონ, რომ დემოკრატიული რუსეთი არ დაჩაგრავს დემოკრატიულ საქართველოს? არ არის გამორიცხული.“²⁰¹

3. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. „საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ეცნობა, რომ საქართველო მზად არის ახალ პრინციპებზე დაყრდნობით აწარმოოს და კიდვე უფრო განავითაროს ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირთან, ასევე მის შემადგენლობაში

¹⁹⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, იანვარი

¹⁹⁶ 7 დღე, 1991, მარტი

¹⁹⁷ მამული, 1990, ოქტომბერი

¹⁹⁸ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, აპრილი

¹⁹⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, აპრილი

²⁰⁰ მამული, 1990, ოქტომბერი

²⁰¹ მამული, 1991, დეკემბერი

მყოფ ცალკეულ რესპუბლიკებთან“²⁰² - ასეთი განზოგადებული მასშტაბით, ასეთი პროტოკოლური სტილითა და ფრაზებით რეპრეზენტირებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, როგორც გარემო ერთეული, ვერ წარმოაჩენს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ორიენტაციას გარემოში. 14 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა ვერ გახდებოდა თანაბარი პრიორიტეტულობის მქონე პარტნიორი. მით უმეტეს, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებობდა პერესტროიკის დროინდელი სოლიდარობის პრეცედენტები და პერესტროიკისდროინდელი მოკავშირეები. 1988 წლიდან, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდიდან, ქართულ მედიაში ხშირად ჩნდებოდა პუბლიკაციები ბალტიისპირეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.²⁰³ ეს პუბლიკაციები უპირატესად დაიჯესტური ტიპისაა, ხშირად - კომპილაციური ხასიათის, მაგრამ აქ მთავარი არა კონკრეტული მედიაშინაარსია, არამედ - პუბლიკაციის მოტივი - ბალტიისპირეთში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური დოქტრინები, ინსტიტუტები, სტრუქტურები ქართული საზოგადოებისათვის მოწოდებულია როგორც მისაბაძი მოდელი. 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საქართველოსა და ესტონეთის, საქართველოსა და ლიტვის წარმოჩენა მედიაში ხდება შედარებით და ანალოგებზე დაფუძნებულ დისკურსში. მაგრამ, 1990 წლის ბოლოდან ეს ტენდენცია თითქმის სრულიად ქრება ქართული მედიიდან. როგორც გნახეთ მრავლობითი მედიური ნიმუშის საფუძველზე, ბალტიისპირეთის რეპრეზენტაცია იძენს ორაზრონად დამოკიდებულებას: რომ არა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგანწირვა, 9 აპრილს დადგრილი სისხლი, ვერც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მიიღებდნენ დამოუკიდებლობას... 1990 წლის ოქტომბერი - 1991 წლის დეკემბერი პერიოდში გარემოს რეპრეზენტაციისას ვერ მოვიძიეთ ვერც ერთი მედიური ნუმუში, რომელშიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები რეპრეზენტირებულნი იქნებოდნენ როგორც გარკვეული (საქართველოსთვის მნიშვნელოვანი) ნიშან-თვისების მატარებელნი. ისინი თითქმის გამოირიცხნენ საქართველოს გარემოდან (შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ საქართველოსა და

²⁰² 7 დღე, 1991, მარტი

²⁰³ მაგალითად, გაზეთებში: “თბილისი”, “მამული”, “ლიტერატურული საქართველო”, “საქართველო” და ა. შ.

ესტონეთს, საქართველოსა და ლიტვას შორის არსებობდა სოლიდარობის გარკვეული დროითი მონაკვეთი და, სინამდვილეში, რეალურად ისინი არასდროს წარმოადგენდნენ ერთმანეთისათვის გარემო ფაქტორებს). ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ხმარებადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტით და ყველაზე დადებითი დისკურსით რეპრეზენტირებულია უკრაინა. იგი, ფაქტობრივად განიხილება, როგორც უპირობო, უალტერნატივო მოკავშირე და კეთილმეზობელი საქართველოსთვის. „ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ეკონომიკა და სულისკვეთება უკრაინასთან მეგობრობის უტყუარ წანამდვრებს ქმნის. მან ჩვენ თურქეთთან ლავირების საშუალება უნდა მოგვცეს. მას სჭირდება თურქეთთან ნათელი ურთიერთობის მქონე ქვეყანა მოკავშირედ. ასეთი საქართველოა.“²⁰⁴

4. ირანი, თურქეთი. ამ ერთეულების რეპრეზენტაციისას სჭარბობს ისტორიული დისკურსი და ინტერკრეტირებული, არაზუსტი, ნაივური წარმოდგენები თურქეთისა და ირანის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესზე. მედიურ ნიმუშებში ორივე ქვეყანა რეპრეზენტებულია როგორც მტერი და როგორც ლია და ფარული საფრთხის შემცველი: „ირანს აღიზიანებს საქართველოს რუსეთთან კავშირი“²⁰⁵, „ირანი სულ ეჭვიანობს ჩვენზე“²⁰⁶; „განსაკუთრებით საქართველო პგვრის მათ ნერწყვს“ [მათ - იგულისხმებიან ადამიანები თანამედროვე ირანში, რომლებიც შაჰისდროინდელი იმპერიის აღდგენასა და ტერიტორიების დაბრუნებაზე ოცნებობენ]“²⁰⁷; „კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს მეზობელ ორ მუსლიმანურ ქვეყანას - ირანსა და თურქეთს - დადგებული აქვთ ხელშეკრულება, რომელზეც ჯერჯერობით არც ერთს უარი არ განუცხადებია და რომლის მიხედვითაც ერთი აღმოსავლეთ საქართველოზე აცხადებს პრეტენზიას და მეორე - დასავლეთზე“²⁰⁸; „მან მოიტაცა ჩვენი ფუძის დიდი ნაწილი, თურქეთი გამალებით ეწევა თავისი სახელმწიფოს პირობით საზღვრებში მოქცეული ქართველი ხალხის გათურქებას“²⁰⁹ „ეს თქვენ ხართ ქართველები, ძალის ძვალივით რომ ხართ გაჩერილი კავკასიაში და თურქებს ხელს რომ გვიშლით

²⁰⁴ მამული, 1990, ნოემბერი

²⁰⁵ მამული, 1990, ოქტომბერი

²⁰⁶ მამული, 1990, ოქტომბერი

²⁰⁷ მამული, 1990, ოქტომბერი

²⁰⁸ კომუნისტი, 1990, ოქტომბერი

²⁰⁹ მამული, 1990, ნოემბერი

გაერთიანებაში, თორემ ნაყიფჩაღარი ჩრდილო კავკასია ჩვენია, ყირიმი ჩვენია, ვოლგისპირეთი ჩვენია, დასავლეთი ციმბირი და შუა აზია ხომ ჩვენია და ჩვენიაო. მართალია.²¹⁰ თუმცა ვხვდებით ისეთ საზრისისეულ ერთეულებსაც, რომლებშიც თურქეთთან ურთიერთობა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პარტნიორობად განიხილება; ამ მიმართებებში აქცენტი წარსული ნებატიური გამოცდილებიდან გადატანილია მომავლის კეთილმეზობლურ და პერსპექტიულ ურთიერთობაზე: „სამტროდ განწყობილი წრეების პროპაგანდა ათასგვარ მონაჭორს ავრცელებს ჩვენი ქვეყნების - საქართველოსა და თურქეთის - სამომავლო კონტაქტებზე, ჩვენს სასიკეთო მისწრაფებებზე“²¹¹; „უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში მარტო ომები იყო“²¹².

5. ხომხეთი, აზერბაიჯანი. საქართველოს უახლოესი მეზობლები. ამიერკავკასიის რესპუბლიკები. გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც როგორც შორეული, ისე უახლოესი წარსულიდან (საბჭოთა პერიოდის) მომდინარეობს. საქართველოში კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი სომები და აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეები, რომელთა მართვაც, საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით რუსეთის, ასევე თავად სომხეთისა და აზერბაიჯანის გარკვეული ძალების მიერ ხორციელდება. ყარაბაღის სისხლისღრა უკვე შემდგარია. ყველაზე მასშტაბური ეთნო-რელიგიური კონფლიქტი ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ მწვავე ფაზაში იმყოფება. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები სომები ეროვნების მოსახლეობა ღიად უცხადებს მხარდაჭერას სეპარატისტებს. ყველა ეს ფაქტორი სხვადასხვა სიმწვავით აისახება სომხეთისა და აზერბაიჯანის მედიურ რეპრეზენტაციაში. ნებატიური ფაქტორებიდან აქცენტირებულია საფრთხის შემცველობის ფაქტორი სომხეთთან ურთიერთობაში. „კეთილმეზობლური დამოკიდებულების განმტკიცება მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული. ამის სურვილი მათაც (სომხეთისა და აზერბაიჯანს - ხ.მ.) უნდა ჰქონდეთ. ჩვენ არ გვინდა მათ კონფლიქტი ჩავერიოთ, გვსურს ისინი, როგორც კავკასიელი ერები შევარიგოთ. ერთ-ერთ სომხურ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ,

²¹⁰ მამული, 1990, ნოემბერი

²¹¹ მამული, 1990, დეკემბერი

²¹² საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 14 მარტი

სადაც დაიბეჭდა ჩემი ადრინდელი გამონათქვამი, რომ ყარაბაღი სომხეთს ეკუთვნის. მაგრამ დღეს ამ პოზიციაზე აღარ ვდგავარ. ეს ძაბავს ურთიერთობებს, ამიტომ აღარ მსურს ჩარევა ამ საკითხში და გულწრფელად მსურს, რომ კონფლიქტი მალე მოგვარდეს. ჩვენ ყოველთვის კეთილმოსურნე ვიქნებით, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოში მცხოვრები სომხები არ დაგვიპირისპირდებიან. მაგალითად, ბოგდანოვგაში დანიშნულ პრეფექტს წინააღმდეგობა შეხვდა. მათ თვით უნდათ დანიშნონ პრეფექტი, ეს უკვე ავტონომიის გამოცხადებას ნიშნავს...²¹³ (წყარო - პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია). „სომებს და ქართველ ხალხთა ისტორიულ მეგობრობაში დისონანსი შეაქვს სომხური ორგანიზაციის „კრუნკის“ ალიანსს იმპერიულ ძალებთან აფხაზეთში... ეს სამწუხარო ფაქტი ერთგვარ დაძაბულობას იწვევს როგორც აფხაზეთის ავტონომიაში, ისე საქართველოს რესპუბლიკაში“. „ყველანაირი მოქმედება, რომელიც დაძაბავს ჩვენს შორის ურთიერთობას, კიდევ უფრო გაართულებს სომხეთის მდგომარეობას.“²¹⁴ (წყარო - სომხეთის ვიცე-პრეზიდენტი).

6. ჩრდილოეთ კავკასია - ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კერძოდ, „მწვანეთა პარტიის“ წიაღში, შობილი საერთო კავკასიური სახლის იდეა დადებით რეზონანსს პოულობს „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ წევრებს შორის. „კავკასია - ჩვენი საერთო სახლია“²¹⁵; „ბალყარელთა და ქართველთა ძმობას, კეთილმეზობლობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას მრავალსაუკუნოვანი, საამაყო ისტორია აქვს...“²¹⁶; „რა თქმა უნდა იმიერკავკასიაში ქართველთა მეგობრებიც მრავლად არიან“²¹⁷; „სად არის გამოსავალი? რა თქმა უნდა, კავკასიელ ხალხთა დაახლოებაში, რაც არ უნდა ძნელად მისაღწევი გვეჩვენებოდეს“²¹⁸ (შეტყობინების წყარო - მწვანეთა მოძრაობის ლიდერი ზურაბ ჟვანია); „კავკასიური სახლის იდეა

²¹³ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 13 მარტი

²¹⁴ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, აგვისტო

²¹⁵ 7 დღე, 1990, დეკმბერი

²¹⁶ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, მარტი

²¹⁷ მამული, 1991, იანვარი

²¹⁸ მამული, 1991, მარტი

ყოველთვის იყო საქართველოს პოლიტიკური დოქტრინის ერთ-ერთი საფუძველი²¹⁹. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართვებში ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებისადმი (ჩეჩენ ხალხს, ბალყარელ ხალხს და სხვებს) ყოველთვის აქცენტირებულია ორი მომენტი: თითქმის სისხლისმიერ ლოიალობამდე დასული კავშირი ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის (გამოიხატება ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით „მმები“, რომელსაც ამიერ-და იმიერკავკასიურ კულტურაში უფრო დიდი დატვირთვა ენიჭება, ვიდრე უბრალოდ ნათესაობას) და გმირობა, როგორც მთელი ერის დამახასიათებელი, კოლექტიური თვისება (მაგ., „გმირ ჩეჩენ ხალხს“ და ა. შ.). საქართველოს პრეზიდენტი მიმართვების საბაბად იყენებს ისეთ ისტორიულ თარიღებს, რომლებიც ტრაგიკულ თარიღებად არის შესული ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიაში (რუსული და საბჭოთა რეპრესიები). ეს არა მხოლოდ ისტორიის შესხენებაა, არამედ, უპირველესად, შესხენება საერთო მტრისა, რომელიც აწმყოშიც იმავე ინტერესით მოქმედებს. საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობანი ზოიად გამსახურდიას ენაზე უმეტესწილად წარმოჩენილია არა როგორც პოლიტიკური სივრცის ურთიერთობა, არამედ როგორც ურთიერთობა პერიოკული ეპოქიდან, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი თავადაც არის.

7. დასავლეთის სახელმწიფოები. „თვით დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები ... დღესდღეობით ფაქტობრივად მჩაგვრელთა მხარეზე არიან გარკვეული მიზეზების გამო, სპარსეთის ყურის კრიზისის, სტრატეგიული და ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღების საკითხების გამო, ამჯობინებენ, არ გაიუარესონ დამოკიდებულება მოსკოვთან“²²⁰; „მათ [ცალკეულ თანამდებობის პირებს აშშ კონგრესში - ხ. მ.] ჩვენდამი კეთილმოსურნე დამოკიდებულება აქვთ, რაც შეეხება ოფიციალურ მხარდაჭერას, იგი ჯერ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსაც არ აქვთ“²²¹; „ჩვენი ერთადერთი იმედი დასავლეთია - მხოლოდ დემოკრატიას ძალუბს ჩვენი დაცვა.“²²²; „ჩამოვიდა ბუში მოსკოვში და, რამდენადაც შევიტყვეთ, სულ უნისონში

²¹⁹ მამული, 1991, მარტი

²²⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 13 მარტი

²²¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 13 მარტი

²²² საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 16 მარტი

იჭიკვიკეს მან და გორბაჩოვმა. შემდეგ კიგვს გაემგზავრა და იქ მთლად ცივი ცივი წყალი გადაასხა მის მოიმედე ზოგიერთ რესპუბლიკას, რომელთაც არც ისე საალერსო ეპითეტები (ნაციონალისტური, დესპოტური) „უძღვნა“. თან მხარი დაუჭირა სამოკავშირეო ხელშეკრულებას“²²³; „ჩვენ ვისურვებდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი და მთავრობა მხარს უჭერდნენ არა კომუნიზმს, ტირანიასა და მოჩვენებით რეფორმებს, არამედ ჰეშმარიტ დემოკრატიას, ერთა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას“²²⁴; „იქმნება შთაბეჭდილება, რომ სუფთა კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უგულებელყოფს ... ფაქტებს და საქართველოს მიმართ იყენებს ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის მეთოდებს, რომლებიც ცენტრის ცნობილ პოლიტიკას იმეორებს. ძნელია, სხვაგვარად შეაფასო ბატონ ბეიკერის მოხსენების ის ნაწილი, სადაც საქართველო მოხსენიებულია, როგორც ავტორიტარული მმართველობის ქვეყანა.“²²⁵ (წყარო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო). ეს მედიური ნიმუშები უჩვენებს დასავლეთის სახელმწიფოებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას რამდენიმე ფაქტორის გამო: დასავლეთმა ახალი საქართველო ვერ დაინახა, ვერ აღიქვა და ვერ მიიღო ისეთი, როგორადაც საქართველოს სურდა, მისთვის ეჩვენებინა თავი; დასავლეთმა საქართველოს ისევ საბჭოთა (რუსული) ისტორიისა და გავლენის წიაღში მიუჩინა ადგილი. ეს უკანასკნელი გარემოება ძალიან მნიშვნელოვანია იმდროინდელ საჯარო და მედიურ დისკურსში. მედიაში ასახული „ოფიცილური“ ისტორიის „არაოფიციალურით“ ჩანაცვლების პროცესში აშკარად იკვეთება „ნამდვილი, ქართული“ ისტორიის ქონის სურვილი - რომ საქართველო არ იყოს რომელიმე დიდი იმპერიის ისტორიის ნაწილი, არამედ იყოს თავისთავადი.

პეგემონის თვალით დანახულ „ახალ მსოფლიო წესრიგში“ კი საქართველო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი, არათუ 1990-1991 წლებში, არამედ 1998 წელსაც კი არ ჩანდა. სწორედ, ამ წელს გამოვიდა ზბიგნევ ბუჟინსკის ცნობილი წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა. ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“, რომელმაც ყოფილ საბჭოთა სივრცეზე ამერიკული

²²³ დრონი, 1991, აგვისტო

²²⁴ დრონი, 1991, აგვისტო

²²⁵ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, სექტემბერი

იმპერატივები საქართველოს გვერდის ავლით გაანაწილა: „ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უძლიერეს გეოპოლიტიკურ მხარდაჭერას იმსახურებს აზერბაიჯანი, უზბეკეთი და უკრაინა“²²⁶. თუმცა მოგვიანებით, ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ადგილი ჰქონდა ბუეზინსკის აზრის ინტერპრეტაციას, რომ ავტორი ამ გეოპოლიტიკურ ცენტრებში ქვეტექსტურად გულისხმობდა საქართველოს, ვინაიდან აზერბაიჯანი საქართველოს გარეშე შეერთებული შტეტებისთვის იქნებოდა ჩიხი²²⁷.

რაც შეეხება საქართველოს დამოკიდებულებას ევროპასთან, იგი იმ პერიოდის ქართულ მედიაში წარმოჩენილია არა იმდროული ვითარების ჭრილში, არამედ - საქართველოს „ევროპისაკენ ისტორიული ლტოლვის“, შეუმდგარი ევროპული ორიენტაციის (მაგ., „საქართველო მარტოდ მყოფი ევროპა“²²⁸), საფრანგეთში ლუ მე-14-ის კარზე სულხან-საბა თრბელიანის ვიზიტის, მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი მეცნიერებისა და მწერლების ევროპული განათლებისა და მისთანანის ფონზე. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს ევროპად (გეოგრაფიულად და პოლიტიკურად) აღიარება, ქართული კონფლიქტების ევროპულ კონფლიქტებად აღიარება, ქართული დემოკრატიის ევროპული დემოკრატიის სტანდარტებზე სწორების პრობლემა 1995 წლამდე საკამათო იყო²²⁹. „გარშავის პაქტის“ მონაწილე, გეოგრაფიულად უტყუარად ევროპას მიკუთვნებული სახელმწიფოებისთვისაც კი ევროპის პოლიტიკურმა ისთებლიშმენტმა სრულიად პოლიტიკური ტერმინი „აღმოსავლეთ ევროპა“ გაიმუტა, რაც პოსტ-კომუნისტური სივრცის ეკვივალენტს წარმოადგენდა. სხვათა შორის, იმავე სულხან-საბა თრბელიანის უშედეგო ვიზიტი საფრანგეთის მეფის კარზე 1990-იანი წლების ქართულ მედიას მომავალზე პროექციით გადმოჰქონდა აწყობში (და თან გადმოჰქონდა პოეტ მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსის, „საბას“, ციტატებით), როგორც საქართველოს მიმართ ევროპული სკეპტიკური დამოკიდებულების ნიმუში („შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე პკიდია“; „რაც შეიტანა, იხევე ის გამოიტანა“²³⁰

²²⁶ Бжезинский, З. (1998) Великая шахматная доска. Москва: 187

²²⁷ უვანია, ზ. (2005): 164

²²⁸ მამული, 1990, ნოემბერი

²²⁹ უვანია, ზ. (2005): 164

²³⁰ მამული, 1991, აგვისტო, საქართველოს რესტუბლიკა, 1991, სექტემბერი

...). ეს ნიმუში მეტყველებს პოლიტიკური, სოციალური და ლიტერატურული სივრცის შერწყმაზე, რომელსაც საბოლოო შედეგად პოლიტიკისათვის ფატალური ეფექტი - ძალაუფლების ლიტერატურაში ჩანაცვლება მოსდევს. თუმცა ევროპასთან ყოფნის, მასთან ინტეგრაციის სურვილი და მოლოდინი ჩანს უკრაინის მიმართ დადებითი დამოკიდებულებაში, აღფრთოვანებაში უკრაინის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების გამო, ქართულ-უკრაინული თანამშრომლობისათვის დიდი პერსპექტივების დასახვაში („გვცნო ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ, უკრაინაშ“²³¹).

განხილული საზრისისეული ერთეულები, მათი შემცველი მედიური სტრუქტურების ერთობლიობა წარმოაჩენს ამგვარი „რეალობის“ ამსახველ სურათს: უნიკალურ მდგომარეობაში მყოფი საქართველო, ქვეყანა, გარშემორტყმული დაძაბული გარემოთი, საფრთხით; გარემოს არ აქვს ამ უნიკალურობის დანახვის, ადქმის, აღიარებისა და მსარდაჭერის სურვილი. ერების სამყაროს წარმოჩენის ასეთი მედიალური ხედვა კიდევ ერთხელ კრაგს ერის დაქსაქსულ წევრებს ერად ყოფნის სიმბოლური დისკურსით: ერთსა და იმავე დროს რა ძნელია და საამაყო იყო ქართველი, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე. ზემოთ თქმული მოსაზრებები წარმოადგენს საფუძველს შემდეგი პიპოთეზისთვის:

პიპოთეზის N 1. 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედია წარმოაჩენს გარემოს, როგორც მტრულსა და საფრთხის შემცველს საქართველოსთვის - სისწორეს გამოვცდით რაოდენობრივ პარამეტრებზე დაყრდნობით.

9.2. შედეგები

პიპოთეზის დადასტურების მიზნით, მთელი ემპირიული მასალისთვის, 550 საზრისეული ერთეულისთვის გრაფიკულ კონსტრუქციაში ავსახავთ ფუნქციას: მიმართება - გარემო ერთეული.

ცხრილი 6

მამული, "კომუნისტი", "საქართველოს რესპუბლიკა", "7 დღე", "დროინდი"

²³¹ საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 11 აპრილი

№	გარემო/მიმართება	1	2	3	4
1	საბჭოთა კავშირი	0	0.18	9	9
2	რუსეთი	0	2.12	7.2	18
3	მოკავშირე რესპუბლიკები	1.8	0	0	0
4	თურქეთი, ირანი	3.6	0	5.4	5.4
5	სომხეთი, აზერბაიჯანი	3.2	0	5.4	5.4
6	ჩრდილოეთ კავკასია	7.2	0	3.6	0.72
7	დასავლეთი	3.78	0	5.4	3.6
N		n=108	n=10	n=183	n=249
	X ² =18.9, df=18, p<0.6				

100 პროცენტი მიიღება ცხრილის ყველა მაჩვენებლის შეკრებით. პროცენტი მიკუთვნებულია.

პიპოთეზის გამოსაცდელად: „გარემო მტრულია/საფრთხის შემცველია საქართველოს სახელმწიფოსთვის“ უნდა დავაჯგუფოთ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებების აღმნიშვნელი მაჩვენებლები და ჯამური მაჩვენებლები შევადაროთ.

1. მეგობრული/კეთილგანწყობილი – 19.58%;
2. საფრთხის შემცველი/მტრული – 78.12%.

პიპოთეზი დადასტურებულია.

გარემო ერთეულის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების ძალიან დაბალი კოეფიციენტით წარმოდგენა (2.3%) ნიშანდობლივია განხილული პერიოდისათვის. ემპირიული მასალის შესწავლისას და მისი ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ნებისმიერი გარემო ერთეული, - ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები ან სომხეთი - მაინც განიხილება შესაძლო, პიპოთეზი ალიანსში პოტენციურ მტერთან, მაინც რეპრეზენტირებულია როგორც საფრთხის შემცველი კერა.

აქ მართებულია განვიხილოთ და რაოდენობრივ მაჩვენებლებში ავსახოთ საფრთხის ბუნება: რას ნიშნავს საფრთხის შემცველი გარემო? რა ტიპის საფრთხეს შეიცავს იგი? რა განზრახვის მატარებელია მტერი?

მთლიანი ემპირიული მასალა საფრთხის/მტრობის მიმართებით დაიყო შემდეგ კატეგორიებად:

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა (კოდი "1");

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა (კოდი "2");

გარეფაქტორებით პროვოცირებული შიდა დესტაბილიზაცია და პოლიტიკური ერთობის რღვევა (კოდი "3");

გარედან თავს მოხვეული და ერს შიგნით ისტორიულად არსებული დირებულებების სისტემების, მათი პოსტულატების ურთიერთდაპირისპირებისა და კონფლიქტის შედეგად ეროვნული დირებულებების დაკინება და ეროვნული იდენტობის შესუსტება (კოდი "4");

მოსალოდნელი მოკავშირეების მხრიდან გულგრილობა და უდიარებლობა, როგორც ახალი ქართული ერი-სახელმწიფოს დასუსტების წინაპირობა (კოდი "5").

ეს მიმართებები მთელი ემპირიული მასალისათვის გამოხატულია 432 საზრისისეულ ერთეულში. კოდირების პროცედურაში მონაწილეობდა ორი პიროვნება. 432 განხილული ნიმუშიდან ისინი შეთანხმდნენ 386-ზე. პოლსტის ფორმულის მიხედვით, სანდოობის კოეფიციენტმა შეადგინა: .92. შედეგად მივიღეთ შემდეგი სტრუქტურა.

ტაბულა 7. საფრთხისა და მტრობის მატარებელი მიმართებების სტრუქტურა

მიმართება 1 – 28 პროცენტი (n=121);

მიმართება 2 – 32 პროცენტი (n=138);

მიმართება 3 - 21 პროცენტი (n=90);

მიმართება 4 – 12 პროცენტი (n=51);

მიმართება 5 - 7 პროცენტი (n=32).

X²=9.5, df=4, p<0.5

როგორც რაოდენობრივი მონაცემები უჩვენებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წარმოდგენილია საფრთხე „ტერიტორიული მთლიანობის რღვევა“, რაც ადასტურებს მთლიანად ნაშრომის საკვლევი საკითხის ვალიდურობას.

ამ ქვეთავის მეორე საკვლევი საკითხი კი უკავშირდება შეტყობინების წყაროს, უფრო ზუსტად, ფუნქციას: შეტყობინების წყარო - მიმართება გარემოსთან. საკვლევი საკითხი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

რომელი წყაროსაგან იღებს ამ შეტყობინებას ერისა და ხაზოგადოების წევრი? რომელი კომუნიკაცორი ქმნის გარემოს ამგვარ მედიურ კონსტრუირებას და რა მიზნით?

პირველ ეტაპზე ვუჩვენებთ პროპორციას გარემოს მხრიდან კეთილგანწყობილ/ნეიტრალურ და საფრთხის შემცველ/მტრულ დამოკიდებულებებს შორის თითოეული ტიპური და რეპრეზენტირებული წყაროსთვის:

ცხრილი 8

№	წყარო/მიმართება	1-კეთილგანწყობილ ი/ნეიტრალური	2-მტრული საფრთხის შემცველი	სულ	N
1	A	31.5	68.5	100	n=313
2	B	28.4	71.6	100	n=24
3	C	21.0	79.0	100	n=196
4	D	22.6	77.4	100	n=17
	X ² =8.6, df=3, p<0.5				

ცხრილში 8, როგორც ვხედავთ, მოცემულია კორელაცია შეტყობინების წყაროსა და გარემოსთან დამოკიდებულებას შორის. წყაროები აღნიშნულია შემდეგი ინდექსებით: A- საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე/პრეზიდენტი (313 ერთეული); B - სახელისუფლებო ელიტა (24 ერთეული); C - არასახელისუფლებო ელიტა (196 ერთეული); D - ურნალისტი (17 ერთეული). ჰორიზონტულ სვეტში მოცემულია გარემოსადმი დამოკიდებულება: 1 (კეთილგანწყობილ/ნეიტრალური) და 2 (მტრული/საფრთხის შემცველი).

საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებულ ისტორიულ გამოცდილებაშიც კი, რომელიც სხვადასხვა მასობრივ მედიუმებში (წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები), ძირითადად, რეპრეზენტირებულია, როგორც გარემომცველი დამპყრობლების „მოწოდა საქართველოზე“²³², გამოკვეთილია უცხოური აგრესის სხვადასხვაგვარი ბუნება და განსხვავებული პროექცია აწმყოზე, უცხოური აგრესის გამრყვნელი და დამაკნინებელი გავლენა ეროვნულ მორალზე.

დაც შეეხება მტრის ბუნებას, „მტერი“ არ არის მხოლოდ „სხვა“, „უცხოელი“; „მტრის“ სახისა და ხატის შექმნა, მისი რეპრეზენტაცია მედიაში სპეციფიკური ენისა და ხატ-ნიშნების გამოყენებით უშუალოდ ემსახურება კოლექტიური იდენტობის შექმნისა და შენარჩუნების ამოცანას მედიის მეშვეობით. რაც მეტად არის დემონიზებული „მტერი“, საქართველოს, „მისი სულიერი მისიის“, მისი უნიკალურობის აქცენტირების ფონზე, მით უფრო ადვილად აღსაქმელი ხდება ერისა და საზოგადოების წევრების მიერ მედიალური კოდის გახსნა და დეკოდირება - „კეთილი“ („ჩვენ“) და „ბოროტი“ („ისინი“), „კეთილმან სძლია ბოროტსა“ და ა. შ. „მტრის“ შემოსვლა/შემოტანა ყოველდღიურ რუტინულ მედიურ დისკურსში უკვე ქმნის მომეტებული საფრთხის განცდას ერისა და საზოგადოების წევრებში და აძლიერებს მათ კონსოლიდაციას. ეს გარემოება პატრიოტული პრესისათვის დამახასიათებელი ნიშანია. „მტერი“ მთლიანი ემპირიული მასალის ანალიზიდან გამომდინარე, არის დამპყრობელი, სისხლიანი, ვერაგი (იხილე ზემოთ განხილული ნიმუშები და საზრისისეული ერთგულები), ეროვნული იდენტობისა და ეროვნული კულტურული მექანიზრების დამრღვევი და დამაკნინებელი, ეროვნული თვითშეგნების დამანგრეველი, ამორალურობის დამამკვიდრებელი, ერად ყოფნის ნიშნების დამანგრეველი: ენის, ტერიტორიის, ცხოვრების წესი... „სულ სხვანი გავხდით სამოყვროდ შემოსული რუსებისაგან... ერთმანეთის შური და მტრობა დაგვჩემდა, უცხოთა თესლზე აღმოგვიცენდა გაუტანლობა, პროსტიტუცია, მექრთამეობა, დგარძლი, კორუფცია, ქურდბაცაცას სულმა დაისადგურა ჩვენში“²³³; მედიურ ნიმუშებში საქმაოდ ხშირად ვხვდებით მსგავს მიმართებებს. მტრის სახე მედიაში არა მხოლოდ მეტაფორიზებულია, არამედ მითოლოგიზებულიც, რაც ქმნის საფუძველს ექსპრესიული ასოციაციებისთვის: კრემლი - მტერი - „კაშხეი ბესსმერტნი“ -

²³² ნათაძე, 6. (2002): 26-28

²³³ მამული, 1990, დეკემბერი

„ურჩხული, რომელსაც ყოველი მოჭრილი თავის ადგილას ორი ახალი თავი ამოსდის“... და ა.შ.

ცხადია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში დამოკიდებულებას ერების სამყაროს მიმართ, კეთილმეზობლობასა თუ დაპირისპირებას, ომისა თუ მშვიდობის მდგომარეობას ქვეყნის უმაღლესი პირი და სახელისუფლებო ელიტა ქმნიან. როგორც წესი, ქართულ საზოგადოებაში, ქართულ მედიაში ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა ნაკლებად წარმოადგენს დებატების საგანს, ვიდრე შიდა პოლიტიკური პროცესები და საშინაო პოლიტიკის საკითხები. აქედან გამომდინარე, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ელიტის, ასევე მოქალაქეების, უერნალისტების დისკურსი ერთგვაროვნებით გამოირჩევა. მაგრამ აქ ხაზგასასმელია ერთი გარემოება - თავად კოლექტიურ კომუნიკატორში, რომელსაც ჩვენ პირობითად სახელისუფლებო წყაროები ვუწოდეთ, ცალკე გამოიყოფა ზოიად გამსახურდიას, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე/საქართველოს პრეზიდენტის ფაქტორი, როგორც შეტყობინების წყაროსი. გამსახურდია დომინანტური წყაროა ამ პარადიგმაში. გამსახურდიაში, როგორც კომუნიკატორში, თვალნათლივ არის გამოკვეთილი მისი როლური სტრუქტურა. იგი, თავისი თანამდებობის გამო, თავად არის პერსონა-მოვლენა. თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩნდება სხვა ფაქტორი, - გამსახურდიას მიერ სულიერი ბელადის როლის უზურპირება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, გამსახურდიას, როგორც წყაროს დომინანტობა, არ აისხება მხოლოდ მისი თანამდებობით, ანუ ფორმალური სტატუსით. აქ გამსახურდია კრებითი, კოლექტიური წყაროა, რომელიც მთელი ერის სახელით, როგორც მისი სულიერი ლიდერი (ინტელიგენციის ფუნქცია - საბჭოური დისკურსით), ისე აწარმოებს კომუნიკაციურ პროცესს. ერისადმი მიმართვა „ჩემო თანამემამულებო“ იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში არ წარმოადგენდა ქვეყნის უმაღლესი პირის პრეზროგატივას, როგორც ეს მრავალ ეროვნულ კულტურაშია გავრცელებული. საქართველოში ინტელიგენციის, ანუ განათლებული ელიტის, ლიდერებიც ფლობდნენ ამ უპირატესობას, ამგვარად მიემართათ ერის წევრებისათვის. გამსახურდია - როგორც „სულიერი ბელადი“ - ამ მიმართვის მონოპოლიზიციისთვისაც იბრძოდა. ეს იყო ბრძოლა იმისათვის, რასაც მანპამი (1994) უწოდებდა „სტრატეგიულ პოლიტიკურ კომუნიკაციას“ - მედიური შეტყობინებების როგორც პოლიტიკური

რესურსის შექმნის, კონტროლის, დისტრიბუციისა და გამოყენების მიზნით, პოლიტიკური და მედიაგარემოს ზედმიწევნითი მართვის მიზნით²³⁴.

წყაროთა ის სიმრავლე, რომელიც „სახელისუფლებო წყაროების“ მეორე კომპონენტს, „სახელისუფლებო ელიტას“ წარმოადგენს, ძირითადად, წარმოჩენილია ოფიციალური ნარატივის სივრცეში - მიმართვებში, განცხადებებში, - ძირითადად, პრეზიდენტისეული შეტყობინებების კონფირმაციის, დასტურის დისკურსში. ეს გარემოება ხაზგასმულად წარმოაჩენს, რომ ზვიად გამსახურდიას, თავისი ადმინისტრაციის წევრებთან, სახელისუფლებო ელიტის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, მეტი მოტივაცია აქვს, გარემოს რეპრეზენტაცია თითქმის ერთპიროვნულად, მეტაფორებისა და კონტაციების უხვად გამოყენებით მოახდინოს - იგი არა მხოლოდ პრეზიდენტია, არამედ მწერალი, ინტელიგენტი, დისიდენტი.

გარემოს აღრეული დისკურსით (რეალური პოლიტიკური სივრცე, ლიტერატურული, ჰეროიკული ეპოსის სივრცე) რეპრეზენტაციამ, გარემოსთან დაპირისპირებამ, მისგან იზოლაციონისტურმა განწყობამ (მისი სიტყვიერი გამოხატულებაა - ეროვნული ნარატივის გაპრიმიტიულებული ფორმები, რომლებმაც ქუჩის აქციების დისკურსიდან მედიურ სახეებსა და ხატებში, მედიურ დისკურსში გადმოინაცვლა), მტრისა და საფრთხის არარელევანტურმა წარმოსახვამ და ამ უკეთესობის შექმნაში, ამგვარ რიტორიკაში სახელისუფლებო ელიტის გადამწყვეტილება როლმა დიდად განსაზღვრა ხელისუფლებისა და სახელმწიფოს შემდგომი წლების ბედი.

9.3. დასკვნა

კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, ისევე, როგორც განხილული ნიმუშების მედიაშინაარსი იძლევა საფუძველს, შემდეგი დასკვნების გამოსატანად:

გარესამყაროს მედიური რეპრეზენტაცია - და მთლიანად გარესამყაროსთან ურთიერთობის მედიაცია, - ხდება ეკლექტიკური დისკურსით: მედიური, ისტორიული,

²³⁴ Manheim, J. B. (1994) 'Strategic Public Diplomacy', in W. L. Bennett & D. L. Paletz (eds), *Taken by storm: The Media, Public Opinion, and U.S. Foreign Policy in the Gulf War*. Chicago: University of Chicago Press: 131-148

ლიტერატურული, მისტიკური, ასევე წარმოსახული და წარმოსახვითი დისკურსების აღრევითა და შერწყმით;

გარემო უპირატესად რეპრეზენტირებულია არა ფაქტების მედიაციით, არამედ მოსაზრებებით, ვარა უდებით, კომენტარებით, ინტერპრეტაციების მედიაციით;

შეზღუდულია გარესამყაროს შესახებ და გარესამყაროდან მომავალი საინფორმაციო არხებისა და წყაროების წვდომადობა და მათი მოხსენიება ქართულ მედიაში;

დომინანტური რეპრეზენტატორი გარესამყაროს წარმოსახვაში საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და სახელისუფლებო ელიტაა, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ გარემო წარმოდგენილია „სტრატეგიული კომუნიკაციის“ დისკურსში - პოლიტიკური, სახელისუფლებო ელიტის მიერ პოლიტიკური და მედიაგარემოს მართვის მიზნით.

თავი 10

ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დინამიკა
განხილული მასმედიუმებისთვის

ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დინამიკის მხრივ (რაოდენობრივი მაჩვენებლებით) საკვლევ პერიოდში გამოიყო შემდეგი დროითი ჩარჩოები:

A – 1990 წლის ბოლო კვარტალი - 28 ოქტომბრის არჩევნები, შეიარაღებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დასაწყისი ე.წ. სამხრეთ ოსეთში - 1990 წლის ნოემბერი-დეკემბერი;

B – 1991 წლის პირველი კვარტალი - სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება; 1991 წლის 17 მარტისა და 31 მარტის რეფერენდუმები; 1991 წლის 9 აპრილი;

C – 1991 წლის აგვისტო-სექტემბერი - 19 აგვისტოს „მოსკოვის პუტინ“, პირველი მასობრივი გამოსვლები ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ;


D - 1991 წლის დეკემბერი - 1992 წლის იანვარი. სამოქალაქო ომის დასაწყისი; ზვიად გამსახურდიას დამხობა და განდევნა საქართველოდან.

გამოყოფილ დროით ჩარჩოებში ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დინამიკა შემდეგნაირად აისახება:

პერიოდი	კომუნისტი/სრ	მამული	⁷ დღე/დროი
A	454	113	116
B	499	114	99
C	76	22	48
D	98	59	37

ჩვენი მიზანია, ამ რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გამოვყოთ ეროვნული იდენტობასთან ძლიერად და სუსტად მიბმული პუბლიკაციების დინამიკა. ეს დინამიკა წარმოადგენს მედიურ რეაქციას განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე. მედიის პოლიტიკა მკვეთრად რეაქტიული ხასიათისაა. ეროვნული ხელისუფლების აღმავლობის პერიოდი ავლენს გაზეოების მიბმულობის მაღალ ხარისხს ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი თემებისადმი; 1991 წლის აგვისტოდან ძლიერდება სხვა თემატიკა: ა) სამოქალაქო მშვიდობა, წესრიგი და უწესრიგობა; ბ) ძალაუფლების

მქონეთა მხრიდან ძალაუფლების ფლობის ხარისხი, ძალაუფლების თავს მოხვევა „უძალოებზე“ და მისი გავლენა პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე; გ) დემოკრატია და მოქალაქეთა მონაწილეობა. ეს ტენდენცია თითქმის თანაბრად ეხება ხუთივე მედიუმს.



თავი 11

იდეოლოგიური დომინაციის საკითხი და ქართული ბეჭდური მედია. 1990-1991 წლები

11.1. თეორიული არგუმენტები პიპოთეზებისთვის

კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე, ნახევრად სტანდარტიზებულ ინტერვიუზე, აღწერით სტატისტიკასა და ფაქტორულ ანალიზზე დაყრდნობით, წინამდებარე თავი მიზნად ისახავს, უჩვენოს იდეოლოგიური დომინაციის ჩარჩოები საბჭოთა ცენზურისაგან გათავისუფლებული და გლასნოსტის პერიოდგავლილ ქართული მედიისთვის.

ანალიზი ეფუძნება პიპოთეზებს, რომ:

- პიპოთეზა 1. ახალი ქართული მედიის ლიდერების მიერ მედიის ახალი როლებისა და უუნქციების აღქმა (პერცეფცია) უფრო მეტად ააშკარავებს იდეოლოგიური დომინაციის არსებობას იმ პერიოდის ქართულ პრესაში, ვიდრე იდეოლოგიისგან თავისუფალი მედიის არსებობას; და
- პიპოთეზა 2. იდეოლოგიური დომინაციის არსებობის შემთხვევაში ხაზოგადოებისა და მედიის ურთიერთმიმართების მოდელი მედიაცენტრისტულია.

სწორედ, ამ პიპოთეზების დადასტურება წარმოადგენს კვლევის ამ თავის ძირითად მიზნებებს.

კონსტრუქტში “მედიური როლები და ფუნქციები” იგულისხმება როგორც მედიუმის დღის წესრიგის ახალი პრინციპები, ისე ახალი კომუნიკაციური ეფექტები. იდეოლოგიური დომინაციის საკითხის გამოცდა ყველაზე ოპტიმალურად მივიჩნიე სწორედ ამ პრინციპების პიროვნული პერცეფციის გამოცდის გზით 1990-1991 წლების ქართული მედიის ლიდერებს შორის. სახელდება “ახალი” აღნიშნავს განსხვავებას საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა მედიურ პრაქტიკებს შორის. რაც შეეხება მედიაში განსაზღვრული ნიშან-თვისებების მატარებელი დომინაციის დაშვებას, იგი ემყარება ჩემს ვარაუდს, რომ ქართველი ეროვნული ლიდერებისა და ინტელიგენციისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო მედიური პროდუქციის სფეროში ინტერვენცია, როგორც საბჭოთა კომუნისტური ლიდერებისა და ნომენკლატურული ინტელიგენციისთვის, რომელთათვისაც მედია, უპირველესად, წარმოადგენდა პროპაგანდისა და აგიტაციის უძლიერეს ინსტრუმენტს. ტერმინს “მედიაცენტრული” მე ვიყენებ მისი მასობრივი კომუნიკაციის შესახებ კლასიკურ თეორიაში დამკვიდრებული გაგებით, რომლის თანახმადაც, ხაზოგადოებისა და მედიის ურთიერთმიმართების მედიაცენტრული მიდგომა მედიას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განიხილავს, როგორც

“სოციალური ცვლილებების უპირველეს მამოძრავებელ ძალად” და “უპირველეს ფზავნილად საზოგადოების შესახებ”(მაქქუეილი, 2005).

11.2. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდი: სინთეზური - რაოდენობრივ-თვისებრივი მეთოდი.

რესპონდენტების რაოდენობა: 18

კითხვარის მოცულობა: 37 შეკითხვა.

კითხვარის ტიპი: ნახევრად სტანდარტიზებული ანკეტა, დია და დახურული შეკითხვების მონაცვლეობით.

კითხვარის სტრუქტურა: 8 ბლოკი

1) დემოგრაფიული მონაცემები; დემოგრაფიული მონაცემები მოიცავს: რესპონდენტის ასაკს, სქესს, ენების ცოდნას, მედიაში მოსვლის დროსა და მოტივაციას, გამოცემას, რომელსაც წარმოადგენს რესპონდენტი, მის თანამდებობას ამ გამოცემაში.

2) საზოგადოებისა და მედიის ურთიერთობის მედიაცენტრული და სოციოცენტრული მოდელები ეროვნულ იდენტობასთან მიმართებაში; მედიის ახალი როლები და ფუნქციები იდეოლოგიური დომინაციის ჭრილში;

3) გამოცემის სარედაქციო პოლიტიკა და მისი ძირითადი ინდიკატორები;

4) ეროვნული იდენტობისა და მიკუთვნებულობის გააზრება და ასახვა მედიაში;

5) პრესის გავლენისა და კომუნიკაციური ეფექტების შეფასება ეროვნული იდენტობის კონსტრუირების მხრივ;

6) კონფლიქტების ასახვა და კონფლიქტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და სტერეოტიპების ასახვა მედიაში;

7) საქართველო, ქართველები, აფხაზები, ოსები რუსულ პრესაში;

8) რეპრეზენტაციის საკითხები.

კითხვარი შეიცავდა ისეთ კითხვებსაც, რომლებზედაც რესპონდენტებს შეეძლოთ, შეთავაზებული შესაძლო პასუხებიდან აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი - მათი მნიშვნელადობის რიგითობის მითითებით.

რესპონდენტები შეირჩა შერეული პრინციპით, სარედაქციო იერარქიისა და

კომპეტენციის ყველა დონის რეპრეზენტირების მიზნით: მთავარი რედაქტორი (2);

რედაქტორი (1); მთავარი რედაქტორის/რედაქტორის მოადგილე (2); თანარედაქტორი

(2); გამომცემელი/გამომცემელი ორგანოს გამგეობის წევრი (2); განყოფილების გამგე (3); კორესპონდენტი (6).

გამოკითხვის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუს პრინციპით.

მონაცემები დაითვალა აღწერითი სტატისტიკის ტექნიკით. კითხვარის მეორე ბლოკისთვის - „საზოგადოებისა და მედიის ურთიერთობის მედიაცენტრული და სოციოცენტრული მოდელები ეროვნულ იდენტობასთან მიმართებაში; მედიის ახალი როლები და ფუნქციები იდეოლოგიური დომინაციის ჭრილში“ - კვლევის მეორე ეტაპზე, მონაცემების ქვეგრადაციის მიზნით, შედგა დამატებითი, 18 შეკითხვის შემცველი სტანდარტიზებული ანკეტა რესპონდენტთა იმავე რაოდენობისთვის, რომელშიც იმავე რესპონდენტებმა 7-ჯელიან შეალაზე შეაფასეს პირველი კითხვარის პასუხებში მათ მიერვე გამოყოფილი (კრებითად) 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედიის ახალი როლები და ფუნქციები (18 მიმართება). ამ ბლოკის მონაცემები დაანგარიშდა სკალირების ტექნიკით, შემდეგ გაანალიზდა ფაქტორული ანალიზის სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით.

კვლევის მოსალოდნელ შედეგად ნავარაუდევი იყო:

- 1) 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში მოღვაწე სხვადასხვა პოზიციისა და მონაცემების ურნალისტების მოტივაციურ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განაპირობებდნენ მათ პროფესიულ საქმიანობას მედიის ფორმაციული ცვლილების ისტორიულ პერიოდში;
- 2) მედიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების მოდელის (სოციოცენტრული თუ მედიაცენტრული) კვლევისას იმ ფაქტორების წარმოჩენა, რომელთა კორელაცია გაგვცემდა პასუხს შეკითხვაზე: ეროვნული იდენტობის კონსტრუირებისას მასმედია იყო სოციალური ცვლილებების ძირითადი მამოძრავებელი ძალა თუ მასმედია იყო ოდენ ამსახველი სოციალური, პოლიტიკური თუ კკონომიკური ძალების ქმედებებისა²³⁵. წარმოჩინდებოდა მედიის ტრადიციული როლები და ფუნქციები და გარდამავალ ისტორიულ ეტაპზე გამოკვეთილი და შეძენილი როლები და ფუნქციები, როგორც იდეოლოგიური დომინაციის არსებობის ან უარყოფის საფუძველი.
- 3) კომუნიკაციური ძალაუფლების ტიპების გამოკვეთა 1990-1991 წლების ქართულ მედიაში; ამ ტიპების თანაფარდობის განსაზღვრა - კომუნიკაციური ეფექტი

²³⁵ McQuail, D. (2005): 13

მიიღწეოდა: ინფორმირების გზით; მოქმედების სტიმულაციის გზით; აუდიტორიის ყურადღების დიფერენცირებულად მიმართვის გზით; დარწმუნების გზით; სიტუაციების განსაზღვრისა და „რეალობის“ დაჩარჩოების გზით.²³⁶

- 4) სარედაქციო პოლიტიკის შექმნის ხასიათის, მისი ფუძემდებლური პრინციპების წარმოაჩენა ქართული ბეჭდური მედიის როგორ ნორმატიულ, ისე ოპერაციულ ასპექტებში.
- 5) მედიის ტიპოლოგიის განსაზღვრა მიმღებზე ორიენტირების თვალსაზრისით.

113. აღწერითი ანალიზი

1. რესპონდენტების ასაკობრივი სტრუქტურა:


ასაკი	პროცენტი
1930-1940 წწ დაბადებული	5.6 %
1940-1950 წწ დაბადებული	22.2 %
1950-1960 წწ დაბადებული	44.5 %
1960-1970 წწ დაბადებული	27.7 %

2. რესპონდენტის სქესი.

რესპონდენტების 72.2% იყო მამაკაცი, ხოლო 27.8% - ქალი

სქესი	პროცენტი
მამაკაცი	72,2%
ქალი	27,8%


²³⁶ კლასიფიკაცია ეპუთვნის დენის მაკეუეილს, McQuail, D. (2005):464



3. յեցիս գլուխ


Սասայցի յեցիս

Սասայցի յեցիս	Ցրուցենք
Ռայսուլո	100%
Ճյուղականություն	16,7%
Թիզուլություն	38,9%
Ցրանցություն	0%




წერითი ენა

წერითი ენა	პროცენტი
ლუსული	100%
გერმანული	16,7%
ინგლისური	38,9%
ფრანგული	0%




საკითხებავი ენა

საკითხებავი ენა	პროცენტი
რუსული	100%
გერმანული	22,2%
ინგლისური	44,4%
ფრანგული	5,6%



4. მედიაში მისვლის დრო

მედიაში მისვლის დრო	პროცენტი
1990 წლამდე	77,8%
1990 წლს	16,7%
1990 წლის შემდეგ	5,6%




5. გამოცემის დასახელება

გამოცემის დასახელება	პროცენტი
გაზეთი "საქართველო"	11,1%
გაზეთი "7 დღე"	22,2%
გაზეთი "სარბიელი"	5,6%
გაზეთი "დრონი"	11,1%
"კომუნისტი" / "საქართველოს რესპუბლიკა"	16,7%
გაზეთი "მამული"	16,7%
გაზეთი "თბილისი"	5,6%
გაზეთი "თავისუფალი საქართველო"	5,6%


6. დაკავებული თანამდებობა

რესპონძენტის მიერ დაკავებული თანამდებობა	პროცენტი
განყოფილების გამგე	16,7%
მთავარი რედაქტორი	11,1%
რედაქტორი	5,6%
გამომცემელი	5,6%
რედაქტორის / მთავარი რედაქტორის მოადგილე	11,1%
თანარედაქტორი	11,1%
გამომცემელი ორგანოს გამგეობის წევრი	5,6%
კორესპონდენციი	33,3%



7. გამოცემის სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსი²³⁷


გამოცემის სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსი	პროცენტი
კერძო სტრუქტურა	23,5%
პარტიული სტრუქტურა	5,9%
სახელმწიფო სტრუქტურა	17,6%
საზოგადოებრივი	
სტრუქტურა	52,9%



²³⁷ იხ. კომენტარები 12.4.

8. მედიაში მოსვლის მოტივაცია (რადგან ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი იყო გაცემული, ამიტომ პროცენტები დაანგარიშებულია 100-ს გარეთ)

მედიაში მოსვლის მოტივაცია	პროცენტი
პროფესიული განათლება	27,8%
ინტერესი ჟურნალისტიკისადმი	55,6%
საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის მოხდენა	33,3%




9. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდნენ იდეოლოგიური დომინაციის შენარჩუნებას 1990-1991 წლების ქართულ პრესაში (რადგან ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი იყო გაცემული, ამიტომ პროცენტები დაანგარიშებულია 100-ს გარეთ)

განმსაზღვრელი ფაქტორები	პროცენტი
პროფესიული განათლების პრიციპები	27,8%
პოლიტიკური და ისტორიული მომენტი	50,1%
იდეოლოგიური დომინაცია - საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის მოხდენის ერთადერთი საშუალება	38,9%

10. საზოგადოებისა და მედიის ურთიერთმიმართების ხასიათი 1990-1991 წლების ქართულ პრესაში

მედიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პროცესის ხასიათი 1990-1991 წლებში	პროცენტი
მედიაცენტრული	27,8%
სოციოცენტრული	72,2%



11. 1990-იანი წლების ქართული მედიის ახალი ფუნქციები და როლები, ტრადიციულის გარდა

ტრადიციული როლის გარდა, რა ახალი როლი დავისრა 1990-იანი წლების ქართულ მედიას	პროცენტი
კომუნისტური პრესის პრინციპების რღვევა	8,7%
პლურალიზმი, ობიექტურობა	21,7%
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშექმნა	4,3%
პრაქტიკულ პოლიტიკაში სრულფასოვანი	4,3%

მხარის პოზიცია	
თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა	4,3%
ახალი სახელმწიფო იდეოლოგიის მშენებლობის ხელშეწყობა	4,3%
შეიცვალა ფუნქციონირების საფუძვლები, დანიშნულება და ა.შ.	8,7%
ეროვნული იდენტობის გააზრება	4,3%
უკრალისტის დამოუკიდებლობა პოლიტიკური ელიტისგან	4,3%
საზოგადოებრივი ფენომენების სახელდება	4,3%
განათლების და ცოდნის გავრცელება	4,3%
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა	4,3%
მოვლენების კრიტიკული ხედვა	4,3%
საზოგადოებრივი აზრის განმტკიცება	8,7%
პოლიტიკური ბრძოლის ტრიბუნა	8,7%

12. ახალი ფუნქცია ეროვნული იდენტობის შემუშავების ზოგად პლანში²³⁸

ახალი ფუნქცია და როლი ეროვნული იდენტობის შემუშავების პლანში	პროცენტი
ნაციონალისტურ პოზიციაზე დგომა	70,6%
ობიექტურობა	5,9%
არ არის გამოკვეთილი	5,9%
საზოგადოებრივი პრობლემების გაშუქება	5,9%
პლურალიზმი	5,9%
შემაფერხებელი, დამაბალანსებელი ფაქტორი	5,9%


13. რომელი ფაქტორები უზრუნველყოფდნენ პრესის თავისუფლებას?

²³⁸ იხ. კომენტარები 12.4.

	პროცენტი
საკუთრებითი სტრუქტურა	25%
სარედაქციო პოლიტიკა	25%
შურნალისტური ელიტა	11,1%
სახელმწიფო პოლიტიკა	11,1%
საზოგადოებრივი აზრი	22,2%
კანონი	5,6%

14. ვინ განსაზღვრავდა სარედაქციო პოლიტიკას?²³⁹

ვინ განსაზღვრავდა გამოცემის სარედაქციო პოლიტიკას	პროცენტი
გამოცემის მფლობელი	38,9%
გამოცემის რედაქტორი	66,7%
გამოცემის დამფინანსებელი	11,1%
სახელმწიფო პოლიტიკა	16,7%
საზოგადოებრივი აზრი	33,3%
საზოგადოებრივი ორგანიზაცია	5,6%



²³⁹ იხ. კომენტარები 12.4.

15. სარედაქციო პოლიტიკის საფუძვლად მდებარე პრინციპები.²⁴⁰

პირველ რიგ ში დასახელებული პასუხები

სარედაქციო პოლიტიკის საფუძველი პრინციპები	პროცენტი
ეროვნული მუხრის გადვივება, ეროვნული ღირებულებების აღდგენა	11,1%
პროფესიონალიზმი	5,6%
მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სიმართლე	16,7%
სიტყვის თავისუფლება	5,6%
პლურალიზმი	5,6%
კოლეგიალობა	5,6%
სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა	5,6%
ცოდნის გავრცელება, ანალიტიკური მასალის მიწოდება	16,7%
საზოგადოებრივი აზრის მართვა	16,7%
სოციალური საკითხების გაშუქება	5,6%
მოქნილი პოლიტიკა	5,6%

მეორე რიგ ში დასახელებული პასუხები

სარედაქციო პოლიტიკის საფუძველი პრინციპები	პროცენტი
ხელისუფლების კრიტიკა	5,6%
მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სიმართლე	5,6%
პლურალიზმი	5,6%
სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა	5,6%
სახელმწიფო ლიდერის წარმოქმნა	5,6%
ცოდნის გავრცელება, ანალიტიკური მასალის მიწოდება	5,6%
პრესის ხარისხის ამაღლება	5,6%
არასახელისუფლებო ელიტის აზრის გავრცელება	5,6%
საზოგადოების გაერთიანება	5,6%
ნაკლები ინფორმაციულობა/მეტი ანალიზი	5,6%


მესამე რიგ ში დასახელებული პასუხები

²⁴⁰ იხ. კომიტეტის 12.4.

სარედაქციო პოლიტიკის საფუძველი პრინციპები	პროცენტი
კოლეგიალობა	5,6%
საზოგადოების გაერთიანება	5,6%
გართობის არარსებობა	
სარედაქციო პოლიტიკის პრიორიტეტებში	5,6%
ჟურნალისტიკის განვითარება	5,6%

16. სარედაქციო პოლიტიკის შექმნის ხასიათი.

სარედაქციო პოლიტიკის შექმნის ხასიათი	პროცენტი
კონცეპტუალური	66,7%
სპონტანური	16,7%
ინტუიციური	16,7%
რეაქტიული	5,6%




17. საპროგრამო თეზისის არსებობა.

პქონდა თუ არა გამოცემას საპროგრამო თეზისი?	პროცენტი
კი	35,3%
არა	64,7%

18. ეროვნული იდენტობის შემცველი აზრი საპროგრამო თეზისში:

ეროვნული იდენტობის აზრი საპროგრამო თეზისში	პროცენტი
მამული უპირველეს ყოვლისა	50%
ერის მსახურება	33,3%
საქართველოს სუვერენიტეტი, თავისუფლება	16,7%




19. ეროვნული იდენტობის მედიაციისას გამოყენებული აღნიშვნები:

ეროვნული იდენტობის მედიაციისას	პროცენტი
--------------------------------	----------

გამოყენებული ენა	
შეტაფორა	16,7%
ვოტო	16,7%
კარიკატურა	11,1%
არაფერი სპეციფიკური	16,7%
სამშობლო, მამული, საქართველო, ქართველი	22,2%
ყველა შესაძლო ნიშანი	5,6%
კონტაციები	5,6%
არქეტიპულად მისაღები ხატები	16,7%
პუბლიცისტიკა	5,6%

20. ნაციონალიზმისადმი აპელირება.

როგორი ტიპის ნაციონალიზმისადმი აპელირებდა გამოცემა?	პროცენტი
ეთნიკური	16,7%
ძველი / ტრადიციული	50%
სამოქალაქო	66,67%




21. “ქართველობის” და “მოქალაქეობის” დაპირისპირება²⁴¹ (პასუხი გასცა სულ 94,4 პროცენტი)

იყო თუ არა ურთიერთდაპირისპირებული "ქართველობა" და "საქართველოს მოქალაქეობა"?	პროცენტი
კი	23,5%
არა	76,5%

22. “ეროვნულობის” და “მოქალაქეობრიობის” მკაფიოდ წარმოჩენა.


"ეროვნულობისა" და "მოქალაქეობრიობის" უფლებრივი ასკექტების წარმოჩენა	პროცენტი
კველაზე ნაკლებად მკაფიო	17,6%
ნაკლებად მკაფიო	11,8%
საშუალო	23,5%
მკაფიო	23,5%
სრულიად მკაფიო	23,5%

²⁴¹ იხ. კომენტარები 12.4.



24. ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების ეფექტები და მიზნები²⁴².

მიზნები	პროცენტი
ინდივიდუუმისა და კოლექტივის შეხედულებების ცვლილება	66,7%
ინდივიდუუმისა და კოლექტივის, საზოგადოების დირექტულებების ცვლილება	77,8%
ინდივიდუუმისა და კოლექტივის, საზოგადოების ქცევის ცვლილება	44,4%



²⁴² ი. მენტორები 12.4.

24.ა ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების სავარაუდო სამიზნე შედეგები საშუალო მაჩვენებლების თანახმად.

ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების სავარაუდო სამიზნე შედეგები	პროცენტი
საზოგადოების აზროვნების და შეხედულებების ცვლილება	8,9 – ყველაზე მეტად
საზოგადოების ღირებულებების ცვლილება	5,7 - ზომიერად
საზოგადოების ქცევის ცვლილება	1,1 – ყველაზე ნაკლებად

25. ეროვნული იდენტობის პრიორიტეტულობა სარედაქციო ფოსტის მიხედვით

რამდენად პრიორიტეტულია ეროვნული იდენტობა სარედაქციო ფოსტის მიხედვით	პროცენტი
კი	77,8%
არა	22,2%

26. ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების გამოქვეყნების სიხშირე სარედაქციო ფოსტაზე დაყრდნობით

ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების გამოქვეყნების სიხშირე	პროცენტი
კვირაში ერთხელ	22,2%
ორ კვირაში ერთხელ	5,6%
ოვეში ერთხელ	33,3%

სიტუაციის მიხედვით	38,9%
--------------------	-------

27. ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების გამოქვეყნების ფორმა

ეროვნული იდენტობის მატარებელი პუბლიკაციების გამოქვეყნების ფორმა	პროცენტი
გამოხმაურება	55,6%
კითხვა-პასუხი	11,1%
რედაქციის აასუხი	38,9%
ცალკე წერილი	55,6%
წერილის მიმოხილვა	61,1%
ექსპერტის აზრი	33,3%

28. პრესის შეფასება

პრესის შეფასება	პროცენტი
პატრიოტული	66,7%
ბაზარზე ორიენტირებული	5,6%
ნაციონალიზმზე ორიენტირებული	33,3%
პიროვნებაზე (ინდივიდუალზე) ორიენტირებული	5,6%
პიროვნებაზე (ლიდერზე) ორიენტირებული	44,4%

30.1. აფხაზებისადმი გამოყენებული ეპითეტები

არანაირი	5,6%
აფხაზი	61,1%
აფხაზა	38,9%
ამაყი	5,6%

ჩამოსახლებული	5,6%
ექსტრემისტი	5,6%
სეპარატისტი	22,2%
ჩვენი მმები	5,6%

30.2. ოსებისადმი გამოყენებული ეპითეტები

არანაირი	5,6 %
ოსი	72,2%
სეპარატისტი	33,3%
ქურდი	5,6%
გულბოროტი	5,6%
უმაღური	11,1%
ექსტრემისტი	5,6%
სტუმარ-მასპინძლობის	5,6%
წესების დამრღვევი	
ჩვენი მმები	5,6%

31.1 აფხაზეთის ტერიტორიის აღსანიშნად გამოყენებული სიტყვები

აფხაზეთის ტერიტორიის აღნიშვნა	პროცენტი
დროებით პრობლემური	5,9%
სეპარატისტულად განწყობილი	5,9%
აფხაზეთი	41,2%
საქართველოს (განუყოფელი) ნაწილი / რეგიონი	35,3%
გაწონასწორებული	5,9%
არანაირი	5,9%

31.2 ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის აღსანიშნად გამოყენებული სიტყვები

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმნიშვნელები	პროცენტი
დროებით ოპუბირებული	8,7%
ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი	4,3%

ოსეთი	8,7%
შიდა ქართლი	17,4%
სამაჩაბლო	26,1%
საქართველოს განუყოფელი ნაწილი	21,8%
უკანონო წარმონაქმნი	4,3%
ცხინვალი	8,7%

34. გარესამყაროს წარმოსადგენად გამოყენებული წყაროები (დაჯამებული პროცენტი)

გარესამყაროს წარმოსადგენად გამოყენებული წყაროები	პროცენტი
თანამდებობის პირები	2,5%
პოლიტიკოსები	2,5%
საზოგადოებრივი მოღვაწეები	2,5%
სააგენტოები	10%
ისტორიული გამოცდილება	10%
რესული საინფორმაციო საშუალებები	15%
დასავლური საინფორმაციო საშუალებები	20%
ყველა ხელმისაწვდომი წყარო	10%
პრესა	7,5%
არქივი	5%
ექსპერტები	7,5%
ემპირიული მონაცემები	2,5%
საკუთარი ინფორმაცია	5%

35. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარესამყაროს წარმოდგენისას თქვენს გამოცემაში, ძირითადად, სახელისუფლებო წყაროების შეხედულებები აისახებოდა (სულ პასუხი გასცა 94,4 პროცენტა)

კი	29,4 %
არა	70,6 %

36. ოდესმე ჩაგიტარებიათ თუ არა და გამოგიყენებიათ თუ არა თქვენს მიერ ჩატარებული კველვა ეროვნული იდენტობის შესახებ?

კი	5,6%
არა	94,4 %

37 რა მიმართულების სოციოლოგიურ კვლევას ანიჭებდით უპირატესობას? (სულ პასუხი გასცა 88,9 პროცენტი)

არჩევნები და წინასაარჩევნო კვლევები	43,75%
პოლიტიკური კვლევა	18,75%
არ მასხვის	18,75%
დემოგრაფია	12,5%
საზოგადოებრივი აზრი	6,25%

37ა. რისი გაგება გსურდათ სოციოლოგიური კვლევით? (სულ პასუხი გასცა 50 პროცენტი)

სალხის აზრი ხელისუფლების გადაწყვეტილებისადმი	11,1%
საზოგადოებრივი აზრი და განწყობა	55,6%
სარეფერენციუმო კითხვები	11,1%
არ ვიცი, არ მასხვის	22,2%

11.4. კომუნტარები და დამატებები აღწერითი სატატისტიკის შედეგებისთვის

ამ ქვეთავის მიზანია, 12.3. ქვეთავში წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხისა და მონაცემის განმარტება; ასევე, იმ ორი საკითხის განხილვა, რომელთა ანალიზმა თვისობრივი მეთოდით მოითხოვა.

შეკითხვა 7. გამოცემის სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსი (კომენტარი). საკვლევ პერიოდში მოხდა რამდენიმე განხილული მასშიედიუმის სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსის შეცვლა. ასე მაგალითად, 1991 წლის მაისში ყოველკვირეული “7 დღე” უურნალისტთა კაგშირის ორგანოდან იქცა კერძო სტრუქტურის მიერ გამოცემულ ყოველკვირეულად. “დრონი” დასაწყისიდანვე წარმოადგენდა იმავე სტრუქტურის მიერ გამოცემულ ყოველკვირეულს. სახეზეა გამოცემათა ტიპოლოგიური (სამართლებრივ-საკუთრებითი სტატუსის მხრივ) დიფუზია, რაც დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა განხილული ისტორიული პერიოდისთვის.

შეკითხვა 11. მედიის ფუნქცია ეროვნული იდენტობის შემუშავების ზოგად პლანში (კომენტარი). აუცილებლად მიმაჩნია, განხოგადოებული პასუხების გარდა, ეს საკითხი წარმოჩენილ იქნას კერძო ნიმუშების დონეზე: “მკვიდრდებოდა ეროვნული იდენტობის პრიზმაში გატარებული უურნალისტიკა, ნაცვლად კლასობრივი ან პარტიული პრიზმისა”; ან: “ჩვენი გამოცემა იყო ნაციონალისტურ პოზიციებზე მდგარი გამოცემა”: ან: “მედია ახდენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარებას, ხელს უწყობდა ძველი, საბჭოთა პერიოდის ცნობიერების რდვევას; მედიის ენიდან განიდევნა “საბჭოთა სამშობლო”, გაჩნდა “ერი-სამშობლო”; ან: “პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები მანამდე აკრძალულ ეროვნულ თემებზე, რამაც ხელი შეუწყო საბჭოელი ადამიანის ცნობიერების რდვევას და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული მოქალაქის შექმნას ჩაუყარა საფუძველი”; ან: “მედიაში მოხდა იმ კრიტერიუმების შემუშავება და ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზეც დაიყო მსარეები პრაქტიკულ პოლიტიკაში. ეროვნული იდენტობა კი იყო ამ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთი უმთავრესი”. როგორც ვხედავთ, 1990-1991 წლების ქართული მედიის ერთ-ერთ დაგეგმილ და შორ პერსპექტივაზე გათვლილ ეფექტად უნდა მივიჩნიოთ “ქართველად” (“საბჭოთას” ანტაგონისტური ცნება) ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ ადასტურებს, რომ კომუნიკაციის თემა იყო “ქართველობა, როგორც

გაბატონებული იდენტობითი კატეგორია”, ანუ ამ კატეგორიის იდეოლოგიურ პლანში წარმოჩენა.

შეკითხვა 13. ვინ განსაზღვრავდა სარედაქციო პოლიტიკას? (კომენტარი). რესპონდენტთა პასუხებში საზოგადოებრივი აზრი, როგორც სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი, საკმაოდ მაღალი პროცენტით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება დამახასიათებელია “სოციალური პასუხისმგებლობის” მქონე პრესისათვის.

შეკითხვა 14. სარედაქციო პოლიტიკის საფუძვლად მდგბარე პრინციპები. (კომენტარი). პირველ რიგში დასახელებულ პრინციპთა შორის პირველ (ლიდერ) სამეულს წარმოადგენს პრესტიული, ხარისხიანი პრესისათვის დამახასიათებელი პრინციპები: საზოგადოებრივი აზრის მართვა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სიმართლე, ცოდნის გავრცელება, მკითხველისთვის ანალიტიკური მასალის მიწოდება, ეროვნული მუხტის გაღვივება, ეროვნული ღირებულებების აღდგენა.

შეკითხვა 21. “ქართველობისა” და “საქართველოს მოქალაქეობის” დაპირისპირება (კომენტარი). მათი პოზიცია, ვინც დადებითი პასუხი გასცა ამ შეკითხვას, შეიძლება, ნაჩვენები იქნას შემდეგ ნიმუშებში: “ქართველობისა” და “საქართველოს მოქალაქეობის” დაპირისპირება ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ “საქართველოს მოქალაქე”, სხვა ეთნიკური წარმომავლობის მატარებელი, უპირისპირდებოდა ქართულ ინტერესს”; ან: “როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდა “დამოუკიდებლობა” და “დემოკრატია”. ეს ორი ნიმუში ცხადად წარმოაჩენს, რომ “ქართველობისა” და “საქართველოს მოქალაქეობის” დაპირისპირება თუ ხდებოდა მედიურ ასახვაში, ხდებოდა “სახელმწიფოებრივი ინტერესიდან” გამომდინარე.

შეკითხვა 23. შეკითხვაზე: “სოციალური რეალობის ასახვისას მედიაციის რა მეტაფორას იყენებდით თქვენს გამოცემაში?”, შეთავაზებულ პასუხთაგან (სარკე, ფანჯარა, ბარიერი, ფორუმი, ინტერპრეტატორი, ინტერლოკუტორი) რესპონდენტთა 66,7 %-მა აირჩია ინტერპრეტატორის მეტაფორა; 22,2 %-მა – სარკის, 11,1 %-მა – ფორუმის. ფაქტორთა ასეთი განლაგება და რაოდენობრივი შეფარდება მიუთითებს მედიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში მედიაცენტრული მოდელის დომინანტურ მდგომარეობაზე.

შეკითხვა 29. (კომენტარი). პრესის ხასიათის შეფასებისას ყველაზე რეპრეზენტირებული ტიპის ნიმუშებია: “პატრიოტული პრესა” – “მშობლიური, ეროვნული ღირებულებების ერთგულება, მათთან საკუთარი თავის გაიგივება”; ან:

“ჯანსაღი პატრიოტიზმის გაღვივება ისტორიული გამოცდილების მოხმობით და ამ თემაზე დისკუსიებით”; “სამშობლოს დადებითი ხატის პიპერბოლიზება და საფრთხის გამძაფრება მედიურ ასახვაში”; “ამ პერიოდის პრესა უმთავრესად პატრიოტული იყო, რადგან ამ დროს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რეალობა ხდებოდა და საზოგადოებაში ახალი იდენტობა ყალიბდებოდა, თუმცა იმდროინდელი გაზეთების უმეტესობა (“საქართველო”, “მამული”, “საქართველოს რესპუბლიკა”) ეთნიკური და რელიგიური პატრიოტიზმით გამოირჩეოდა”; ან: “პრესა პატრიოტული უნდა ყოფილიყო იმდენად, რამდენადაც დღის წესრიგში იდგა ეროვნული ტერიტორიისთვის ომის ასახვა”; “ნაციონალიზმზე ორიენტირებული პრესა” – “ასეთი პრესა არსებობს მხოლოდ დაპყრობილ ქავებში, რომლებიც ესწრაფვიან თავისუფლებას და მხოლოდ პირველი ორი წლის მანძილზე გამოირჩევა ეროვნული ღირებულებების პიპერბოლიზაციით ყველა სხვა დირექტულების ნიველირების ხარჯზე”. როგორც ნიმუშებიდან ჩანს, რესპონდენტების პასუხებში აღრეულია პატრიოტული და ნაციონალიზმზე ორიენტირებული პრესის მახასიათებლები. სხვადასხვა რესპონდენტი ერთსა და იმავე ნიშან-თვისებებს მიაწერს “პატრიოტულ” და “ნაციონალიზმზე ორიენტირებულ” პრესას. და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ამ შეკითხვის პასუხები უჩვენებს მედიის მიერ კოლექტიური იდენტობისათვის უპირატესობის მინიჭებას ინდივიდუალურ იდენტობებთან შედარებით. რესპონდენტების მიერ “პიროვნებაზე ორიენტირებული პრესა” თავისი ბუნებით აღქმულ იქნა როგორც ლიდერზე, ქარიზმატულ პიროვნებაზე, და არა ადამიანზე, მოქალაქეზე, პიროვნებაზე ორიენტირებულ პრესად. ეს გარემოება ადასტურებს: ერთის მხრივ, იმ დროინდელ ქართულ პრესაში იდეოლოგიური დომინაციის არსებობას, და, მეორეს მხრივ, რომ ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თავად ხდებოდნენ მედიაში ტიპშემქმნელი ფაქტორები და ელემენტები.

შეკითხვები 32 და 33. კითხვარში ცალკე ბლოკად იყო წარმოდგენილი: 1) ქართული მედიის რეაქციის შეფასება რუსულ მედიაში საქართველოსა და ქართველების შესახებ პუბლიკაციებზე; 2) რუსული მედიის მიერ რეპრეზენტირებული “ქართველის”, “აფხაზის”, “ოსის” სპეციფიკური ნიშან-თვისებები. მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ასეთი სურათი:

1) ქართული მედია იყო ზედმიწევნით და ოპერატიულად რეაქტიული: იგი ინტენსიურად თარგმნიდა და აქვეყნებდა, კომენტირებდა რუსულ მედიაში

გამოქვეყნებულ/გადაცემულ ყველა პუბლიკაციას/გადაცემას; კომენტარები ხშირ შემთხვევაში იყო დისპროპორციული მძაფრი; ყურადღებას ამახვილებდა ყველა მტკიცნეულ (მაშინ არსებული სიტუაციის მიხედვით) დეტალსა და ნიუანსზეც კი.

2) რუსულ მედიაში რეპრეზენტირებული “ქართველი” იყო: “იმპერიალისტურად მოაზროვნე”, “ძველი და მცირე ერის კომპლექსით შეცყრობილი”, “მჩაგვრელი”, “კორუმპირებული”, “უკულტურო”, “Лицо Кавказской национальности”.

“აფხაზი” – “ამაყი”, “მთიელი”, “ქართველის მიერ დაჩაგრული”, “ქართველისგან განსხვავებული”, “თავისთავადი”, “პრივილეგიების ღირსი”, “თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირსი”, “თავისუფლების მოყვარე”.

“ოსი” – “ქართველის მიერ დაჩაგრული”, “რუსეთის ერთგული”, “ისტორიული უსამართლობის მსხვერპლი”.

ეს შეკითხვა ეხება კომუნიკაციური პროცესის ძალიან მნიშვნელოვან ფენომენს : სახელდების ფენომენს, მედიურ შეტყობინებაში კოდირებულ შინაარსს, როცა შეტყობინების პრაგმატიკული ასპექტი უფრო მეტად ეფუძნება შეტყობინების გარეთ მდებარე ფაქტორებს, ვიდრე კონკრეტულ შეტყობინებაში შემავალი კონკრეტული სიტყვების სემანტიკურ ასპექტებს. მედიის მიერ სახელდების პროცესი ქმნის მყარ სოციალურ კონსტრუქციებს, სემიოლოგიურ სტრუქტურებს, როდესაც მედიის მიერ ფიქსირებულ მნიშვნელობას ამა თუ იმ ამა თუ იმ აღსანიშნი საგნის, მოვლენის, ფენომენის ინდექსირებამდე, იდენტობით დეფინიციამდე მივყავართ.

11.5. განხილვა – პიპოთეზისთვის 1

როგორც ჩანს აღწერითი სტატისტიკის შედეგებიდან, რესპონდენტების მიერ იდეოლოგიური დომინაციის არსებობა 1990-1991 წლების ქართულ მედიაში დადასტურებულია (აღიარებულია) შემდეგი მიზეზების გამო: ა) რესპონდენტების აზრით, საბჭოთა უცრნალისტიკის საგანმანათლებლო პრინციპები ემყარებოდა მედიაში იდეოლოგიური დომინაციის პრინციპს; ბ) გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური მომენტი მოითხოვდა უცრნალისტიკისგან, იგი ყოფილიყო იდეოლოგიური შრომის ნაირსახეობა; გ) მედიაში იდეოლოგიური დომინაციის არსებობა რესპონდენტების მიერ განხილულ იქნა როგორც ერთადერთი საშუალება საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის მოსახდენად. როგორც პვლევის შესავალში

ადვნიშნეთ, 1990-იანი წლების დასაწყისში წამყვანი იდეოლოგიური დისკურსი საზოგადოებაში იყო ნაციონალისტური, ეროვნული დისკურსი. ასე რომ, რესპონდენტებმა მიიჩნიეს, რომ მხოლოდ იდეოლოგიურად გამყარებული ჟურნალისტიკა იქნებოდა ეფექტური მოცემულ პოლიტიკურ მომენტში. რესპონდენტების 66 %-ზე მეტმა მიიჩნია, რომ ეს ‘იდეოლოგიური შრომა’ ხორციელდებოდა მედიალიდერების მიერ ‘კონცეპტუალურად გააზრებულად’. აღწერითი ანალიზის დასრულების შემდეგ რესპონდენტებს ვთხოვთ, გაზომვის ნომინალურ დონეზე მოეხდინათ მათ მიერ გამოყოფილი (კრებითად) მედიის ახალი როლები და ფუნქციების კლასიფიცირება მათში შემავალი იდეოლოგიური დომინაციის არსებობის მნიშვნელობის მიხედვით (ლია და დაფარული მნიშვნელობით).

ცხრილი 9. ლია და და ფარული იდეოლოგიური დომინაცია ახალი მედიის როლებისა და ფუნქციების სტრუქტურაში

ლიად იდეოლოგიურად დომინაციური როლები და ფუნქციები	პროცენტი
კომუნისტური პრესის პრინციპების დარღვევა	8,7%
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვა	4.3%
სრულფასოვანი ჩართულობა პრაქტიკულ პოლიტიკაში	4.3%
ახალი სახელმწიფო იდეოლოგიის მშენებლობის მხარდაჭერა	4.3%
ეროვნული იდენტობის გააზრება	4.3%
სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა	4.3%
პოლიტიკური ბრძოლის არენა	8.7%
დაფარული იდეოლოგიური როლები და ფუნქციები	პროცენტი
პლურალიზმი და ობიექტურობა	21,7%
საზოგადოებრივი აზრის გამყარება	8,7%
ცოდნისა და განათლების აგგრესიულება	4,3%

ცხრილი 10. იდეოლოგიური დომინაციის არსებობა/არარსებობა მედიის ახალ როლებსა და ფუნქციებში.

იდეოლოგიის არსებობის დამადასტურებელი (დია და ფარული) როლები და ფუნქციები	73,6 %	n=13
იდეოლოგიისგან თავისუფალი როლები და ფუნქციები	17,2%	n=3
იდეოლოგიურად არაიდენტიფიცირებული როლები და ფუნქციები	8,7%	n=2
X ² =8.5, df=2, p<0.01		

თუკი იდეოლოგიური დომინაციის დია ნიშნები არ საჭიროებს დამატებით ახსნასა და ინტერპრეტაციას, ის როლები და ფუნქციები, რომლებიც რესპონდენტების მიერ მიჩნეულ იქნენ, როგორც ფარული იდეოლოგიური მნიშვნელობის მატარებელნი, საჭიროებენ გარკვეულ კომენტარს. რესპონდენტების განცხადებები შეიძლება, განზოგადებულ იქნას შემდეგნაირად: ა) ტერმინები “ობიექტურობა” და “პლურალიზმი” წარმოადგენენ გლასნოსტის იდეოლოგიის მატარებელ ტერმინებს, ისინი მიმართული იყვნენ გვიანდელ საბჭოთა მედიაში კაზი-დემოკრატიული პროცესების შესანიღბად; ბ) ცოდნისა და განათლების გავრცელება მედიის მიერ ასევე წარმოადგენს გლასნოსტისა და პოსტ-გლასნოსტის პერიოდის სპეციფიკურ პროექტს, როდესაც გაზეთების მეშვეობით ცოდნის მიღება გულისხმობდა “ცოდნას” ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით. ეს “ცოდნა” მოიცავდა: სოციალური, პოლიტიკური, ისტორიული ფენომენების სახელდებას, ოფიციალური (საბჭოთა, სტალინური, ცრუ) ისტორიის ჩანაცვლებას “ნამდვილი”, ეროვნული ისტორიით; ურისა” და “ეროვნულობის”, “სამშობლოსა” და “სახელმწიფოს”, “დემოკრატიისა” და “დამოუკიდებლობის” დეფინიციებს, მათ არა იმდენად კონცეპტუალურ, რამდენადაც მოცემული პოლიტიკური მომენტიდან გამომდინარე დეფინიციებსა და ინტერპრეტაციებს; გ) “ცოდნა” იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელსაც უნდა უზრუნველესო საზოგადოებრივი აზრის გამყარება.

კროსტაბისა და ცთომილების კოფიციენტის მაჩვენებლებმა დაადასტურეს პირველი პიპოთეზის სისწორე: ახალი ქართული მედიის ლიდერების მიერ მედიის ახალი როლებისა და ფუნქციების აღქმა (პერცეზცია) უფრო მეტად ააშკარავებს იდეოლოგიური დომინაციის არსებობას იმ პერიოდის ქართულ პრესაში, კიდრე იდეოლოგიისგან თავისუფალი მედიის არსებობას.

11.6. 1990-იანი წლების ქართული მედიის ახალი როლები და ფუნქციები. მედიაცენტრიზმი და სოციოცენტრიზმი. ფაქტორული ანალიზი. პიპოთეზისთვის 2

რაც შეეხება პიპოთეზას 2, აღწერითი სტატისტიკის შედეგებმა არ დაადასტურა ჩვენი დაშვება 1990-1991 წლების ქართული მედიისა და საზოგადოების კავშირის მედიაცენტრული ბუნების შესახებ. უფრო ზუსტად, აღწერითმა ანალიზმა არ გამოავლინა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მედიაში იდეოლოგიური დომინაციის არსებობასა და მედიაცენტრიზმს შორის. 18 რესპონდენტიდან მხოლოდ 5-მა მიიჩნია 1990-1991 წლებში საზოგადოებისა და მედიის ურთიერთქმედების მოდელი მედიაცენტრულად, 13 რესპონდენტის აზრით, მას სოციოცენტრული ბუნება პქონდა. თუმცა იმ პერიოდის მედიის ახალი ფუნქციებისა და როლების (მათ შორის ეროვნული იდენტობის კონსტრუირების ჭრილში) განსაზღვრებისას, მათი დახასიათებისას თითოეული რესპონდენტის შემთხვევაში პიპოთეტურად იქნა დაშვებული ცდომილების ალბათობა მედიაცენტრიზმსა და სოციოცენტრიზმს შორის სპონტანურად გაკეთებულ არჩევანსა და ახალი მედიური როლებისა და ფუნქციების გააზრებას შორის. ცთომილების დაშვებას საფუძვლად ედო კონფლიქტი რესპონდენტების გამოცდილებასა (მუშაობა საბჭოთა-კომუნისტურ პრესაში, რომელსაც საზოგადოებისა და მედიის ურთიერთობის მკაფიოდ გამოხატული მედიაცენტრული ხედვა ახასიათებს, რადგან, ამ შემთხვევაში, მედია და სახელმწიფო ერთი და იგივეა)) და მიმდინარე მედიურ პრაქტიკას (გლასნოსტური და პოსტ-გლასნოსტური, სოციალურ ცვლილებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ მედია, რომელსაც კვაზი-სოციოცენტრული პერსპექტივა ახასიათებს) შორის.

საკითხის ამგვარად დაყენებამ საჭირო გახადა რაოდენობრივი კვლევა ფაქტორული ანალიზის მეთოდით. ფაქტორული ანალიზი დაავიწროვებდა საკვლევი ელემენტების წრეს, მოახდენდა პრინციპულად მნიშვნელოვანი განზომილებების

იდენტიფიცირებას, გამოპყოფდა სიცოცხლისუნარიან და მათთან კორელაციაში მყოფ ფაქტორებს.

კვლევის მეორე ეტაპზე რესპონდენტებისათვის შედგა ანკეტა, რომელშიც 7-ქულიან სკალაზე უნდა შეფასებულიყო თავად რესპონდენტების მიერ კითხვარის შევსების შედეგად გამოყოფილი ახალი მედიალური როლები და ფუნქციები. 1 იყო უველაზე დაბალი შეფასება, 7 – უმაღლესი. კითხვარი მოიცავდა 18 შესაფასებელ კატეგორიას: 1990-იანი წლების დასაწყისის მეჭდური მედიის ფუნქციები და როლები.

ფაქტორი 1. პოლიტიკური ბრძოლის ფუნქცია და როლი (F 1);

ფაქტორი 2. ახალი საზოგადოებრივი აზროვნების დამამკვიდრებლის ფუნქცია და როლი (F2);

ფაქტორი 3. თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების ფუნქცია და როლი (F3);

ფაქტორი 4. განმანათლებლისა და ცოდნის გამავრცელებლის ფუნქცია და როლი (F4);

ფაქტორი 5. ეროვნული იდენტობისა და მიკუთვნებულობის გადააზრების ფუნქცია და როლი (F5);

ფაქტორი 6. პლურალიზმის დამაკვიდრებლის ფუნქცია და როლი (F6);

ფაქტორი 7. ლიბერალური ღირებულებებისა და პრინციპების დამამკვიდრებლის ფუნქცია და როლი (F7);

ფაქტორი 8. კომუნისტური პრესის მიმართ ანტაგონისტური ფუნქცია და როლი (F8);

ფაქტორი 9. საზოგადოებრივი ცვლილებების ასახვის ფუნქცია და როლი (F9);

ფაქტორი 10. საზოგადოებრივი ცვლილებებისკენ მოწოდების ფუნქცია და როლი (F10);

ფაქტორი 11. ეროვნული იდენტობის შემსენებლის ფუნქცია და როლი (F11);

ფაქტორი 12. გადაჭარბებული ეროვნული პათოსის წინააღმდეგ წერის ფუნქცია და როლი (F12);

ფაქტორი 13. საზოგადოების შესახებ უკომპრომისოდ წერის ფუნქცია და როლი (F13);

ფაქტორი 14. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვის ფუნქცია და როლი (F14);

ფაქტორი 15. “ნამდვილი” ისტორიის ასახვის ფუნქცია და როლი (F15);

ფაქტორი 16. საზოგადოების მობილიზაციისა და გაერთიანების ფუნქცია და როლი (F16);

ფაქტორი 17. საზოგადოებრივი აზრის გამამყარებლის ფუნქცია და როლი (F17);

ფაქტორი 18. ახალი დროის გმირის შექმნის ფუნქცია და როლი (F18).

Output 1 გვიჩვენებს ცვლადების აღწერით სტატისტიკას.

Descriptive Statistics

	f1	f2	f3	f4	F5	f6	f7	f8	f9	f10	f11	f12	f13	f14	f15	f16	f17	f18
Mean	6, 11	5,0 0	4,0 6	4,6 1	5,8 9	4,2 8	3,1 7	6,2 2	5,5 0	5,5 0	6,0 0	2,1 1	3,5 6	6,3 9	5,2 8	3,33	4,56	4,56
Std. Devi ation	,7 58	1,3 28	1,5 14	1,2 43	1,4 51	1,0 74	1,5 81	1,0 03	1,2 95	1,3 83	1,4 14	1,0 79	1,7 90	1,1 95	1,3 64	1,645	1,790	1,617
Anal ysis N	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18

კორელაციის მატრიცა (R მატრიცა)

კორელაციის მატრიცა მოცემულია **Output 2**-ში.

Correlation Matrix

Correla tion	f1	f2	f3	f4	f5	f6	f7	f8	f9	f10	f11	f12	f13	f14	f15	f16	f17	f18
f1	1,0 00	- .117	,046 .263	- .263	- .042	,032 .042	- .114	,430 .120	- .112	- .274	- .376	- .265	- .310	- .202	- .503	- .352	- .197	
f2	- .11 7	1,00 0	,790 .712	,712 .397	,660 .660	,420 .420	,000 .000	,513 .513	,416 .416	- .031	,205 .031	,742 .742	,000 .000	- .065	,431 .431	,569 .569	,055 .055	
f3	,04 6	,790 0	1,00 0	,637 .637	,244 .244	,605 .605	,488 .488	- .047	,435 .435	,520 .520	- .192	,320 .192	,748 .748	- .208	,049 .049	,488 .488	,422 .422	,131 .131
f4	- .26 3	,712 -	,637 -	1,00 0	,464 .464	,702 .702	,484 .484	,121 .121	,713 .713	,701 .701	,067 .067	,297 .297	,605 .605	- .090	- .037	,326 .326	,605 .605	,114 .114
f5	- .04 2	,397 -	,244 -	,464 -	1,00 0	,247 .043	- .043	,665 .665	,501 .501	,323 .323	,373 .373	- .142	,138 .138	,026 .026	,135 .135	,263 .263	,388 .388	- .098

f6	,03 2	,660	,605	,702	,247	1,00 0	,768	,103	,444	,574	- 155	,073	,527	- ,318	- ,377	- ,089	,313	- ,094
f7	- ,11 4	,420	,488	,484	,043	,768	1,00 0	,321	,101	,471	- ,368	,230	,464	- ,503	- ,487	- ,023	,173	- ,268
f8	,43 0	,000	- ,047	,121	,665	,103	- ,321	1,00 0	,408	,127	,290	- ,568	- ,138	- ,027	,081	- ,190	,025	,028
f9	- ,12 0	,513	,435	,713	,501	,444	,101	,408	1,00 0	,772	,225	,000	,457	- ,019	,117	,276	,533	,309
f10	- ,11 2	,416	,520	,701	,323	,574	,471	,127	,772	1,00 0	,211	,276	,452	- ,196	- ,109	,259	,475	,184
f11	- ,27 4	- ,031	- ,192	,067	,373	- ,155	,368	,290	,225	,211	1,00 0	,193	- ,232	,696	,458	,430	,535	,592
f12	- ,37 6	,205	,320	,297	- ,142	,073	,230	- ,568	,000	,276	,193	1,00 0	,210	,147	,138	,442	,423	,232
f13	- ,26 5	,742	,748	,605	,138	,527	,464	- ,138	,457	,452	- ,232	,210	1,00 0	- ,217	- ,091	,453	,394	,131
f14	- ,31 0	,000	- ,208	,090	,026	- ,318	,503	- ,027	,019	- ,196	,696	,147	- ,217	1,00 0	,760	,439	,526	,612
f15	- ,20 2	- ,065	,049	- ,037	,135	- ,377	,487	,081	,117	- ,109	,458	,138	- ,091	,760	1,00 0	,559	,463	,593
f16	- ,50 3	,431	,488	,326	,263	- ,089	,023	- ,190	,276	,259	,430	,442	,453	,439	,559	1,00 0	,693	,568
f17	- ,35 2	,569	,422	,605	,388	,313	,173	,025	,533	,475	,535	,423	,394	,526	,463	,693	1,00 0	,538
f18	- ,19 7	,055	,131	,114	- ,098	- ,094	- ,268	,028	,309	,184	,592	,232	,131	,612	,593	,568	,538	1,00 0

კორელაციის მატრიციდან ჩანს, რომ გვაქვს შემდეგ ფაქტორებს შორის
მაღალი კორელაცია:

1. F2 ფაქტორი (ახალი საზოგადოებრივი აზროვნების დამამკვიდრებლის ფუნქცია და როლი) კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F3 (თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების ფუნქცია და როლი), F4 (განმანათლებლისა და ცოდნის გამავრცელებლის ფუნქცია და როლი), F13 (საზოგადოების შესახებ უკომპრომისოდ წერის ფუნქცია და როლი).
2. F3 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F2, F13.
3. F4 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F2, F6 (პლურალიზმის დამაკვიდრებლის ფუნქცია და როლი), F9 (საზოგადოებრივი ცვლილებების ასახვის ფუნქცია და როლი), F10 (საზოგადოებრივი ცვლილებებისკენ მოწოდების ფუნქცია და როლი).
4. F6 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F4, F7 (ლიბერალური დირებულებებისა და პრინციპების დამამკვიდრებლის ფუნქცია და როლი).
5. F7 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F6.
6. F9 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F4, F10.
7. F10 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F4, F9.
8. F13 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F2, F3.
9. F14 ფაქტორი (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვის ფუნქცია და როლი) კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F15 (“ნამდვილი” ისტორიის ასახვის ფუნქცია და როლი).
10. F15 ფაქტორი კორელაციაშია შემდეგ ფაქტორებთან: F14.

ამდენად, გვაქვს კორელაციის ხეთი ჯგუფი: პირველი - F2, F3, F4, F13, ფაქტორებს შორის; მეორე - F2, F6, F9, F10 ფაქტორებს შორის; მესამე - F4, F6, F7 ფაქტორებს შორის; მეოთხე - F4, F10 ფაქტორებს შორის; მეხუთე - F14, F15 ფაქტორებს შორის. ფაქტორი 4 (განმანათლებლისა და ცოდნის გამავრცელებლის ფუნქცია და როლი) კორელაციის უნარისა და კორელაციის სიფართოვის თვალსაზრისით ყველაზე აქტიური ფაქტორია. მედიის მიერ ცოდნის გავრცელების ფუნქციის მაღალი კორელაციურობა მიუთითებს მკაფიოდ გამოკვეთილ მედიაცენტრულ პერსპექტივასა და ერთ-ერთ ძირითად კომუნიკაციურ ეფექტზე

პოსტგლასნოსტური პერიოდის მედიისათვის. კომუნიკატივისტიკის თეორიაში მედიის მიერ ცოდნის გავრცელება მიიჩნევა ერთ-ერთ ძირითად, შორ პერსპექტივაზე გათვლილ, დაგეგმილ მედიაეფექტად.


კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი ისაა, რომ თითოეულ ჯგუფში თითოეული ფაქტორი მაღალ კორელაციაშია ამ ჯგუფის სხვა ფაქტორებთან, მაგრამ ასევე რამდენიმე ფაქტორი კორელაციაშია მეორე ჯგუფის რომელიმე ტესტთან. ამდენად, ამ ჯგუფების მიერ ასახული ფაქტორი არ არის სრულიად დამოუკიდებელი. **R** მატრიცაში კორელაციების ამ პატერნის ინტერპრეტაცია გულისხმობს, რომ ფაქტორების თითოეული ჯგუფი არ ეყრდნობა ერთ განზომილებას და ასევე მოიცავს მეორე ჯგუფის ფაქტორებში ასახულ ძირითად ტენდენციებს.

Output 3 წარმოადგენს ამოდებული კომპონენტების სტატისტიკის შეცვლილ ცხრილს. პირველი სამი სვეტის განკუთხილება სათაურით **Initial Eigenvalues** კორელაციის მატრიცის მახასიათებლებს მოიცავს და განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტორი (კომპონენტი) რჩება მატრიცაში, რადგან 1-ზე ნაკლები მნიშვნელობის მქონეები ამოვარდება. **eigenvalue** – ესაა მთლიანი კითხვარის ვარიაციის ოდენობა რომელსაც ცალკეული ფაქტორი განსაზღვრავს, სადაც თითოეული ტესტის ტოტალური ვარიაცია ერთეულს წარმოადგენს (100%). **% of Variance** გვაძლევს ინფორმაციას, თუ ვარიაციის რა პროცენტზეა კონკრეტული ფაქტორი პასუხისმგებელი. ამდენად, პირველი სამი ფაქტორი გამოვლინდა როგორც მეტი მნიშვნელობის მქონე.

Total Variance Explained

Component	Initial Eigenvalues		
	Total	% of Variance	Cumulative %
1	6,026	33,480	33,480
2	4,233	23,515	56,995
3	2,553	14,182	71,177
4	1,155	6,415	77,593
5	,953	5,296	82,889
6	,755	4,197	87,086
7	,676	3,754	90,840
8	,434	2,410	93,250

Scree Plot



9	,395	2,193	95,443
10	,260	1,445	96,888
11	,194	1,075	97,963
12	,154	,854	98,817
13	,109	,606	99,423
14	,048	,265	99,689
15	,030	,166	99,855
16	,018	,099	99,954
17	,008	,046	100,000
18	,000	,000	100,000

Extraction Method: Principal Component Analysis.

ნახაზი ფაქტორული ანალიზის შედეგების გრაფიკულ წარმოჩენას გვთავაზობს.

აქ გრაფიკულად არის წარმოდგენილი თითოეული ამოღებული ფაქტორის მნიშვნელობა. ფაქტორების მიერ განპირობებული ვარიაცია მკვეთრად ეცემა ფაქტორების ამოღებასთან ერთად. ჩვენ გვაინტერესებს, რომელ წერტილში ხდება მრუდი სწორი. ამ შემთხვევაში ესაა სივრცე მესამე და მეოთხე ფაქტორს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ მეოთხე ფაქტორს 1-ზე მეტი მნიშვნელობა აქვს და ამდენად იგი ჩართული იქნება ფაქტორული ანალიზის განხილვაში.

Output 4 გვიჩვენებს ოთხ ამოგდებულ ფაქტორზე დანარჩენი ტესტების მნიშვნელობებს.

Component Matrix(a)

	Component			
	1	2	3	4
f1	-,315	-,342	,463	,370
f2	,825	-,188	-,005	,300
f3	,789	-,256	-,110	,442
f4	,880	-,170	,107	-,148
f5	,457	,097	,669	-,052
f6	,669	-,546	,103	-,134
f7	,480	-,648	-,323	-,227
f8	,040	,053	,963	,064
f9	,734	,034	,444	-,109
f10	,754	-,159	,159	-,372
f11	,209	,773	,257	-,389
f12	,393	,196	-,637	-,241
f13	,749	-,264	-,214	,339
f14	,051	,893	-,049	,026
f15	,121	,827	,018	,303
f16	,605	,568	-,277	,235
f17	,779	,470	-,022	-,070
f18	,322	,706	-,064	,084

Extraction Method: Principal Component Analysis.

a 4 components extracted.

ვერტიკალურად განლაგებული ფაქტორები (რომლებიც ერთმანეთთან არ არის კორელაციაში), წარმოადგენს კორელაციების კოეფიციენტებს ცვლადებსა და ფაქტორებს შორის. ამდენად რაც უფრო მაღალია მნიშვნელობის აბსოლუტური დირებულება (რომელიც ვერ იქნება 1-ზე მეტი), მით უფრო დიდი წვლილი შეაქვს ფაქტორს ცვლადის ქულების ვარიაციაში. როგორც ვნახეთ, კორელაციის მატრიცის თანახმად, ფაქტორულმა ანალიზმა ოთხი ფაქტორი ამოაგდო.

Output 7-ში მოცემულია როტაციული კომპონენტების მატრიცა. როტაციის მიზანს წარმოადგენს დერძის (ფაქტორის) ახალი პოზიციის მიღწევა, რომლის ინტერპრეტაცია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო ადვილი იქნება. ამ

მატრიციდან შეიძლება გამოვყოთ, რომელ ფაქტორებს აქვთ პირველ ოთხ ფაქტორთან მაღალი (1-თან მიახლოვებული) კორელაცია.

Rotated Component Matrix(a)

	Component			
	1	2	3	4
f1	-,290	,024	-,174	-,673
f2	,049	,812	,378	,039
f3	,006	,918	,224	,045
f4	-,020	,536	,721	,175
f5	,192	,117	,665	-,418
f6	-,417	,507	,580	,088
f7	-,586	,433	,295	,435
f8	,104	-,141	,476	-,824
f9	,166	,334	,768	-,142
f10	-,082	,292	,788	,210
f11	,700	-,376	,467	,092
f12	,189	,189	,068	,762
f13	-,037	,848	,202	,171
f14	,867	-,192	-,025	,123
f15	,881	,039	-,098	-,055
f16	,704	,460	,116	,317
f17	,584	,361	,531	,281
f18	,754	,088	,118	,156

Extraction Method: Principal Component Analysis. Rotation Method: Varimax with Kaiser Normalization.

a Rotation converged in 9 iterations

როტაციული კომპონენტების მარტიცა გვიჩვენებს, რომ 1-თან მიახლოებული მნიშვნელობა აქვთ შემდეგ ფაქტორებს:

ფაქტორი 8. კომუნისტური პრესის მიმართ ანტაგონისტური ფუნქცია და როლი (F8);

ფაქტორი 9. საზოგადოებრივი ცვლილებების ასახვის ფუნქცია და როლი (F9);

ფაქტორი 10. საზოგადოებრივი ცვლილებებისგან მოწოდების ფუნქცია და როლი (F10);

ფაქტორი 11. ეროვნული იდენტობის შემსენებლის ფუნქცია და როლი (F11);

ფაქტორი 12. გადაჭარბებული ეროვნული პათოსის წინააღმდეგ წერის ფუნქცია და როლი (F12);

ფაქტორი 13. საზოგადოების შესახებ უკომპრომისოდ წერის ფუნქცია და როლი (F13);

ფაქტორი 14. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასახვის ფუნქცია და როლი (F14);

ფაქტორი 15. “ნამდვილი” ისტორიის ასახვის ფუნქცია და როლი (F15);

ფაქტორულმა ანალიზმა დაადასტურა პიპოთეზის 2 სისტორე, ვინაიდან ანალიზის შედეგად ამოგდებული ოთხი ფაქტორი: 1) პოლიტიკური ბრძოლის ფუნქცია და როლი; 2) თავისუფალი საზოგადოების ჩამომაყალიბებელის ფუნქცია და როლი; 3) თავისუფალი საზოგადოებრივი აზხოვნების დამაკვიდრებლის ფუნქცია და როლი და 4) ცოდნისა და განათლების გამავრცელებლის ფუნქცია და როლი - თავიანთი ბუნებით უფრო მეტად მედიაცენტრულნი არიან, ვიდრე სოციოცენტრული. მაღალი კორელაციის არსებობა შემდეგ ფაქტორთა შორის: ახალი საზოგადოებრივი აზროვნების დამკვიდრების ფუნქცია და როლი, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების როლი, განმანათლებლისა და ცოდნის გამავრცელებლის ფუნქცია და როლი, პოლიტიკური ბრძოლის ფუნქცია და როლი მიუთითებს მედიასა და საზოგადოებას შორის სტორედ მედიაცენტრული (უფრო მეტად კი – მედიაკულტურალისტური) მოდელის დომინანტობაზე კითხვარში მითითებული სოციოცენტრიზმის (სოციოკულტურალიზმის) დომინანტობის ნაცვლად.

რესპონდენტების მიერ მითითებული პასუხები შეკითხვებზე, თუ რისი გაგება სურდათ სოციოლოგიური კვლევების შედეგად, წინ კვლავ იმავე მიმართებებს წამოწევს, რომლებსაც ოთხი ამოგდებული ფაქტორი მოიცავს. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ სოციოლოგიური კვლევის შედეგად მათ აინტერესებდათ მოსახლეობის, საზოგადოების აზრი არჩევნების შესახებ, პოლიტიკური გემოვნებისა და პრეფერენციების შესახებ, სარეფერენდუმო საკითხების შესახებ.

რაც შეეხება 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური მედიის მიერ შეძენილ ეროვნული იდენტობისა და მიკუთვნებულობის შემქნელისა და შემხსენებლის ფუნქციასა და როლს, იგი აღწერით სტატისტიკაში საკმაოდ მაღალი სკალირებული ქულით გამოიხატება (5,89), თუმცა ეროვნული იდენტობა ვერც სოციოლოგიური

კვლევის პრიორიტეტებში მოხვდა და ვერც ეროვნული იდენტობის შემცველმა ფაქტორებმა (ფაქტორი 5 და ფაქტორი 11) შექმნა კორელაციური ჯგუფი. თუმცა, ფაქტორმა 11 როტაციული კომპონენტების მატრიცაში ამოგდებულ ოთხ ფაქტორთან კორელაციის 1-თან მიახლოებული მნიშვნელობა მოგვცა.

შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ: რესპონდენტების აზრით, ფაქტორული ანალიზის შედეგად ამოგდებული ოთხი ფაქტორი შეიცავდა ეროვნულ იდენტობით მიმართებებს და ეს უკანასკნელი, შეიძლებოდა, განგვეხილა როგორც ოთხი ხსენებული ფაქტორის შემადგენელი, ან ნაგულისხმევი, კომპონენტი.

ამ დაშვების სისწორეს ამყარებს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება – გლასნოსტის პერიოდის არსებობა მარქესტულ, საბჭოთა-კომუნისტურ და დამოუკიდებელ ეროვნულ მედიას შორის.

11.7. გლასნოსტის იდეოლოგიის გავლენა 1990-იანი წლების ქართულ მედიაზე.

გლასნოსტი ძალიან მნიშვნელოვანი ფენომენია სახელმწიფოს მხრიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების “დოზირებულად” დაშვების, მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკურ-სოციალური კონტროლის თვალსაზრისით.

გლასნოსტმა არა მხოლოდ შეასუსტა პრესაზე კონტროლი კულტურული მიზნებით, არამედ შეასუსტა კონტროლი პოლიტიკური მიზნებითაც. რასაკვირველია, თავისუფლება უფრო მეტად მედიაშინაარსს, როგორც კულტურულ ფენომენს, დაეტყო, მაგრამ აშკარა იყო პოლიტიკური მიზნით კონტროლის შესუსტებაც. მართალია, გლასნოსტის დამშვებ უმაღლეს საბჭოთა პოლიტიკურ ულიტას არ გაუმიჯნავს იგი საბჭოთა-კომუნისტური პრესის პრინციპებისგან, მაგრამ ფაქტია, რომ გლასნოსტმა საბჭოთა (მათ შორის, ქართულ) მედიას საკმაოდ დიდი ამპლიტუდით შეუცვალა როლები და ფუნქციები.

გლასნოსტმა, ტიპურობის თვალსაზრისით, პრესის საბჭოთა-კომუნისტურ მოდელს შესძინა სოციალური ცვლილებებისა და განვითარების მედიის²⁴³ ნიშან-თვისებები, კერძოდ, მედიას დააკისრა მნიშვნელოვანი როლი ძირითად სოციალურ ცვლილებებში, მედია განიხილებოდა, როგორც “ცვლილებების ძრავი”

²⁴³ კლასიფიკაცია ეპუთვნის დენის მაკეუეილს. 2005: 92

განვითარების კონტექსტში, მედიის მიერ ინდუცირებული ცვლილებები ძირითადად უკავშირდებოდა ტიპურ მედიაშინაარსს - მედიურ ეფექტებს შორის განისაზღვრა სიახლეების, სოციალურ-პოლიტიკური ინოვაციების დიფუზია.

მიუხედავად იმისა, რომ გლასნოსტის დეკლარირებულ პრინციპებს შორის გამოცხადებული არ ყოფილა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, “სოციალური ცვლილებების ძრავმა” მთელი დატვირთვით აამუშავა ეროვნული იდენტობა, როგორც მედიის ერთ-ერთი ძირითადი თემა, დეკლარირებული პრინციპების “ქოლგის” ქვეშ. მაგალითად, ახალი პოლიტიკური ძალების პოლიტიკური კამპანიისა და პროპაგანდის გაშუქება შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული საკითხების იგნორირებით; თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე წერა – ადამიანების უფლებების ეთნიკური და მოქალაქეობრივი ასპექტების უგულებელყოფით; ცოდნის გავრცელება – ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ურთიერთხანაცვლების გარეშე. ცოდნის გავრცელების, სწორედ, ეს ასპექტი იქცა ეროვნული იდენტობის მედიური კონსტრუირების ერთ-ერთ ქვაკუთხედად.

გლასნოსტმა, როგორც სოციალური ცვლილებებისა და განვითარების კონცეფციაში მოთავსებულმა მედიათეორიამ, ურთიერთკავშირში მოაქცია სამი საბაზისო ელემენტი: მედიური შინაარსი, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები და მოსახლეობას (ანუ მიმღებს) შორის მოსაზრებების, რწმენების, დირებულებებისა და პრაქტიკის გავრცელება.

გაზეთიდან სწავლა, გაზეთის მეშვეობით ცოდნის მიღება შეიძლება, განვიხილოთ ორი პერსპექტივიდან: ერთი არის მიბრუნება მასობრივი კომუნიკაციის კლასიკურ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც, ცოდნა, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით (ცოდნა როგორც ინფორმაცია, შემეცნება, განათლება, სახელდება, გამოცდილება) არის ის, რასაც ავრცელებენ და უნდა ავრცელებდნენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები²⁴⁴ და, მეორე პერსპექტივა არის ის, რომ მედიის მიერ ცოდნის გამავრცელებლის როლისა და ფუნქციის წინწამოწევა, შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც გარდამავალი, პოსტ-გლასნოსტური პერიოდის სპეციფიკური პროექტი. გლასნოსტის გავლენა ჩანს კომუნიკაციის პროცესის შემდა ელემენტზე.

²⁴⁴ McQuail, D. (2005):81

კომუნიკატორის როლური სტრუქტურა შერეული ტიპისაა. კომუნიკატორად გვევლინება სახელმწიფო, პოლიტიკური გაერთიანებები და პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები. კომუნიკატორი, როგორც ფიზიკურ პირთა ერთობლიობა, უმეტეს შემთხვევაში, საბჭოთა, კომუნისტური პრესის პრაქტიკისა და გამოცდილების მატარებელია, ამიტომ ის ახალი როლები და ფუნქციები, რომლებსაც ახალი ქართული პრესა კისრულობს, ჯერ თავად ჟურნალისტების, რედაქტორების, გამომცემლების შინაგანი მისადაგების ობიექტი ხდება მათ მედიურ რეალიზაციამდე. რესპონდენტების მედიაში მოსვლის მოტივაცია ყველაზე ნაკლებად ეფუძნება პროფესიულ განათლებას, აქ სჭარბობს მოტივი „ინტერესი ჟურნალისტიკისადმი”, რომელთანაც მჭიდრო შინაარსობრივ კორელაციაში იმყოფება მამოტივირებელი ფაქტორი „საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის მოხდენის სურვილი”. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1990-1991 წლების მედია საზოგადოებრივ ცნობიერებაში ყველაზე ნაკლებად ასოცირდებოდა ბიზნესთან, მაშინ ფაქტორი „ინტერესი ჟურნალისტიკისადმი”, მიუხედავად მრავალი ნიუანსისა, თრ ძირითად ელემენტამდე დაიყვანება: ინტერესი კულტურული შინაარსისადმი და საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის მოხდენის ინტერესი.

კითხვარის შედეგები უჩვენებს, რომ კომუნიკაციური ეფექტები უფრო მეტად დაგეგმილია, ვიდრე დაუგეგმავი, გათვალისწინებული როგორც ახლო, ისე შორ პერსპექტივაზე: ინდივიდუუმის, კოლექტივის რეაქცია, ინდივიდუუმისა და კოლექტივის პასუხი (კითხვარის კითხვებსა და პასუხებში ეს კომუნიკაციური ეფექტი რეპრეზენტირებულია, როგორც ინდივიდუუმისა და საზოგადოების შეხედულებების ცვლილება (ყველაზე მკაფიოდ გამოხატული დაგეგმილი ეფექტი), ინდივიდუუმისა და საზოგადოების ღირებულებრივი ორიენტირების ცვლილება (ზომიერად გამოხატული) და ინდივიდუუმისა და საზოგადოების ქცვის ცვლილება (ყველაზე სუსტად გამოხატული)); პოლიტიკური კამპანია და პროპაგანდა, ცოდნის გავრცელება, საზოგადოების სოციალიზაცია და ა. შ.

ეროვნული იდენტობის კონსტრუირება მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ პროპაგანდასთან, ახალ საზოგადოებრივ აზროვნებასთან, თავისუფალი საზოგადოების შექმნასთან და განათლებისა და ცოდნის გავრცელებასთან.

თავი 12

განზოგადებები, ძირითადი დასკვნები

როგორც გვიჩვენა ემპირიული მასალის ანალიზმა, ძირითადი დასკვნების სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულებები:

1. 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ძირეულმა ფორმაციულმა ცვლილებებმა შეცვალა მედიაში კოლექტიური იდენტობითი პრედიკატი და დომინანტური იდეოლოგიის ხასიათი. საბჭოთა მშრომელთა სოლიდარობას ჩაენაცვლა ეროვნული სოლიდარობა და კომუნისტურ იდეოლოგიას – ნაციონალური იდეოლოგია. მაგრამ არ შეცვლილა პოლიტიკურ-მედიური სივრცის სტრუქტურირების ტოტალიტარული პრინციპი. კომუნისტური სისტემის კოდებისგან მედიისა და კულტურული პროდუქციის გათავისუფლების პროცესი აღმოჩნდა მხოლოდ ამ კონკრეტული სისტემის კოდებისგან გათავისუფლების პროცესი, მაგრამ შენარჩუნდა უფრო მნიშვნელოვანი – თავად იდეოლოგიზებული მედიური კლიშეებისა და კოდების შექმნის პრინციპები.
2. 1990-იანი წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში რეპრეზენტირებული ეროვნული იდენტობა, წარმოჩენილი ტერიტორიასთან მიბმულობის მახასიათებელში, მოიცავს იდენტობის სხვა შემადგენელ ცნებებსაც: ტერიტორია განხილულია როგორც ერად ყოფნისა და ეროვნული მექანიზრების საფუძველი. აქ ადგილი მოცემულია არა როგორც, უბრალოდ ფიზიკური მახასიათებლების მქონე სივრცე, არამედ როგორც იდენტობის განმსაზღვრელი ადამიანების ისტორიული და ცოცხალი გამოცდილება. ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციისას გამოიყოფა ორი ძირითადი ნაკადი: პოზიტიური ეთნოცენტრული მითები და ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ურთიერთჩაცვლების პროცესი.
3. ეროვნულ იდენტობაში, შექმნილში გაზიარებული ეროვნული ტერიტორიის შექმნის საფუძველზე, “სახელმწიფო” წარმოჩენილია როგორც სისტემის “ერი” - “ეროვნული იდენტობა” არაორგანული, თითქმის მექანიკური ნაწილი. მედიურ რეპრეზენტაციებში “სახელმწიფო” ჩანს როგორც ელემენტი, რომელსაც სუსტი კავშირები აქვს (ან საერთოდ არ აქვს კავშირები) სისტემის სხვა ელემენტებთან.

ამ კავშირების არსებობა და სიმყარე დამოკიდებულია რეპრეზენტაციისა და მედიაციის საგანზე – მედირებულია პრაქტიკა თუ მედირებულია პრინციპები; მედირებულია კონფლიქტი, პრობლემა თუ საკითხი.

4. პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის, როგორც შეტყობინების წყაროს ტიპის, დომინანტური სტატუსი ადასტურებს იდეოლოგიური დომინაციის არსებობას 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში, თავისუფალი მედიისთვის დამახასიათებელი ლიბერალურ-პლურალისტული მოდელისგან განსხვავებით;
5. საზოგადოების ძლიერი დამოკიდებულება მედიაზე იდენტობის შექმნა-შენარჩუნების თვალსაზრისით ახასიათებს მედიის “მასობრივი საზოგადოების” და მედიის “მარქსისტულ-კომუნისტურ” (იგივე საბჭოთა-კომუნისტურ) მოდელებს მკვეთრად გამოხატული მედიაცენტრული ბუნებით საზოგადოებასა და მედიას შორის ურთიერთობაში. მედიის ზემოთ ხსენებულ მოდელებს განეკუთვნებოდა გვიანი საბჭოთა პერიოდისა და 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული მედია.

The Representation of the National Identity in Printed Media in Georgia in 1990-1991

Introduction to the idea of the research

In the modern field of media research the question of identity and belonging is one of the most important. The media is still considered to be one of the most influential instruments in creation, reproduction and evolution of the shared sense of identity, national, either cultural or other categories of self-identity.

This research represents one of the first attempts to analyze the role of media in construction of the sense of identity.

The idea of the research is based on the links between the media and three of the most influential opinions articulated in early 1990s: the first, the phenomenon of a ‘daily plebiscite’, or a psychology of the conscious will to be a nation (Rennan, Ernest, 1990), the second, the phenomenon of the psychology of imagination to be a nation (Anderson, Benedict, 1991) and the third, the phenomenon of the psychology of reminding (Billig, Michael, 1995). It is in the nature of the media to try to test in daily discourse any socially significant phenomenon. Reproduction and evolution of the shared sense of national belonging in Georgia during the first days and months of the state independence reinforced this natural feature of the media. To create homeland by every word, even if least significant one, to indicate the existence of the world of nations constantly, this was the challenge of the Georgian media in the early 1990s, when reading newspapers was a very important segment of common social and cultural life. This challenge would be resulted in every person reading a newspaper would accept imagined homeland and become a member of the nation, national community.

In the beginning of the 1990s the whole usual environment of life and functioning was crashed down for the Georgian media as well. The media, as the most sensitive towards socio-political changes, even in terms of the existing official census, implicitly responded to the new order. Georgian

journalists may have watched the grand raising and falling of the ‘Empire of Evil’ as mesmerized as other citizens of the country, but changes in the Georgian media of that time indicate that media managed to decode the message sent from the society (more precisely, from certain political and social structures), and since 1988 managed to appeal to nationalism and populism. Accentuating national culture, folklore and history became one of the leading topics for the media.

‘We are a nation’ – psychological or political principle

The phenomenon of the national territory, or homeland, has always been topical for the Georgian conscience. The most popular explanation of this phenomenon, imprinted in this conscience, belongs to Ilia Chavchavadze (1861). According to it, national territory, equally with language and faith, is one of the most important components of the concept of a nation: ‘land, language and faith’. Zurab Zhvania, Prime Minister of Georgia in 2004-2006, calls this phrase of Ilia Chavchavadze “the formula of Georgian nationalism.”ⁱ Well-known Georgian thinkers, such as Mikhako Tsereteli, Archil Jorjadze (in the beginning of 20th century) et al. wrote about the crucial importance of territory for the development of a nation. In the beginning of the 1990s, of course, there was a return to the already written and said, but the realization of all this was to take place with a new conscious refraction of the national space. ‘Fatherland,’ ‘Homeland’ – was this a national territory or a state territory? According to T.K. Oommen, territory is common for a nation and a state but there is one significant difference between the national territory and state territory; the first one is a moral unity, the second – legal.ⁱⁱ For Ernest Gellner, nationalism belongs to the era of nation-states. On the very first page of *Nations and Nationalism*, Gellner stressed that ‘nationalism is primarily a political principle which holds that political and national units should be congruent.’ⁱⁱⁱ According to Gellner (1983), nationalism emerges only when the existence of a state is already very much taken for granted.^{iv} The idea of nationalism is the belief that a nation-state identified by national culture, is a natural political unit.^v

In Georgia of the 1990s, certain factors, such as not having a full-fledged state for 200 years and an unformed state conscience, developed mostly primordialist and not modernist views on nation and nation-state.

But these views contradicted the political context of belonging to a nation on the background of the events developing them, i.e. when the Georgian National Liberation Movement stated that ‘We are a nation,’ it demanded political authority that was to ensure the existence of the Georgian nation in a modern understanding of the concept.

‘The Round Table – Free Georgia’ obtained these authorities as a result of the 28 October 1990 elections.

Store, map, compass...

All theories studying relations between media and society, despite their conceptual difference, various research conditions and levels of analysis, agree that media can serve to repress as well as to liberate, to unite as well as to fragment society.^{vi} In fact, there is no stronger, more penetrative, more large-scale, more operative institution or instrument which concerns social reality, social relations and experience, and can spread this experience and knowledge both synchronically and diachronically: ‘The information, images and ideas made available by the media may be a main source of an awareness of a shared past time (history) and present social location. They are also a store of memories, and a map of where we are and who we are (identity), and may also provide the materials for orientation to the future.’^{vii}

In ‘Imagined Communities’ (1991) Benedict Anderson particularly outlined the dominant role of media in forming the nation as an imagined unity, reminding that our initial knowledge about our homeland and compatriots does not derive from personal, direct communication, but from impersonal and such wide-spread agents of socialization as education systems, museums, and media, which makes

it possible for a large group of people to take part in national life. Anderson did not consider a nation as only an imagined unity of people, but a force of imagination spread across a place. Firm and simultaneous experience, bordered national space and the wide circulation of the newspapers, in Anderson's opinion, were crucial for the creation of a modern form of national conscience. Newspapers linked dispersed anonymous citizens with symbolic discourse of a nation.

Two years after publishing Anderson's work, Martin-Barbero (1993) agreed with his thesis, arguing that historically it is due to media representations that national identity became the recognized identity. Due its constant and ubiquitous nature, media became the strongest reminder of national identity.

The Conceptual changes in the media of the 1990s in Georgia

First of all, the space changed. It narrowed down, from scales of the Soviet homeland to the new nation-state of Georgia. The Soviet space was divided into the different components in the Georgian public conscience and reflected in identical duality, *here* and *there*, *ours* and *theirs*. The process of disintegration, distancing from the space that was close and accessible (naturally or artificially) yesterday, demanded precise orientation in the new space by the media. The media was to turn into the kind of ideological labor which would create the definition of a nation and nationality, a definition of nationalism as an ideology and as a phenomenon of identity for its readers, and the starting point for that would be signification of space. The specific areas were signified in media coverage. The communication in a given location reflected the features of that context. In that period of the co-existence of the Soviet Union and independent Georgia, the media named Georgia as 'home', Moscow was signified as 'the Center', the Metropolis', indicating by this a colonial status of Georgia in the USSR.

